კვირის პოლიტრა
მზე
N8(37) . 22/II. - 28/II.2001 .
ფასი 60 თ.

1168
2001

რა სჭირს დარს?

ნოდარ ნათაძე:
ჩემი პირველი სიყვარული ნახევარ ტონას იწონის

კოტე ყუბანეიშვილი პირველ კლასში მიდის

მთავარი თემა:
მიწისძვრა

იური მეჩითოვი: ფოტოხელოვნება დღესასწაულია

გია ლაბაძე:

რაგბი ბრძოლაა, ვაჟკაცური ბრძოლა და ხანდახან ვფიქრობ ხოლმე – საუკუნეების წინ რომ დავბადებულიყავი საქართველოში, ალბათ მეომარი ვიქნებოდი...

გვ.38

1168
2001

ᲥᲘᲠᲘᲚᲘᲡ ᲙᲐᲚᲔᲓᲐᲠᲘ
ᲛᲔᲠᲘ
№8 (37)
22 - 28 თებერვალი 2001
ფასი 60 თეთრი

ᲕᲘᲜᲘᲐᲢᲣᲠᲔᲑᲘ
ᲡᲔᲘᲡᲛᲝᲛᲔᲓᲔᲑᲘ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ 3
ᲡᲐᲡᲬᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ
ᲜᲣᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲕᲐᲠᲘᲐᲜᲢᲘᲡ ᲡᲐᲠᲩᲔᲚᲘ ᲙᲐᲠᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲝ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡ ᲯᲔᲠᲐᲪ ᲐᲠ ᲛᲘᲣᲦᲘᲐ 4
ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘ
ᲡᲐᲠᲩᲔᲚᲘ ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ 6
ᲓᲐᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠᲔᲑᲐ
ᲯᲔᲛᲐᲚ ᲒᲝᲒᲘᲢᲘᲫᲔ ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲐᲡᲐᲜᲘᲫᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲯᲐᲡ ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲡ 8
ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝ ᲐᲖᲠᲔᲑᲘ
ᲐᲕᲝᲠᲘᲒᲛᲔᲑᲘᲡ ᲔᲜᲪᲘᲙᲚᲝᲞᲔᲓᲘᲐ 9
ᲞᲔᲠᲡᲝᲜᲐ
ᲙᲝᲢᲔ ᲧᲣᲑᲐᲜᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲙᲚᲐᲡᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲓᲘᲡ 10
ᲤᲡᲘᲥᲠᲘ
ᲡᲔᲥᲡᲘ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘᲗ - ᲧᲠᲣ-ᲛᲣᲜᲯᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ?! 12
ᲕᲐᲚᲣᲢᲐ
ᲠᲐ ᲡᲭᲘᲠᲡ ᲚᲐᲠᲡ? 14
ᲛᲝᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲗᲔᲛᲐ
• ᲛᲘᲬᲘᲡᲫᲕᲠᲐ. ᲡᲔᲘᲡᲛᲣᲠᲘ ᲒᲝᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲢᲠᲐᲒᲘᲙᲣᲚᲘ ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲐ 15
• „ᲛᲨᲕᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲐᲛᲔᲑᲘ“ ᲦᲘᲦᲘᲜ-ᲦᲘᲦᲘᲜᲘᲗ ᲛᲘᲐᲭᲠᲘᲐᲚᲔᲑᲔᲜ ᲙᲝᲠᲣᲤᲪᲘᲘᲡ ᲨᲠᲔᲛᲡ... 18
• ᲛᲘᲛᲨᲕᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲚᲝᲮᲘᲔᲑᲘᲡ 99% ᲓᲐᲡᲐᲜᲒᲠᲔᲕᲘᲐ 21
• ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲨᲕᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘ, ᲑᲔᲕᲠᲘ „ᲣᲢᲕᲘᲜᲝᲓ“ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲙᲔᲗᲔᲑᲣᲚᲘ 22
ᲐᲜᲢᲘᲓᲔᲞᲠᲔᲡᲐᲜᲢᲘ
ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲣᲚ-ᲨᲔᲛᲔᲪᲜᲔᲑᲘᲗᲘ ᲙᲝᲚᲐᲟᲘ ᲒᲝᲩᲐ ᲓᲕᲐᲚᲘᲡ ᲣᲑᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲐᲙᲘᲓᲐᲜ 24
ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ
ᲛᲘᲪᲚᲘᲜᲔᲑᲐ 24
ᲙᲠᲘᲛᲘᲜᲐᲚᲘ
ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲐ ᲙᲣᲙᲘᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲤᲚᲐᲝᲖᲔ 26
ᲢᲔᲡᲢᲘ
ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲘ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘ 27
ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲐ
ᲘᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲔᲑ - ᲔᲠᲗ ᲙᲕᲘᲠᲐᲨᲘ ᲛᲝᲠᲩᲔᲑᲘ, ᲐᲠ ᲘᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲔᲑ - ᲨᲕᲘᲓ ᲓᲦᲔᲨᲘ... 28
ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ
„ᲠᲐᲪ ᲣᲤᲠᲝ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲒᲘᲧᲕᲐᲠᲡ, ᲛᲘᲗ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲓᲘᲓᲠᲓᲔᲑᲘ“ 30
ᲤᲡᲘᲥᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲘ
ᲒᲐᲜᲡᲐᲖᲦᲕᲠᲔᲗ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲒᲝᲜᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲞᲝᲢᲔᲜᲪᲘᲐᲚᲘ 31

21960

ᲡᲐᲠᲩᲔᲚᲘ ᲡᲐᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲝ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡ ᲯᲔᲠᲐᲪ ᲐᲠ ᲛᲘᲣᲦᲘᲐ



— მოდით, ისევ ნულოვან ვარიანტს დავუბრუნდეთ. შესაძლებელია, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ პარლამენტის ეს გადაწყვეტილება გააუქმოს?

— რატომაც არ არის შესაძლებელი?!

4

ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲐ ᲙᲣᲙᲘᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲤᲚᲐᲝᲖᲔ



სეკო თურმე იძახდა — ქურდი ვარო და მეორე მძღოლისთვის ჩხუბი დაუწყია — 7.000 დოლარი უნდა გადამიხადო ან ახალი მანქანა უნდა მიყიდოო. მძღოლი, რა თქმა უნდა, საწინააღმდეგოს უმტკიცებდა.

26

ᲙᲝᲢᲔ ᲧᲣᲑᲐᲜᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲙᲚᲐᲡᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲓᲘᲡ

— მე „რედკი“ ადამიანი ვარ. რითი, იცით? ვარ ზუსტად ისეთი, როგორიც „მევასება“. არ „მევასება“, არც ჩემზე მეტი, არც ჩემზე ნაკლები. მე ხელისგულზე უნდა მატარონ — იმიტომ, რომ „ბლაგაროდნი“ ვარ.

10

ᲡᲔᲥᲡᲘ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘᲗ — ᲧᲠᲣ-ᲛᲣᲜᲯᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ჩემი შეყვარებულიც ჩემსავით დაბადებიდან ყრუ-მუნჯი იყო. ხშირად მირეკავდა ტელეფონით — ჩემს ტელეფონს ზარი არა აქვს — გამოძახების დროს ნათურა ინთება. ერთმანეთს მორზეს ანბანით — ყურმილზე კაკუნით ვესაუბრებოდით.

12

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

სამყარო
ელდორადო თუ უბრალოდ, კოლუმბიური ოქრო – სულებისათვის 32
წმინდანები
წმინდა ნიკოლოგ დვალი 34
ისტორიის გაკვეთილები
1921 წლის თებერვლის ომი და საქართველოს „გასაბჭოება“ 35
სპორტსმენი
„ადრე რომ დავბადებულიყავი, მეომარი ვიქნებოდი...“ 38
ბომონდი 41
ფოტოხელოვანი
სამყარო რომ სწორად დაინახო, ყირაზე უნდა დადგე! 42
პროგრესი
ჯადოსნური ღილაკი 44
კარიერა
სად უშვებენ „100.000 დოლარიან“ თავებს 45
ტერორიზმი
სასიკვდილო „ამანათი“ ბომბების პორტში 48
ესკიზები
მკურნალს ცურვა რომ სცოდნოდა... 50
შეამოწმეთ თქვენი სიოდნა
ტესტი ერუდიციაზე 51
ნოველა
ბესიკ კეკელიძე. ჯიბრი 52
ავტო 54
ვარსკვლავი
სიბნელეში მომღერალი უკიდურესი ჩრდილოეთიდან 56
ქართველები
„მუნჯური“ დემოკრატია ანარქიასა და დიქტატურას წარმოშობს 58
ცივილიზაცია
მისტერ უიტნის ორი გამოგონება 60
სკანვორდი 61
ჰოროსკოპი
კვირის (26.02 – 4.03) ასტროლოგიური პროგნოზი 62
ტესტი
გიყვართ თუ არა ქმრის ნერვებზე „თამაში“? 63
კალეიდოსკოპი
ჭრელ-ჭრელი ამბები 64

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
რედაქტორი: გოჩა ტყეშელაშვილი
მენეჯერი: კიაზო ბიჩინაშვილი
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8 ტელ: 33-50-32
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

რაც უფრო ხშირად გიყვარს, მით უფრო მდიდრდები



– ჩემი პირველი სიყვარული ნახევარ ტონას მაინც იწონის, სიგარეტს ქაჩავს და ქალაქში „ფიატს“ გიჟივით დააქროლებს. „საღოლ!“... ღმერთმა კარგად ამყოფოს – ჯანიანი ქალი დადგა ის სიფრიფანა ვოგო.

30

სამყარო რომ სწორად დაინახო, ყირაზე უნდა დადგე!



ფარაჯანოვი დავპატიჟეთ. მისთვის უცხო და მიუღებელი იყო ასეთი ესთეტიკა, თავად უფრო ეკლექტიკოსი გახლდათ. აუ, როგორ გაბრაზდა, რას ყვიროდა – შეხედეთ მეჩითოვს, მაგას ჰგონია, რომ ფარაჯანოვი თვითონაა, ამ დროს ფარაჯანოვი მე ვარო!!!

42

იმკურნალებ–ერთ კვირაში მორჩებიი, არ იმკურნალებ–7 დღეში

გრიპი ცუდია სწორედ იმით, რომ ხშირად, როგორც მოგახსენეთ, მძიმე გართულებები ახლავს თან, რომლებსაც შემდეგ მართლა სჭირდება ჰოსპიტალიზაცია, სკრუპულოზური, დეტალური მკურნალობა.

28

ჯიბრი

ბინის შესასვლელ კართან ტელეფონის ზარის ხმა შემოესმა. ჯაჭვს ხელი ნაჩქარევად გაუშვა და ჯიბეებში გასაღებს დაუწყო ძებნა. რის ვაი-ვაგლახით გააღო კარი. ბინაში შევარდა და ყურმილს ეცა.

52

სეისმომედეგი ხელისუფლება

იაპონიაში 1923 წელს მომხდარმა მიწისძვრამ 600 ათასი სახლი დაანგრია და 300 ათასი იაპონელიც შეიწირა, 1968 წელს – ირანი შეაზანზარა სტიქიამ და კვლავ მსხვერპლი და ნგრევა მოიტანა, 1988 წელს ჩვენს მეზობელ სომხეთს ეწვია უბედურება და 100 ათასი კაცით შეამცირა საბჭოთა კავშირში ისედაც ერთ-ერთი ყველაზე მცირერიცხოვანი რესპუბლიკის მოსახლეობა.

მაგრამ ეს კატასტროფები დროის დიდი შუალედებით ხდებოდა. ბოლო ათწლეულში კი, „სულ აიშვა თავი“ დედამიწამ – განუწყვეტლივ ბორგავს და უამრავ ადამიანს იწირავს მსხვერპლად: 1994 წელი – ლოს-ანჯელესი, 1995 წელი – იაპონია, 1999 წელი – თურქეთი და საბერძნეთი, 2001 წელი – ინდოეთი და სალვადორი...

საქართველო? ჩვენთანაც ხომ იყო მიწისძვრები და არცთუ მცირე სიმძლავრისა, მაგრამ მსხვერპლი და ნგრევა დიდი არ ყოფილა, იმიტომ, რომ „რაც კარგები ვართ – ქართველები ვართ!“ და მთავრობაც (ვენაცვალე მას!) ყველაზე კარგი გვყავს! არ დამიწყოთ ახლა – მთავრობა (ვენაცვალე მას!) რა შუაშიაო, მლიქვნელობა არ დამაბრალოთ და ყური დამიგდეთ: იაპონიაში რომ ზემოთ ნახსენები მიწისძვრა მოხდა, 300 ათასიდან ნახევარზე მეტი ხალხის დაღუპვის მიზეზი გაზის აფეთქება გახდა, თურქეთში – ელექტროგაყვანილობის ხაზები გადაიხლართა ერთმანეთში და გაჩენილმა მასობრივმა ხანძარმა უამრავი ადამიანი დაწვა ცოცხლად, ოცდაათიოდე წლის წინ – ნიკარაგუაში ისეთ დროს მოხდა მიწისძვრა, რომ ამ აგრარული ქვეყნის მოსახლეობის უმეტესობა მინდვრებსა და ბანანის პლანტაციებში იყო სამუშაოდ და თითქოს მსხვერპლიც არ უნდა ყოფილიყო დიდი, მაგრამ ჰიდროელექტროსადგურის კაშხლის კედელი ჩამოინგრა და ათასობით ადამიანი შთანთქა მოვარდნილმა წყლის სტიქიონმა...

ახლა, ყველას მოგმართავთ, ვინც ხელაღებით ლანძღავთ ჩვენს პრეზიდენტს, პარლამენტს, მთავრობას, ენერგომამებსა და საერთოდ, მათ მამებსა და დედებს (ვენაცვალე მათ!): გულზე ხელი დაიდეთ და თქვით – ჯვარი აქაურობას, მაგრამ რომ შეგვაზანზაროს ერთი შეზანზარება, ხომ შეგიძლიათ გამოცვივდეთ თქვენი სახლებიდან და თავი გადაირჩინოთ, არც გაზი აფეთქდება (იმიტომ, რომ გაზი არ არის), არც ელექტროსადენები გააჩენს ხანძარს (იმიტომ, რომ დენი არ არის) და არც ენგურსა თუ ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის კაშხლებიდან მოვარდნილი წყალი დაგვახრჩობს (იმიტომ, რომ მაქსიმუმ ხუთი-ექვსი ვედრო წყალი დგას სტაბილურად)! მაშინ რაღას იტყვით?! არც მაშინ შეიცვლება თქვენი ლანძღვა-გინება ლოცვა-კურთხევით?!

მართალია, ჯერ ყველაფერი არ აქვს მოგვარებული ჩვენს ხელისუფლებას (ვენაცვალე მას!) – თუნდაც სახლების პრობლემა, მაგრამ ამასაც ეშველება! მართლაც, ერთადერთი საშიშროება, რომელიც მიწისძვრის შემთხვევაში გვემუქრება, – ჩვენი სახლებია. მაგრამ ჩვენი ხელისუფლება (ვენაცვალე მას!) ამაზეც ფიქრობს: როგორც შევიტყვე, უკვე მუშავდება საცხოვრებელი კორპუსებიდან და კერძო სახლებიდან მოსახლეობის საყოველთაო გამოყვანის გრანდიოზული პროექტი, რომლის განხორციელებაც მომავალი წლისათვის იგეგმება, ხოლო 2005 წელს დაგეგმილია ყოველი ოჯახისათვის საცხოვრებელი კარვების დარიგების დაწყება, რომელიც 2015 წლამდე გაგრძელდება.

საერთოდ, ჩვენს ხელისუფლებას (ვენაცვალე მას!) თავიდანვე ეტყობოდა, რომ მსოფლიოს ყველა ქვეყნის ხელისუფლებათა შორის, ყველაზე „სეისმომედეგი“ იქნებოდა და მართლაც – რა რყევებსაც მაგან გაუძლო, რა შიდა თუ გარე ბიძგებზე არ გამოავლინა არავითარი რეაქცია მისმა შუბლის ძარღვმა, რამდენბალიანი ლანძღვა-გინება და წყევლა-კრულვა აიტანა მათმა ყურთასმენამ და სინდის-ნამუსმა – ნურც ერთი დიდი სახელმწიფოს პრეზიდენტი თუ მთავრობა-პარლამენტი ნუ დაიჩემებს!

P.S. ჯერ სადა ხართ, აწი ნახეთ ამათი დაყრუება-დაბრმავება – ამას ხომ ძალიან კარგად უწყობს ხელს ბიუჯეტის სეკვესტრი, ხალხის ქრონიკული უპენსიობა-უხელფასობა, შიმშილ-სიცივე და სხვა „ამქვეყნიური სიკეთენი“. ყველაფერი ეს კი, სხვა ქვეყნებზე მეტად გვაქვს, მაგრამ მაინც ასე გვირჩევნია: იქ – შუქი, გაზი, კაკაო და კარაქიანი პური დილაობით და ბოლოს მიწისძვრა და უბედურება, აქ – ჩვენი სეისმომედეგი ხელისუფლება (კიდევ და კიდევ ვენაცვალე მას!) და დიდხანს სიცოცხლე! ზუსტად ისე, როგორც ზღაპარშია: „ჭირი იქა, ლხინი აქა...“

...ზღაპარში ვცხოვრობთ...

პროვოკატორი

მას შემდეგ, რაც პარლამენტში უმრავლესობამ ნულოვანი ვარიანტი „გაათრია“, რამდენიმე დღე გავიდა. საზოგადოება ჯერ კიდევ ვერ გამორკვეულა — რატომ დაუჭირა მხარი პარლამენტმა იმ ხელშეკრულებას, რომელიც პირდაპირი მნიშვნელობით, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქონებიდან საქართველოს კუთვნილი 5-7 მილიარდი დოლარის ღირებულების ქონებაზე უარის თქმას ნიშნავს.

ნულოვანი ვარიანტის სარჩელი საკონსტიტუციო სასამართლოს ჯერაც არ მიუღია

მარიკა კახაბერი

დღესდღეობით, ნულოვანის მომხრეები კონკრეტულ არგუმენტს ვერ ასახელებენ, ყბადაღებული სავალუტო ფონდის, პარიზის კლუბისა თუ მსოფლიო ბანკის მითითებების გარდა. ოპოზიცია კი მმართველი პარტიისგან გადადგმულ ამ ნაბიჯს „უბრალოდ“, სკამების სიყვარულს მიაწერს.

არანაკლებ საინტერესოა ისიც, რომ მაშინ, როდესაც პარლამენტში ნულოვანი ვარიანტის კენჭისყრა უნდა შემდგარიყო, დეპუტატთა ერთმა ჯგუფმა საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის შეტანა გადაწყვიტა. კანონის მიხედვით, თუ რომელიმე საკითხი საკონსტიტუციო სასამართლოში განიხილება, პარლამენტს კენჭისყრის უფლება ეკრძალება. პარლამენტარ კობა დავითაშვილის ეს ინიციატივა კი იმით დასრულდა, რომ სამუშაო დღის დამთავრების გამო, საკონსტიტუციო სასამართლომ სარჩელი აღარ მიიღო. ამასთან დაკავშირებით კულუარებში იმასაც ამბობენ, რომ შეთანხმება, რომელიც უმრავლესობაში არსებობდა ნულოვანი ვარიანტის ჩასაგდებად, არ შედგა.

ამ და სხვა საკითხებზე სასაუბროდ ჟურნალი „გზა“ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს, **ავთანდილ დემეტრაშვილს** შეხვდა.

— ბატონო ავთანდილ, პირველ რიგში, თქვენთან შემოსული ნულოვანი ვარიანტის სარჩელის ბედი მაინტერესებს... დეპუტატთა ჯგუფი აცხადებს, რომ ეს სარჩელი უკვე შემოსულია...

— საკონსტიტუციო სასამართლოს შენობაში ფიზიკურად არის შემოსული, მაგრამ საკონსტიტუციო სასამართლოში დადგენილი წესით შემოტანილი არ არის.

— ეს სარჩელი ჯერ კიდევ 16 თებერვალს, პარასკევს უნდა შემოსულიყო, თქვენ კი აცხადებთ, რომ დღემდე არ შემოსულა?

— 16-ში, პარასკევს, როცა პარლამენტში მიმდინარეობდა ნულოვანი ვარიანტის პროექტის განხილვა, დაახლოებით 17.25 წთ-ზე ჩემთან შემოვიდა პარლამენტარი ალეკო შალამბერიძე. მასთან ერთად იყო ჩვენი მოსამართლე ავთანდილ აბაშიძე. მთხოვეს სარჩელის მიღება. ჩვენთან კი აპარატი მუშაობს 17 სთ-მდე და უკვე დაგვიანებული იყო. მიუხედავად ამისა, მე მაინც დავურეკე და ვიკითხე, იყო თუ არა ვინმე ინფორმაციის მიღებისა და დამუშავების განყოფილებაში. არავინ აღმოჩნდა და ვუთხარი: ამ სარჩელს დღეს ვეღარ მივიღებთ-მეთქი.

— თქვენ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე ბრძანდებით. თქვენ არ შეგეძლოთ ამ საჩივრის მიღება?

— არა. საქმე ის არის, რომ ჯერ უნდა შემოწმდეს, რამდენად უფლებამოსილი პირის მიერ არის შემოტანილი, არის თუ არა შესაბამისი ხელმოწერები, არის თუ არა ეს ხელმოწერები დამოწმებული და ა.შ. უამრავი ფორმალობაა. მე იმის არც უფლება მქონდა და არც სურვილი, რომ დამეწყო ფორმალობების დადგენა. ამით დამთავრდა ბატონ ალეკოსთან საუბარი. მას ჩემ მიმართ არანაირი პრეტენზია არ გამოუთქვამს და ბატონმა ავთანდილ აბაშიძემ თქვა: რაღა უკან წაიღოთ, დამიტოვეთ და ორშაბათს გადავცემ სამდივნოსო. შალამბერიძემ კი, რადგან ავთანდილ აბაშიძემ დაიტოვა, ჩათვალა, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო საკონსტიტუციო სარჩელი.

— ამ დროს საზოგადოების ერთი ნაწილი ამ საკითხთან დაკავშირებით უკვე განმწესრიგებელი სხდომის დანიშვნას ელოდება.

— არა, არა. საქმისათვის განმწესრიგებელი სხდომის ჩატარება-არჩატარებას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ვინაიდან, კანონის შესაბამისად, პარლამენტს არ შეუძლია რატიფიკაცია მოახდინოს იმ ხელშეკრულებისა, რომლის თაობაზეც საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელია შეტანილი. ამ სარჩელის შემოტანის მიზანი ის იყო, რომ ნულოვან ვარიანტზე კენჭისყრა არ ჩატარებულიყო.

— რატომ მოხდა, რომ მაინცდამაინც ბოლო მომენტში მოინდომა დეპუტატთა ნაწილმა სარჩელის შემოტანა, მანამდე რა უშლიდათ ხელს?

— ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარია. პარლამენტში ამ ხელშეკრულების განხილვა ორი დღე მიმდინარეობდა. ერთი თვით ადრე პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ხელშეკულება პარლამენტში უნდა შესულიყო... გაუგებარია, ბოლო მომენტისთვის რატომ გადადეს? ხუთი წუთით ადრე რომ მოსულიყვნენ, თანამშრომელი წასული არ დახვდებოდათ — ანუ სარჩელის შემოტანა თუ მოხდებოდა, პარლამენტი ვალდებული იყო, გადაედო კენჭისყრა და დალოდებოდა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას.

— თქვენ განაცხადეთ, რომ საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელი არ არის შემოსული, მაგრამ შენობაში არის. ასე რომ, შინაარსიც გეცოდინებათ...

— არა. გულწრფელად გეუბნებით, რომ არ წამიკითხავს. ვიცი, რომ სამი მოთხოვნა აქვთ: პირველი — არაკონსტიტუციურია იმიტომ, რომ რუსულ ენაზეა შედგენილი; მეორე, როგორც ვიცი, იმაში მდგომარეობს, რომ არ არის ხელშეკრულების დედანი, მესამე პუნქტი, არც ვიცი რაზეა.

— თქვენ, როგორც საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს, როგორ მიგაჩნიათ — რამდენად კონსტიტუციურია კენჭისყრა იმ ხელშეკრულებაზე, რომლის დედანიც არ არსებობს...

— მე ამაზე პასუხს ნამდვილად ვერ გაგცემთ. ის, რომ რატიფიკაციამდე არ იყო სარჩელი შემოტანილი, არ ნიშნავს იმას, რომ საკონსტიტუციო სასამართლო ამ სარჩელს არ განიხილავს. ამიტომ, წინასწარ პოზიციის დაფიქსირება არ შეიძლია: ამას კანონი მიკრძალავს. მე რომ წინასწარ ვთქვა — კონსტიტუციურია, არაკონსტიტუციურია, ეს უკვე ჩემი პოზიციის დაფიქსირებას ნიშნავს და საქმის განხილვის დროს ჩემი აცილების საკითხს დააყენებენ.

— იმისათვის, რომ საჩივარი მიიღოს საკონსტიტუციო სასამართლომ, რა პირობებია აუცილებელი?

— ორი პირობაა აუცილებელი: პარლამენტმა უარი უნდა თქვას მოქმედი ხელშეკრულების დენონსირებაზე (გაუქმებაზე) ან 30 დღის განმავლობაში, არ უნდა განიხილოს ამის თაობაზე შემოსული რაიმე წინადადება. ამის შემდეგ დეპუტატთა 1/5-ს ეძლევა უფლება, შემოვიდეს საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელით.

— ბატონო ავთანდილ, თქვენ როგორც საქართველოს მოქალაქე, რა კომენტარს გაუკეთებდით ნულოვანი ვარიანტის რატიფიკაციას პარლამენტის მხრიდან?

— მე თავს შევიკავებ. არა იმიტომ, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე ვარ (თუმცა, არ მაქვს უფლება ვიმსჯელო წინასწარ იმაზე, რაც შეიძლება ჩვენთან დავის საგანი გახდეს), არამედ იმიტომ, რომ მე არ გამაჩნია შესაბამისი ინფორმაცია. ეს ძალიან რთული პროცედურაა. თქვენ იცით, რა რთული იქნება საკონსტიტუციო სასამართლოში ამ საქმის განხილვა? პირველ რიგში, საჭირო იქნება საერთაშორისო აუდიტის ჩატარება, რომ დადგინდეს — ქონების რაოდენობა, რომელიც საბჭოთა კავშირს ეკუთვნოდა, რა ვალებზეა ლაპარაკი, რომელიც საქართველოს აქვს და ა.შ. მე არ მგონია, რომ რიგით ადამიანს კომპეტენტურად შეუძლია ამაზე მსჯელობა. რა თქმა უნდა, გული გტკივა ადამიანს, როდესაც გეუბნებიან: ჩვენ გვქონდა შესაძლებლობა 5 მილიარდი დოლარი მიგვეღო და ამის სანაცვლოდ, 160 მილიონის გამო მოვახდინეთ მისი რატიფიცირება, მაგრამ ასეთი მიდგომა პრიმიტიულ მიდგომად მიმაჩნია. ამიტომ კიდევ ერთხელ ვიმეორებ: მე არ შემიძლია არსებითად ვიმსჯელო ამ საკითხზე, ვინაიდან არ გამაჩნია შესაბამისი ინფორმაცია.

— ბატონო ავთანდილ, გარდა ამ გახმაურებული საჩივრისა, თქვენთან უამრავი სარჩელი შემოდის, ამჟამად რა საქმეებს იხილავთ? რამდენადაც ვიცი, თქვენთან მოქალაქეთა ინდივიდუალური სარჩელებიც შემოდის. ძირითადად, რას ეხება?

— ამ ბოლო დროს საბინაო პრობლემებზე დავები გახშირდა. საქართველოში საბინაო პრობლემა საკმაოდ მწვავეა. თბილისში მცხოვრებ ძალიან ბევრ მოქალაქეს საკუთარი ბინა არ გააჩნია. მათ გირაოდ აქვთ აღებული ბინა 30-40 წლის წინ. ყოველთვიურად იხდიდნენ გარკვეულ თანხას. ახალი სამოქალაქო კოდექსის მიღების შემდეგ კი, მესაკუთრეს აქვს უფლება, მოითხოვოს ფართის გამოთავისუფლება ყოველგვარი მიზეზის ახსნის გარეშე. ამასთან დაკავშირებით იქმნება უამრავი პრობლემა. ასევე ბევრი სარჩელი უკავშირდება საგადასახადო სისტემას...

— თქვენთან შემოტანილი იყო ასევე სარჩელი საბჭოთა პერიოდში მოსახლეობის კერძო ანაბრებთან დაკავშირებით. რა ბედი ეწია ამ სარჩელს?

— საკონსტიტუციო სასამართლომ შეწყვიტა ამ სარჩელის განხილვა. რადგან განხილვის პროცესში პრეზიდენტმა ბრძანებულებაში შეიტანა გარკვეული ცვლილებები, რომლითაც დადგენილია ინდექსაციის კოეფიციენტი, კომპენსაციის გაცემის წესი და ა.შ. პრეზიდენტმა დაავალდებულა ფინანსთა სამინისტრო, რომ გარკვეული დროის (2-3 წლის) განმავლობაში გადაისინჯოს ინდექსაციის კოეფიციენტი.

— ეს რას გულისხმობს?

— ქვეყანა რომ მომძლავრდება, სახელმწიფო თავის თავზე აიღებს ვალდებულებას, რომ ეს საბჭოთა ანაბრები გაისტუმროს სამართლებრივად და არა მიზერულად... საუბარი იყო 42 მილიარდ დოლარზე. სახელმწიფოს, ცხადია, ამ ფულის ანაზღაურების საშუალება დღეს არა აქვს და ამიტომ პრეზიდენტმა დრო გადაწია.

— მოდით, ისევ ნულოვან ვარიანტს დავუბრუნდეთ. შესაძლებელია, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ პარლამენტის ეს გადაწყვეტილება გააუქმოს?

— რატომაც არ არის შესაძლებელი?!

— ნულოვანი ვარიანტის რატიფიკაცია, პრეზიდენტის ინიციატივა იყო. ასეთ შემთხვევაში პრეზიდენტის ინიციატივის წინააღმდეგ წახვალთ?

— უხერხულია ამის თქმა, მაგრამ ჩვენ არაკონსტიტუციურად ვცანით პრეზიდენტის დაახლოებით შვიდი ბრძანებულება... განათლების სფეროში, საკუთრებითი ურთიერთობების სფეროში...

— მაგრამ არც ერთი პოლიტიკური არ გახლდათ...

— მეხუთე წელია, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე ვარ და პრეზიდენტის მხრიდან რაიმე ზეწოლა — ასე გააკეთე ან ისე გააკეთეო, არ ყოფილა. ეს ბატონი ედუარდის სტილი არ არის...

— საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის ვადა, კანონის თანახმად, ხუთ წელს მოიცავს. ნიშნავს ეს იმას, რომ, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლო ნულოვან ვარიანტს განიხილავს, თქვენ აქ აღარ იქნებით?

— თავმჯდომარის ვადა 24 ივლისს იწურება, მაგრამ მოსამართლედ დავრჩები. მინდა გითხრათ, რომ საკონსტიტუციო სასამართლოში ნულოვანი ვარიანტის განხილვა, შეიძლება ითქვას, ყველაზე საინტერესო პროცესი იქნება...

■

ავთანდილ დემეტრაშვილი

საჩელი მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ

«მინისტრმა გული მატკინა» – დასძენს მომჩივანი, პროკურორის თანაშემწე

გასულ კვირას, სხვა მნიშვნელოვან მოვლენებთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში, მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ სასამართლოში შეტანილი საჩივარი მოექცა. საჩივრის ავტორი ნაძალადევის რაიონის პროკურორის თანაშემწე — კობა კობახიძე გახლავთ. იგი იუსტიციის მინისტრს ცილისწამებაში სდებს ბრალს.

მიხეილ სააკაშვილის მიმართ, შესაბამისი მუხლით, სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. ეს მინისტრის ბიოგრაფიაში პირველი შემთხვევა გახლავთ. საჩივრის განხილვა 26 თებერვალს არის დანიშნული. კანონის თანახმად, განსასჯელი — სააკაშვილი სასამართლო პროცესზე უნდა გამოცხადდეს და ჩვენება მისცეს.

მეგი ცანავა

კობა კობახიძემ აღნიშნული საჩივარი დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოში 8 თვის წინ შეიტანა. თუმცა, ეს ფაქტი რატომღაც მხოლოდ წინა კვირაში გახმაურდა. პროკურორის თანაშემწის თქმით, 2000 წლის ივლისიდან მოყოლებული, მან არაერთგზის მიმართა ჯერ იუსტიციის საბჭოს, შემდეგ კი სასამართლოს, რათა მისი მოთხოვნები გაეთვალისწინებინათ და ეს საკითხი, ბოლოს და ბოლოს, განეხილათ.

კობა კობახიძის უკმაყოფილება კი იმან გამოიწვია, რომ ორი კონკურსის გავლისა და გამოცდის ჩაბარების მიუხედავად, მას მოსამართლეობაზე უარი უთხრეს. იუსტიციის საბჭოში გაჩნდა ცნობები, რომ თურმე კობახიძე „კოკა-კოლისა“ და ხეტყის უკანონო ბიზნესში ყოფილა ჩართული. საბჭოს წევრების განცხადებით, ეს საკმარისზე მეტი მიზეზი გახლდათ აღნიშნულ კანდიდატურაზე უარის თქმისთვის. პროკურორის თანაშემწე ზემოთ ხსენებულ ბრალდებებს კატეგორიულად უარყოფს, უფრო მეტიც, ყოველივე ამას სპეციალურად შეთითხნილ ცილისმწამებლურ განცხადებას უწოდებს, რაშიც იუსტიციის საბჭოზე მეტად, მიხეილ სააკაშვილს ადანაშაულებს.

თავდაპირველად კობახიძის საჩივარი დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ შალვა კვარაცხელიამ განიხილა, თუმცა აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით საქმე არ აღიძრა. პროკურორის თანაშემწემ საჩივარი ხელმეორედ შეიტანა და მას ამჯერად, მოსამართლე ლილი მსხილაძე განიხილავს. ხოლო თუ რა გადაწყვეტილებამდე მივა ის, მომავალ კვირაში შევიტყობთ.

საჩივრის პირველი განხილვისას მიხეილ სააკაშვილი სასამართლო პროცესზე არ გამოცხადებულა. როგორც ამბობენ, მიზეზი, მისი ავადმყოფობა – გრიპი გახლდათ. იუსტიციის მინისტრი ამჟამად თავს კარგად გრძნობს, თუმცა პროცესზე გამოცხადებას არც ახლა აპირებს. „სად სცალია სააკაშვილს ყველა პროკურორის თანაშემწის საჩივარზე სასამართლოში სასიარულოდ?!“ – ასეთი კომენტარი გაუკეთა ამ ფაქტს მინისტრის ადვოკატმა. თუმცა, პასუხიც მაშინვე გაჩნდა: კანონმა მოცლა არ იცის, მის წინაშე ყველა თანასწორია და მას ყველა უნდა ემორჩილებოდეს. მეორე საკითხია ის, რომ განსასჯელს, რომელსაც 3 წელზე მეტით თავისუფლების აღკვეთა არ ემუქრება (მინისტრის მდგომარეობა კი სწორედ ასეთია) ივივე კანონი სასამართლოში გამოუცხადებლობის საშუალებას აძლევს, თუკი პროცესს მისი წარმომადგენელი დაესწრება.

აღნიშნულ საჩივართან დაკავშირებით მიხეილ სააკაშვილი კომენტარს არ აკეთებს, ამიტომ მხარის პოზიცია, ჩვენი თხოვნით, მისი ინტერესების დამცველმა ადვოკატმა – **კახა ასლანიშვილმა** გაგვიზიარა:

„კობა კობახიძის საჩივარი რაღაც მიზნის მისაღწევად მიმართული მარტივი შანტაჟის ფორმა და მცდელობა გახლავთ. მან იფიქრა, რომ თუკი სასამართლოში საჩივარს შეიტანდა და მინისტრის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრებოდა, სააკაშვილი ამას მოერიდებოდა და, ჩივილის შეწყვეტის სანაცვლოდ, მას მოსამართლის პოსტს შესთავაზებდა.

კობახიძეს საკმაოდ დასაბუთებულად აუხსნეს ის გარემოებები, რის გამოც მისი კანდიდატურა არ დაკმაყოფილდა. არსებობს მთელი რიგი მოთხოვნებისა, რაც პიროვნებამ, რომელსაც მოსამართლეობაზე პრეტენზია აქვს, უნდა დააკმაყოფილოს. ეს გახლავთ: უმწიკვლო რეპუტაცია, პრინციპულობა, პატიოსნება, ურყევი და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღების უნარი და ა.შ. მე არა მაქვს უფლება ვთქვა, ამ მხრივ ზუსტად რა ნაკლი აღმოაჩნდა კობა კობახიძეს, მაგრამ გეტყვით, რომ სააკაშვილი ამ დასკვნამდე მოსახლეობაში, სამეზობლოში, თანამშრომლებში სპეციალურად შეგროვილმა ხელნაწერებმა მიიყვანა, სადაც კობახიძის პიროვნება ხასიათდებოდა. მართალია, გაჟონა ინფორმაციამ ხეტყისა და „კოკა-კოლის“ ბიზნესში მისი მონაწილეობის შესახებ, მაგრამ თუ საბჭოს ამის დამამტკიცებელი დოკუმენტები აქვს, სასამართლო პროცესზე წარადგენს.

რაც შეეხება სააკაშვილის სასამართლოში გამოცხადება-არგამოცხადების საკითხს, მას კანონი უფლებას აძლევს (ამ

კონკრეტული შემთხვევის გათვალისწინებით), პროცესს არ დაესწროს (თუკი მისი ადვოკატი იქ იქნება) და მოსამართლეს წერილობითი ჩვენება წარუდგინოს".

ნაძალადევის რაიონის პროკურორის თანაშემწე აცხადებს, რომ მისი საჩივრის ირგვლივ ატეხილი ხმაური სპეციალურად მოწყობილი პროვოკაციაა.

კობა კობახიძე:

— ძალიან მიკვირს, რისთვის ატეხეს ამ ბოლო დროს საჩივრის ირგვლივ ამხელა აჟიოტაჟი. 8 თვეა იგი სასამართლოში დევს, ვიხვეწებოდი — ყურადღება მიაქციეთ, განიხილეთ ეს საკითხი-მეთქი და პასუხს არავინ მცემდა. ახლა კი, რატომღაც, თვითონ გაახმაურეს. ცხადია, ამის გაკეთება იუსტიციის საბჭოსა და ააკაშვილს ისევ ჩემს საწინააღმდეგოდ აძლევდათ ხელს... ყველაფერი მოსამართლის საგამოცდო კონკურსიდან დაიწყო. მეორე კონკურსზე 5 ხმა მივიღე, მესამეზე კი, რატომღაც, მხოლოდ 2. სწორედ, მაშინ ითქვა, რომ თურმე ხეტყის მაფიოზი და ბანდიტი ვყოფილვარ...

— უკანონო ბიზნესში თქვენი მონაწილეობის შესახებ ინფორმაციამ იუსტიციის საბჭოდან გაჟონა. იცით თუ არა, კონკრეტულად ვინ განაცხადა ამის თაობაზე?

— ჩემი მაფიოზობისა და ბანდიტობის შესახებ უშუალოდ ააკაშვილმა განაცხადა, რის შესახებაც მომავალ კვირას, სასამართლო პროცესზე ალბათ, უფრო გარკვევით იტყვის. თანაც, ძალიან მაინტერესებს, რით დაასაბუთებს თავის ამ განცხადებას.

— რაიმე საფუძველი თუ ჰქონდათ ბრალდებისა? შეეძლოთ თუ არა, რომელიმე დეტალი თქვენი ცხოვრებიდან ასეთი განცხადებისთვის საბაბად გამოეყენებინათ?

— საქმეც ის არის, რომ არანაირი საფუძველი და საბაბი არ გააჩნდათ. ადამიანისთვის გულის ტკენა სწორედ მაშინ შეიძლება, როდესაც იგი უდანაშაულოა და რამეს დაბრალებ. მე მათ გული მატკინეს...

— იმასაც ამბობენ, რომ თურმე კანდიდატის მიმართ გათვალისწინებულ მოთხოვნებს, მორალურ თვისებებს არ აკმაყოფილებთ...

— რა თვისებებს არ ვაკმაყოფილებ? უმწიკლო რეპუტაცია არ გამაჩნია? იკითხონ ჩემ შესახებ თანამშრომლებში ან სხვაგან, სადაც უნდათ... 20 წელია პროკურატურაში ვმუშაობ, იქ მე შესანიშნავად მიცნობენ და იციან, რას წარმოვადგენ. ამბობენ, დახასიათებები გვაქვს შეგროვილიო. გააჩნია, ვის დააწერინეს. პროკურატურის თანამშრომელი ვარ და ამა თუ იმ საქმის ძიებისას დაზარალებულის ან ბრალდებულის მხრიდან ყოველთვის მოიძებნება ჩემზე გაღიზიანებული ადამიანი. თუ მათ მიაკითხეს და მათი სიტყვები აქვთ მხედველობაში, გამოდის, ჭორებს და გადაუმოწმებელ ინფორმაციას სარწმუნოდ თვლიან, ოღონდაც რაიმე მიზეზი მიპოვონ...

— რისთვის დასჭირდებოდა ააკაშვილსა და მის გუნდს თქვენი ჩამოშორება ან გაღიზიანება?

— არ ვიცი. რეალობასთან ყველაზე ახლოს მაშინ ვიქნებით, თუ ვიფიქრებთ, რომ ააკაშვილს ალბათ იმიტომ არ დავჭირდი, რადგან „მისი კაცი" არ ვიყავი. ყველამ მშვენივრად იცის, რომ ააკაშვილის ირგვლივ მხოლოდ მისი ახლობლები დგანან, „გამოცდაჩაბარებული" მოსამართლეებიც, ძირითადად, მის ნაცნობ-მეგობრებს წარმოადგენენ, მათ რიცხვს მე არ მივეკუთვნები და ამიტომაც ჩათვალა, რომ მოსამართლეობის ღირსი არა ვარ.

— ამბობენ, რომ ააკაშვილის წინააღმდეგ თქვენ გენპროკურატურაში ბაბილაშვილმა და ბალუაშვილმა „შეგაგულიანეს", სწორედ იმ პერიოდში, როცა რეალურად დადგა გენერალური პროკურორის მოსალოდნელი იმპიჩმენტის საკითხი.

— მართალია, ხეტყის უკანონო ბიზნესსა და მაფიაში ჩემი მონაწილეობის შესახებ განცხადებებზე პირველად გენერალურ პროკურატურაში მითხრეს, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ იქ მე ვინმემ „შემაგულიანა". მე არ გახლავართ ის კაცი, ვისი შეგულიანებაც შესაძლებელია. საკუთარი პრინციპები და ჩემი სიმართლე გამაჩნია, რისთვისაც ნებისმიერი თანამდებობის პირის წინააღმდეგ შემიძლია სიკვდილამდე ვიბრძოლო.

დღეს ჩემი (როგორც იუსტიციის მინისტრზე განაწყენებული პირის) ბაბილაშვილთან და ბალუაშვილთან ალიანსი, საზოგადოებაში მათ მიმართ გარკვეული უარყოფითი აზრის ჩამოსაყალიბებლად გამოიგონეს, მე კი — უბრალო ადამიანი, ამის საშუალებად გამომიყენეს.

— რას მოითხოვთ ააკაშვილისგან?

— ააკაშვილისგან მე არაფერს ვითხოვ. პრეტენზიები, ამჯერად, მხოლოდ სასამართლოს მიმართ მაქვს და მოვითხოვ, მოსამართლემ ობიექტურობა გამოიჩინოს და ის — თითქოს ფაქტები, რომელშიც მე „მამხელენ", დამისაბუთოს. ასევე — გაარკვიონ, ვის მიერ და რა ინტერესებით იყო გამოწვეული ჩემ მიმართ ასეთი ცილისმწამებლური განცხადებები.

— სასამართლოში საჩივრის შეტანის შემდეგ მოწინააღმდეგის მხრიდან თუ ჰქონია ადგილი თქვენთან არაოფიციალური მოლაპარაკების მცდელობის ფაქტებს, „საქმის მოგვარების" მიზნით?

— მოლაპარაკების მცდელობა არ არის ის, რომ მოსამართლეობას კასპსა და თეთრიწყაროში მთავაზობდნენ? საინტერესოა, თბილისში თუ არ შეიძლება, კასპსა და თეთრიწყაროში, ცუდი რეპუტაციის მქონე პირის მოსამართლედ დანიშვნა მისაღებია? ან რატომ უნდა ვიარო თბილისიდან კასპში, როცა რაიონულ მოსამართლეს სულ 300 ლარი აქვს ხელფასი და ამ თანხის დახარჯვა მარტო გზაში მომიწევს. ამ დროს, რაიონებიდან ჩამოყვანილ მოსამართლეებს აქ, თბილისში ამუშავებენ, ბინის ქირასაც უხდიან და ხელფასსაც აძლევენ. თუ სხვა ფაქტორებს ადგილი არა აქვს, უკეთესი არ იქნება სახელმწიფოსა და მისი ბიუჯეტისთვის, ბინის ქირაში გადასახდელი თანხა დაზოგოს და თბილისელი მოსამართლეები დანიშნოს აქაურ სასამართლოებში? არა მგონია, დედაქალაქში ნაკლებად განათლებული და პროფესიონალი იურისტები იყვნენ...

ჩემი საჩივრით მე მხოლოდ სიმართლის დადგენას და შეურაცხმყოფელ განცხადებებზე პასუხს მოვითხოვ. საზოგადოებას თავად უნდა უთხრან, რომ მე ბანდიტი და ყაჩაღი არა ვარ. მოსამართლეობაზე კი კარგა ხანია უარი ვთქვი. გული გამიტეხეს და სასამართლოში მუშაობის არანაირი სურვილი აღარა მაქვს.

— მიხეილ ააკაშვილი სასამართლო პროცესზე გამოცხადებას არ აპირებს. ამაზე რა აზრის ხართ?

— საერთოდ, კანონის მიხედვით, სისხლის სამართლის საქმეზე, როცა განსასჯელს 3 წელს ზემოთ თავისუფლების აღკვეთა არ ემუქრება, მას შეუძლია სასამართლო პროცესებს არ დაესწროს. თუმცა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ეს გახლავთ საჩივარი, რის გამოც ააკაშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა და ეს მასთან მიმართებაში პირველი შემთხვევა გახლავთ. იმდენად, რამდენადაც მათ მე სერიოზული ბრალდებები წამიყენეს, საჭიროდ ვთვლი მინისტრის სასამართლო პროცესზე გამოცხადებას, სადაც ის ყველას და მათ შორის მეც, გაგვარკვევს შექმნილ ვითარებაში. ვთვლი, რომ წერილობითი ჩვენება ამ მხრივ ამომწურავი ვერ იქნება და მთელ რიგ შეკითხვებს უპასუხოდ დატოვებს. ხოლო რაც შეეხება ადვოკატის სიტყვებს — ააკაშვილს პროცესებზე სასიარულოდ სად სცალიაო?! — ეს განცხადება პროფესიონალი იურისტისთვის შეუფერებლად და არასაკადრისად მიმაჩნია.

— იმედი გაქვთ, რომ სასამართლოში თქვენს სიმართლეს დაამტკიცებთ?

— რა თქმა უნდა, იმედი მაქვს და უფრო მეტიც — მე ამის მჯერა. წინააღმდეგ შემთხვევაში, საჩივარს არც დავწერდი.



დავით (მარცხნივ) და ირაკლი ასანიძეები
თავიანთ ოჯახებთან ერთად

ჯემალ გოგიტიძე თენგიზ ასანიძის შვილების დასჯას მოითხოვს

გასულ კვირას პარლამენტში, თენგიზ ასანიძესთან ერთად, მისი შვილების — დავითისა და ირაკლის სახელებმაც გაიელვერა. ჯემალ გოგიტიძე თენგიზ ასანიძის შვილების დასჯას მოითხოვს, რომლებიც, მისი თქმით, დავით ასანიძის (ვაჟა გოგიტიძის მკვლელობის გამო გასამართლებული) ბანდას იარაღითა და რაციებით ამარაგებდნენ. გოგიტიძეს სიტყვა ფუჭად არ უთქვამს, მის ბრალდებას მალე აჭარის პროკურორმაც დაუკრა კვერი.

იგო რიკაძე

გულიკო ასანიძე, თენგიზ ასანიძის მეუღლე:

— არ ვიცი, რატომ დასჭირდა ჯემალ გოგიტიძეს 6 წლის წინანდელი ამბის გახსენება. მას აჭარის პროკურორი დავით კეკენაძეც უჭერს მხარს. ისინი ამტკიცებენ, თითქოს ჩემი შვილები 1994 წელს (როდესაც ჩემი მეუღლე და მაზლი დაპატიმრებულები იყვნენ) დავით ასანიძეს იარაღს აწვდიდნენ. იანვარში საკასაციო კოლეგიის სხდომაზე ჩემი ქმრის საქმე თავიდან კიდევ ერთხელ განიხილეს და იქ ითქვა, რომ ჩემი შვილების დახმარება დავით ასანიძეს არაფერში სჭირდებოდა, ისედაც „მშვენივრად" იყო შეიარაღებული. კეკენაძემ პროკლამაციებიც ახსენა. არ ვიცი, რა პროკლამაციების გავრცელებაზეა ლაპარაკი, ან რა აზრი აქვს პროკლამაციების გავრცელებას აჭარაში. ეტყობა, გოგიტიძე „მეჯიბრება" — თუ მიჩივლებ, მეც შევიტან სარჩელს სასამართლოშიო.

— რის გამო აპირებდით გოგიტიძის წინააღმდეგ სარჩელის შეტანას?

— თავის გამოსვლაში ჯემალ გოგიტიძემ მკვლელად მოიხსენია თენგიზ ასანიძე. ვინ დაამტკიცა, რომ ის მკვლელია? ხომ არის სასამართლოს განჩინება თენგიზის უდანაშაულობაზე. თენგიზ ასანიძეს, გარდა იმისა, რომ თავისუფლება აქვს წართმეული და 7,5 წელი ციხეში უდანაშაულოდ ზის, ყველაზე საშინელი — მკვლელის სახელის ტარებაც უწევს. არ არის გოგიტიძის განცხადება ცილისწამება? ამის გამო ვაპირებდი სარჩელის შეტანას, მაგრამ ადვოკატმა არ მირჩია. ვფიქრობთ, გოგიტიძის განცხადება განგებ შემოგდებულია, რომ ჩვენი ყურადღება სხვა საკითხზე გადაიტანონ.

— და ამის გამო დასახელდნენ ბანდის ხელშემწყობებად თქვენი შვილები?

— დიახ. როცა ჯემალ გოგიტიძე ასპარეზზე გამოჩნდა, ჩემი ქმარი უკვე ციხეში იჯდა. მან არ იცის ამ საქმის დეტალები, ეტყობა, ვიღაცამ, რაღაც უთხრა და აალაპარაკა. ასევე, არ არის ამ საქმეში ჩახედული აჭარის პროკურორიც. კეკენაძემ ალბათ გოგიტიძის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე გააკეთა განცხადება. ჩემს შვილებს ამ წლების მანძილზე არ მოჰკლებიათ დევნა. ჯერ იყო და, 3 თვით იარაღის უკანონო ტარებისთვის დააპატიმრეს (მერე გაირკვა, რომ იარაღი კანონიერად ჰქონდათ). მერე უმცროსს, ირაკლის ქუჩაში ვიღაცამ გაუხეთქა თავი. 1994 წლის 24 დეკემბერს დათო გაიტაცეს. 20 დღე მისი ადგილსამყოფელი არ ვიცოდით. ამ დროს ეზოში ვიღაცამ წერილი დააგდო — გამტაცებლები 200 ათას დოლარს ითხოვდნენ. უშიშროების მინისტრთან მივაგზავნე ხალხი. ბ-ნი ასლანის დას ვთხოვე დახმარება, შს მინისტრს შეეხვეწე, ბ-ნ ასლანთან შემახვედრეთ-მეთქი. ბ-ნი ასლანი დაჰპირდა მას დახმარებას. პარალელურად არ წყდებოდა წერილები. ბოლოს, 20 ათასი დოლარი და ოქრო ჩავდეთ კონვერტში და გავატანეთ ჩემს მაზლს დათქმულ ადგ-

— როცა ჯემალ გოგიტიძე ასპარეზზე გამოჩნდა, ჩემი ქმარი უკვე ციხეში იჯდა. მან არ იცის ამ საქმის დეტალები...

ილზე. მეორე დღეს ჩემი შვილი თვალებახვეული დატოვეს ტრასაზე.

როცა თენგიზის პროცესი მიმდინარეობდა, დათო ყოველთვის თან მახლდა. ირაკლი შინ იყო, ფეხმძიმე მეუღლეს ვერ ტოვებდა მარტო. გარეთ კი ჩვენს სახლთან ყოველთვის იდგა მეთვალყურე. თავისუფალი მიმოსვლის საშუალება არ გვქონია და როგორ შეძლებდნენ ჩემი შვილები ბანდის შეიარაღებას? არადა, კეკენაძე აცხადებს, რომ დავით ასანიძის ბანდას, სწორედ იმ დროს მიაწოდეს იარაღი ჩემმა შვილებმა.

1995 წლის 18 იანვარს (დათო 13 იანვარს გამოუშვეს გამტაცებლებმა) თბილისში ჩემს შვილებს ორი მანქანიდან გაუხსნეს ცეცხლი.. მანქანაზე, რომელშიც ირაკლი და დათო ისხდნენ, 13 ნატყვიარი ნახეს. ამ ფაქტის გამო, პროკურატურას მივმართე. იქ მითხრეს, თქვენს შვილებზე ძებნაა გამოცხადებული და ეს თავდასხმაც იმიტომ მოხდაო. ამის მერე სააკაშვილს მივმართე, რომელიც მაშინ პარლამენტის იურიდიულ კომიტეტს ხელმძღვანელობდა. სპეციალურმა კომისიამ შეისწავლა ეს საქმე და ჩემს შვილებზე ძებნა

ვევაში ჯემალ გოგიტიძე დაინტერესებული მხარეა?

— ვაჟა გოგიტიძე 1993 წლის დეკემბერში მოკლეს. დღემდე არ გახსენებია ბ-ნ ჯემალს, რომ ვაჟა მისი ბიძაშვილი იყო და ახლა მოუნდა ხმის ამოღება, როცა თენგიზი გამართლდა? საზოგადოებამ თავად იმსჯელოს, დაინტერესებულია ის თუ არა.

ბუნებრივია, კომენტარისთვის პარლამენტარ ჯემალ გოგიტიძეს მივმართეთ.

ჯემალ გოგიტიძე:

— გამოძიება დაადგენს, დამნაშავეები არიან თუ არა ასანიძის შვილები. ამას ვერც გულიკო ასანიძე გაარკვევს და ვერც ჯემალ გოგიტიძე.

— რის საფუძველზე გააკეთეთ განცხადება, რომ ირაკლი და დავით ასანიძეები იარაღით ამარაგებდნენ თავიანთი მოგვარის ბანდას?

— რის საფუძველზე? ჯერ ერთი, მე პარლამენტის წევრი ვარ და სულ რომ მოვიგონო რაღაც, იმას დადასტურება ან უარყოფა სჭირდება.

— გამოძიება დაადგენს, დამნაშავეები არიან თუ არა ასანიძის შვილები. ამას ვერც გულიკო ასანიძე გაარკვევს და ვერც ჯემალ გოგიტიძე.

შეწყვიტეს. ძებნის შეწყვეტის თაობაზე ბრძანება აჭარის მაშინდელმა პროკურორმა, როსტომ ჯაფარიძემ გასცა. დღეს კი ის თავისი ადრინდელი გადაწყვეტილების წინააღმდეგი გამოდის.

— მიგაჩნიათ, რომ ამ შემთხ-

ჯემალ გოგიტიძე

— გარდაცვლილი ვაჟა გოგიტიძე თქვენი ნათესავია?

— ისიც გოგიტიძეა და მეც. შესაძლოა, ერთი დედმამიშვილები არ ვიყოთ, მაგრამ ამას არა აქვს მნიშვნელობა. თქვენთვის რომ მოეკლა ძალიან ახლობელი თენგიზ ასანიძეს და მერე მკვლელი შევარდნაძეს შეეწყალებინა, როგორ გუნებაზე დადგებოდით?

— მაგრამ არანაირი დოკუმენტით არ დასტურდება, რომ მკვლელი თენგიზ ასანიძეა.

— ეს გულიკო ასანიძისთვის არ დასტურდება, მაგრამ ვაჟა გოგიტიძე მკვდარია. ეგ შევარდნაძის სასამართლოს გადაწყვეტილებით არ დასტურდება. ეგ შევარდნაძის სამართალია, რომელიც ჭეშმარიტებას ვერასდროს დაადგენს. საუბარია იმაზე, ცოცხალი ასანიძე სჯობს თუ მკვდარი. ჩვენ ცოცხალ ასანიძეს ვირჩევთ. იმიტომ, რომ თუკი მას ციხიდან გამოსვლის შემდეგ რამე შეემთხვევა, ხელს ჩვენკენ გამოიშვერენ. ჩვენ თავს ვიზღვევთ. სწორედ ამიტომ არის ასანიძე დღემდე ციხეში.

■

ადამიანის ფასეულობანი



ეგრე მტრისა არ მეშინის, რადგან ცხადად მოწყინარობს,

მოყვარესა მტერსა ვუფრთხი, მემოყვრება, მოცინარობს.

შოთა რუსთაველი

როცა ადამიანი კითხვას წყვეტს, აზროვნებასაც წყვეტს.

დენი დიდრო

გაკვირვებას წუთიც ჰყოფნის, გასაკვირის შექმნას კი წლები უნდა.

კლოდ ადრიან ჰელვეციუსი

პიროვნება ხასიათდება არა მარტო იმით, თუ რას აკეთებს, არამედ იმითაც, თუ როგორ აკეთებს.

ფრიდრიხ ენგელსი

პატიოსან ადამიანებს აქვთ ცუდი ჩვეულება: უტიფართა წინაშე თავს ხრიან.

ბესარიონ ბელინსკი

ყოველი მწერალი თავის ნაწარმოებებში გარკვეულწილად საკუთარ თავს ხატავს, ხშირად თავისდა უნებურადაც კი.

გოეთე

შეიძლება ხალხის ნაწილი გაბრიყვო სამუდამოდ; შეიძლება გაბრიყვო მთელი ხალხი გარკვეული ხნით, მაგრამ შეუძლებელია მთელი ხალხის გაბრიყვება სამუდამოდ.

აბრაამ ლინკოლნი

გონივრული თითქმის ყოველთვის ემთხვევა ზნეობრივს.

ლევ ტოლსტოი

სიამაყეს ვინც დაკარგავს, ემსგავსება ჩალის ღეროს,

დაირწევა უმწეოდ და დაიწევა ფასი მისი.

პანჩატანტრა

კოტე ყუბანეიშვილი — კაცი, რომელსაც აუცილებლად შეამჩნევ ქალაქში, ყურადღებას იპყრობს ხან საკუთარი ფრაზებით გაფორმებული მაისურით, ხან უმინო სათვალით ან სხვა გარეგნული დეტალებით. ყველა იცნობს, მაგრამ ყველას ერთნაირი შეხედულება როდი აქვს მასზე. ბევრი ფიქრობს, რომ პოპულისტია. ეს მოსაზრება თავად არ უარყო, თუმცა, არც დაეთანხმა: „რას გულისხმობთ? ექსტრავერტი ვარ? მე მარტოობაც მიყვარს, მაგრამ სულ რომ არ ვნახო ხალხი, არ „ვიღადაო“ და სხვა ამგვარი — არ შემიძლია“.

კოტე ყუბანეიშვილი პირველ კლასში გაღაღის

ნათია თენეიშვილი
ხათუნა ჯავახიშვილი

კოტე ყუბანეშვილის სახლში „გამოჭერა“ ერთი წუთითაც არ გვიფიქრია. სასწრაფოდ გავიგეთ მობილური ტელეფონის ნომერი და დავურეკეთ. თავდაპირველად გვითხრა – ჩემთან შეხვედრა თუ გინდათ, გაყიდეთ სახლები და კაბინეტები და ქუჩაში მნახეთო. ჩვენ ქუჩაში შეხვედრაზეც თანახმანი ვიყავით, მაგრამ თავადვე შეცვალა გადაწყვეტილება და რეზო გაბრიაძის ორიგინალურ კაფეში „არ იდარდო!“ დაგვიბარა.

საუბრის დასაწყისში დიქტოფონი არ ჩაგვართვევინა: რასაც დაიმახსოვრებთ, ის დაწერეთო. საკმაოდ გულწრფელად გვესაუბრა ოჯახზე და სითბოთი და სიყვარულით მოიგონა წინაპრები: „მამაჩემი სხვანაირი ტიპი იყო, არასოდეს იგინებოდა... წესიერი კაცი იყო.“ ჩვენს კითხვაზე – ე.ი. თქვენ წესიერი არა ხართ? – საკმაოდ ზუსტი და „დასაბუთებული“ პასუხი გაგვცა: „მე წესიერი არ ვარ, სამწუხაროდ. არც შეიძლებოდა, წესიერი ვყოფილიყავი: მამაჩემმა ამოწურა ყუბანეიშვილების მთელი წესიერება“.

საუბარი აეწყო და დიქტოფონიც ჩავრთეთ.

— ოჯახზე ასეთი სიამაყითა და სითბოთი საუბრობთ, თავად რატომ ვერ შეძელით ოჯახის შენარჩუნება?

– პოეტი არ შეიძლება იყოს მეოჯახე. პოეტი – თავისუფალი ადამიანია. თავისუფალი კი, მარტო აზრებით შეიძლება იყო. გახსოვთ ოსტაპ ბენდერი რომ ეუბნება – Киса, для чего тебе деньги? У тебя же нет фантазии! (სხვათა შორის, ოსტაპ ბენდერი ჩემი მასწავლებელია. ჩემს თავს კოსტა ბენდერს ვეძახი) ცხენშიც იმიტომ შევედი, რომ მაინტერესებდა. საერთოდ, ვერ ვიტან სიჩუმეს – უხერხულ, დებილურ სიტუაციებს. ცხენში მაინტერესებდა ადამიანის ნატურა, როგორია იგი სინამდვილეში, არაორდინარულ სიტუაციაში.

— შეიცანით ადამიანი?

– კი არ შევიცანი, დავინახე ადამიანიც და ჩემი თავიც ახლოდან. მერე რაღაც-რაღაცები მომინდა და რაღაც-რაღაცები არა...

— როდის მიხვდით, რომ გაიზარდეთ?

– სულაც არ მიგვხვდი. 49 წლის გავხდი, მაგრამ ვთვლი, რომ „პირველ კლასში გადავდივარ“ – თუ გამოცდებს კარგად ჩავაბარებ, რა თქმა უნდა.

— კოტე ყუბანეიშვილი ოდესმე დაბერდება?

– სიბერე არ არსებობს. ყველა „ზოზრასტი“ ლამაზია.

— ე.ი. თქვენ ყოველთვის პირველ კლასში იქნებით?

– აბა რა! დედის მაგათისამ!

— „მაგათისამ — ვისისამ“?

– ვისაც მეორე კლასში გადასვლა ეჩქარება. Козлам назло!

— მიუხედავად იმისა, რომ ასაკს არ ცნობთ, ალბათ, მაინც იყოფა თქვენი ცხოვრება პერიოდებად.

– რა თქმა უნდა. როგორც ბუნება შედგება ოთხი ელემენტისაგან, ასეა ადამიანიც. ბავშვობა, ყრმობა, მერე „თამაშში ჩართვა“ და „აზრზე მოსვლა“. მერე უკვე თითქოს მთავრდება; 40 იმიტოა, რომ ოთხი ისეთი რიცხვია – ციკლი სრულდება, კვადრატია, რა! და თუ კიდევ ხვდები, რომ მეორე კრუგზე წახვალ, კარგია, თუ არა და – ესეც საკმარისია.

— თქვენ წახვედით მეორე „კრუგზე“?

– პირველი „კრუგი“ დავასრულე, თავში ტარამდე დანის ჩარტყმით. იქ „მორჩა კინო“ ჩემზე. გადავრჩი და მივხვდი, რომ უფლება მომეცა, ის კოტიკა მომეკლა. უნდა მოვმკვდარიყავი და არ მოვკვდი. ის ტიპი, რომელიც „აზრზე არ იყო“, აღარ გადავარჩინე – გავიმეტე. მე რომ ის შემენახა, ვერ მოვიდოდი აზრზე. გადავრჩი აბსოლუტურად შემთხვევით და, როცა წამიყვანენ, მე უკვე უფლება აღარ მექნება, ვთქვა: ღმერთო, მიშველე!

— ამ შემთხვევის მერე შეიცვალეთ?

– როგორც აღმოჩნდა, შევიცვალე. მეტი რაღა უნდა შევცვლილიყავი?! არავინ არ ვიყავი, ქუჩაში ვიდექი. ახლა თქვენ „ჩალიჩობთ“, რომ ჩემგან რაღაცა გაიგოთ. მე – მინდა გეტყვით, მინდა – არა. რასაც მინდა გავაკეთებ – в пределах, რა თქმა უნდა.

— დღე, სასწაული თქვენს ცხოვრებაში?

– მე სასწაულებში ვცხოვრობ სულ და ვთვლი, რომ რაც მემართება, სასწაულია. „პროსტო“, დანის მერე მივხვდი, რომ სულ სასწაული ყოფილა, მანამდეც და მერეც.

— როგორ დაახასიათებთ საკუთარ თავს?

– მე „რედკი“ ადამიანი ვარ. რითი, იცით? ვარ ზუსტად ისეთი, როგორიც „მევასება“. არ „მევასება“, არც ჩემზე მეტი, არც ჩემზე ნაკლები. მე ხელისგულზე უნდა მატარონ – იმიტომ, რომ „ბლაგაროდნი“ ვარ. ვერ ვიტან „აბიჟნიკებს“. თუ ვერ შევაკავებ, წავალ იქიდან, где обижают. მე, ჩემს დამნაშავე ბიძაშვილს, საკუთარ თავთან მართალი ჩემი ყველაზე დიდი მტერი მირჩევნია. არ მსიამოვნებს, როდესაც ადამიანი ღირსებას კარგავს და ღორს ემსგავსება. შეიძლება, მეც გადავიდე ზღვარს, მაგრამ იდეაში ეგეთი რაღაცები რომ გავამართლო, არ არსებობს.

— იოლია თქვენთან ურთიერთობა?

– რა ვიცი, მე მგონი, არც ისე რთულია. მე, ყოველ შემთხვევაში, მაქსიმალურად ვცდილობ, რომ გავაიოლო. ჩემთან ყოველთვის „გაიმარჯვებ“, თუ „ჩესნად“ მომექცევი, მაშინ მე „წავინიჩესნებ“, იმიტომ, რომ ვიღაცამ უნდა „წაინიჩესნოს“. სულ ისეთი სისტემა არ გამოვა. უბრალოდ, მე ვიცი, როგორ უნდა „ნიჩესნობა“.

— ე.ი. გირჩევნიათ, რომ თქვენ იყოთ „ნიჩესნი“?

– მე მირჩევნია, რომ ჩემზე „ნიჩესნის“ არ ვეურთიერთო. მე ვიყო ბოლო „პრიდელი“.

— რა არის სიყვარული?

– სიყვარული არის საკუთარი თავის პატივისცემა. ადამიანი სიყვარულის ნაყოფია. მე სიცოცხლე მიყვარს. შანსი არ არის, ვიღაცაში ოდნავი ნიჭი, სიყვარულის ნაპერწკალი დავინახო, რომ სული შევუბერო და ჩავაქრო. პირიქით, შევუჩნდები და გავაღვივებ. მაგრამ მითხარი – აქ ვინ არის სიყვარულის ღირსი, ვის ჩავეხუტო?

— ლამაზი ქალი არ გიყვართ?

– როგორ არ მიყვარს?!. ერთი მელოდება კიდეც ახლა:

...თავი მგონია მე მის გვერდით ზოგჯერ რამზესი,
ის კი ნამდვილად ტახტზე მჯდომი ნეფერტიტია,
და თუ შევძელი მისი სახის ლექსად მხატვრობა,
არა მგონია, გაუჭირდეს კლეოპატრობა.

— ქალი, რომელიც არასოდეს დაგავიწყდებათ?

– მე უქალოდ ცხოვრება არ შემიძლია. ციხემ ერთადერთი, მაგაში „გამიტეხა“. მივხვდი, რომ იქ ვერ დავრჩები, რადგან იქ ქალები არ არიან. ყველა ქალი, რომელთანაც ურთიერთობა მქონია, ჩემთვის ან იმპერატრიცა ან იზიდაა. კულტია და ამიტომ არ ვლაპარაკობ ამაზე. უბრალოდ – „უქალოდ გავქრებით უკვალოდ!“

— ცხოვრების სხვადასხვა პერიოდში რომელმა წიგნებმა მოახდინა თქვენზე გავლენა?

– დავიწყე ტომ სოიერით და ჰეკლბერი ფინით. დაახლოებით მე-7 -მე-8 კლასში წელი მოვიტეხე. კუზის საშიშროება იყო მოსალოდნელი და სამი თვე გაუნძრევლად ვიწექი. ამ დროს წავიკითხე „ათას ერთი ღამე“, 24 ტომი ჯეკ ლონდონი. მაინ რიდზე ვგიჟდებოდი იმ დროს და მისი ყველაფერი წავიკითხე. დიუმა – ეს იყო „ზაპოი“. საბნის ქვეშ ვკითხულობდი... ბებიაჩემს ევასებოდა დიკენსი და ლოპე დე ვეგა. ეს ორი რაღაცა დამრჩა მისგან. მერე გავძველბიჭდი. წამოვიდა „სვეტსკი პონტები“ – „ჩუფჩიკა“ და რაღაცები. მერე ფიზიკურზე ჩავბარე უნივერსიტეტში. მაშინ წავიკითხე აინშტაინზე და გავგიჟდი. მერე იყო საბერძნეთი, ფილოსოფოსები და ნიცშე. მე წიგნების სამყაროში ვცხოვრობ. მინდოდა, მცოდნოდა, რა არის კარგი და რა ცუდი და არ მეთქვა რაღაცა „ნივპაპად“. რაც მომწონდა, ბუნებრივად მომწონდა.

— ქართველი მწერლები არ მოგწონთ?

– ლადო ასათიანი მიყვარს. კიდევ, გალაკტიონი – ბევრ რაღაცაში ჩემიანია და აბსოლუტურად მესმის მისი. მოკვდა იმიტომ, რომ არ მიესალმნენ. ახლა უნდათ დახატონ, ვითომ ზღვაში შეცურა... ერთადერთს ვახტანგ ჯავახაძეს ჰყავს კარგად დანახული და ძალიან მადლობელი ვარ მისი. საერთოდ, კარგი პოეტია ვახტანგ ჯავახაძე. მიხეილ ქვლივიძეც მომწონს. ჯანსუღ ჩარკვიანი, როცა იტყვის – ახლოდან „ვიჟუ“, მტერია, შორიდან – ბიჟუტერიაო. ვენაცვალე ეგეთ ჯანსუღ ჩარკვიანს. არ არსებობს ცუდი და კარგი ლექსი – არის ცუდად და კარგად დაწერილი ლექსი...

— როგორ აფასებთ საკუთარ და, საერთოდ, თანამედროვე ქართულ პოეზიას?

– მე ლექსი უნდა ვიხმარო, უნდა მოვირგო. ჩემთვის ვაკეთებ ქართული ლექსების ბიბლიოთეკას. ვთქვათ, ბაირონი მომწონს. როგორ გადმოგცეთ ბაირონი ორი სიტყვით? ამიტომ:

როცა ჩემს ლექსებს ვერ ვწერ
და აღარ ვიცი, რა ვქნა,
მაღლა ღმერთია შემწე,
შემომაშველა თარგმნა...

ეს მე რაც შემიძლია. რატი თავისას ამღერებს, იქ კიდევ სხვა. ესეთი პოეზია წამოვიდა. მე რომ დავიწყე, ექვსი წელი გარშემო არავინ იყო. ახლა წამოვიდნენ ბიჭები. ეს უკვე თაობამ მოიტანა. ლექსები გადამითარგმნეს ინგლისურად, შვედურად, გერმანულად. ყველა დაინტერესდა. წამიყვანეს, ფული გადამიხადეს. ქართველებმა მარტო „პასრედნიკობაში“ „დამაწერეს“. გვარს არ დავასახელებ და, ერთმა თავისი „თანაავტორობაც“ ჩაწერა, ფულიც, ნახევარი, „იასნია“, გაუყვეს.

— მერე არ გაბრაზდით?

– ძაან გავბრაზდი. დედა რომ მეტირება, მაშინ ვბრაზდები. და ეს ყველაფერი გინებაში კი არა, ლექსში თუ გადაიტანე, – ეგ არის ლექსების ენერგია.

— თქვენ ლექსში გადაიტანეთ?

– აბა რა! ქვეყანაზე არსებობს მატერია და ენერგია. მე არ ვიცი, რა არის სული და უკვდავება... რას ნიშნავს „ეროვნული ბიბლიოთეკა“? ბიბლიოთეკა არის ბიბლიოთეკა. მე რასაც ვხედავ – „გარჭობილი გვაქვს ვადამდე, ნიკოფსიიდან დარუბანდამდე“. და საერთოდ – „აქ რაც კარგი იმიჯია, სათითაოდ ...“ ახლა მოსკოვში ვარ მიწვეული. მინდა სესილი გოგიბერიძესთან მივიდე და დაფინანსება ვთხოვო. გადამფრინონ და გადმომაფრინონ უკან, თუ უნდათ, ნუღარ გადმომაფრენენ. თუ აინტერესებთ რუსული პოეზია და არ უნდათ, რუსებთან სულიერი ვიზები გაწყვიტონ, ეს პატარა ფინანსური დახმარება გამიწიონ ან რეკომენდაცია მომცენ იმასთან, ვინც დღეს დოლარების გამკეთებელია.

— რა ადგილი უჭირავს ფულს თქვენს ცხოვრებაში?

– ფული საკმარისი თუ არა გაქვს, უთავმოყვარეო ხარ. მაგრამ ამ ქვეყანაში ბევრი ფულით ყოფნა და განიავება საკუთარ მუცელზე ან ცოლ-შვილზე – მე ვთვლი, რომ დანაშაულია. დღეს ძალიან ბევრი ფულია ქვეყანაში, სადაც ტოტალური გასაჭირია და მართლა ელემენტარული მოთხოვნილებების პრობლემაა. ვიღაცა როგორ არა გყავს, შე დალოცვილო, გვერდით, რომ დაეხმარო. ცოლ-შვილს არ ვგულისხმობ. ოჯახს შეიძლება იმიტომაც მისცენ, რომ სხვას შეაშურონ... აი, ამას ვხედავ და მწყინს.

საინტერესო იყო კოტე ყუბანეიშვილთან ურთიერთობა. საინტერესო – ე.ი. თითქოს ნაცნობ, მაგრამ, ამავე დროს, ამოუცნობ კაცს ვესაუბრეთ. ბოლოს, გზა მშვიდობისა გვისურვა და დაამატა: „გზა მშვენიერი სიტყვაა. გზას თავისუფლად უნდა მიჰყვე, უნდა მიენდო დინებას და, რაც მთავარია, ცუდი არ უნდა გინდოდეს. გზა ჩემთვის რელიგიაა!“

ჩვენ კი, ჩვენდა გასაოცრად, აღმოვაჩინეთ, რომ კოტე ყუბანეიშვილს ძალიან კეთილი, ბავშვური ღიმილი და ცოტათი ნაღვლიანი თვალები აქვს... ■

სექსი ტელეფონით — ყრუ-მუნჯებისთვის?!

ქუჩაში მდგომი „ღამის პეპლების“ შესახებ ბევრი დაწერილა — წინათ უცხოურ პრესაში, ბოლო წლებში კი ქართულ ჟურნალ-გაზეთებშიც, ცალკეულ დროს მოჭარბებულადაც უტრიალია ამ თემას. მაგრამ არის „სიყვარულით მოვაჭრეთა“ კატეგორია, რომელიც მაინც იშვიათად მოსვედრილა მასმედიის ყურადღების არეში: ყრუ-მუნჯი გოგონები, ლუკმაპურის საშოვნელად რომ დასდგომიან ამ გზას.

გვიან ჩაკვეტაძე

მათი „სამუშაო“ ადგილი წინასწარ ვიცოდი. მივუახლოვდი თუ არა, საღამოს ბინდბუნდში სამი სილუეტი შევნიშნე, რომელთა ჟესტიკულაცია აშკარად სპეციფიკური იყო. მივხვდი, საჭირო ადგილასა და საჭირო დროს მივსულვარ. რომ მივუახლოვდი, დიქტოფონი ჩავრთე და გოგონებიდან ყველაზე სიმპათიური ამოვარჩიე:

— **ერთი წუთით, თუ შეიძლება, რაღაც უნდა გთხოვოთ,** — **მივმართე იმით დაეჭვებულმა, ეს ლამაზი გოგონები მართლაც ისინი იყვნენ, ვისაც ვეძებდი, თუ არა.**

სამივემ გამიღიმა და ხელებით რაღაცის ახსნა დამიწყო. მათ ჟესტიკულაციას ყურადღება თავიდანვე არ მივაქციე, მაგრამ რომ დავაკვირდი, მივხვდი — ძალიან მარტივად მაცნობდნენ თავიანთ „ტარიფებს“, თანაც იმის გათვალისწინებით, თუ რომელი მინდოდა, რა ხნით და სხვა ამგვარი...

გამეცინა, უცებ რომ ვერ მივხვდი, თანაც ისიც გამახსენდა, რომ თარჯიმნის გარეშე ინტერვიუს ვერ ავიღებდი... დიქტოფონი გამოვრთე და როგორც შემეძლო, გოგონებს ხელებით მივანიშნე — ახლა არ მცალია და საღამოს აუცილებლად მოგძებნით-მეთქი.

რამდენიმე დღე ჟესტების ენის მცოდნის ძებნას მოვანდომე და რომ მივაგენი, უკვე გაცნობის ადგილისკენ ერთად გავეშურეთ.

— **მეტყველება, მაპატიეთ და, არც ერთს არ შეგიძლიათ და კლიენტის გამოჭერას როგორ ახერხებთ?**

— ვინმეს გამოჭერა და ძალით შებმა რაში გვჭირდება?! ცნობილი ჭეშმარიტებაა, რომელიც შენც ძალიან კარგად იცი: ქალი, მით უმეტეს ჩვენი პროფესიისა, სილამაზით, კარგი ტან-ფეხით, მკერდით ფასდება და არა ენით. გულზე ხელი დაიდე და კაცურად, ალალად მითხარი — რამე რომ იყოს, რომელიმე ჩვენგანს რამე თუ გვაქვს დასაწუნი? არაფერი, ხომ? ჰოდა, ჩვენზე არც ერთი ნორმალური მამაკაცი არ იტყვის უარს... რაც შეეხება მეტყველებას — ზოგი ქალი, მათ შორის ჩვენი „კოლეგა“ იმნაირი ბილწი ენის პატრონია, რომ მასთან სიამოვნების მაგივრად კაცი დისკომფორტსაც კი განიცდის. საწოლში კაცის აღსაგზნებად კი ვნებიანი კრუტუნი, კვნესა და ოხვრა ჩვენც შეგვიძლია და, თუ სიტყვაზე მენდობით, — იმ ქალებზე კარგადაც, ვისაც ღმერთმა მეტყველების უნარი მისცა. მამაკაცის აღგზნების ეს საშუალება ჩვენ ყრუ-მუნჯებს დაბადებიდანვე უმაღლეს დონეზე გვაქვს „დამუღამებული“ და ძალიან ეფექტურადაც ვიყენებთ: წარმოიდგინეთ, ჩვენი კლიენტი მამაკაცი ყრუ-მუნჯისაგან არავითარი ხმის გაგონებას არ ელის და მოულოდნელად ვნების მომგვრელი კვნესა ესმის. ეს იმდენად ეფექტურად მოქმედებს კაცებზე, რომ პირდაპირ გიჟდებიან. უფრო მეტსაც გეტყვით — ვისაც ჩვენთან, ერთხელ მაინც ჰქონდა საქმე, იმდენად კმაყოფილები რჩებიან, რომ სხვებისაკენ არც იხედებიან და ჩვენი „პასტაიანი“ კლიენტები ხდებიან.

— **თქვენ ალბათ კიდევ სხვა ხერხსაც ფლობთ მამაკაცის მისაზიდად და, როგორც ამბობთ, გასაგიჟებლად, რითაც მეტყველების უუნარობის კომპენსაციას ახდენთ.**

— ხომ გითხარით, — ამ საქმეში მეტყველება ზედმეტი ბარგია, თუმცა ბევრი კაცი ფიქრობს — რადგან მეტყველების უნარი ღმერთმა არ გვიბოძა, ჩვენ სხვა მხრივაც მახინჯები ვართ... ნურას უკაცრავად, სხვა მხრივ უნაკლოები ვართ. ბუნება ასეთია: თუ ადამიანი რაიმეთი დაჩაგრა, სამაგიეროდ, კომპენსაციის სახით, სხვა ორგანოების განსაკუთრებული განვითარებით, ვთქვათ, სილამაზით ავჯილდოებს. აბა დააკვირდით, ყრუ-მუნჯებს რა ლამაზი თვალები აქვთ! ენისა და ყურის მაგივრობას ჩვენ თვალები გვიწევს. ისე, რომ იცოდეთ, ადამიანს, თუნდაც სრულიად ჯანმრთელს, თვალებით უყვარს და სძულს. თვალი უფრო მეტს გეუბნება, ვიდრე ენა... თქვენ ალბათ არ გინახავთ, როგორ უხსნიან ყრუ-მუნჯები ერთმანეთს სიყვარულს. ჩამოსხდებიან სადმე, განსაკუთრებით ბუნების წიაღში, უყურებენ ერთმანეთს დიდხანს და ენით სათქმელს თვალებით ამბობენ. მოკლედ, თვალებით საუბრობენ და არავითარ ჟესტებს და მიმიკას არ იყენებენ. სწორედ ჩვენი მეორე ხერხი კაცების „გასაგიჟებლად“, თვალებია, რომელიც განსაკუთრებით მგრძნობიარე, მიმზიდველი და ლამაზი ხდება სექსუალური აქტის დროს, მაშინ, როდესაც სხვა ქალები თვალებს ხუჭავენ, ჩვენ, ყრუ-მუნჯებს, პირიქით — თვალებით გვესმის და თვალებით ვკითხულობთ, რა უნდა პარტნიორს, რა ესიამოვნება.

— **თქვენ მართლაც ლამაზები ხართ, ნუთუ არასოდეს გიფიქრიათ, რომ ოჯახი შეგექმნათ და ნამდვილი სიყვარული გქონოდათ?**

— ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენი ნამდვილი სიყვარული ქორწინებით რომ დაგვირგვინდეს, ახლანდელ პირობებში გამორიცხულია, რადგან ჩვენი პოტენციური მთხოვნელები ასევე მხოლოდ ჩვენნაირი ყრუ-მუნჯები არიან. ახლა კი, ყრუ-მუნჯებს კი არა, განსაკუთრებული სმენისა და ენის პატრონი ადამიანებიც უმუშევრები არიან. ერთი პიანისტი დაქალი მყავს, ძალიან პერსპექტიულ მუსიკოსად ითვლებოდა, მაგრამ ყბაყურამ დაამუნჯა. მას შემდეგ, შეყვარებულმა ხომ მიატოვა, მამა გარდაეცვალა, დედა დაბერდა და ახლა თავის შენახვის არანაირი საშუალება არა აქვს. ისღა დარჩენია, ჯერ ინსტრუმენტი გაყიდოს, მერე კი ავეჯი და ბინა მიაყოლოს, ბოლოს ჩემს პროფესიას მოჰკიდებს ხელს... ვეუბნები — ლენა, გონს მოდი, ნივთებიდან და სახლიდან მიღებული ფული უცებ დაგეხარჯება და ბოლოს, მაინც აქეთ მოგიწევს წამოსვლა-მეთქი... მგონი ჭკუაში დაუჯდა და მალე შემოგვიერთდება... ასეა — რომ გათხოვდეს ყრუ-მუნჯი კაცი მაინც ვერ შეინახავს და ჯანმრთელი ჩვენნაირ გოგონებს, მზეთუნახავი და უპატიოსნესიც რომ იყოს, არ მოიყვანს. ისე, მე რომ მკითხოს კაცმა, მუნჯ ცოლსა და რძალზე საყვარელი ქმრისა და დედამთილისთვის რა უნდა იყოს — ეჩხუბე და აგინე, რამდენიც გინდა, ერთ სიტყვასაც არ შემოგიბრუნებს და ვერც ცუდ ნათქვამს გაიგებს...

— **თქვენ საკმაოდ ერუდირებული, გონებამახვილი და განათლებული გოგონა ხართ. ნუთუ სადმე სამსახური ვერ იშოვეთ? თქვენ ხომ ტუჩების მოძრაობაზეც ხვდებით, რას ამბობს ადამიანი.**

— არ ცდებით — კომპიუტერიც ძალიან კარგად ვიცით და ბევრი სხვა რამ. მაგრამ სადაც არ მივედით, სამუშაოს სათხოვნელად, ყველგან ამრეზით დაგვიწყეს ყურება. ერთმა ბიზნესმენმა ისიც კი თქვა — როცა ნორმალურ თანამშრომლებს ვერაფერი გავაგებინე და ყრუ-მუნჯები მაკლდნენ ახლაო... არადა, თუნდაც ის ვთქვათ — როგორ შეგვიძლია ყრუ-მუნჯებს საიდუმლოს შენახვა!.. საზღვარგარეთულ ფირმებში ეს ძალიან ფასობს და ჩვენნაირი ნაკლის მქონე ადამიანებს ზოგიერთი ადგილისთვის საგანგებოდ ეძებენ. მაგრამ საქართველოში არავინ არ გვაფასებს და სახელმწიფოსაც არ სცალია ჩვენთვის. ისე ინვალიდობის პენსიასაც ვიღებთ, უფრო სწორად, უნდა ვიღებდეთ, მაგრამ განცხადება დავწერეთ და ინვალიდობის პენსიაზე უარი ვთქვით: ასე ვთქვათ, პროტესტი გამოვხატეთ სახელმწიფოს მიმართ... ასე რომ, ეს საქმიანობა რომ არა, ან მათხოვრობით უნდა გვერჩინა თავი ან შიმშილისგან დავხოცილიყავით.

— თუ თქვენთვის მტკივნეული არ იქნება, პირველი კლიენტი გაიხსენეთ.

— მტკივნეული რატომ იქნება? მაგრამ ჯერ იმას მოგიყვებით, როგორ მიყვარდა ჩემი საქმრო და რატომ დავშორდი მას. ჩემი შეყვარებულიც ჩემსავით დაბადებიდან ყრუ-მუნჯი იყო. ერთმანეთი სპეციალიზებულ სკოლაში გავიცანით და პირველი შეხვედრისთანავე მოგვეწონა. თითქმის ყოველდღე ვხვდებოდით. შემდეგ, მატერიალური პრობლემების მოსაგვარებლად მოსკოვში წავიდა და ნათესავების დახმარებით, ერთ-ერთ პრესტიჟულ კერძო ბანკში დაიწყო მუშაობა. სხვათა შორის, განათლებით ეკონომისტი იყო. ხშირად მირეკავდა ტელეფონით — ჩემს ტელეფონს ზარი არა აქვს — გამოძახების დროს ნათურა ინთება და ამით ვხვდები, რომ ვიღაცა რეკავს. ერთმანეთს მორზეს ანბანით — ყურმილზე კაკუნით ვესაუბრებოდით. მეუბნებოდა — დიდ ფულს ვშოულობ, მალე ჩამოვალ და დავქორწინდებითო. მაგრამ იმ ბანკში ერთი მართლაც ულამაზესი და ჭკვიანი ქალბატონი მუშაობდა. მან მოხიბლა ჩემი შეყვარებული და მისი თავი წამართვა. ჭკვიანიო რომ ვთქვი არ შევმცდარვარ, რადგან კარგად იცოდა, თუ რა ერთგულები და ძლიერები არიან ყრუ-მუნჯი მამაკაცები — სექსში კაზანოვას და რასპუტინს არ ჩამოუვარდებიან, — და დაუახლოვდა. შემდეგ ბავშვიც გააჩინა იმ ქალმა, მაგრამ ჩემი შეყვარებული, რომელსაც ჩემთვის ერთგულების ფიცი ჰქონდა მოცემული, მაინც მე დამიბრუნდა, მე თვითონ აღარ მივიღე: ვიცოდი ბავშვის ამბავი, არ მინდოდა, უმამოდ გაზრდილიყო, როცა მამა ცოცხალი ჰყავდა. ჩემს დანაშაულად ჩავთვალე, რომ დამეტოვებინა და პირობა ჩამოვართვი, რომ ბავშვს და იმ ქალს არ მიატოვებდა. რა ვქნა — არ შემეძლო, ბავშვის უბედურებაზე ჩემი ბედნიერება ამეგო, ღმერთი არ მაპატიებდა...

— გასაგებია, მაგრამ ფინანსურად მაინც დაგხმარებოდათ — ის ხომ უკვე მდიდარი იყო — ან სამუშაო მაინც მოეძებნა თქვენთვის.

— ნამდვილი, უმწიკვლო სიყვარული ფულზე გამეცვალა?! ამას არც თვითონ იკადრებდა და ვერც მე გამიბედავდა. ხომ გითხარით — ჩვენ განსაკუთრებული სიყვარული და ერთგულება შეგვიძლია... სამუშაოს შოვნა კი მხოლოდ მოსკოვში შეეძლო, იქ კი მე არ წავედი, რადგან ვიცოდი — ჩემს თავს ვერ მოვერეოდი, როცა ის ახლოს მეყოლებოდა...

— პირველ კლიენტს დავუბრუნდეთ.

— ქალიშვილობა ჩემს შეყვარებულს შევწირე და ამის გამო, არავითარი კომპლექსი არ გამჩენია. პირველი კლიენტი კი ერთი სასადილოს მეპატრონე იყო, სადაც ხშირად საჭმელად დავიარებოდი. იმ კაცმა პირველად შეამჩნია, რომ მარტო ყრუ-მუნჯი კი არა, ლამაზიც ვიყავი. მის თვალებში ვკითხულობდი თუ როგორი ენებით იყო ჩემდამი ანთებული, თუმცა გარეგნულად არაფერს იმჩნევდა და როგორც საწყალ ყრუ-მუნჯს, ხშირად უფასოდ მიმასპინძლდებოდა ხოლმე. ერთხელ ძალიან დამჭირდა ფული და ვერავის ვესესხე. მივადექი და საჭმელი ვთხოვე, თუმცა არ მშიოდა — უბრალოდ, მასთან მისვლის საბაბად გამოვიყენე. მან თავის კაბინეტში შემიყვანა, სადაც უკვე ვიღაცებს ექეიფათ და სუფრა გაშლილი და აულაგებელი იყო. თვითონაც ნაქეიფარი ჩანდა. მანიშნა — ახლა მე და შენ უნდა ვიქეიფოთო და გვერდზე მომიჯდა. მაგრამ მამის ტოლა კაცს, პირველი ნაბიჯის გადადგმა მაინც უჭირდა. რამდენიმე ლუკმა ძალით დავლეჭე, თან ორი სირჩა კონიაკიც დავაყოლე, მერე ნელ-ნელა კაბის საკინძე ჩავიხსენი და მკერდი ბოლომდე გამოვაჩინე... შეშლილი თვალებით მიყურებდა. წამოვდექი და რაც მეცვა, ყველაფერი გავიხადე, მის წინაშე დედიშობილა დავრჩი და მერე კალთაში ჩავუჯექი... პირველ თხოვნაზე 200 დოლარი მაჩუქა და მითხრა — თუ ჩემთან ივლი, საჭმელ-სასმელს და თვეში 100-150 ლარს მოგცემო... მერე წავიდა და წავიდა: სასადილოს გამგეს რესტორნის გამგე მოჰყვა, რესტორნის გამგეს ბიზნესმენი და „შევტოპე“.

— საყვარლის გაჩენა არ გიცდიათ?

— იყო ასეთი წინადადებები, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა, თავიანთი წინადადებები უკან წაიღეს...

— სექსუალური ან ფსიქიკური გადახრების მქონე კლიენტები თუ შეგხვედრიათ?

— სექსის დროს, მით უმეტეს, მსუბუქი ყოფაქცევის ქალებთან, ოჯახის მქონე მამაკაცები და არა მარტო ისინი, ფანტაზიას აძლევენ გასაქანს. ზოგჯერ ნორმალური ადამიანი ვერ მოიფიქრებს, ისეთ რაღაცებს აკეთებენ, რომ მათი შემხედვარე, იფიქრებ — ნამდვილად სექსუალურ მანიაკთან მაქვს საქმეო. ვერც გაამტყუნებ: მეუღლესთან ხომ სექსი ბევრს „მკაცრად ლიმიტირებული“ აქვს. უფრო მეტიც — მეუღლესთან სექსის მკაცრად დადგენილ ნორმებს არავითარ შემთხვევაში არ არღვევენ, არადა სწორედ ეს დარღვევა ანიჭებთ მამაკაცებს განსაკუთრებულ სიამოვნებას და ამიტომაც მიდიან მსუბუქი ყოფაქცევის ქალებთან. სიყვარულით გამაგრებული სექსი არავითარ საზღვრებში არ უნდა იყოს მოქცეული, თორემ სიყვარული გაფერმკრთალდება და დაიკარგება... თუმცა, ეს ჩემი სუბიექტური აზრია.

— როგორც გავიგე, კონკურენტებიც გყავთ...

— კი, არიან, მაგრამ ჩვენთან სილამაზითა და ოსტატობით ახლოსაც ვერ მოვლენ. ამიტომ მათ კონკურენტებად არ მივიჩნევთ.

— ასე როდემდე უნდა გააგრძელოთ ცხოვრება?

— სანამ ზღაპრული პრინცი არ გამოჩნდება... ვხუმრობ, რა თქმა უნდა... სანამ რაღაც სოლიდურ თანხას არ მოვაგროვებ და საქმეში არ ჩავდებ. შემდეგ ვინმე „პასტაიანის“ გავიჩენ, სახლში დავჯდები, წიგნების კითხვასა და ტელევიზორის ყურებაში მოვკლავ დროს მანამდე, ვიდრე „ჩემი კაცი“ არ გამოჩნდება. ■



ჩვენი მოსახლეობა ლარის ირგვლივ შექმნილმა აჟიოტაჟმა კვლავ მოიცვა. 21 თებერვალს, დღის 12 საათზე საქართველოს ბანკთაშორისმა სავალუტო ბირჟამ განგაში ატეხა და ლარის კურსის საგრძნობლად დაცემა გვაუწყა. იმ წუთისთვის 1 ამერიკული დოლარის ოფიციალური ფასი საქართველოში 2.165 ლარი გახლდათ, კერძო ვალუტის გადამცვლელ პუნქტებში კი მისმა ღირებულებამ 2.22 ლარს მიაღწია. ამ ფაქტს ქართველმა ბანკირებმა „ბაზრის შოკი“ უწოდეს.

რა სჭირს ლარს?

„პრობლემას გაზაფხული მოგვიგვარებს“ – იმედოვნებენ ექსპერტები

მეგი ცანავა

ლარის გაუფასურების მიზეზად ექსპერტებმა საგადასახადო ბალანსის გაუარესება დაასახელეს. მათი თქმით, საქართველოში ბოლო დროს გაცილებით მეტი იმპორტი დაფიქსირდა, ვიდრე ექსპორტი, ყოველივე ამან კი დოლარზე მეტი მოთხოვნილება გამოიწვია, ვიდრე ლარზე. საქართველოს დილერთა კლუბის წარმომადგენლების განცხადებით, აღნიშნული კრიზისი ზამთრის დადგომამ და მასთან დაკავშირებულმა პრობლემებმა – ელექტროენერგიამ, გაზმა განაპირობა. „ზამთარში, განსაკუთრებით იანვარ-თებერვალში ჩვენს ქვეყანაში არსებული ენერგოკრიზისის გამო ხდება დიდი რაოდენობით უცხოური ვალუტის გადარიცხვა ახალი საიმპორტო ენერგომატერებლების ანაზღაურებისათვის. ზუსტი ციფრების დასახელება ძნელია, მაგრამ, მაგალითად, გაზისთვის საქართველომ რუსეთს უკანასკნელ ორ კვირაში 3 მილიონზე მეტი დოლარი გადაურიცხა“ – დასძენენ ექსპერტები.

დილერთა კლუბის წარმომადგენელთა თქმით, ლარის კურსის დაცემა სამომხმარებლო საქონელს ჯერჯერობით არ დასტყობია და ფასები არ აწეულა. თუმცა, დოლარის გაძვირებამ მოსახლეობა საგრძნობლად შეაშფოთა, უმრავლესობა კი შიშობს, რომ ჩვენს ქვეყანაში ლარის სტაბილურობასაც ბოლო მოეღო. სამაგიეროდ, ექსპერტები გვამშვიდებენ – პრობლემა გაზაფხულისთვის თავისთავად მოგვარდება, რადგან წელიწადის ამ დროისთვის ენერგოკრიზისის მხრივ სიტუაცია, ჩვეულებრივ, უმჯობესდებაო.

სოსო ფხაკაძე, ეროვნული ბანკის მთავარი დილერი:

– ზამთარი იწურება და წესით, გაზაფხულისთვის, მარტის დასაწყისისთვის სიტუაცია უნდა გაუმჯობესდეს და ლარი კვლავ კონტროლირებადი ვალუტა გახდეს. თუ რამდენიმე დღის შემდეგ ლარის კურსს სერიოზული ცვლილებები ვერ შევატყვეთ, მაშინ იმედის მოცემას აზრი არა აქვს.

ეს არ გახლავთ არაჩვეულებრივი მოვლენა. ყოველთვის, ტრადიციულად წლის დასაწყისში, ეროვნული ვალუტის კურსის კორექტირება ხდება დაწევის მიმართულებით. ამის ძირითადი მიზეზი კი, სეზონური ფაქტორების გამო საგადასახადო ბალანსის გაუარესებაა. მაშინ, როცა ქვეყანაში იმპორტი გაცილებით მეტია, ვიდრე ექსპორტი, რადგან ადგილობრივი დიდი საწარმოები და ორგანიზაციები, ფაქტობრივად, გაჩერებულია, თავისთავად, მოთხოვნილება დოლარზე უფრო მეტია, ვიდრე ლარზე. მოსახლეობის უმეტესი ნაწილიც გაცილებით მეტ დოლარს ყიდულობს, ვიდრე ლარს. თუმცა, ეს არ უნდა ჩავთვალოთ კრიზისულ მდგომარეობად. არ უნდა წარმოვიდგინოთ ისე, თითქოს მთლიანად შეჩერდა ის არხები, რომელთა მეშვეობითაც ქვეყანაში უცხოური ვალუტა შემოედინება. ასე რომ იყოს, მაშინ დღეს ლარის კურსის გაცილებით ცუდი მაჩვენებელი გვექნებოდა.

ექსპერტთა თქმით, მართალია, 2000 წელს ლარმა მყარი კურსი შეინარჩუნა, თუმცა 1999-ში გვქონდა ფაქტები, როცა მისი ფასი ზამთარში ეცემოდა, მაგრამ სამაგიეროდ გაზაფხულისთვის კვლავ იზრდებოდა. შეკითხვაზე, არის თუ არა იმის საშიშროება, რომ კომერციულმა ბანკებმა შექმნილი მდგომარეობით გვარიანად იხეირონ, „ინტელექტბანკის“, „TBC ბანკისა“ და „ბაზისბანკის“ წარმომადგენლებმა ერთხმად უპასუხეს: შეიძლება არასწორი პოლიტიკის მქონე ბანკებმა ამით ისარგებლონ, მაგრამ თუ მათ ინტერესებში კლიენტის შენარჩუნება და მის მიმართ კეთილსინდისიერებაა, ამას ხელოვნურად არ გააკეთებენო.

რაც შეეხება რუსეთ-საქართველოს შორის სავიზო რეჟიმის შემოღების ფაქტს, ექსპერტები ლარის გაუფასურების გამომწვევ მიზეზად ამას არ თვლიან, თუმცა დასძენენ, რომ იმ ხალხს, ვისაც ნათესავები რუსეთიდან და საზღვარგარეთიდან ფულს უგზავნიან, ეს კი გადარიცხვის გზით ხდება, უცხოური ვალუტის მიღებისას შესაძლოა, გარკვეული პრობლემები შეექმნათ. ■



ლარის კურსის დინამიკა დოლართან მიმართებაში

მიწისძვრა

სეისმური ზონები და ტრაგიკული სტატისტიკა

დაჩი გრძელიშვილი

სეისმურად აქტიური ზონის ქვეყნებში მოსახლეობას რეგულარულად უტარდება სწავლება-ტრენინგი, რათა მიწისძვრის დროს, პანიკური შიშის ნაცვლად, ადამიანები მომზადებულნი შეხვდნენ გასაჭირს. ასეთ ქვეყნებში და, მათ შორის საქართველოშიც, სეისმოლოგიური, სეისმომედეგური და სამაშველო სამსახურები არსებობს. პირველი მომხდარ და მოსალოდნელ მიწისძვრებს იკვლევს, ადგენს მათ სავარაუდო აქტივობასა და სიმძლავრეს. მეორე, ამ მონაცემებზე დაყრდნობით, ამოწმებს მშენებლობას და არსებულ შენობებს, ადგენს მდგრადობის ნორმებსა და მშენებლობის მეთოდებს. მესამე, სამაშველო, წინა ორი სამსახურის მონაცემებისა და საკუთარი გამოცდილების გათვალისწინებით, განსაზღვრავს მოსალოდნელი მიწისძვრის კერებს, სტიქიის შესაძლო შედეგებს ამა თუ იმ ქალაქსა თუ რაიონში, გეგმავს სამაშველო ღონისძიებებს და ა.შ.

როგორც აღვნიშნეთ, ასეთი სამსახურები ჩვენშიც არსებობს, მაგრამ, სამწუხაროდ, ძირითადად, უსახსრობის გამო, ისინი სრული დატვირთვით ვერ მუშაობენ და, არცთუ ისე იშვიათად, მიწისძვრა ჩვენთან ხელოვნურად გაღვივებული პანიკისა და ათასი ჯურის ნათელმხილველთა მსჯელობის საგანი ხდება ხოლმე.

მიწისძვრასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხის გასარკვევად, სპეციალისტს — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტის სეისმოლოგიური განყოფილების უფროსს, ბატონ ზურაბ ჯავახიშვილს მივმართეთ.

რა არის მიწისძვრა...

— ლითოსფერული ფილების თეორიის თანახმად, დედამიწის შიდა შრეები რამდენიმე დიდი და უამრავი მცირე ფილებისგან შედგება. ისინი გამუდმებით მოძრაობენ და ურთიერთმიბჯენის ადგილზე დეფორმაციასა და უზარმაზარი ენერგიის დაგროვებას იწვევენ. სწორედ დედამიწის ზედაპირისკენ მიმართული ამ ენერგიის უეცარი განმუხტვის შედეგია მიწისძვრა.

თუ მსოფლიო რუკაზე დღემდე მომხდარ მიწისძვრებს მოვნიშნავთ, ერთგვარ ზოლს მივიღებთ — ხსენებული ფილების მიბჯენის ადგილზე რომ გადის. ეს ზოლი გახლავთ ე.წ. ,,სეისმური აქტივობის ზონა". რა თქმა უნდა, რუკაზე ეს ზოლი ვიწრო გამოჩნდება, სინამდვილეში, მთელ რეგიონებს მოიცავს, რომელშიც შედის — წყნარი ოკეანის დიდი მონაკვეთი, იაპონიის კუნძულები, კამჩატკა, კურილიის კუნძულები, ამერიკის დასავლეთი სანაპირო, ჩილე, ინდოეთი, ჩინეთი და ა.შ. (იხ. გვ. 17 მსოფლიოში დღემდე მომხდარი უმძლავრესი მიწისძვრების შესახებ).

სად ვართ ჩვენ

— რაც შეეხება ჩვენს რეგიონს, აქ ერთმანეთს ებჯინება არაბეთის ნახევარკუნძულის ბაქანი და ევრაზიის ბაქანი, ე.წ. ,,რუსეთის ფილა". ისინი ერთმანეთის მიმართ წელიწადში 30 მმ სიჩქარით მოძრაობენ, რაც წლებისა და საუკუნეების განმავლობაში უზარმაზარ ენერგიას აგროვებს და მისი გამოთავისუფლება სხვადასხვა მიმართულებით, რეგიონის სხვადასხვა ადგილას იწვევს მიწისძვრებს. 1999 წლის ძლიერი მიწისძვრა თურქეთში სწორედ აღნიშნული განმუხტვის შედეგი იყო, რომელმაც, თავის მხრივ, ათენის მიწისძვრა გამოიწვია. მსგავსი და უფრო ძლიერი მიწისძვრები ჩვენთან ახლოსაც არის დაფიქსირებული: 90-იან წლებში რაჭის, 80-იან წლებში — სპიტაკისა და 70-იან წლებში — დაღესტნის მიწისძვრები. ყოველივე ზემოთქმული ცხადყოფს, რომ ჩვენში მიწისძვრა სავსებით ბუნებრივი მოვლენაა და აქ შემაძრწუნებელი ან საპანიკო არაფერი ხდება — უბრალოდ, წარსულის გათვალისწინება და კვლევაა საჭირო...

„რამდენბალიანია" ჩვენი რეგიონი...

— სამწუხაროდ, ეს ,,ბალები" ჩვენში დიდ გაურკვევლობას იწვევს. საერთოდ, მიწისძვრის შესაფასებლად ორი კრიტერიუმი გამოიყენება — ერთი მეცნიერმა-სეისმოლოგმა რიხტერმა შეიმუშავა და მიწისქვეშ გამოსხივებულ მიწისძვრის ენერგიას აღნიშნავს, რომელიც ,,მაგნიტუდებით" იზომება და არა ბალებით, როგორც ამას ხშირად აკეთებენ ხოლმე. მეორე კრიტერიუმი, სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაა — იმის მიხედვით, თუ რა აქტივობისა და სიმძლავრის სეისმურ ზონად არის მიჩნეული — და მიწისძვრის, მიწის ზემოთ მომხდარ ეფექტს აღნიშნავს. ჩვენში MSK-ს 12 ბალიანი სკალით სარგებლობენ და საქართველო დაახლოებით 7-8 ბალიან ზონად არის მიჩნეული, თუმცა, რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენთან აუცილებლად მოხდება 8 ბალიანი ეფექტის მიწისძვრა (იხ. სეისმოლოგიური პროგნოზის რუკა გვ. 16).

უბრალოდ, ეს მონაცემები სეისმომედეგობის სამსახურმა უნდა გაითვალისწინოს, რათა შენობები ამ სიმძლავრეზე იყოს გათვლილი.

საერთოდ, მსოფლიო დაკვირვებამ ცხადყო, რომ თვითონ მიწისძვრის ენერგეტიკული სიმძლავრე (რიხტერის სკალა) და მისი შედეგი ერთმანეთთან ლოგიკურ შესაბამისობაში არ მოდის. ყველაფერი იმაზეა დამოკ-



იდებული, თუ რამდენად მდგრადია შენობები და რამდენად მომზადებულია საზოგადოება სტიქიისათვის. თავად განსაჯეთ — სპიტაკის მიწისძვრის დროს, რიხტერით 6,9 მაგნიტუდა გამოვლინდა და ქალაქი მიწასთან გასწორდა — პრაქტიკულად, ვერც ერთი შენობა ვერ გადარჩა. ამ მიწისძვრამ 100.000 კაცის სიცოცხლე შეიწირა. მოგვიანებით, 1995 წელს, იაპონიის ქალაქ კობეში დღემდე არნახული (ხელსაწყოებით დაფიქსირებული) სიმძლავრის — 7,5 მაგნიტუდის მიწისძვრა მოხდა. კერა, ეპიცენტრი უშუალოდ ქალაქის ქვეშ მდებარეობდა და წარმოიდგინეთ, რომ ეს საშინელი რყევა 20 წამის განმავლობაში გრძელდებოდა. მაგრამ სპიტაკისგან განსხვავებით, კობეს სეისმომედეგობა კარგად იყო გათვლილი და 4 მილიონიან ქალაქში 5.000 კაცი დაიღუპა, მაშინ, როდესაც ყველაფერი მიწასთან უნდა გასწორებულიყო. სპიტაკის შემთხვევაში კი, როგორც მოგვიანებით გაირკვა, სულ 2 ბალში იყო ცდომილება — 9 ბალიან რეგიონში 7 ბალიანი გათვლით აშენებდნენ...

საერთოდ, ეს ტენდენცია გაიროს ამსწინანდელ ასამბლეაზეც დაფიქსირდა: სამწუხაროდ, განვითარებად ქვეყნებში მიწისძვრები ათმაგ მსხვერპლს იწვევს, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში, თუნდაც, ორჯერ და სამჯერ ნაკლები სიმძლავრის იყოს.

რა ხდება ჩვენთან...

— დასაწყისშიც მოგახსენეთ, რომ სეისმურად აქტიურ ზონაში ვიმყოფებით. თუმცა, დანარჩენ მსოფლიოსთან შედარებით, აქტივობისა და სიმძლავრის თვალსაზრისით, საშუალო მაჩვენებლები გვაქვს და მაინცდამაინც საშინელი და დამანგრეველი მიწისძვრები, ყოველ შემთხვევაში, უახლოესი 50 წლის პროგნოზით, არ გვემუქრება, მაგრამ ერთი რამ ცხადია — მიწისძვრა ბუნებრივი მოვლენაა. მართალია, მისი ზუსტი ვადებისა და სიმძლავრის გამოთვლა დღესდღეობით შეუძლებელია, მაგრამ სავსებით რეალურია მისი გავრცელების არეალისა და ნგრევის საავარაუდო ეფექტის დადგენა.

ამიტომაც მის „შესახვედრად" მუდმივი მზადებაა საჭირო.

უფრო ხშირად, მიწისძვრის დროს ადამიანებს სტიქია კი არ ღუპავს, არამედ საკუთარი დაუდევრობა — მოუმზადებლობა, პანიკა.

ამა თუ იმ რეგიონში მოსალოდნელი მიწისძვრა იმას არ ნიშნავს, რომ ეს ადგილი გაუკაცრიელდეს და იქ არაფერი აშენდეს. იმავე იაპონიაში, სეისმურად ჩვენზე ბევრად უფრო აქტიურ ზონაში დღეს 70 სართულიანი შენობებიც კი შენდება. უკვე ნახსენებ კობეში კი მიწისძვრიდან რაღაც 2 წელიწადში 30 და 40 სართულიანი შენობები ააშენეს — ბუნებრივია, ყოველგვარი სეისმომედეგობის გათვალისწინებით.

საქართველოში არსებული სეისმომედეგობის გასარკვევად, მეცნიერებათა აკადემიაში არსებულ სეისმომედეგობის ინსტიტუტს მივაკითხეთ.

სამწუხაროდ, უსახსრობის გამო, ეს სამსახური სრული დატვირთვით ვერ მუშაობს, მიუხედავად იმისა, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის მასშტაბით, საუკეთესო სპეციალისტებით არის დაკომპლექტებული და მათი მონაწილეობის გარეშე არც ერთი საკავშირო პროექტი არ მტკიცდებოდა.

ყველა სახელმწიფოში არსებობს ნორმატიული აქტი, რომელშიც კონკრეტული ტერიტორიების სეისმომედეგობა დეტალურად არის აღნიშნული და ნებისმიერი მშენებელი თუ არქიტექტორი მშენებლობის დაწყებისას მისი მონაცემებით უნდა ხელმძღვანელობდეს. ყოფილი საბჭოთა ქვეყნებიდან მხოლოდ ჩვენთან შემორჩა კავშირის დროინდელი ნორმატიული აქტი. თუმცა, ქალაქში არსებულ „სამშენებლო ციებ-ცხელებაში" მასაც კი არავინ ითვალისწინებს. როგორც ინსტიტუტში გვითხრეს, საქართველოსთვის გათვალისწინებული სეისმომედეგობის ნორმებზე მუშაობა სულ ახლახან დაასრულეს და მის დამტკიცებასაც ელოდებიან — თუმცა, ამ ათი წლის განმავლობაში აშენებულ ნაგებობებს ახალ ნორმებთან როგორ შეათავსებენ, არავინ იცის.

ინსტიტუტის ერთ-ერთმა თანამშრომელმა, რომელმაც ვინაობის დასახელება არ ისურვა, გულისტკივილით გაგვიზიარა: — უწინ მასობრივი თავშეყრის ადგილებს (თეატრი, სტადიონი, სპორტის სასახლე და ა.შ.) ყოველ სეზონში დეტალურად ვამოწმებდით, ახლა კი არავინ არაფერს გვეკითხება. არც ახალგამომცხვარი „მშენებლები" გვაქცევენ დიდ ყურადღებას — ზოგი ექიმია და ზოგიც, მუსიკის მასწავლებელი, ისე აშენებენ, როგორც „მოპრიანებათო". წესით, სეისმომედეგობის ახალი მეთოდების გასაცნობად, ყველა მოქმედი მშენებელი, ყოველ 5-6 თვეში ერთხელ უნდა გვაკითხავდეს, რადგან მომხდარი მიწისძვრების გათვალისწინებით, ყველაფერი გამუდმებით ვითარდება, ჩვენ კი კვლავ საბჭოთა კავშირის დროინდელ „ნიშნულზე" ვიმყოფებით...

— **მიშენება-დაშენებებზე რას**

ჩამოქცეული სახლი წერეთლის გამზირზე

გვეტყვით?

— მე პირადად, თავის დროზე ვამოწმებდი მიშენებული ლოჯიების მდგრადობას — 300-დან მხოლოდ 2 აკმაყოფილებდა ნორმებს, ისიც ნაწილობრივ. არც მინდა იმის წარმოდგენა, ოდნავ ძლიერ მიწისძვრას რა შეიძლება მოჰყვეს... ბინების რემონტი კიდევ, ცალკე საუბრის თემაა. აქ ყველაფერია გასათვალისწინებელი — პროექტი, კედლებისა და საძირკვლის მდგომარეობა და სისქე, ბინის მდებარეობა, სართულის სიმაღლე. დაუფიქრებლად რადიატორის ნიშის გამოჭრაც კი არ შეიძლება. ჩვენში კი ზოგჯერ საერდენ კედლებს ანგრევენ ხოლმე. კედლები რომ დაებზარებათ, მერეღა მორბიან ჩვენთან...

— მიწისძვრის შემთხვევაში, რას ურჩევდით მოსახლეობას?

— ასე, ზოგადად ლაპარაკი ძნელია. წესით, ამაზე სპეციალური სამსახური უნდა მუშაობდეს. მუშაობს კიდეც — საგანგებო სიტუაციათა დეპარტამენტი, რა თქმა უნდა, შეძლებისდაგვარად... ყველაფრის გათვალისწინებაა საჭირო — ქუჩების განლაგება, მოსალოდნელი, შედარებით მძიმე კერის ადგილმდებარეობა და ა.შ. რაც შეეხება მოსახლეობას, ერთი ცნობილი ამერიკელი სეისმოლოგის სიტყვებს გავიმეორებ: როდესაც მიწისძვრას იგრძნობთ, ოცდაათამდე დაითვალეთ და მერე ფრთხილად დატოვეთ შენობა. მიწისძვრის მომენტში შენობიდან, მით უმეტეს მაღალი სართულებიდან გამოქცევას აზრი არა აქვს — პირველ რიგში, კიბეები და ლიფტები ინგრევა. ესეც არ იყოს, ჩვენებური მიშენებების პირობებში, გარეთ ყოფნა უფრო საშიშია, ვიდრე შინ დარჩენა.

თუმცა, განმეორებითმა ბიძგებმა შესაძლოა, პირველად მხოლოდ დაზიანებული სახლი დაანგრიოს. ამიტომ, რყევების დასრულების შემდეგ, ფრთხილად უნდა დატოვოთ სახლი და გაარკვიოთ, რამდენ ბალიანი ეფექტისა იყო მიწისძვრა. სპეციალიზებულ, ჩვენში, ჩვეულებრივ, შედარებით სუსტი რყევები ხდება ხოლმე (ქალაქს ვგულისხმობ) და საპანიკო და ქუჩაში სარბენიც არაფერია...

ცნობისათვის:

დღემდე, მომხდარ მიწისძვრებს შორის ყველაზე დიდი მსხვერპლი გამოიწვია ჩინეთში, შანხაიში, 1556 წელს მომხდარმა მიწისძვრამ, რომელმაც 830.000 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

ყველაზე დიდი ნგრევა იაპონიაში, 1923 წელს მომხდარმა მიწისძვრამ გამოიწვია, რომელმაც 575.000 საცხოვრებელი სახლი დაანგრია.

მსოფლიოს სეისმოლოგიურ ზონაში

XX საუკუნეში მომხდარი მიწისძვრების ქრონიკა:

1994 წელი ქ. ლოს-ანჯელესი, აშშ

— 1905 წელს ინდოეთის ქალაქ ლაჰორიში მომხდარმა მიწისძვრამ 10.000 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

— იმავე წელს, აშშ-ში, კალიფორნიაში მიწისძვრის შედეგად 1.000-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა.

— 1908 წელს, სიცილიის ქალაქ მესინაში უძლიერესი მიწისძვრა მოხდა, რომელმაც მოსახლეობის ნახევარი შეიწირა. მიწისძვრას ცუნამი მოჰყვა, რომელმაც მის გვერდით მდებარე, ქალაქი რეჯიო დაანგრია.

1995 წელი, ქ. კობე, იაპონია

— 1923 წელს მიწისძვრამ ტოკიოსა და იოკოჰამაში 300.000-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, დაახლოებით 2 მილიონი კი უსახლკაროდ დარჩა. მიწისძვრამ გაზის გაჟონვა და დიდი ხანძარი გამოიწვია, რასაც ნავსადგურში მდგომი ნავთობის ტანკერის აფეთქება მოჰყვა.

1995 წელი, ქ. კობე, იაპონია

— 1950 წელს, ირანში ზედიზედ მომხდარმა სამმა მიწისძვრამ ოცი ქალაქი და უამრავი სოფელი დაანგრია, თუმცა მსხვერპლმა 1000 ადამიანი შეადგინა.

— 1968 წელს, ირანში კვლავ მოხდა მიწისძვრები, რომლებმაც ამჯერად ბევრად მეტი, 11.000 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

— 1972 წელს, მიწასთან გაასწორა ნიკარაგუას დედაქალაქი მანაგუა, რიხტერის სკალით 6,5 მაგნიტუდის მიწისძვრამ. მთავრობის სახლი და პრეზიდენტის სასახლეც კი დაინგრა.

— 1988 წელს, სომხეთში მომხდარმა მიწისძვრამ მიწასთან გაასწორა ქალაქები ლენინაკანი და სპიტაკი. დაიღუპა 100.000 კაცი.

— 1994 წელს მიწისძვრა ლოს-ანჯელესში თითქმის ანალოგიური სიმძლავრის იყო (6,9 მაგნიტუდა), მაგრამ მკვიდრად ნაშენმა სახლებმა გაუძლო და მეწყერმა მხოლოდ 30 კაცი იმსხვერპლა.

— 1995 წელს 7,2 მაგნიტუდის, უძლიერესი მიწისძვრა დაფიქსირდა იაპონიის საპორტო ქალაქ კობეში. დაინგრა 50.000 შენობა, დაიღუპა 5000 კაცი.

— 1999 წელს თურქეთის ჩრდილო-დასავლეთით მომხდარმა, 7,5 მაგნიტუდის მიწისძვრამ ათასობით ადამიანი იმსხვერპლა, დაანგრია ან ზღვაში ჩაიტანა სოფლები და ქალაქები.

■

ვაკეში მშენებარე სახლის კომპიუტერული ვერსია

„მშენებელი მამები“ ღილინ-ღილინით მიაჭრიალებენ ქრაფუსის ერეს...

ნავთობის, იარაღისა და ნარკოტიკების შემდეგ, საქართველოში ყველაზე მომგებიან ბიზნესად კაპიტალური მშენებლობები ითვლება. თუმცა, ამ ბიზნესზე ბევრი არ იწერება, არადა მასზე, კორუფციის მნიშვნელოვანი წილი მოდის. თემის მიჩუმათებით წლების განმავლობაში სარგებლობენ „მშენებელი მამები“ და ღილინ-ღილინით, უშფოთველად მიაჭრიალებენ თეთრ თუ შავ ფულს. უფუნქციოდ დარჩენილი პროფესიონალი მშენებლების აზრით, ბოლო დროს თბილისში აშენებული სახლების ერთი ნაწილი სამი წლის შემდეგ მიწაში „ჩაჯდება“, მეორე ნაწილი გადაიხრება, მესამე კი, ისეთი გარეგნობით, მტერს რომ დაუბრმავებს თვალს, ხუთ-ბალიან მიწისძვრასაც ვერ გაუძლებს და თავზე დაგვემხობა.

ნანა ქიბიმაური

იქნებ ვაჭარბებთ? ბოლოს და ბოლოს, მათ ხომ ტენდერში გამარჯვებული სამშენებლო ფირმები აშენებენ! სწორედ აქ ყოფილა ძაღლის თავი დამარხული. როგორც ჩვენი რესპონდენტის, წინათ სამშენებლო ტრესტის მმართველის, ამჯერად კი ფირმა „ლომისას“ გენერალური დირექტორის, *გიგლა არაბულის* საუბრიდან ირკვევა, სატენდერო კომისიები, რომლებიც სამშენებლო ლიცენზიებს გასცემენ, კორუფციის ბუდე კი არა – ბუნაგიც კი ყოფილა.

– ზოგს შენება, პამიდვრის მოყვანა ჰგონია, სახლი კი სამეურნეო პროდუქტი არ არის – დათესო, მერე დაჯდე და წვიმას დაელოდო. სახლის შენებას ცოდნა უნდა, აქ შენ ქმნი ყველაფერს, თითოეული ქვა შენ უნდა დადო ბალავარზე. ბუნება არაფერში გეხმარება და ეს საქმე თავისით არ გამოდის. ჩემი აზრით, მშენებლობები, რომლებიც სეისმურად აქტიურ ზონაში, ყოველგვარი სეისმური ნორმების დარღვევით მიმდინარეობს, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობით უნდა ისჯებოდეს. ეს არის დანაშაული, რომელსაც ფულის მოხვეჭის მიზნით შეგნებულად სჩადიან, არადა, უხარისხო მშენებლობა შენივე ხალხის ღალატის ტოლფასია. ჩვენთან ხომ ასეა: ადამიანი ზოგჯერ თავისი ცხოვრების ნახევარს ბინის საყიდელი ფულის გროვებაში ატარებს და წარმოიდგინეთ, რაა – ეღირსოს საკუთარ ჭერს, სამი წლის შემდეგ კი ნანგრევებში მოჰყვეს.

— მე მგონია, ჩვენთან ცოტა სხვაგვარად არის საქმე. დღეს სახლს მხოლოდ ისინი აშენებენ, ვისაც სულ ცოტა, სამი სახლი მაინც აქვთ...

– ეს კერძო მშენებლობებია. უსაფრთხოების ნორმები მათაც უნდა გაითვალისწინონ. იმ მშენებლებს კი, ვინც საცხოვრებელ კორპუსებს აშენებენ, გაცილებით მეტი პასუხისმგებლობა მართებთ. საცხოვრებელ სახლებს, ხშირ შემთხვევაში, ტენდერში გამარჯვებული ფირმები აშენებენ. ისინი ძირითადად არაპროფესიონალები არიან. უფრო სწორედ, მომგებიანი ბიზნესით დაინტერესებული „მშენებელი მილიციონერები“, ექიმები, მედდები, მეთევზეები და ა.შ. მათ სამშენებლო ინდუსტრიაში ახალი მოდა დაამკვიდრეს. ეს არის ქარხნული წესით დამზადებული კონსტრუქციების გამოყენება, არადა, ჩემთვის, როგორც პროფესიონალი მშენებლისთვის, წარმოუდგენელია სახლი მონოლითური კარკასის გარეშე, სპეციალისტების ანალიზის გარეშე, იგივე გრუნტის გამოკვლევისა და გეოლოგიური დასკვნის გარეშე. დღეს ამას არავინ აკეთებს. ამიტომ არის, რომ შენობები, რომლებიც ექვს სართულს აღემატება, ქარში ირწევა. მათი რხევის ამპლიტუდა კი კატასტროფულია.

— თქვენ თუ უფრო ხარისხიანად აშენებთ, მაშ რატომ აქვთ „მშენებელ მილიციონერებს“ თქვენზე მეტი დაკვეთები?

– იმიტომ, რომ მათ ზურგს უკან მშენებლობაში გაბატონებული მაფიის „მამები“ მოიაზრებიან. აქ ყველა ერთმანეთს აკეთებინებს ფულს. სხვანაირად იშვიათია მშენებლობის დაწყება. საერთოდ, ამ ბიზნესსაც, ისევე, როგორც სხვა დანარჩენს, რამდენიმე პარლამენტარი და მათთან დაახლოებული პირები ლობირებენ. შეივსება საინვესტიციო ფონდი, სამინისტროები გამოაცხადებენ ტენდერს, დილეტანტები „ჩააწყობენ“ და... ეს ხალხი სატენდერო კომისიას ისეთ არარეალურ პირობებს და აბსურდულ გაანგარიშებებს სთავაზობს, რომ სირცხვილია მათთვის პრიორიტეტის მინიჭება, მაგრამ ფაქტის წინაშე ვართ. 1993 წლიდან დაწყებულმა სამშენებლო ბუმმა დღეს თავის პიკს მიაღწია – მოკლედ, აშენებს ყველა, მშენებლის გარდა!

თუ მოსამართლეებმა გამოცდები უნდა ჩააბარონ, რატომ არ უნდა აბარებდნენ გამოცდებს მშენებლები? – ეს კითხვა ბევრს შეიძლება აბსურდულად მოეჩვენოს,



გიგლა არაბული

მაგრამ მე დიდ განსხვავებას ვერ ვხედავ. პირიქით, შეიძლება მოსამართლემ არასწორი გადაწყვეტილებით ერთი ეჭვმიტანილის სული დაამახინჯოს, მშენებელმა კი არასწორი გადაწყვეტილებით შეიძლება ასეულობით ოჯახი აზარალოს და სასიკვდილო საფრთხეც შეუქმნას. ჩვენ ათასობით ადამიანს ვაძლევდით თავშესაფარს, დღევანდელი მშენებლობები კი — აქ მიშენება-მოშენებებსაც ვგულისხმობ — საშიშროება უფროა, ვიდრე თავშესაფარი. ასე თუ გაგრძელდა, ჩვენ აპოკალიფსის წინაშე აღმოვჩნდებით. ეს ყველაფერი გამოწვეულია იმით, რომ სახელმწიფო არ არის დაინტერესებული იმით, რა ხდება ამ სფეროში, ვინ აშენებს ან როგორ, ან კიდევ, ისეთი პერსონები არიან ზედმეტად დაინტერესებულები, რომ ყველა თვალს იბრმავებს და „ვერ ამჩნევს“ მშენებარე კორუფციის ცათამბჯენს — ერთადერთ „ცათამბჯენს“ საქართველოში! მოკლედ, სურათი ასეთია: ჩვენს ქვეყანაში მცირე ბიზნესის განვითარებას შეგნებულად უშლიან ხელს და ეს არსად ისე საგრძნობი არ არის, როგორც სამშენებლო ბიზნესში. ფაქტია, საინვესტიციო ფონდი მთლიანად დილეტანტების მიერ არის ათვისებული.

— იქნებ მათ, თქვენ რომ დილეტანტებს უწოდებთ, უბრალოდ, მშენებლობაში დამკვიდრებული ძველი სტერეოტიპებიდან გადაუხვიეს, თქვენ კი „ძველმა მშენებლებმა“ ახლებურ პროექტებს ვერ აუღეთ ალღო...

— ასეთი რამ არ არსებობს. გამორიცხულია, მშენებელმა ახლებურ პროექტს ან გარკვეულ სტანდარტს ალღო ვერ აუღოს. 1961 წლიდან ერთი დღითაც არ მოვცილებივარ ჩემს საქმეს. სად აღარ ვმუშაობდი — არაბეთში, გვინეაში... მაგრამ ყველაზე რთული საინჟინრო ნაგებობა, რომელშიც გარკვევა გამიჭირდა, მარნეულისა და კაჭრეთის ელევატორების მშენებლობა იყო. ეს ამიერკავკასიაში იმ დროისთვის ყველაზე დიდი შენობა-ნაგებობა იყო. მაშინ ვიცინოდით კიდეც: რაღა ატომური რეაქტორი და რაღა ეს ჩვენი ელევატორიო... თანამედროვე ტიპის პროექტები ჩვენთვის ძალიან ადვილად წასაკითხია. ეს გარედან ჩანს რთული, თორემ გამოცდილი მშენებლისთვის არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს.

— თანამედროვე მშენებლობაში ძირითადად რა ნორმებია დარღვეული?

— ხშირ შემთხვევებში, სწორად არ არის შერჩეული გრუნტი, ხშირ შემთხვევაში, უგულებელყოფილია კარკასული შენობები, არ არის გეოლოგებისა და სეისმოლოგების დასკვნები, არადა, ჩვენთან ეს განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს. ამ ბოლო წლებში კიდევ ერთხელ შეგვახსენა ბუნებამ, რომ საქართველო განსაკუთრებულ სეისმურ ზონაშია მოქცეული. გახშირებულმა მიწისძვრებმა მშენებლობის სამინისტროს ბრძანების შეცვლისკენაც უბიძგა. ადრე თუ მშენებლობები შვიდ ბალზე პროექტდებოდა, ახლა რვა ბალზე ხდება გათვლა. როცა საუბარია სეისმომდგრადობაზე, აქ „ხალტურა“ წარმოუდგენელი და დაუშვებელია, თუმცა, ეს მხოლოდ ნამდვილ მშენებლებსღა ახსოვთ.

— ბავშვობიდან მახსოვს გეოგრაფიის ერთი გაკვეთილი, როდესაც მასწავლებელმა გვითხრა, რომ იაპონიაში, სადაც ყველაზე ხშირად ხდება მიწისძვრები, სახლები ბორბლებზე და რელსებზე დგას, მიწის ძვრის დროს კი, იაპონელი ბავშვები უფასოდ „კატაობენ“.

— ეს მასწავლებლის ფანტაზიის ნაყოფი უფრო მგონია. თუმცა, არც არის გამორიცხული: იაპონელებმა, ბოლოს და ბოლოს, წყალზეც დადგეს სახლები. არადა, რვაბალიანი მიწისძვრის დროს, ხიმინჯებზე მდგარი სახლიც არ არის საიმედო. სან-ფრანცისკოში მომხდარმა მიწისძვრამ, ერთი შენობაც კი ვერ დაძრა ადგილიდან. საერთოდ, ყველაზე უსაფრთხო ერთი და ორსართულიანი სახლებია. მე მიმაჩნია, რომ საქართველოში 6 სართულზე მეტი სიმაღლის შენობები არ არის საჭირო. ჩვენთან ხომ იაპონიასავით ადგილის დეფიციტი არ არის.

— ამჟამად თუ აშენებთ რამეს?

— ამჟამად ყიფშიძის ქუჩაზე ვაშენებთ მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლს.

— რამდენადაც მახსოვს, ადგილობრივი მოსახლეობა ამ მშენებლობის წინააღმდეგი იყო.

— ეს ყველაფერი არასწორი ინფორმაციის შედეგი იყო. აქ შვიდმეტრიანი ქვაბული ამოვიღეთ. გავრცელდა ხმები, რომ ეს საშიშროებას შეუქმნიდა სტუდქალაქის ტერიტორიაზე არსებულ ბარაკის ტიპის ორსართულიან შენობებს, რომლებიც საკმაოდ მოძველებულად ითვლება: დარღვეულია მათი კონსტრუქცია და იქ შესახლებულმა დევნილებმა ჩათვალეს, რომ მიმდინარე მშენებლობა მათ სახლებსაც შეუქმნიდა საშიშ-

გიგლა არაბული
მშენებლობაზე გვინეაში

როებას. დღეს ჩვენ უკვე მეოთხე სართულის მშენებლობას ვამთავრებთ, საკმაოდ ლამაზი სახლი გამოვა.

— გასაგებია, რომ თქვენ აშენებთ, მაგრამ თუ საიდუმლო არ არის, ვინ კურირებს ამ მშენებლობას?

— ამხანაგობა „2000“-ის დაკვეთას ვასრულებთ და იმედი გვაქვს, მშენებლობას ამ წლის ბოლოსთვის დავამთავრებთ.

— როგორც გავიგე, სახლი, რომელშიც თქვენ ცხოვრობთ, ერთ-ერთი ყველაზე რთული პროექტით გაქვთ აშენებული, კედლებზე კი, შპალერის ნაცვლად, გველის ტყავები გქონიათ გაკრული.

— დიდი არაფერი, ჩვეულებრივი სახლია, გველის ტყავები, პეპლებისა და მორიელების დაფები და სხვა მსგავსი ეგზოტიკური სანახაობანი კი, არაბეთსა და გვინეაში, სამსახურებრივი მივლინებების დროს შევაგროვე.

— არაბეთის და გვინეის მშენებლობებშიც გაქვთ მონაწილეობა მიღებული? კიდევ კარგი, ინდოეთშიც თქვენ არ აშენებდით, თორემ ახლა ეს ცუდი რეკლამა იქნებოდა თქვენთვის — ახლახან მომხდარ მიწისძვრას ვგულისხმობ, რომელსაც თითქმის არც ერთი სახლი არ გადაურჩა.

— რუსთავში ჩემი მუშაობის პერიოდში მიგვიწვიეს ინდოეთში, მეტალურგიული კომბინატის ასაშენებლად. ჩემი საბუთები ინდოეთში გასაგზავნად რატომღაც დაიწუნეს და არაბეთში, ცემენტის ქარხნის გრანდიოზულ მშენებლობაზე აღმოვჩნდი. ეს იყო 1968 წელს. შემდეგ მეორე მიწვევაც მივიღე — გვინეის რესპუბლიკაში. ეს წლები ჩემთვის ძალიან საინტერესო იყო. მიმაჩნია, რომ ორი საქმე, რომელიც კარგად გამომდის, არის შენება და ნადირობა. არაბეთში და გვინეაში ორივე პროფესიით (თუ ჰობით) მაქსიმალური სიამოვნების მიღების საშუალება მქონდა. ანტილოპები, პანტერა, აფთარი, ციცრები — ჩემი თითქმის ყოველკვირეული ნანადირევი იყო. მხოლოდ ორ ცხოველზე — ლომზე და სპილოზე სანადიროდ არ წავსულვარ. გვინეაში გზებზე შეგვხდებათ სპეციალური ნიშნები, რომლებზეც სპილოა დახატული და შესაბამისი წარწერაც არის: „ფრთხილად, ამ გზით სპილოები სარგებლობენ!“ ისინი იქ აგრესიულ ცხოველებად ითვლებიან და ჩვეულებრივი მოსახლეობა მათ მაქსიმალურად ერიდება. სადაც ჩვენ ვმუშაობდით, იქ გაუვალი ჯუნგლები იყო. ქვეწარმავლებისგან დასაცავად სპეციალურ ბადეებში ვიძინებდით. ამის გარდა, სხვა საშიშროებაც გველოდა — ეს იყო მანოს ტომი, ადგილობრივი კანიბალები — გვინეაში კაციჭამიების უკანასკნელი ტომი. ამ პირობებში ავაშენეთ საბჭოთა მშენებლებმა 30 მეტრიანი კაშხალი. უშიშროების შენიღბული თვალი ერთი ნაბიჯითაც არ გვცილდებოდა, ამიტომ იყო, რომ იემენში მომუშავეთაგან მხოლოდ სამი ადამიანი ვიყავით კომუნისტური პარტიის წევრები და პარტიის სამკაციან სხდომებსაც ვატარებდით. თუმცა, მე მოხსენებით არ გამოვდიოდი... ბევრი რამ ვნახეთ და გადავიტანეთ 26-27 წლის ბიჭებმა. უცხო მხარეში ან აფრიკელი შეგვჭამდა, ან უშიშროება დაგასმენდა, ან გველი გიკბენდა გაუვალ ჯუნგლებში. ყველაფერი ვაჟკაცურად გადავიტანეთ და კაშხალიც გეგმის შესაბამისად ჩავაბარეთ.

— თემიდან ვუხვევთ, მაგრამ მაინც არ შემიძლია არ გთხოვოთ მანოს ტომელებთან დაკავშირებით რაიმე კურიოზის გახსენება.

— როდესაც მათი კაციჭამიობის შესახებ გავიგეთ, ძალიან დავფრთხით. მერე ცოტა დაგვამშვიდეს — ისინი თეთრკანიანებს არ ჭამენო. რატომო, რომ ვიკითხეთ, გვიპასუხეს: შავკანიანი რომ შეჭამონ, ერთი თვის მერე თუ გაიგებს ვინმეო, თქვენ კი მაშინვე ყველას თვალში მოაკლდებით და უნდათ ახლა მაგათ პრობლემებიო?!.. თავიდან მართლაც ასე იყო, შემდეგ კი ისე შეიცვალა მდგომარეობა, რომ კინაღამ მანოელთა კერპად ვიქეცი.

— როგორ?

— ჩვენ სანამ კაშხლის მთლიან კონსტრუქციას არ შევკრავდით, არანაირად არ გვაძლევდა ხელს წვიმის სეზონის დაწყება. არადა, მთელი ტომი ათასნაირ რიტუალებს ასრულებდა, რომ წვიმა მოსულიყო და ცხელი ქარებისაგან გადამწვარი მოსავალი გადაერჩინა. არაფერმა არ გაჭრა. ერთ მშვენიერ დღეს ჩემთან დაძმობილებულ ერთ მანოს ტომელთან ვიხუმრე: როცა ამ კონსტრუქციის შეკვრას დავამთავრებ, წვიმას ღმერთი მაშინ გამოგვიგზავნის-მეთქი. მანოელი სადღაც გაიქცა. ცოტა ხანში ისევ მოვიდა და მკითხა: როდის დაამთავრებო? მე ვუპასუხე — ხუთშაბათს და მაშინვე იწვიმებს-მეთქი. ხუთშაბათს მართლაც მოვრჩით ჩვენს საქმეს და... არ დამიჯერებთ, ისეთი წვიმა წამოვიდა, კინაღამ წალეკა იქაურობა. მე ჩემს ქოხში ვისვენებდი. რაღაც ჩოჩქოლი მომესმა. გავიხედე გარეთ და რას ვხედავ: მთელი მანოს ტომი ჩემს სახლთან მოგროვილა და იარაღის ჟღარუნით მადლობას მიხდიან. ამ ამბის შემდეგ, ტომის ბელადმა სახლში მიმიწვია სტუმრად და თავისი ორმოცი ცოლიდან ერთ-ერთის ამორჩევა შემომთავაზა.

— მერე აირჩიეთ?

— როგორ ავირჩევდი?! ცხოვრებაში არ მინახავს ბებერ ზანგ ქალზე უარესი რამ.

— მეტს აღარც მე ჩაგეძიებით. მოკლედ, კაშხლის მშენებლობა დავამთავრეთ და შინ მშვიდობით დავბრუნდით. ჭირი იქა, ლხინი აქა...

— მთელი ცხოვრება შენებაში გავატარე, ბევრი რამ ვნახე, მაგრამ რაც დღეს მშენებლობაში ხდება — საკუთარი თვალით ვხედავ და მაინც ვერ ვიჯერებ, — როგორ შეიძლება, შენს ხალხს ასე უპასუხისმგებლოდ მოქცე! ასე თუ დიდხანს გაგრძელდა, ალბათ ვეღარ გავუძლებ, ჩემს საყვარელ საქმეს თავს გავანებებ და გულს ისევ ნადირობას გადავაყოლებ...

გიგლა არაბული გვინეაში

რამდენად არის გათვალისწინებული, შენობის პროექტირებისას, უსაფრთხოების ნორმები — ჩვენი ქალაქის სეისმურობიდან გამომდინარე? ამ საკითხზე ინტერვიუ ვთხოვეთ „თბილქალაქპროექტის“ მთავარ კონსტრუქტორს, ბატონ გივი ფიცხელაურს:

ჟილშენჯაღლი ლოჯიკის 99% დასანგრევია

ნინო შევარდნაძე

— ჩვენს ინსტიტუტში არქიტექტორების, კონსტრუქტორებისა და ინჟინრების კომპლექსური მუშაობა მიმდინარეობს. არქიტექტორი იწყებს, სახეს აძლევს პროექტს, კონსტრუქტორები ვანგარიშობთ ყველაფერს, რაც ეხება შენობის კონსტრუქციებს. ამას ვაკეთებთ სამშენებლო ნორმების დაცვით, რომელიც ითვალისწინებს სეისმიკას, სტატიკას და ა.შ., რათა ადამიანი დაცული იყოს — მიწისძვრისა თუ შენობაზე არსებული ჩვეულებრივი დატვირთვის დროს. ადრე თბილისი „7 ბალიანად“ ითვლებოდა, ახლა ყველა შენობის გათვლა უკვე 8 ბალზეა გათვალისწინებული. ღმერთმა ნუ ქნას, მაგრამ თუ მოხდა მიწისძვრა, ახალმა შენობამ უნდა გაუძლოს ან ისეთი დეფორმაცია მიიღოს, რომ კატასტროფული ნგრევა არ მოხდეს. სამწუხაროდ, დღეს თბილისში ბევრი ისეთი სახლია, რომელიც 7 ბალიანს კი არა, 6 ბალიან მიწისძვრასაც ვეღარ გაუძლებს. ეს არის უამრავი ძველი შენობა. მე უკვე ოთხი წელია, რაც შენობათა ავარიული ხარისხის დამდგენი კომისიის წევრი ვარ, რომელიც მერიის დაქვემდებარებაშია. თბილისში 2000-მდე ავარიული შენობაა, რომელიც მოვლას საჭიროებს, მაგრამ ბიუჯეტში საჭირო თანხების უქონლობის გამო, მათი გამაგრება და მოწესრიგება წარმოუდგენელია. კერძო სახლებს თავად მეპატრონეებიც შველიან. მრავალსართულიანი სახლების გამაგრება კი ხდება, მაგრამ თითოოროლა. ასეთებია ვარკეთილის, დიდი დიღმის, მუხიანის 9, 10, 12 და 16 სართულიანი სახლები, რომლებიც დააზიანა მიწისქვეშა კომუნიკაციების (წყალსადენი, კანალიზაცია) მოუწესრიგებლობამ და მწყობრიდან გამოსვლამ. უნდა აღვნიშნო მთაწმინდის, კრწანისის, ჩუღურეთის რაიონებში მდებარე ძველი სახლები, რომლებიც თავის დროზე საერთოდ არ იყო მიწისძვრებზე გათვლილი. მაშინ ეს სამშენებლო ნორმებიც არ არსებობდა.

გივი ფიცხელაური

— მრავლად თუ შენდება ამჟამად მრავალსართულიანი სახლები თბილისში?

— მრავალსართულიანი შენობების მშენებლობები ამჟამად აკრძალეს — არა სეისმიკის გამო, არამედ ქალაქის განაშენიანების პრინციპებიდან გამომდინარე. კალიფორნია, იაპონია 8-9 ბალზეა გათვლილი, მაგრამ იქ 100 სართულიან შენობებსაც აშენებენ. ჩვენ 8 ბალის გათვალისწინებით ვაპროექტებთ ახალ შენობებს, თუმცა ვიმეორებ — ღმერთმა ნუ ქნას ასეთი მძლავრი მიწისძვრა! 7 ბალსა და 8 ბალს შორის განსხვავება ორჯერ დიდია. 8 ბალი თავისი კატასტროფული შედეგებით, ორჯერ უფრო დამანგრეველია, ვიდრე 7 ბალიანი ბიძგები.

— სამშენებლო უსაფრთხოების დარღვევაში უბრალო მოქალაქეებიც ხშირად სცოდავენ...

— რა თქმა უნდა. თვითნებური წესით არაფერი არ უნდა გაკეთდეს. ეს უმეტესად, დაშენებას ეხება. სანამ მშენებელი მუშაობას დაიწყებს, მანამდე მეპატრონე მიდის გამგეობაში და იღებს ნებართვას ან ჩვენგან, ან სეისმიკის ინსტიტუტიდან, ვისაც აქვს ამის უფლება და ამის ლიცენზია. ზოგჯერ არის ისეთი შენობა, როცა სეისმიკის გათვალისწინებით არ შეიძლება მასზე დაშენება. მაგალითად, „ხრუშჩოვის ტიპის“ ბლოკის 5 სართულიან შენობაზე მე-6 სართულის დაშენება არ შეიძლება, 4-იანზე მე-5 სართული შეიძლება დაშენდეს — რა თქმა უნდა, გარკვეული პირობების გათვალისწინებით. ლოჯიების მიშენებას რაც შეეხება, ეს საერთოდ აკრძალულია. მე თუ მკითხავთ, მიშენებული ლოჯიების 99% დასანგრევია. მაგალითად, მე პირადად მივიღე მონაწილეობა ორ სახლზე მიშენებული ლოჯიების დანგრევაში. ეს მოხდა ავჭალის გზატკეცილზე, მე-8 საავადმყოფოსთან. ორი ლოჯია ავაფეთქეთ და ისე ჩამოვანგრიეთ. ხალხი იმ მდგომარეობამდე იყო მისული, რომ თვითონ გვეხვეწებოდა ამას.

— ბატონო გივი, არის შემთხვევები, როცა ზოგი, საცხოვრებელ ბინაში გადასვლამდე ან მშენებლობის პროცესშივე აკეთებს რემონტს. რამდენად საშიშია ეს?

— ამასაც სპეციალური ნებართვა სჭირდება, რათა თავიდან იქნას აცილებული უბედურება. ერთ მაგალითს ჩემი პრაქტიკიდან მოგიყვანთ. იყალთოს აღმართზე არის 14 სართულიანი შენობა, „მხატვრების სახლს“ ეძახიან. მის მშენებლობაში მეც ვმონაწილეობდი. მახსოვს, კოოპერატივის თავმჯდომარე მოვარდა აღელვებული — ვიღაცა მე-2 სართულზე კოლონას ჭრისო. მივედით და ვნახეთ, რომ მზიდ კონსტრუქციაში, რომელსაც „უჭირავს“ ეს 14 სართული, 4 არმატურიდან ერთს ჭრიდნენ: კაცმა აგვიხსნა — „ნიშაში“ ხის „სტენკა“ არ ეტეოდა და იმიტომ ვჭრიდიო... თითოეული სახლის აგებისას, მნიშვნელოვანი გადაკეთებისას, აუცილებელია ყველა ნორმის დაცვა, პროფესიული პროექტირება, და, თავისთავად ცხადია, ხარისხიანი მშენებლობა. თუ ყველა პროცესი სწორად იქნება აწყობილი, მაშინ ყველაფერი რიგზე იქნება და ვერც მიწისძვრა დაგვაკლებს რამეს. ■

ვრეუ მხითარიანს ანუ სერჟიკას, „მშრალი ხიდის“ „მაკლერების ბირჟაზე“ ყველა იცნობს.

ვისაც ამ „კანტორის“ გავლით უყიდია ან გაუყიდია ბინა, ისიც და სხვებიც დაგვეთანხმებიან, რომ მაკლერებს ბევრი არ ენდობა და ბინისა და სახლის ყიდვა-გაყიდვასაც თბილისში მომრავლებული უძრავ-მოძრავი ქონებით მოვაჭრე ფირმების შუამავლობით არჩევს, იმის მიუხედავად, რომ მაკლერებზე მეტ პროცენტს ის ფირმები ახდევინებენ.

ახალი აშენებული სახლები, ბევრი „უტვინოდ“ არის გაკეთებული

ᲒᲕᲘᲐᲓ ᲒᲣᲠᲣᲚᲘ

ვერ გეტყვით, აქვს თუ არა ამ უნდობლობას რაიმე საფუძველი, მაგრამ სერჟიკას დიდი ხანია ვიცნობ და ვიცი, რომ სხვა კაცია: „კარინოი თბილისელი ვარ, მთელი თბილისი ერთმანეთის ნაცნობ-ძმაკაცები ვართ. კაცი ორი კაპიკის გულისთვის რომ მოვატყუო და მერე ახლობელი აღმოჩნდეს, თვალებში როგორ შევხედო. ჯერ ერთი, ვინღა ტყუვდება და მეორეც — ფულის გულისთვის კაცი როგორ დავაჯერო, თუ სინამდვილეში არ ვარგა, რომ ბინა კარგია“.

თუმცა, მე არც ბინის გასაქირავებლად ვიყავი მისული და არც საყიდლად — ჩვენი ჟურნალის დღევანდელი მთავარი თემიდან გამომდინარე, თბილისური სახლების ავ-კარგიანობის მცოდნეებად, სპეციალისტებთან და ოფიციალურ სტრუქტურებთან ერთად, მაკლერებიც მივიჩნიეთ და, ალბათ, არც შევმცდარვართ. მით უმეტეს, რომ ჩემი რესპონდენტი მაკლერობამდე 35 წელი მშენებელი იყო.

— სერჟიკ, კვირა არ გავა, სადმე დიდი მიწისძვრა არ მოხდეს. თბილისსაც ხომ ბოლო დროს ხშირ-ხშირად „შეაძაგძაგებს“ ხოლმე. ხშირად გამიგია, — ესა და ეს სახლი ავარიულია ან საძირკველი აქვს მორყეული და მიწისძვრას ვერ გაუძლებსო. შენ მთელი ქალაქი იცი, რას იტყვი — ბევრია თბილისში ასეთი სახლი?

— აქეთ, ქალაქის ცენტრში და ძველ უბნებში ას-ასი წლის სახლებია და თუ დასანგრევი იყო — დაინგრეოდა. მაშინ სხვანაირად აშენებდნენ — რასაც აკეთებდნენ, ნაღდი იყო. ახლა შეიძლება ზოგან კედლები დასკდა და ზოგან სახურავმა ჩაიწია, მაგრამ ეგ უკვე სიძველის ბრალია და თანაც, არა მგონია, რომ უცბად, ერთიანად ჩამოინგრეს. ეს კი არა, „უვერენი“ ვარ, ეგ დაბზარული სახლები ეგრევე დაბზარული დარჩება და „ნი დაი ბოგ“, მიწისძვრა რომ იყოს, ახალი კორპუსები უფრო დაინგრევა.

ჰო, ეგ ძველი სახლები. ახლები — ბოლო 20-25 წლის აშენებულები, ბევრი ძალიან „უტვინოდ“ არის გაკეთებული. თვითონ ნახე — ქალაქში რომ გაიარო, რამდენი სახლია — ზოგს რკინის „სტოიკები“ აქვს შეყენებული, ზოგი გარშემო „არტახებით“ არის შეკრული და ზოგი როგორ. ცოტა ხანი ეშველება, მაგრამ რამე რომ მოხდეს...

არადა, მაგის საშვილიშვილოდ გამაგრება იმდენი დაჯდება, ლამის ახლის აშენება სჯობს. ისე, შარშან ვარკეთილში ერთი თექვსმეტსართულიანი კორპუსი „დაჯდა“, მაგრამ მთავრობამ მაგრად „გაიგიჟა თავი“ და მართლა კარგად გააკეთეს. ხო იცი, რა დროც იყო — ზოგი ცემენტს იპარავდა, ზოგი არმატურას, ზოგი ხუთი დღის მუშაობის მაგივრად ორ კვირას აფორმებდა და ფუნდამენტს მიწაზე სვამდნენ — ფულს აკეთებდა ყველა. რაც თბილისში კორპუსები „დაჯდა“ სულ მაგის ბრალია — ფუნდამენტი, სანამ მიწა არ მორჩება და „სკალამდე“ არ მიხვალ, მანამდე უნდა თხარო, მაგრამ ვინ უყურებდა მაგას?! ყველაზე მაგარი სახლები მაინც „სტალინსკის“ რომ ვეძახით — ის სახლებია. ჯერ ერთი — ვინ რას მოიპარავდა, მოიპარავდა და, ხომ იცი, რასაც უზამდნენ, მერე კიდევ — ომის მერე გერმანელ ტყვეებს ამუშავებდნენ მშენებლობებზე, მარტო მუშებად კი არა — ინჟინრებადაც. რა, ამათ ვერ აჯობებდნენ, თუ რა?! ჰოდა, იმიტომაც არის — აბა ნახე, რომელიმე სახლს რამე თუ სჭირს. როგორც იდგა ორმოცდაათი წლის წინ, ისევ ისე დგას და კიდე იდგება, „კაკ მინიმუმ“ — ასი წელი.

ახლა, წეღან რომ გითხარი: ფულს აკეთებდნენ და იმიტომ არ ვარგა-მეთქი ფუნდამენტები. სულ ეგრე კი არ არის, ზოგან ჭკუა არა ყოფნიდათ, — დიდ დიღომში, ამბობენ, რამდენიც გინდა, თხარე, მაგარ „პოჩვამდე“ ვერ მიხვალო. იქ საერთოდ არ შეიძლებოდა მაღალი კორპუსების დადგმა.

სომხეთში რომ დიდი მიწისძვრა იყო — ხომ დამტკიცდა, რომ სახლების უმეტესობა ზუსტად ცემენტის უკმარისობამ დაანგრია — სულ აგურ-აგურ დაიშალა.

— ძველ აშენებულებზე — გასაგებია. ახლა რომ მიდის ქალაქში უამრავი მშენებლობა, ამაზე რას იტყვი? ბევრი ბინა უკვე წინასწარ იყიდება, კლიენტები და გამყიდველები თქვენ-

თანაც მოდიან და მაგ სახლების ამბავიც გეცოდინება.

— ახლა სხვა დროა. მაგ მშენებლობებიდან 80 პროცენტი კერძო კორპუსებია — წინასწარ იციან, ვინ უნდა იცხოვროს. თავისთვის ცუდად ხომ არ გააკეთებენ?! ახალი მშენებლობა კი არა, ბევრი დაშენებაც ისე კარგად გააკეთეს, რომ რაც იყო — ისიც გაამაგრეს. ოღონდ ეს „ლოჯობანა" რომ დაიწყო და აღარ დამთავრდა, მაგას რა ეშველება, არ ვიცი. რკინის კარკასით გაკეთება როგორ შეიძლებოდა — ახლა იმ ლოჯების საძირკველი და თვითონ კორპუსის საძირკველი ცალ-ცალკე მოძრაობს. თვითონ ნახავ, შეიძლება ერთი ათი წელი გავიდეს და მეხუთე სართულის ლოჯია მეოთხეს „მიადგეს".

ხალხმაც უკვე იცის ყველაფერი. ბინის საყიდლად რომ მოდიან, ადრე თუ მიშენებულს ეძებდნენ — ფართობის გამო, ახლა პირიქით — მაგაში ფულს ამატებენ კი არა, უფრო იაფს იძლევიან.

თუმცა, ყველგან ეგრე არ არის. როგორც კი რამე ახალს დავინახავ ქალაქში, მაშინვე ვინტერესდები ხოლმე. ამას წინათ წერეთელზე ვნახე მიშენება, ახალგაკეთებულია. მართლა კარგად უმუშავიათ — იმ ბინის ყიდვა ნაღდად ღირს.

— საერთოდ, რა მდგომარეობაა: იყიდება სახლები, გაქვთ სამუშაო?

— სადღაა სამუშაო?! თვეში ერთი ბინა რომ გავყიდო, უკვე კმაყოფილი ვარ. ხალხს ფული აღარა აქვს. ან ბინა რად უნდათ — როგორც კი ცოტა ფულს იშოვიან, ვიზას და თვითმფრინავის ბილეთს ყიდულობენ და საქართველოდან გარბიან.

ბევრი ვიცი, როგორღაც მოახერხა თავისი ბინის გაყიდვა, იმ ფულის ნახევრით ცუდი ბინა იყიდა („ნა ვსიაკი პაჟარნი"), ქუდი დაიხურა და საზღვარგარეთ წავიდა, არც კი გააქირავა. აი, იმ „ავარიულ" ბინებსაც ეგეთები ყიდ-

ულობენ.

— კლიენტი თუ კითხულობს სახლის ან კორპუსის მდგომარეობას? მახსოვს, ადრე ამაზე არც იყო ხოლმე საუბარი.

— ადრე მართლა არ იყო: „რომელი სართულია, ტელეფონი თუ არის, რემონტი..." — მორჩა, მეტი არაფერი აინტერესებდათ. მერე წავიდა: „შუქი „პასტაიანად" არი?", „ლევი ხაზები აქვს?", „ლიფტი მუშაობს?"

ამ ბოლო დროს კიდევ ეგ დაემატა — „როგორი კორპუსია, „პადვლებში" წყალი ხომ არ დგას, გადახრილი ხომ არ არის" და ეგეთები.

— აქედან გამომდინარე, ალბათ ფასშიც სერიოზული სხვაობა იქნება.

— მაშ როგორ! თუ, მაგალითად, 15 ათასი დოლარი ღირს ორი ან სამოთახიანი ბინა ნორმალურ კორპუსში, ისეთივე, ოღონდ „არასაიმედო" სახლში — 8-9 ათასად ფასობს და ამდენსაც არავინ იხდის, კიდევ აკლებინებენ.

— საერთოდ იყიდება? თუ რაღაც რისკი მაინც არის, რატომღა ყიდულობენ, თუნდაც ნახევარ ფასად?

— რაშია, იცი, საქმე? გამყიდველმა კი იცის, რომ დღეს და ხვალ არ დაინგრევა ის სახლი და გაყიდვითაც იმიტომ კი არ ყიდის, რომ იქ ცხოვრების ეშინია — უბრალოდ, ფული სჭირდება და ყიდის. მაგრამ ისიც იცის, რომ ნორმალურ ფასს არავინ მისცემს, წავა კლიენტი და სხვას იყიდის: „დეფიციტი" ხომ არ არის.

მყიდველი კიდე, ამ გაჭირვების დედა ვატირე, ოღონდ ბინაში შევიდეს, ერთიორი ათასიც დააკლებინოს და აღარ ფიქრობს — საშიშია თუ არა. ან ფიქრობს, რაღა მე დამენგრევა თავზე, ჯერ არავის დანგრევიაო...

ყოველ შემთხვევაში, კი ინტერესდებიან, მაგრამ ოფიციალური ექსპერტის ცნობა არც ერთ მყიდველს არ მოუთხოვია საცხოვრებელი კორპუსის მდგომარეობის შესახებ. არადა, ასეთ ცნობას ტექბიურო მართლა იძლევა.

— რა ცნობაზეა საუბარი?

— საერთოდ, ტექბიუროს ცნობა აუცილებელია ბინის ყიდვა-გაყიდვისას — ისე ნოტარიუსი არ გააფორმებს. იმ ცნობას რომ იძლევიან, ბინის ფართობის, სართულის, კომუნალური პირობების და სხვა რამეების გარდა, ეგეც უნდა ეწეროს, მე თუ მკითხავ, — საერთოდ, კორპუსი რა მდგომარეობაშია.

თუმცა, ერთი კი არის — თუ სახლი სერიოზულად ავარიულია და ტექნიკური ბიუროს ექსპერტიზამ დაადგინა ეს ამბავი, იმ ბინებზე გასაყიდად ცნობებს არ გასცემენ, სანამ გასამაგრებელი სამუშაოები არ დამთავრდება, რომ მყიდველი შეცდომაში არ შევიდეს.

ყოველ შემთხვევაში, წესით ესეა და კეთდება თუ არა, მაგის გაგება თქვენი საქმეა.

ერთი სტყვით, თუ ბინის ყიდვას გადაწყვეტთ, როდესაც სხვა პირობებს გაიგებთ, გირჩევთ, შეგულებული კორპუსის სარდაფიც დაათვალიერეთ და სადარბაზოებს შორის დაშორება პირველ და ბოლო სართულებზე, ერთმანეთს შეადარეთ. ბზარების გაზომვაც არ იქნებოდა უადგილო...

თუმცა, ყველაფერს სჯობს, მშრალ ხიდზე, სერჟიკას მიაკითხოთ — ის ყველაფერს მოგიგვარებთ. შეიძლება „სტალინსკი" ბინაც გაყიდინოთ იაფად, რომელიც — „კაკ მინიმუმ" — ასი წელი მაგრად იდგება.

■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა დვალის
უშის წიგნაკიდან:

1. ფაშისტური გერმანიის სამხედრო დაზვერვას აბვერი ერქვა.

2. რომის იმპერიაში ქალაქ კაპუას სუნამოს მკეთებელთა ქალაქს ეძახდნენ.

3. ერეტიკოსთა კოცონზე დაწვის დროს საეკლესიო ქორო გალობდა: „ANATHEMA SIT! MISERERE MEI!“ („შეჩვენება მას! შემიწყალე მე!“)

4. ბალთაზარ კოსას დანაშაულებათა სიას აგვირგვინებს კოცონი, რომელზეც ეკლესიის მამების ნებით იან ჰუსი დაწვეს.

5. გალების ჭექა-ქუხილის ღვთაებას ტარანი ერქვა.

6. ლეონარდო და ვინჩი მექანიკას „მათემატიკურ მეცნიერებათა სამოთხეს“ უწოდებდა.

7. სივრცის შიშს, როდესაც ადამიანი ვერ ახერხებს, გადაიაროს მოედანი ან დიდი დარბაზი, აგორაფობია ეწოდება.

8. ბრინჯაოს ციხეში ჩაკეტილ დანაიდასთან იუპიტერი ოქროს წვიმის სახით შეიპარა.

9. ოქტავიანემ ლაპიდუსსა და ანტონიუსთან ერთად მეორე ტრიუმვირატი შეადგინა.

P.S. პირველ ტრიუმვირატში შედიოდნენ: კრასუსი („ფული“), პომპეუსი („ძალა“) და კეისარი („ნიჭი“).

10. ოლიმპი ყველაზე მაღალი მთაა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე.

11. უინსტონ ჩერჩილის დედა უელსის პრინცის საყვარელი იყო.

P.S. მომავალი პრემიერ-მინისტრი გამოსასვლელი სიტყვის რეპეტიციას სარკის წინ გადიოდა.

12. ოქროს ფულით სავსე ჩემოდანი პეპი გრძელი წინდას ბედნიერი ბავშვობის გარანტი იყო.

13. რომის პაპმა, სტეფანე VI-მ თავისი წინამორბედი, ფორმოზი, საფლავიდან ამოათხრევინა და 20 დღის აყროლებული გვამი გაასამართლა.

14. ყარაბაღის ომის დროს სომხების მიერ ქალაქ შუშას აღების შემდეგ თბილისელი სომხები ერთმანეთს ირონიულად ულოცავდნენ „პაზდრავლიაიუ, ნაში

ვახტანგ ხონელი

მივლინება

უძრაობის „მშვენიერი“ ხანა იდგა, მაგრამ ერთი კი იყო, რომ ვერც პატარა და ვერც დიდი პრობლემა მოსკოვის გარეშე, რესპუბლიკის შიგნით ვერ წყდებოდა. ამიტომაც, ხშირად მიწევდა „დიდ დედაქალაქში“ ჩასვლა. თუმცა, ცოდვა გამხელილი სჯობს: როცა შემაგვიანდებოდა რუსეთში მივლინება, თითქოს რაღაც მაკლდა – ადგილს ვერ ვპოულობდი და ერთი სული მქონდა, როდის გამომიძახებდნენ სამინისტროში და მეტყოდნენ სასურველ წინადადებას – მოსკოვში უნდა გაფრინდეო. მეც, რა თქმა უნდა, ოპერატიულად მოვემზადებოდი „გასაფრენად“.

ერთ-ერთი ასეთი გაფრენა-ჩაფრენის შემდეგ, ხუთდღიანი მივლინებისას, მთავარ საქმეს ორ დღეში მოვრჩი და გადავწყვიტე, დანარჩენი სამი დღე გართობადასვენებისთვის დამეთმო. ასეც მოვიქეცი. ვინ იცის რამდენჯერ ნანახი, კიდევ ერთხელ დავათვალიერე, „ნაცნობ-მეგობრებსაც“ დავურეკე, მოვინახულე და თბილისში გამომგზავრების წინა დღეს, ნომერში ასვლამდე, სასტუმრო „როსიას“ რესტორანში ვახშმობა განვიზრახე.

თითქმის ყველა მაგიდა დაკავებული იყო. ნაცნობმა ოფიციანტმა ერთ მაგიდასთან მიმიყვანა, სადაც 40-45 წლის ქალი და მამაკაცი ისხდნენ. ოფიციანტს შეკვეთა მივეცი და წყვილი შევათვალიერე. ჩაცმულობაზე ეტყობოდათ, მატერიალურ მდგომარეობას, არ უჩიოდნენ: კაცი ძვირად ღირებულ შავ კოსტიუმში იყო გამოწყობილი და წითელი ჰალსტუხი ეკეთა, ქალი კი ერთიანად ბრჭყვიალებდა, იმდენი ოქრო-ბრილიანტი აესხა. ვახშამი მომიტანეს: მოსკოვური სალათა, წიწილა და ყავა. მოშივებული, მადიანად შევექეცი. ქალმა ჩემს ვახშამს ამრეზით დახედა, მერე დიდხანს მიყურა, ბოლოს, ცნობისმოყვარეობა ვერ დამალა და ინტერესით ჩამეკითხა:

– თქვენ ჩვენი მხარისა არ უნდა ბრძანდებოდეთ?!

– სამხრეთელი ვარ, კავკასიიდან! – მივუგე მოკლედ.

– აჰა, გასაგებია! მე და ჩემი მეუღლე – ივან მიხაილოვიჩი ამ ორი თუ სამი წლის წინ თქვენს დედაქალაქში ვიყავით. მშვენიერი და თბილი ქალაქია ტაშკენტი, ფრიად მოხიბლული დავრჩი.

– ტაშკენტი რა შუაშია? მე საქართველოდან ვარ? ძლივს გადავყლაპე ყელში გაჩხერილი ლუკმა.

– Ну, какая разница – აგდებულად აიქნია ხელი. მეწყინა, მაგრამ თავი შევიკავე. ამ ტუტუცი დედაკაცისთვის სულერთი იყო, კავკასიონი ამუდარიის პირას იქნებოდა თუ საჰარის უდაბნოში. მივხვდი, უვიც ხალხთან მქონდა საქმე, ამიტომაც საუბარი აღარ გამიგრძელებია. ქალმა მაინც ვერ მოისვენა, ჩემს ჭიქაში ქმარს არაყი დაასხმევინა და თვალებში შემომცინა – მიირთვითო. დალევის გუნებაზე არ ვიყავი, მით უფრო – ამათგან არაფერი მსურდა და სასმელზე ზრდილობიანი უარი ვუთხარი.

– აა... გასაგებია! სარწმუნოება არ გაძლევთ ნებას, არა? სამწუხაროდ, თქვენი „კუმისი“ მოსკოვში ჯერ არ არის გაყიდვაში! – „თანაგრძნობით“ მითხრა გალინა ვასილევნამ.

ახლა კი ხველა ამიტყდა... ცოტათი

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა ლეკალილ
უბის წიგნაკიდან:

რომ დავწყნარდი, პატარა ისტორიული გაკვეთილი ჩავუტარე თანასუფრელებს:

— პატივცემულო გალინა ვასილევნა, ქართველები ქრისტიანები ვართ. სხვათა შორის, თქვენზე ბევრად ადრე მივიღეთ ქრისტიანობა. საქართველო ყურძნისა და ღვინის ქვეყანაა. ქრისტიანული სარწმუნოება კი არ კრძალავს ღვინის ზომიერ სმას.

— თქვენზე ამბობენ, ქალებს იტაცებენო, მართალია? — დამისვა მორიგი კითხვა.

გამეცინა. უცებ თავში რაღაცამ გამიელვა და როგორც არასდროს, ისე მომინდა რუსების გაბიაბურება.

— რა თქმა უნდა! მე პირადად, სამი ქალი მყავს მოტაცებული და მათგან ცხრა შვილი მყავს. ცოლები მეგობრულად ცხოვრობენ ერთად და რიგრიგობით ელიან ჩემთან სასურველ ღამეს.

— რა საინტერესოა?! — აღტაცებისგან ტაში შემოჰკრა ქალმა — როგორი ეშმაკი ყოფილხართ Вахтанг Александрович, — მითხრა და თვალებგაბრწყინებულმა თითი დამიქნია.

მეც „შევიფერე“, თავი დავხარე და, რომ არ გამცინებოდა, ყავა მოვსვი.

— მე რომ ერთი იმათგანი ვიყო, ორ დანარჩენს თვალებს ამოვკაწრავდი, — თქვა და კვლავ კეკლუცად გადაიკისკისა — თქვენს ქვეყანაში რომ მოვხვდე, მეც მომიტაცებენ? — მკითხა და იმხელა სურვილი იგრძნობოდა მის ხმაში, რომ ალალად შემებრალა, ამიტომაც სწრაფად მივუგე:

— თქვენი გარეგნობის ქალს დიდი სიფრთხილე მართებს ჩვენში... ივან მიხაილოვიჩის ადგილას რომ ვიყო, არამც და არამც არ გაგიშვებდით საქართველოში.

გალინა სერგეევნას სახე გაებადრა:

— თუ ასეა, გაისად მარტო ჩამოვალ კავკასიაში და ეძებოს მერე ჩემმა ქმარმა ჩემი კვალი... ამაზე რას იტყვი, ვანია, შენ ხომ მაძლევ სრულ უფლებას, მოვიფიქრე ისე, როგორც მინდა? — მიუბრუნდა ქმარს. მან მორჩილად შესცინა სახეში და თავი დაუქნია... ცოტა ხანში, ქალი ჩემი მოსკოვური ვიზიტით დაინტერესდა:

— თუ საიდუმლო არ არის, აქ რისთვის ჩამობრძანდით?

— საიდუმლო სულაც არ არის. გადავწყვიტე მეოთხე ქალის შერთვა — ამჯერად მოუტაცებლად. გავივლ-გამოვივლი მოსკოვში, გავიცნობ სიმპათიურ ქალს, თუ მომეწონება, შევირთავ და საყვარელ მეუღლედ გამოვაცხადებ.

— კი, მაგრამ კანონი ხომ კრძალავს მრავალცოლიანობას? — დაეჭვებულმა, ცალი წარბი ასწია გალინა ვასილევნამ.

— ჩვენი, ქართული სარწმუნოება ნებას გვრთავს და არც მთავრობა გვიშლის გადაშენების გზაზე დამდგარ მცირე ერს გამრავლებას.

— ღმერთო ჩემო, რა საინტერესოა! — ისევ აღტაცებით წამოიძახა ქალმა, ქმარს ცერად გადახედა და მუდარით მთხოვა, ერთი ჭიქა არაყი დამელია. ამჯერად აღარ ვიუარე.

— რა ტემპერამენტიანი ხალხი ყოფილხართ სამხრეთელები: სამი ცოლი და სამივე კმაყოფილი თავისი ბედით... კი, მაგრამ რას საქმიანობთ, ასეთი დიდი ოჯახის შენახვას როგორ ახერხებთ?

სასმელმა თავისი ქნა და მეც ბოლომდე „გავაჭენე“:

იალბუზის მთის ძირას ვცხოვრობ და თოვლისა და ყინულის ექსპორტზე ვმუშაობ, აფრიკის ცხელ ქვეყნებს ვაწვდით ამ ძვირფას „ნედლეულს“. ძალიან სარფიანი საქმეა.

— როგორ ახერხებთ ტრანსპორტირებას? — მკითხა თვალებგაფართოებულმა და კვლავ შემივსო ჭიქა.

— თქვენ გაგიმარჯოთ!.. — ავწიე სასმისი და გადავკარი. — მდინარე მტკვარი იალბუზიდან მოედინება და შავ ზღვას ერთვის. ყინულითა და თოვლით დატვირთული გემთა „ქარავანი“ მდინარე მტკვრით შავ ზღვაში გადის, მერე კი, დარდანელისა და სუეცის არხების გავლით, აფრიკის ნაპირებს მიადგება!

— საბოლოოდ ავუშვი „აფრები“.

— აი, ხედავ, ძვირფასო, როგორი პრაქტიკულები არიან სამხრეთელები. ციმბირში ამდენი ყინული და თოვლი გვაქვს და ვერავინ მოიფიქრა მისი გაყიდვა.

— გალინა ვასილევნა, სკოლაში გეოგრაფიას თუ გასწავლიდნენ?

— ვკითხე უეცრად.

— რა თქმა უნდა!

— მე იმისი დედა და მამა... ვინც შენ გეოგრაფია გასწავლა... ეი, ვანია, ადექი და დროზე გამაცალე შენი ბრიყვი ცოლი, თორემ ჩემს საქციელზე პასუხს აღარ ვაგებ, იცოდე! — ვიყვირე და საარყე გრაფინს დავწვდი მოთმინებადაკარგული.

ხმაურსა და აურზაურზე უცებ გაჩნდნენ წესრიგის დამცველნი და გაქაჩული მიმიყვანეს მილიციის განყოფილებაში.

ახლა თქვით, კაცმა კაცი რატომ მოკლაო?!

■

შუშუ ვზიალი!“

15. ალიგატორები მხოლოდ ჩინეთში და ჩრდილოეთ ამერიკაში ბინადრობენ.

16. ალიბი ლათინურად სხვა ადგილს ნიშნავს.

17. „რომს ჭამდნენ რომის პაპები. მხოლოდ ერთი პაპი, ალექსანდრე V, ჩანს სხვებთან შედარებით პატიოსანი და ისიც ჭამას გადაჰყვა. რომს ჭამდნენ რომის პაპები“ — წერდა აკაკი გელოვანი.

18. მშრალ კედელზე წყლიანი საღებავებით შესრულებულ მხატვრობას ალსეკო ჰქვია, ხოლო სველ კედელზე შესრულებულს — ალფრესკო.

19. სანტიმეტრის მეასმილიონედს ანგსტრემი ჰქვია.

20. ბრძენი კინო-ლოკო, პოეტი ჰილარიო ბუერა, მჭედელი დაჰკა-დაჰკა, ფეხბურთელი კვანტი დაუდე, ხაბაზი ცომი ზელია, ფოსტალიონი სირბილა, ჯამბაზი ალე ჰოპი და მოკრივე მიდი მოადე — არჩილ სულაკაურის „სალამურას თავგადასავალის“ პერსონაჟები არიან.

21. ფარითა და მახვილით შეიარაღებულ გლადიატორს სეკუტორი ჰქვია, ბადითა და სამკბილათი შეიარაღებულს — რეციარი.

22. ისლანდიის პარლამენტს ალთინგი ჰქვია.

23. მარკუს კრასუსი პართებთან ომში დაიღუპა.

24. იოჰან სებასტიან ბახი ათი წლის ასაკში დაობლდა.

25. ალექსი ჭინჭარაულმა თბილისში სტუმრად მყოფი რუსი ქალბატონი შენიშნა ქუჩაში, რომელსაც ბადრიჯნის ხიზილალის კონსერვებით სავსე ბადურა ეჭირა ხელში და მაშინვე გაურითმა:

„მოიარა ქალაქები:
სარატოვი, ჟდანოვი,
ზოგან თეთრი პური ჭამა,
ზოგან შავი, „რჟანოვი“,
თბილისში რომ ჩამოვიდა —
„იკრა ბაკლაჟანოვი“.

■

მკვლელობა კუკიის სასაფლაოზე

გოჩა დავლაშელიძეს დანა 38-ჯერ დაარტყეს

ანა პირველი

2001 წლის 8 იანვარს, თბილისში, კუკიაზე მდებარე სასაფლაოზე საზარელი მკვლელობა მოხდა. 33 წლის გოჩა დავლაშელიძე დანით აჩეხეს, მას 38 ჭრილობა მიაყენეს, მათგან 30 სასიკვდილო აღმოჩნდა. ექსპერტების თქმით, დავლაშელიძე განსაკუთრებული სადიზმით არის მოკლული, გარდაცვლილის დასერილ სახეზე მათ 18 ჭრილობა დაითვალეს, დანა მკერდსა და ზურგში ჩარტყმის შედეგად 16-ჯერ იყო გულში მოხვედრილი...

ოფიციალური ინფორმაციით, მკვლელი გლდანის მე-6 მიკრორაიონში მცხოვრები, ადრე ნასამართლევი, ეროვნებით ქურთი, 28 წლის სეკო ბროიანია. თუმცა, გარდაცვლილის ნათესავების მტკიცებით, მის გარდა, მკვლელობაში კიდევ სამი ადამიანი მონაწილეობდა. დაზარალებულები ამ პირთა გვარებსაც ასახელებენ — ჯეკო ბროიანი (სეკო ბროიანის ძმა), ლევან ჯაფარიძე, ვინმე ერიკი (გვარი დაუდგენელია — ა.პ.) ამჟამად ყველა მათგანი გაქცეულია. მეზობლების თქმით, ისინი მკვლელობის დღიდანვე ოჯახებით გაუჩინარდნენ. ჩულურეთის რაიონის პროკურატურამ კი, რომელიც აღნიშნულ ფაქტს იძიებს, ძებნა რატომღაც მხოლოდ ერთზე — სეკო ბროიანზე გამოაცხადა.

სამართალდამცავთა ცნობით, მკვლელობა ურთიერთშელაპარაკების შედეგად მოხდა. მათივე ინფორმაციით, პირველად გოჩა დავლაშელიძემ მიაყენა სხეულის დაზიანება სეკო ბროიანს, რაც, სავარაუდოდ, შემდგომში ჩხუბის მიზეზი გახდა. დავლაშელიძეს მისთვის ლოყაზე დანა ჩამოუსვამს, რის შედეგადაც ბროიანს დიდი ნაიარევი დარჩა. დაზარალებულები ამ ფაქტს კატეგორიულად უარყოფენ და დასძენენ, რომ უთანხმოების მიზეზი სახეში დანის კი არა, ხელის გარტყმა იყო.

ცირა დავლაშელიძე, მოკლულის დედა:

„ჩემი შვილი დანას არასდროს არ დაატარებდა. არც ქუჩის ხულიგან ბიჭებთან უმეგობრია ოდესმე. განათლებული, თავმდაბალი ადამიანი იყო, ყველა მეზობელთან ზომიერი ურთიერთობა ჰქონდა. ერთადერთი, რასაც ამქვეყნად ვერ ეგუებოდა — უსამართლობა გახლდათ...

ძიება სულ ახალი დაწყებულია და უკვე აქედანვე დამაეჭვებლად მიმდინარეობს. გაუგებარია, რისთვის არის ძებნა გამოცხადებული მხოლოდ ერთ ადამიანზე, როცა მკვლელობა ოთხმა ჩაიდინა. ისინიც ხომ გაქცეულები არიან? ამის შესახებ ყველამ ვიცით, რადგან ჩვენს მეზობლად ცხოვრობენ. 8 იანვრის ღამეს, როცა ჩვენს ოჯახში წივილ-კივილი იყო ატეხილი, ოთხივენი ერიკას სახლში მიცვივდნენ თურმე და ფული, ოქროც წამოიღეო — სადარბაზოში ასე ყვიროდნენ. არსებობენ თვითმხილველები, რეალური მოწმეები, რომელთაც დაინახეს, ვის და რამდენ კაცს გაჰყვა იმ დღეს ჩემი შვილი...

ყველაფერი დეკემბრის თვიდან დაიწყო — სეკო ბროიანი, რომელიც ასევე ჩვენს მეზობლად, გვერდით კორპუსში ცხოვრობს, მოსკოვიდან ახალი ჩამოსული გახლდათ. ეს ფაქტი მან მეგობრებთან ერთად თბილისის ერთ-ერთ რესტორანში აღნიშნა. იქიდან თავის ძმასთან — ჯეკოსთან და მეზობელ — გია კერატიშვილთან ერთად, უცხოური მარკის ავტომანქანით წამოვიდა. მანქანა, როგორც შევიტყვეთ, ვიღაც ქურთს ეკუთვნოდა. საჭესთან კერატიშვილი იჯდა. გზაზე გლდანში ავარია მოუვიდათ, შეეჯახნენ სხვა მანქანას (მძღოლის ვინაობა ჯერჯერობით ზუსტად არ ვიცით). იმ ადგილას, სადაც ავარია მოხდა, გოგო და ბიჭი იდგნენ. მანქანა, რომელშიც სეკო, ჯეკო და კერატიშვილი ისხდნენ, შეჯახებისას მათაც დაეტაკა.

გოგონა თურმე იქვე გარდაიცვალა, ბიჭი კი საშინლად დამტვრეული ყოფილა. ისინი საავადმყოფოში ვიღაც გამვლელს, თავისივე მანქანით წაუყვანია. ხალხმა უცებ მოიყარა თავი. მიუხედავად ამისა, მანქანების პატრონებს შემთხვევის ადგილი არ მიუტოვებიათ. სეკო თურმე იძახდა — ქურდი ვარო და მეორე მძღოლისთვის ჩხუბი დაუწყია — 7.000 დოლარი უნდა გადამიხადო ან ახალი მანქანა უნდა მიყიდოო. მძღოლი, რა თქმა უნდა, საწინააღმდეგოს უმტკიცებდა. მათ საუბარს ოცამდე ადამიანი უსმენდა, ის ხალხი, რომელიც აქვე, გლდანში ცხოვრობს და მომხდარ ფაქტს ადასტურებს. თუმცა, პროკურატურა ამით დღემდე არ დაინტერესებულა და არც იმ ხალხის დაკითხვის სურვილი გამოუთქვამს.

საქმე იქამდე მივიდა, რომ მეორე მანქანის მძღოლმა, მტყუან-მართლის გასარჩევად, ლოტკინელი ქურდი — ბადური მოიყვანა და აქვე, ჩვენს ეზოში, რამდენიმე კაცთან ერთად ესაუბრებოდა მას. ამ დროს ჩემი შვილი სახლში გახლდათ, ფანჯრიდან დაინახა თავშეყრილი ბიჭები, რომლებიც ბადურს ელაპარაკებოდნენ. გოჩა მასა და მის ძმას — მინდიას იცნობდა, რადგან ადრე ჩვენც ლოტკინზე ვცხოვრობდით. სწორედ ამიტომ გავიდა გარეთ ამბის გასაგებად...“

გოგი დავლაშელიძე, მოკლულის მამა:

„ეზოში 10-15 ბიჭი მაინც იდგა. მათი გადმოცემით ვიცით, რომ საქმის გარჩევის დროს ბადურს სეკო გაუმტყუნებია — შენ მართალი არა

ელდ
თუ უბრ
ოქრო –

1536 წელს, როდესაც ესპანელი დამპყრობლები კოლუმბიის მიწას ესტუმრნენ, ჯერ კიდევ წარმოდგენა არ ჰქონდათ, თუ რა განძზე დააბიჯებდნენ. ბოლოს, როგორც იქნა, აღმოაჩინეს დიდი კულტურა, რომლის ჯერ არნახულმა, აურაცხელმა და უმდიდრესმა ოქროს ნაკეთობებმა, კინაღამ ჭკუიდან შეშალა იღბლიანი „არქეოლოგები“. ამ უეცრად, თავს დამტყდარმა ოქროს ციებ-ცხელებამ, ყველა დაარწმუნა იმაში, რომ იგი საბოლოოდ, ლეგენდარული ელდორადოს მითებიდან მომდინარეობდა.



კაცის ფორმის ამულეტები. 100 წ. ძვ.წ.აღ-ით 100 ჩვ.წ.აღ-ით, სიმაღლე – 5,3სმ, სიგანე – 4,3სმ



კაცისა და ჩიტისსახიანი გულსაბნევი, რომელიც წარმოადგენს შამანს, საკუთარ ცხოველებთან ერთად. 1000-1600 წ.წ. ჩვ.წ.აღ-ით, სიმაღლე – 16,5სმ, სიგანე – 12,1სმ

ელდორადოს ეპოქა

ამ ეპოქაში, კოლუმბია, ერთნიკურ ჯგუფთა მოზაიკისგან შედგებოდა. ცალკეული ეთნიკური ჯგუფები, ურთიერთმოწინააღმდეგე მხარეებს წარმოადგენდნენ, სათავეში ერთპიროვნული მმართველები – ბელადები, ანუ კასიკები ედგათ და მკაცრად იყვნენ იზოლირებულნი უცხო გვარისა და ტომის ადამიანებისაგან.

ისინი მიწათმოქმედებას მისდევდნენ, რომელიც, ძირითადად, სიმინდსა და მანიოკაზე იყო დამყარებული. უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა ოქროს, მარილის, ტყავის წარმოებასა და კოკას პლანტაციების გაშენებას. მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი ეჭირა აგრეთვე ტროპიკული ტყის ნაყოფსაც, რომელიც ძალაუფლების წმინდა სიმბოლოდ იყო მიჩნეული და რომელსაც შამანები რელიგიური რიტუალებისთვის იყენებდნენ.

ბელადების, ანუ კასიკების დაქვემდებარებაში მყოფი ყველა ეთნიკური ჯგუფისთვის დამახასიათებელია მოჭარბებული, მდიდარი და საკმაოდ ვარიაციული ოქროს ნაკეთობანი. მათგან ყველაზე მრავალრიცხოვანია: ნიღბები, სამკერდე ნიშნები, ცხვირის, ყურის მოსართავი ორნამენტები და ა.შ. ხშირად ვხვდებით აგრეთვე, ჰიბრიდებისა და ადამიანის მსგავს პერსონაჟებს, რომლებიც წმინდა, რელიგიური და სიმბოლური მნიშვნელობისანი არიან.

თავდაპირველად, მეტალურგია განვითარდა პერუს ჩრდილოეთით, ხოლო შემდეგში სწრაფად პოვა ასახვა ეკვადორისა და კოლუმბიის კულტურულ ჯგუფებში. მოყოლებული ძვ.წ.აღ-ის V საუკუნიდან, მეტალურგია წარმოებული იყო ტომატო და ტოლიტის (ძვ.წ.აღ-ით 500-300 ჩვ.წ.აღ-ით) კულტურის ოქრომჭედლების მიერ, რომელიც წყნარი ოკეანის მხარეს, ეკვადორსა და კოლუმბიას შორის მდებარეობდა.

შამანები და მათი იდუმალი მეტალები

უძველესი და უმდიდრესი კულტურის ოქრო-ვერცხლში, ესპანელი დამპყრობლები მხოლოდ „მონეტებს“ ხედავდნენ, რომლებსაც ოქროს ზოდებად ასხამდნენ და სავაჭროდ გაჰქონდათ. მათ შორის იყო სხვადასხვა ტაძრიდან და კასიკების (ბელადების) სამარხებიდან მოპოვებული განძიც.

მათი ნამდვილი მფლობელებისათვის – ინდიელებისათვის კი, ოქროსა და ვერცხლის ნივთები წმინდა, სიმბოლური დატვირთვის მატარებელი იყო. სხვადასხვა

მაიმუნი	ცხენების რბოლა	ბეირუთი (სახელმწიფო)	ქალაქი რაჭაში	ალიყური	სახელური	გ. დანელიას ფილმი	უუფ ადამ
გ ო ი ი ე ლ ო ო ლ ი ბ ე ნ ი ო ნ ი ს ი ი ს ცხ ე ი ბ ი ა ე ბ ი							
სტალინის მშობლიური ქალაქი	პოეტი ... ასათიანი	შესაკრავი	მსახიობი დონატას ...		პრიზების გათამაშების სახეობა	უკანა პლანი	ფეოქმ თიკ

გოჩა
დავლაშელიძე

ხარ, ამ კაცისგან ფულს რად ითხოვ, თანხა თვითონ უნდა გადაუხადოო. ამაზე სეკო გაბრაზებულა და უთქვამს — მე ქურდი ვარ და რასაც მოვითხოვ, ის უნდა შემისრულონო...

ქურდებს ასეთი კანონი ჰქონიათ თურმე — თუ სინამდვილეში ქურდი არ ხარ და იბრალებ — ამისთვის დაგსჯიან — არ მოგკლავენ, მაგრამ სიკვდილამდე გცემენ. ამ წესის შესახებ, როგორც ჩანს, გოჩამაც იცოდა. სხვებისთვის დაუსწრია და სეკოსთვის სახეში ხელი გაურტყამს, უთქვამს — ეს აკმარეთო. ბადურს კი დაუყვირია — ქურდობას იბრალებს და სილის გარტყმა უნდა აკმაროთო?! სწორედ მაშინ დაუსვამთ მისთვის სახეზე დანა. ზუსტად ჯერ ვერაფერს გეტყვით, ამას სათანადო გამოძიება სჭირდება (პროკურატურის თანამშრომლებს ამის დადგენა ძალიან ადვილად შეუძლიათ, თუ, რა თქმა უნდა, მოინდომებენ და თვითმხილველებს დაჰკითხავენ. ჩვენ ყველა მათგანის ვინაობა ვიცით).

სეკო მაშინვე საავადმყოფოში წაუყვანიათ, თუმცა იქიდან მეორე დღესვე გამოვიდა. ამის შემდეგ მას კუკიის ქურდისთვის — „სუმბათასთვის“ უთხოვია ავარიის საქმის გარჩევა. „სუმბათას“ უარი უთქვამს: ვინც თავიდან დაიწყო, იმან გააგრძელოსო. სწორედ ამიტომ დაურეკეს რამდენჯერმე, მერე კი მოაკითხეს გოჩას სეკომ და მისმა ძმაკაცებმა. სთხოვეს — ლოტკინზე ბადურთან მიგვყევიო. არიან თვითმხილველები, რომელთა თქმით, იმ დღეს მანქანით სეკო, ჯეკო, ლევანი და ერიკა გოჩასთან ერთად წავიდნენ. სახლში ბადური არ ყოფილა, მხოლოდ მინდია დახვერდიათ (ეს, სწორედ, მისგან შევიტყვეთ). ამიტომ უკან გამობრუნებულან და როგორც ჩანს, გეზი პირდაპირ კუკიის სასაფლაოსკენ აუღიათ“.



პროკურატურის მიერ დაკითხულები არიან კუკიის სასაფლაოსთან მდებარე საამქროს მუშები და ბავშვები, რომლებიც ამ ინციდენტს შეესწრნენ. მათი თქმით, დაახლოებით დღის 2 საათზე, სასაფლაოს ტერიტორიაზე ავტომანქანა დიდი სიჩქარით შემოვარდა და იქვე დაამუხრუჭა. იქიდან რამდენიმე პირი გადმოვიდა, რომელთაც ერთმანეთში მაშინვე ჩხუბი დაიწყეს. ჩხუბი სულ 3-4 წუთს გაგრძელდა. თვითმხილველთა გადმოცემით, ერთ-ერთი მათგანი — როგორც მოგვიანებით გაირკვა, გოჩა დავლაშელიძე, ყვიროდა — რას აკეთებთ, რისთვის მკლავთო? იგი ადგილზევე გარდაიცვალა. დანარჩენები ისევ მანქანაში ჩასხდნენ და წავიდნენ.

ექსპერტების თქმით, გოჩა დავლაშელიძეს სხეულზე 3-4 სხვადასხვა დანით მიყენებული ჭრილობები აღენიშნებოდა.

ცირა დავლაშელიძე:

„როცა გოჩას სახლში დაურეკეს და ტელეფონზე მისი საუბრისას, სეკოს სახელს მოვკარი ყური, გავაფრთხილე — შვილო, მაგ ხალხს თავი დაანებე, მათ საქმეში ნუ ჩაერევი, რაიმე შარს არ გადაგკიდონმეთქი. მიპასუხა — არა, დედა, ეს ქურთები უკვე აქაურ, გლდანელ ბიჭებს ჩაგრავენ, ბოლოს და ბოლოს, საზღვარი ხომ უნდა ჰქონდეს მათ საქციელსო?.. იმ სეკომ ადრე ტაქსის მძღოლს ყელი გამოსჭრა (რისთვისაც ციხეში რატომღაც სულ 3 თუ 4 წელი იჯდა) და ვიცოდი, რომ ასეთი ადამიანი არავის დაინდობდა...“

მოკლულის, გოჩა დავლაშელიძის სიძე:

„პროკურატურას ჯერ მხოლოდ ზედაპირული ინფორმაცია აქვს მოპოვებული. ის პირები, რომელთაც გამოძიებისთვის საჭირო დეტალების თქმა შეუძლიათ, დაკითხულები არ არიან. როცა გამომძიებელს შევეკითხე — რატომ არ აქტიურობთ-მეთქი? — ასე მიპასუხა: რა ვქნათ, ძალიან გადატვირთულები ვართო...“ ■

ერთგული მკითხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გემახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტესტის კითხვებზე გაგიჭირდებათ პასუხის გაცემა...

1. სად დაიგადა მაიკლ სძოული:

ა აშშ-ში;
ბ) ინგლისში;
გ) ირანში.

2. მხატვრული ფილმის — „უძინართა მზე“ — რეჟისორია:

ა) ნიკიტა მიხალკოვი;
ბ) რეზო ესაძე;
გ) თემურ ბაბლუანი.

3) რა ერქვა არსენა ოძელაშვილის ცხენს:

ა) ლურჯა;
ბ) მარდია;
გ) ყორანა.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

თამაზ ქორქოლიანი

გრიპით დაავადებულთა მომრავლება ზამთრის ბოლო პერიოდს მოიცავს, ვირუსის გავრცელების პიკი კი სწორედ ამ პერიოდს ემთხვევა, ამიტომ, ვისაც ჯერ არ შეჰყრია, მაქსიმალურად უნდა გაფრთხილდეს. როგორ — ამის შესახებ დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილეს, ლევან ბაიდოშვილს ვესაუბრებით:

იმკურნალებ — ერთ კვირაში მორჩები, არ იმკურნალებ — შვიდ დღეში...

— ბატონო ლევან, ჩვენი საუბრის დასაწყისში ერთ ძველ ანეკდოტს შეგახსენებთ:

ორი კაცი შეხვდა ერთმანეთს — ჭიჭიკია მომკვდარა, გეიგე? — ეკითხება პირველი.

— რამ მოკლა, კაცო, გუშინწინ ვნახე და სასიკვდილო არაფერი ეტყობოდა?!

— გრიპი შეჰყრია.

— გრიპი? ოო... მაგი არაფერი. გრიპს არა უშავს, — უპასუხა მეორემ.

ლევან ბაიდოშვილი:

— ეს ანეკდოტი თუ ნამდვილი ამბავი, კარგად ასახავს, ჩვენი მოსახლეობის უმრავლესობის დამოკიდებულებას, მწვავე რესპირატორული დაავადებების მიმართ, მაგრამ თვითონ გრიპი კი არ კლავს ადამიანს, არამედ გრიპისმიერი გართულებები — ენცეფალიტები, მენინგიტები და ა.შ. ასე რომ, ნაწილობრივ მართალი იყო ის მეორე — უშუალოდ გრიპს არ მოუკლავს ჭიჭიკია.

— ზამთარი იწურება. ჩემთვის, როგორც არასპეციალისტისთვის, ცნობილია, რომ გაზაფხულის დადგომასთან ერთად გრიპოზული დაავადებების რიცხვი საგრძნობლად იკლებს.

— დიახ, დაავადებების შემთხვევები სწორედ ზამთარში და, კერძოდ, იანვრის ბოლოსა და თებერვლის პირველ ნახევარში აღწევს თავის პიკს. შემდეგ მიმდინარეობს შესამჩნევი კლება და მარტის ბოლოსა და აპრილის დასაწყისში, გრიპის დაავადებას მასობრივი ხასიათი უკვე აღარ აქვს. გაზაფხულზე დღე საკმაოდ მომატებულია, მზიანი დღეებიც უფრო მრავლადაა, ადამიანები გამოდიან დახშული სივრციდან — ოთახებიდან, დარბაზებიდან, სადაც გრიპი ხველის, ცემინებისა და ლაპარაკის დროს ვრცელდება. გარდა ამისა, გრიპის ვირუსზე დამღუპველად მოქმედებს მზის რადიაცია.

ლევან ბაიდოშვილი

— თქვენი საუბრიდან გამომდინარე, ხიფათი უკვე თითქმის ჩავლილია.

— დაავადების მასობრივი გავრცელების საფრთხემ თითქმის ჩაიარა, მაგრამ ცალკეული შემთხვევების საშიშროება მთელი წლის განმავლობაში იქნება, გრიპის ვირუსი ზაფხულშიც არსებობს, ოღონდ იმის გამო, რომ ადამიანები, უმეტეს დროს სუფთა ჰაერზე ატარებენ, ოთახებიც და დარბაზებიც უფრო ხშირად ნიავდება, იშვიათია დაავადებების შემთხვევები. დაავადების კლება გრძელდება მაისის ბოლომდე, შემდეგ დგება სტაბილური პერიოდი და ოქტომბრის ბოლოსა და ნოემბრის შუა რიცხვებიდან იწყება ისევ მატება.

— დაავადებულის მკურნალობაზე, თანაც დღევანდელი დუხჭირი ცხოვრების გათვალისწინებით, რას გვეტყვით?

— კონკრეტულად ამა თუ იმ ვირუსის საწინააღმდეგო პრეპარატი არ არსებობს. გრიპით დაავადებულმა უნდა მიიღოს სიცხის დამწევი, ოფლმდენი, ტკივილგამაყუჩებელი პრეპარატები, ჩაიტაროს ჩვეულებრივი მკურნალობა და, რაც ყველაზე მთავარია, მიიღოს ბევრი სითხე — ლიმონის, ფორთოხლის და მანდარინის წვენები, რომლებიც C ვიტამინითაა მდიდარი. მედიკოსების სახუმარო გამოთქმაა: თუ ამას ყველაფერს გააკეთებ, მორჩები ერთ კვირაში, თუ არ გააკეთებ, მორჩები შვიდ დღეშიო. თუკი გრიპია, რა თქმა უნდა. მაგრამ გრიპი ცუდია სწორედ იმით, რომ ხშირად, როგორც მოგახსენეთ, მძიმე გართულებები ახლავს თან, რომლებსაც შემდეგ მართლა სჭირდება ჰოსპიტალიზაცია, სკრუპულოზური, დეტალური მკურნალობა.

— პოპულარული ენით რომ ვთქვათ, გართულება დაუტოვაო...

— დიახ, მოსახლეობა ამბობს — გართულება დაუტოვაო. ხშირად ორისამი კვირა თავისა და სახსრების ტკივილები რჩებათ, საღამოს ტემპერატურა უწევთ. ეს იმას ნიშნავს, რომ გრიპის შემდგომი პროცესი მთლიანად დამთავრებული არ არის, კიდევ რაღაც არის დარჩენილი და ორგანიზმი ებრძვის მას პერიოდულად.

— დაავადების მასობრივი გავრცელების საწინააღმდეგო პროფილაქტიკა თუ არსებობს?

— წინათ, საბჭოთა კავშირის დროს, გახსოვთ ალბათ, საზოგადოებრივი ტრანსპორტის ბოლო სადგურებზე აკეთებდნენ დეზინფექციას. ჩემი აზრით, ეს ფულის წყალში გადაყრა უფრო იყო, რომელიც ეპიდემიის მასობრივ გავრცელებას ვერ შველის, რადგან გრიპის გადაცემის მექანიზმი სულ სხვაა. ძალიან პოპულარული გახდა ამ ბოლო დროს ვაქცინაციის ჩატარება, მაგრამ მსოფლიოს არც ერთი ქვეყანა არ უტარებს გრიპის ვაქცინაციას მთელ მოსახლეობას. ვაქცინაცია ხდება მხოლოდ გარკვეულ კონტინგენტში. პირველ რიგში, ეს არის 65 წელზე უფროსი ასაკის ადამიანები. თუ დაავადებამ პანდემიური ხასიათი მიიღო, შეიძლება ექვსი თვიდან სამ წლამდე ასაკის ბავშვები აიცრან.

ისე, ჩემი აზრით, ყველაზე უკეთესია, სხეულის გაცივებას ვერიდოთ, რადგან გაცივება ხელს უწყობს იმუნიტეტის დაქვეითებას და მივიღოთ C ვიტამინით მდიდარი ხილ-ბოსტნეული.

— ბატონო ლევან, რა კომენტარს გაუკეთებდით ამ ინფორმაციას?

— 1918-1919 წლებში მსოფლიო მოიცვა გრიპის არნახულმა ეპიდემიამ,რომელსაც იმის გამო, რომ მეცნიერთა ერთ ნაწილს ესპანეთში გავრცელებული ბრონქიტისგან აღმოცენებულად მიაჩნდათ, „ისპანკა“ უწოდეს.

გრიპის ვირუსი პირველად 1919 წლის 28 ავგისტოს დაფიქსირეს. როცა შეერთებული შტატების ქალაქ ბოსტონის ნავსადგურში მდგარი სატრანსპორტო ხომალდის ერთ-ერთი მეზღვაური დაავადდა.

ერთი ვერსიის თანახმად, ვირუსი კანზასის შტატში, პორტ რეილისში წარმოიშვა, რომელიც შემდეგ ამერიკელმა ჯარისკაცებმა ევროპაში შეიტანეს. მაგრამ კაცობრიობის არსებობის მანძილზე, ყველა ეპიდემია, გამონაკლისის გარეშე, აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით ვრცელდებოდა და არა პირიქით, ამიტომ ეს ვერსია თავიდანვე უარყვეს. მედიცინის ზოგიერთ ისტორიკოსს მიაჩნდა, რომ ავადმყოფობა საფრანგეთის სანაპიროებთან გადმომსხდარმა ჩინურმა შრომითმა ბატალიონებმა შემოიტანეს ევროპაში. ზოგი ვირუსის შემოტანას ვლადივოსტოკიდან ჩამოსულ რუს ჯარისკაცებს აბრალებს. ზოგი კი, რაც უფრო ლოგიკური ჩანს, გრიპის ვირუსის წარმოშობას აზიელი, ამერიკელი, ევროპელი და აფრიკელი ჯარისკაცების უზარმაზრი თავშეყრის ადგილებში ურთიერთშეკავშირებულ იმფიცირებას მიაწერს, რომელიც საფრანგეთის სამხრეთში მოხდა. მიუხედავად მრავალი ვერსიისა, დღემდე არ არსებობს ერთი შეჯერებული და უტყუარი სამეცნიერო აზრი „ისპანკის“ ვირუსის წარმოშობისა და უნდა ვივარაუდოთ, რომ არც იარსებებს ოდესმე.

მედიცინის ამერიკელი ისტორიკოსი ჰენრი ა. დევიდსონი წერს, რომ ეპიდემია შეერთებულ შტატებს ტყის ხანძარივით მოედო. შტატების 46 მსხვილ ქალაქში, მხოლოდ ორი კვირის განმავლობაში, 40.000 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. რამდენიმე დღეში ეპიდემია მთლიანად მოედო აღმოსავლეთ სანაპიროს. სექტემბერ-ოქტომბერში ყოველი მე-5 ჯარისკაცი აღმოჩნდა „ისპანკით“ დაავადებული. ოქტომბრის დასასრულს ეპიდემიამ ამერიკის შეერთებულ შტატებში თავისი განვითარების პიკს მიაღწია. ერთი ან ორი კვირის განმავლობაში ავადმყოფობა უცებ იპყრობდა დიდ სივრცეს,ამას ორსამკვირიანი სიკვდილიანობის პერიოდი მოჰყვებოდა, რის შემდეგაც ეპიდემიის შემთხვევები მკვეთრად მცირდებოდა.

გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინის შექმნის ყველა ცდა უშედეგოდ დამთავრდა, თუმცა, უკვე მაშინ აშშ-ში მედიცინაც მაღალ დონეზე იყო განვითარებული და უტყუარი სტატისტიკური მონაცემების შეგროვებაც ხდებოდა. ძნელი წარმოსადგენი არ არის, თუ რა ხდებოდა მსოფლიოს ჩამორჩენილ და განუვითარებელ ქვეყნებში. მაგალითად, ინდოეთში 1 წლის განმავლობაში 12 მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, სამხრეთ აფრიკაში ყოველი 100.000 კაციდან 2.280 დაიღუპა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ „ისპანკის“ ვირუსი უზარმაზარი სივრცეების დაუბრკოლებლივ გადალახვით ხასიათდებოდა და დედამიწის ყველაზე მივარდნილ კუთხე-კუნჭულებამდე აღწევდა. ამგვარად, ვთქვათ,ახალ ზელანდიაში გრიპმა 6 მილიონი აბორიგენის სიცოცხლე შეიწირა, ალასკის მოსახლეობა კი თითქმის მთლიანად განადგურდა. არ არსებობს ისეთი მრავალრიცხოვანი მოსახლეობის მქონე ქვეყნების სტატისტიკური მონაცემები, როგორიც არის ჩინეთი, ინდონეზია, რუსეთი, ლათინური ამერიკის, აფრიკისა და აზიის რიგი ქვეყნები. სულ კი, მსოფლიო მასშტაბით, სტატისტიკის მიხედვით, „ისპანკამ“ 1918-1919 წლებში 22 მლნ ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, რაც ორჯერ აღემატება პირველ მსოფლიო ომში დაღუპულთა რიცხვს.

— „ისპანკის“ ვირუსი ორმოცდაათიანი წლების ბოლომდე ფიგურირებდა პლანეტაზე, შემდეგ მისი ადგილი სხვა ვირუსმა დაიკავა, მაგრამ ისეთი პანდემია, როგორიც 1918-1919 წლებში იყო, აღარ გამეორებულა. საერთოდ, პანდემიის (დაავადების დიდ სივრცეებში გავრცელება. — რედ.) გამომწვევი ყველა ვირუსი ინდოჩინეთიდან ვრცელდება დანარჩენ სამყაროში. ამას იწვევს მოსახლეობის დიდი სიმჭიდროვე, კლიმატური პირობები და, რაც ყველაზე მთავარია, სანიტარული კულტურის დაბალი დონე. რამდენიმე წლის წინ ინდონეზიაში აღმოაჩინეს უცნობი ვირუსი, რომლითაც იქაური ფერმების ქათმები იყვნენ დაავადებული — ამ ვირუსმა ორ კვირაში ხუთი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, მაგრამ სასწრაფოდ მოხდა დაავადებული ფერმების ლოკალიზაცია (განვითარებული ქვეყნები ამ რეგიონებზე მუდმივ დაკვირვებებს აწარმოებენ) და 20 მილიონი ფრთა ქათამი თავის ფერმებიანად დაწვეს. მასთან ერთად განადგურდა ვირუსიც. პანდემიის გამომწვევი ვირუსის გამავრცელებელი შეიძლება იყოს ფრინველი, ცხოველი და ა.შ. ის ფაქტი, რომ „ისპანკამ“ პლანეტის ყველაზე მივარდნილ კუნძულებზე ჩააღწია, სწორედ ფრინველების გამო მოხდა.

— დღესდღეობით თუ არსებობს პანდემიის საშიშროება?

— პანდემია არა, მაგრამ გრიპის მასობრივი გავრცელების საშიშროება მეტ-ნაკლებად მაინც არსებობს. ამიტომ ცოტა უფრო მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ საკუთარ ჯანმრთელობას და თუ თანამედროვე მედიცინის მიერ რეკომენდებული ღონისძიებების გატარება გაგვიძელდება, გრიპის პროფილაქტიკის ტრადიციული ხალხური მედიცინის მეთოდები გამოვიყენოთ.

■

სწორედ ასე აქვს „წარმოდგენილი“ კომპიუტერს გრიპის ვირუსით დაავადებული ადამიანის უჯრედი...





საოცარი რამ არის სიყვარული: თუნდაც ნახევარი საუკუნე იყოს გასული, მისი მოგონება კაცს უცნაურ სხივს უნთებს, სალაღობო გუნებაზე აყენებს და აახალგაზრდავებს. როდესაც, თანამოაზრეებთან კამათით დაღლილ ბატონ ნოდარ ნათაძეს თემად „პირველი სიყვარული“ შევთავაზე, უცებ გამოცოცხლდა, თვალებში პატარა ეშმაკუნები აუციმციმდა და სიცილით მიპასუხა:

რაც უფრო ხშირად გიყვარს, მით უფრო მდიდრდები

მაკო ბაგლაძე

— ჩემი პირველი სიყვარული ნახევარ ტონას მაინც იწონის, სიგარეტს ქაჩავს და ქალაქში „ფიატს“ გიჟივით დააქროლებს. თუ ვინმე სიგარეტს მიაწვდის, მაჯაზე ხელის დარტყმით მადლობას უხდის: „საღოლ!“... ღმერთმა კარგად ამყოფოს — ჯანიანი ქალი დადგა ის სიფრიფანა გოგო.

— როგორ შეგიყვარდათ?

— სიყვარული ღმერთისგანაა. ასე, 12-13 წლისა ვიყავი მაშინ. მანამდეც მიყვარდა, მაგრამ იმას სერიოზულად არ ვთვლი. ეს კი მართლაც სერიოზული იყო. ჩემზე ერთი წლით იყო პატარა, ერთ სკოლაში ვსწავლობდით. ჩემდა სამწუხაროდ, ეს გრძნობა ცალმხრივი დარჩა, მაგრამ ჩემს პიროვნებას ღრმა კვალი დააჩნია...

— დიდი ხანი გიყვარდათ?

— რამდენიმე თვე. ასე რომ, არავინ თქვას — ხელმოცარული სიყვარული, სიყვარული არ არისო: იგი ადამიანის სულს ამდიდრებს.

— ტარიელივით, საგმირო საქმეებისკენაც უბიძგებს?

— რა თქმა უნდა. ის კი არა, მასთან შეხვედრის საშუალება სხვაგან არ მქონდა და პიონერთა სასახლეში, ერთ კაბინეტში ჩავეწერე, რადგან მას იქ ნათესავი ჰყავდა და წრეზე დადიოდა. სხვაგან მისი ახლოს ნახვის საშუალება არ მქონდა და მეც დავიწყე იმ წრეზე სიარული. ლენინი და სტალინი მაშინაც ისე „მიყვარდა“, როგორც ახლა, მაგრამ...

— გაუმხილეთ გრძნობა, იცოდა თქვენი სიყვარულის შესახებ?

— იცოდა, მაგრამ მე ხმამაღლა არაფერი მითქვამს. სხვათა შორის, 95%-ით თუ არ ხარ გამარჯვებაში დარწმუნებული, სჯობს, ობიექტს შენი გრძნობა არ გაუმხილო, მით უმეტეს თუ უარს მოელი. მოსინჯე, თუკი მაღალი ალბათობაა, რომ დადებით პასუხს მიიღებ, მხოლოდ მაშინ უნდა უთხრა სიტყვა.

— წერილებს სწერდით?

— არა, მაგ მდგომარეობამდე უფრო გვიან მივედი. ერთადერთი შემთხვევა მქონდა, როდესაც ერთ გოგონას წერილი მივწერე. ჩვენს უბანში ცხოვრობდა, ჩემზე ცოტათი უფროსი იყო. ყმაწვილკაცობა, მოგეხსენებათ, როგორიცაა. გავიდა ცოტა ხანი და ის ჩემი უბნელი გადამავიწყდა, რადგან ჩემს ცნობიერებაში და ჩემი ცხოვრების არეალში ახლა სხვა გოგონა შემოვიდა. რამდენიმე თვის შემდეგ ის ჩემი უბნელი გოგონა შემხვდა და შევატყვე, რომ მასზე ჩემს წერილს დიდი შთაბეჭდილება მოეხდინა. მზად იყო შესაბამისი რეაქციისათვის, უნდოდა გული გადაეშალა, მაგრამ მე უკვე მისთვის აღარ მეცალა — სხვა მიყვარდა...

— ხშირად ყოფილხართ შეყვარებული?

— ძალიან ხშირად. დიდი წარმატებებით ვერ დავიკვეხნი — უმეტესობა ცალმხრივი იყო. მაგრამ ყველა შემთხვევა, გინდ დადებითი ემოციებით დამთავრდეს, გინდ უარყოფითით, მაინც ძალიან ამდიდრებს ადამიანს. სიყვარული მობილიზებისათვის საჭირო გრძნობაა, „სიყვარული აგვამაღლებსო“ — ეს ბანალობა არაა. ეს რეალობაა, რომელიც დანახულია ძალიან დაკვირვებული და ღრმა ანალიზის მქონე პიროვნების მიერ. კაცი იმით არის ბედნიერი, რომ ასეთი შემთხვევა მრავალჯერ ეძლევა ცხოვრებაში.

— ახლა ხართ შეყვარებული?

— სამწუხაროდ, არ მცალია, თუმცა არსებობს რაღაც შთაბეჭდილებები...

— თქვენი მეუღლე?

— ეგ ის პიესაა, რომელიც ჯერჯერობით მიმდინარეობს. ამიტომ, ხელი რომ არ შევუშალოთ მის მიმდინარეობას, სჯობს, არაფერი ვთქვათ...

■



განსაზღვრეთ თქვენი გონებრივი პოტენციალი

განსაზღვრეთ თქვენი გონებრივი პოტენციალი
განსაზღვრეთ თქვენი გონებრივი პოტენციალი
განსაზღვრეთ თქვენი გონებრივი პოტენციალი



ჩვენ მიერ შემოთავაზებული პატარა სავარჯიშო დაგეხმარებათ განიტვირთოთ ჩვეული სამუშაოსგან, დაასვენოთ გონება და, იმავდროულად, განსაზღვროთ თქვენი გონებრივი პოტენციალი.

სასურველია, სავარჯიშო შეასრულოთ 3 წუთში. მეტი დრო იმის მაჩვენებელია, რომ თქვენი გონება გადაღლილია, ან სხარტ აზროვნებას გადაეჩვიეთ.

ნუ აღელდებით, ჩვენ რეგულარულად შემოგთავაზებთ მსგავს თამაშებს. მუდმივად შეასრულეთ ისინი და შედეგით კმაყოფილი დარჩებით.

იპოვეთ კანონზომიერება და ჩასვით გამოტოვებული რიცხვი:

სანამ ამოცანას ამოხსნით, პასუხში ნუ ჩაიხედავთ.



პასუხი: ოვალის გარეთ განთავსებული რიცხვები სათითაოდ იყოფა 2-ზე და იკრიბება:

I. 72:2=36
48:2=24
26:2=13
36+24+13=73

II. 84:2=42
56:2=28
38:2=19
42+28+19=89

ამრიგად, მეორე ოვალში უნდა ჩაიწეროს რიცხვი — 89.

ელდ
თუ უბრ
ოქრო –

1536 წელს, როდესაც ესპანელი დამპყრობლები კოლუმბიის მიწას ესტუმრნენ, ჯერ კიდევ წარმოდგენა არ ჰქონდათ, თუ რა განძზე დააბიჯებდნენ. ბოლოს, როგორც იქნა, აღმოაჩინეს დიდი კულტურა, რომლის ჯერ არნახულმა, აურაცხელმა და უმდიდრესმა ოქროს ნაკეთობებმა, კინაღამ ჭკუიდან შეშალა იღბლიანი „არქეოლოგები“. ამ უეცრად, თავს დამტყდარმა ოქროს ციებ-ცხელებამ, ყველა დაარწმუნა იმაში, რომ იგი საბოლოოდ, ლეგენდარული ელდორადოს მითებიდან მომდინარეობდა.



კაცის ფორმის ამულეტები. 100 წ. ძვ.წ.აღ-ით 100 ჩვ.წ.აღ-ით, სიმაღლე – 5,3სმ, სიგანე – 4,3სმ



კაცისა და ჩიტისსახიანი გულსაბნევი, რომელიც წარმოადგენს შამანს, საკუთარ ცხოველებთან ერთად. 1000-1600 წ.წ. ჩვ.წ.აღ-ით, სიმაღლე – 16,5სმ, სიგანე – 12,1სმ

ელდორადოს ეპოქა

ამ ეპოქაში, კოლუმბია, ერთნიკურ ჯგუფთა მოზაიკისგან შედგებოდა. ცალკეული ეთნიკური ჯგუფები, ურთიერთმოწინააღმდეგე მხარეებს წარმოადგენდნენ, სათავეში ერთპიროვნული მმართველები – ბელადები, ანუ კასიკები ედგათ და მკაცრად იყვნენ იზოლირებულნი უცხო გვარისა და ტომის ადამიანებისაგან.

ისინი მიწათმოქმედებას მისდევდნენ, რომელიც, ძირითადად, სიმინდსა და მანიოკაზე იყო დამყარებული. უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა ოქროს, მარილის, ტყავის წარმოებასა და კოკას პლანტაციების გაშენებას. მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი ეჭირა აგრეთვე ტროპიკული ტყის ნაყოფსაც, რომელიც ძალაუფლების წმინდა სიმბოლოდ იყო მიჩნეული და რომელსაც შამანები რელიგიური რიტუალებისთვის იყენებდნენ.

ბელადების, ანუ კასიკების დაქვემდებარებაში მყოფი ყველა ეთნიკური ჯგუფისთვის დამახასიათებელია მოჭარბებული, მდიდარი და საკმაოდ ვარიაციული ოქროს ნაკეთობანი. მათგან ყველაზე მრავალრიცხოვანია: ნიღბები, სამკერდე ნიშნები, ცხვირის, ყურის მოსართავი ორნამენტები და ა.შ. ხშირად ვხვდებით აგრეთვე, ჰიბრიდებისა და ადამიანის მსგავს პერსონაჟებს, რომლებიც წმინდა, რელიგიური და სიმბოლური მნიშვნელობისანი არიან.

თავდაპირველად, მეტალურგია განვითარდა პერუს ჩრდილოეთით, ხოლო შემდეგში სწრაფად პოვა ასახვა ეკვადორისა და კოლუმბიის კულტურულ ჯგუფებში. მოყოლებული ძვ.წ.აღ-ის V საუკუნიდან, მეტალურგია წარმოებული იყო ტომატო და ტოლიტის (ძვ.წ.აღ-ით 500-300 ჩვ.წ.აღ-ით) კულტურის ოქრომჭედლების მიერ, რომელიც წყნარი ოკეანის მხარეს, ეკვადორსა და კოლუმბიას შორის მდებარეობდა.

შამანები და მათი იდუმალი მეტალები

უძველესი და უმდიდრესი კულტურის ოქრო-ვერცხლში, ესპანელი დამპყრობლები მხოლოდ „მონეტებს“ ხედავდნენ, რომლებსაც ოქროს ზოდებად ასხამდნენ და სავაჭროდ გაჰქონდათ. მათ შორის იყო სხვადასხვა ტაძრიდან და კასიკების (ბელადების) სამარხებიდან მოპოვებული განძიც.

მათი ნამდვილი მფლობელებისათვის – ინდიელებისათვის კი, ოქროსა და ვერცხლის ნივთები წმინდა, სიმბოლური დატვირთვის მატარებელი იყო. სხვადასხვა

მაიმუნი	ცხენების რბოლა	ბეირუთი (სახელმწიფო)	ქალაქი რაჭაში	ალიყური	სახელური	გ. დანელიას ფილმი	უუფ ადამ
გ ო ი ი ე ლ ო ო ლ ი ბ ე ნ ი ო ნ ი ს ი ი ს ცხ ე ი ბ ი ა ე ბ ი							
სტალინის მშობლიური ქალაქი	პოეტი ... ასათიანი	შესაკრავი	მსახიობი დონატას ...		პრიზების გათამაშების სახეობა	უკანა პლანი	ფეოქმ თიკ

ოქროს ლოდ, ყოლუმბიური სულეებისათვის



ნიღაბი რამდენიმე ცხოველის გამოსახულების კომპოზიციით. 600-900 წ.წ. ჩვ.წ.აღ-ით, სიმაღლე – 8,7სმ, სიგანე – 12,8სმ

ნაკეთობა ასოცირდებოდა ღვთაებრივ ძალაუფლებასთან, ისევე, როგორც მზე და მთვარე. ესა თუ ის ნივთი, წინაპრებთან ან ბუნებასთან დაკავშირებული, მიწიერი და სულიერი ელემენტებისგან შედგებოდა.

რაც შეეხება შამანებს, ანუ „ეშმაკის მოციქულებს", როგორც მათ ესპანელი ექიმები და ასტრონომები უწოდებდნენ, ისინი ურთიერთმოწინააღმდეგე ძალებს შორის, ერთადერთი წონასწორობის გარანტი და ერთპიროვნული მსაჯულები იყვნენ.

დღესაც, შამანთა ძირითად ფუნქციას, ცალკეული ადამიანების, ოჯახებისა და ბუნების დაცვა-გაფრთხილება წარმოადგენს. ამისათვის, შამანი უნდა ხედავდეს და გრძნობდეს ყოველგვარ უბედურებასა თუ ავადმყოფობას და იცოდეს, საიდან მომდინარეობს ეს უკანასკნელი (შესაძლოა, სხვა რომელიმე შამანისაგან...). რამდენადაც დაუჯერებელი არ უნდა იყოს, შამანები ფლობდნენ ტრანსფორმაციის საიდუმლოს: საჭიროების შემთხვევაში, მათ შეეძლოთ სხვადასხვა ცხოველად (იაგუარი, არწივი, ნიანგი, გველი და ა.შ.) გარდაქმნა, იმის მიხედვით, თუ რომელი სიმბოლოს მატარებელი იყო, ესა თუ ის შამანი. ტანის მოხატულობებს, ბუმბულის ქუდებს, ნიღბებს, კაცის (ან სხვა რომელიმე ცხოველის) ბრჭყალებსა და კბილებს და სხვა ამულეტებს სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა.

ბოლოს, დავამთავროთ იმით, რითაც ეს ისტორია დავიწყეთ: ესპანელი დამპყრობლები, განუწყვეტლივ „ასუფთავებდნენ" კოლუმბიის „ოქროს სამარხებს" და ანადგურებდნენ წინაპართა სულებისადმი მიძღვნილ ტაძრებს. არქეოლოგებს კი მხოლოდ ესპანელთა ნაკვალევი და უსიცოცხლო ნანგრევებიღა რჩებოდათ.

მიუხედავად ამისა, შემორჩენილია მრავალი ეთნიკური ჯგუფი, ტროპიკულ ტყეებსა და ძნელად მისადგომ მთიან რეგიონებში, სადაც დღემდე შემონახულია ძველი ადათ-წესები, რწმენა და რიტუალები. დღესდღეობით კოლუმბიაში 84 ასეთი ჯგუფია, რომლებიც 64 ადგილობრივ ენაზე ლაპარაკობენ და რომელთა უმრავლესობაც კვლავ ძველ რელიგიასა და შამანთა ტრადიციებს მისდევს.

მოამზადა კოტე იანტბელიძემ

ცხვირის მოსართავი ორნამენტი იაგუარის გამოსახულებით. 100წ ძვ.წ.აღ-ით – 100 წ. ჩვ.წ.აღ-ით სიმაღლე – 28სმ, სიგანე – 25,5სმ

გულსაბნევი კაცი-ღამურის გამოსახულებით. ჩიტებით გაწყობილი ვარცხნილობით. 600-1600 წ.წ. ჩვ.წ.აღ-ით, სიმაღლე –9,5სმ, სიგანე – 11,9სმ



	ქალის წინდის სახეობა	... დე ბრაქელონი	ქეთევან ბაგრატიონი...	რ.როლანი „... ბრუნიონი"	ჯომოლუნგმა	პლანეტა მზის სისტემაში

...ნიგ-ბა	ბატკანი	ტივი „... ტიკი"	ადამიანის სხეულის ნაწილი	... ჩაუშესკუ	მდინარე თბილისში	... სპილბერგი

წმინდა ნიკოლოზ დვალი

და როცა მახვილმა თავი წარკვეთა წმ. ნიკოლოზს, მოჭრილმა თავმა შვიდგზის ადიდა უფალი: ,,დიდება, შენდა, ქრისტე ღმერთო!''

წმინდა მოწამე ნიკოლოზ დვალი მართლმორწმუნე ქრისტიანთა შვილი იყო. მშობლებმა იგი დაბადებიდანვე უფალს მიუძღვნეს. 12 წლის ყრმა ნიკოლოზი კლარჯეთის უდაბნოში წავიდა, ბერად აღიკვეცა და უდრტვინველად შეუდგა „ტკბილსა უღელსა მოზანონებისას“. შემდგომ კლარჯეთის უდაბნოდან გულმა იერუსალიმის წმინდა ადგილების მოსანახულებლად გაუწია, სადაც საბოლოოდ ქართველთა ჯვრის მონასტერში ამჯობინა დამკვიდრება. აქ მხურვალე ქრისტიანის გული მოწამეობრივად აღსრულების სურვილმა შეიპყრო და ღმერთს ევედრებოდა, მოციქულების მსგავსი აღსასრულის ღირსად გაეხადა.

იმ დროისთვის მაცხოვრის საჯაროდ აღიარება საკმაო რისკს წარმოადგენდა, რამაც ვერ შეძლო წმ. ნიკოლოზის დაშინება და ერთ-ერთი საჯარო ქადაგების დროს იგი შეიპყრეს. ამ შემთხვევაში, ქრისტიანებმა შეძლეს წმ. ნიკოლოზის გამოხსნა, რომელიც შემდგომ მოძღვრის კურთხევით კვიპროსის ქართველთა მონასტერში გაემგზავრა. ერთხელ წმ. იოანე ნათლისმცემლის ხატის წინ ლოცვისას, მას შემოესმა ხმა: „ნიკოლოზ, აღდეგ და იერუსალიმს წარვედ და მანდა არს ბერი ქართველი და მან გასწაოს გზაი ცხოვრებისაი და წამებისა გზასა განგამტკიცოს, რამეთუ მისდა ბრძანებულ არს შენთვის, რაითა გმართებდეს“.

წმინდა ნიკოლოზი დაბრუნდა იერუსალიმში და ყოველივე მოძღვარს აუწყა. მოძღვარს ხანგრძლივი ლოცვის შემდეგ გამოცხადება ჰქონდა, რომ წმინდა ნიკოლოზი დამასკოში უნდა გამგზავრებულიყო. დამასკოში ჩასული წმინდანი წარმართთა შესაკრებელში შევიდა. უსჯულოთა წინაშე აღიარა ქრისტე და ამხილა მათი უგუნურება. განრისხებულმა წარმართებმა წმინდა აღმსარებელი სასტიკად გვემეს და ციხეში ჩააგდეს. მიტროპოლიტმა და ქრისტიანებმა ძლივს მოახერხეს მისი გამოხსნა. ასე მოხდა ორგზის... საბოლოოდ, სასტიკად ნაგვემი და დაწყლულებული წმინდა მოწამე იოანე ნათლისმცემლის სასწაულებრივი გამოცხადების შემდგომ განიკურნა.

ქალაქის ამირამ შემთხვევით ნახა იერუსალიმში გასამგზავრებლად მომზადებული წმინდა ნიკოლოზი. იცნო, შეიპყრო და ამირთა-ამირა დენგიზს გაუგზავნა. დენგიზმა გადაწყვიტა, ტკბილი სიტყვით ეცდუნებინა წმინდანი და მაჰმადიანობის მიღება შესთავაზა. წმინდა ნიკოლოზმა გაბედულად აღიარა ქრისტე, ამირთ-ამირამ მისი მოკვდინება ბრძანა. წმ. ნიკოლოზი აღმოსავლეთისკენ მიბრუნდა, ნებით მოუდრიკა მახვილს ქედი და თქვა: „დიდება შენდა, ქრისტე ღმერთო, რომელმან ღირს მყავ შენთვის სიკუდილისა“. მახვილმა თავი წარკვეთა წმინდა ნიკოლოზს. მოჭრილმა თავმა კი შვიდგზის ადიდა ღმერთი და ხმა-ჰყო: „დიდება შენდა, ქრისტე ღმერთო!“ ამ სასწაულის მხილველმა სპარსელებმა წმინდანის გვამი დაწვეს, მისი წამების ადგილს სამი დღე ნათლის სვეტი ადგა.

წმინდა ნიკოლოზის მოძღვარმა თავისი სულიერი შვილის მოწამეობრივი აღსასრული რომ შეიტყო, ღმერთს შეევედრა, გამოეცხადებინა მისთვის, შეირაცხა თუ არა ნიკოლოზი წმინდა მოწამეთა შორის და მან იხილა ნათლითა და სურნელებით შემკული წმინდა მთა, რომელსაც ამშვენებდა გუნდი წმინდა მოწამეთა. ცენტრში მბრწყინავმა წმინდა დიდმოწამე გიორგიმ იხმო ნიკოლოზი და მოძღვრის სახილველად მოუწოდა: „ნიკოლოზ! გამოვედ და იხილე ბერი ესე, შენი მოძღვარი, რამეთუ მრავალი ცრემლნი დასთხია შენთვის. ნიკოლოზმა მოიკითხა მოძღვარი და დაამშვიდა: აჰა, მიხილე მეცა და ჩემი აღგილიცა და ამიერითგან ნუღარა მწუხარე ხარ ჩემთვის“.

წმინდა ნიკოლოზ დვალი ეწამა 1314 წლის 19 ოქტომბერს. ამიტომაც საქართველოს ეკლესია წმ. ნიკოლოზ დვალის ხსენებას აღნიშნავს 19 ოქტომბერს და 25 თებერვალს, როდესაც მასთან ერთად იდღესასწაულება ლუკა იერუსალიმელისა და პროხორე ქართველის ხსენებაც.

ნინო ტარყამვილი

1920 წლის დეკემბრიდან, სომხეთის ოკუპაციის შემდეგ, მოსკოვში საბოლოოდ ჩათვალეს, რომ საქართველოს დაპყრობის საკითხიც უკვე „მომწიფდა“. ამიტომ ბოლშევიკთა პარტიის კავკასიის ბიუროს თავმჯდომარე სერგო ორჯონიკიძე, საქართველოში უახლოეს პერიოდში შეჭრით დაიმედებული, ასეთ დეპეშას აგზავნის ლენინის სახელზე: „არსად გარეგნულ მხარეს ისეთ ყურადღებას არ აქცევენ, როგორც იქ, საქართველოში, ხოლო წითელი არმია ჩაცმულია ძალიან ცუდად, ამიტომ აუცილებელია, არმია ჩაცმულ-დახურული იყოს, როგორც საჭირო, რათა ის თავის გარეგანი სახით მიმზიდველი იყოს, რომ წითელარმიელებში არ ხედავდნენ ძონძებში გახვეულ ადამიანებს“.



დამოუკიდებელი საქართველოს პირველი მთავრობა: (მარცხნიდან) მ. მესხიშვილი, ნ. რამიშვილი, ნ. ჟორდანია, მ. ლასხიშვილი და მ. ჟურული

კახა მაისურაძე

პირველი რესპუბლიკის მხარე გამოცდილება

1921 წლის თებერვლის ომი და საქართველოს „გასაბჭოება“

ომის პროლოგი

1921 წლის 26 იანვარს რუსეთის მთავრობამ, ლენინის წინადადებით, საბოლოოდ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს საქმეებში „სამხედრო ჩარევის“ შესახებ. ამ დადგენილების საფუძველზე განხორციელდა დაპყრობილი აზერბაიჯანისა და სომხეთის ტერიტორიაზე მყოფი XI-ე წითელი არმიის, აგრეთვე ჩრდილო კავკასიაში განლაგებული VIII-ე, IX-ე და XIII-ე არმიების გაძლიერება და საომრად მომზადება.

საქართველოში კი ამ დროს რა ხდებოდა? მთავრობას, შეიძლება ითქვას, სრული ინფორმაცია ჰქონდა მოსალოდნელ თავდასხმაზე (ჯერ კიდევ 1920 წლის შემოდგომაზე ქართული ჯარის სამხედრო დაზვერვამ ხელში ჩაიგდო რუსეთის VIII-ე არმიის სარდლის, ლევანდოვსკის გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა დამოუკიდებელი საქართველოს ლიკვიდაციას) და მაინც არავითარი სერიოზული ღონისძიებები არ გაატარა იმისათვის, რომ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა განმტკიცებულიყო. პირიქით კი მოხდა: მაგალითად, 1920 წლის მიწურულისათვის ქვეყნის ბრძოლისუნარიან შეიარაღებულ ძალთა რაოდენობა შეამცირეს 15 ათასი ჯარისკაცით. იმავე ხანებში, ქვეყნის შინაგან საქმეთა მინისტრის, ნოე რამიშვილის წინადადებით, მიიღეს ცნობილი ბრძანება – არმიაში ორ წელიწადს ნამსახურებ ჯარისკაცთა დათხოვნისა და უვადო შვებულებაში გაშვების შესახებ. ამას ემატებოდა ქვეყნის სამხედრო-საჰაერო ძალებში არსებული მძიმე მდგომარეობა. მართალია, მთავრობამ 1920 წელს შეიძინა იტალიაში, ქ. ტურინში „ანსალდოს“ ცნობილ საავიაციო ქარხანაში დამზადებული 12 საუკეთესო აეროპლანი, მაგრამ ავიაციის უფროსის, ნ. მაყაშვილის მოხსენებიდან ჩანდა, რომ მას არ ჰქონდა ბენზინი და ზეთი და შიშობდა – თუ ქვეყანას ხიფათი თავს დაატყდებოდა, გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა და „ერთ თავის თხოვნაში ის სწერდა სამხედრო სამინისტროს, რომ თუ მთავრობას არ შეუძლია შეიძინოს ბენზინი, მან უნდა პატარა თანხა მაინც გაიღოს ქარხნის მოსაწყობად, რომელიც დაამუშავებს ბენზინს ნავთისგან, მაგრამ ისევ უარი მიიღო“ (გიორგი მაზნიაშვილი, „მოგონებანი“, 1990 წ.).

ვერ მოხერხდა დედაქალაქის სათანადო დაცვაც. საინჟინრო ჯარების უფროსმა, გენერალმა თაყაიშვილმა შეადგინა გეგმა თბილისის მიდამოებში დროებითი სიმაგრეების მოსაწყობად. ხარჯთაღრიცხვით, ამ საქმისთვის საჭირო იყო 300 ათასი ოქროს მანეთი, მაგრამ მთავრობამ გადამწყვეტ მომენტში ფულის გადახდაზე უარი განაცხადა.

ამავე დროს მოხდა კომისიის გაგზავნა საზღვარგარეთ, იარაღის შესაძენად, რაც დიდი კურიოზითაც დასრულდა. „არ ვიცი იყიდეს ეს იარაღი, თუ რომელიმე სახელმწიფომ აჩუქა იგი, მხოლოდ ვიცი, რომ როდესაც ეს იარაღი გადმოტვირთეს ბათუმში, მიმღებ კომისიამ შეადგინა ოქმი, საიდანაც ჩანს, რომ საზღვარგარეთიდან მოსული 9 ათასი თოფიდან, სახმარად გამოსადეგი აღმოჩნდა მხოლოდ 183“ – იგონებდა მოგვიანებით გენერალი გიორგი მაზნიაშვილი.

ამ დროს, 1921 წლის იანვრის დასაწყისში აზერბაიჯანიდან ჩამოვიდა საქართველოს წარმომადგენელი ძაბო ხუნდაძე და საქართველოს მთავრობას დაუდასტურა, რომ ბაქოში დამთავრდა XI-ე არმიის მზადება, რომლის მიზანია საქართველოს მიმართ სამხედრო მოქმედებების დაწყება. მაგრამ მთავრობა საგანგებო ზომების მიღებისაგან კვლავ თავს იკავებდა. ქვეყნის საზღვრებთან განლაგებული ჯარები კი მტრისგან მოსალოდნელი საფრთხის გაუვნებელყოფის ნაცვლად, დროს ქეიფსა და დროსტარებაში ატარებდნენ.

ომის დასაწყისი

ალკოჰოლით გალეშილი ქართული პოლკების განადგურება

მიუხედავად იმისა, რომ კრემლში საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს მოსპობის განაჩენი კარგა ხნის გამოტანილი იყო, მოსკოვს სამხედრო ინტერვენციის განსახორციელებლად სათანადო საბაბი ესაჭიროებოდა და საამისო სცენარიც მალე დაიწერა. „საქართველოში უნდა მომხდარიყო არსებული მთავრობის წინააღდეგ მშრომელთა შეიარაღებული გამოსვლა. აჯანყებულთ უნდა შეედგინათ მთავრობა, რომელიც საქართველოს მოსახლეობის სახელით მიმართავდა საბჭოთა რუსეთს დახმარებისათვის“.

ყოველივე დასახული გეგმით განხორციელდა. აჯანყების ინსცენირება დაიწყო 11 თებერვალს სომხეთის საზღვარზე, ლორეს რაიონში, ე.წ. „ნეიტრალურ ზონაში“ (რუსი კოლონისტებით დასახლებულ სოფლებში), რომელიც უმალ საქართველოს მშრომელთა „საყოველთაო აჯანყებად“ იქნა გამოცხადებული. რეალურად კი, რა მოხდა? როგორც ქართული ჯარების იმდროინდელი მთავარსარდლის, გენერალ ილია ოდიშელიძის მოხსენებიდან ირკვევა: „ლტოლვილთა ფორმაში გადაცმულმა რუსეთის აგენტებმა

გახსნეს საქართველო-სომხეთის საზღვართან არსებულ შაგალის საგუშაგოსთან სამიკიტნოები, სავსე ღვინით, არყით და კონიაკით, დაუახლოვდნენ ქართველ ჯარისკაცებს და ოფიცრებს და იყო ქეიფი და დროსტარება – გაიგეს, როგორი წესით იყო შაგალის ხიდი დანაღმული. ღამით შეუმჩნევლად მოხსნეს ჩვენი დარაჯი, გადმოვიდნენ ხიდით და ტყვედ ჩაიგდეს ნახევრად გალეშილი ჯარისკაცები და ოფიცრები ორი ქართული ათასეულისა, მე-5 და მე-7 პოლკები (სულ 7 ათასი ჯარისკაცი)". გამოქცეულმა და განადგურებას გადარჩენილმა ჯარის ნაწილებმა თავი მოიყარეს მდ. ხრამზე, მალე კი თბილისისკენ იწყეს დახევა.

რა ხდებოდა ამ დროს ქართული არმიის მთავარსარდლობაში? პარადოქსი ის იყო, რომ ქვეყნის როგორც იმჟამინდელი, ისე მომავალი მთავარსარდლები, გრიპის გამო, ლოგინად იყვნენ ჩავარდნილნი. როგორც გენშტაბში გამოცხადებულ მთავარსარდალ ილია ოდიშელიძის მიერ გაკეთებული მოხსენებიდან ჩანდა, მას ფაქტობრივად ხელთ არავითარი ძალები არ გააჩნდა საიმისოდ, რომ მტრის სწრაფი მარში შეეჩერებინა. მთავრობამ არსებულ კატასტროფაში მთელი პასუხისმგებლობა მას დააკისრა და 16 თებერვალს გადააყენა დაკავებული თანამდებობიდან. იმ დღესვე მისი ადგილი დაიკავა ასევე „სურდოთი და ჰაიმორიტის ნიშნებით" დასნებოვნებულმა გენერალმა გიორგი კვინიტაძემ.

პირველი, რაც ახალმა მთავარსარდალმა განახორციელა, იყო ტაქტიკური ცვლილებები მდინარე ხრამისაკენ უკან დახეული ჯარების განლაგებაში. მან გადაწყვიტა, სრული კონტინგენტის (700 კაცი) გადასროლა „საყარაულოს მთისა და კოჯრის მასივის" მიდამოებში, რათა აქ, ხელსაყრელი სტრატეგიული ადგილმდებარეობის გამოყენებით, შესაძლებელი გამხდარიყო მოწინააღმდეგის ჭარბი ძალების შეჩერება, ხოლო შემდეგ, მობილიზაციის შემთხვევაში, საერთო კონტრშეტევაზე გადასვლა და მტრის განდევნა ქვეყნის საზღვრებიდან. მაგრამ მთავარსარდლის ეს იმედი ნაწილებმა ვერ გაამართლეს – „ისე თავქუდმოგლეჯილები გარბოდნენ უკან", რომ დასახული გეგმა ვერ განხორციელდა. საპასუხოდ მტერს უკვე თბილისზე საიერიშოდ, ყოველი მხრიდან ჰქონდა გზა გახსნილი – მთავარსარდლობა იძულებული გახდა, მთელი არსებული ძალებით დედაქალაქის თავდაცვას შესდგომოდა.

ბრძოლა თბილისისათვის

1600 რუსის დატყვევება და დედაქალაქის დატოვება

თბილისისათვის ბრძოლა ქართული ჯარისთვის, იმთავითვე არასახარბიელო მდგომარეობაში წარიმართა. მდინარე ხრამიდან ქაოტური უკან დახევის შემდეგ, 16-17 თებერვალს ღამით კვინიტაძის განკარგულებაში დედაქალაქის დასაცავად ორგანიზებული ჯარის მხოლოდ 400 ჯარისკაცი და სამხედრო სკოლის იუნკერთა ასეული იმყოფებოდა, ჯარის მობილიზებაც საკმაოდ შეზღუდულად მიმდინარეობდა. ამას ემატებოდა ისიც, რომ, მაგალითად, ჯარისკაცებს არ გააჩნდათ უბრალო ტანსაცმელი და ფეხსაცმელიც კი. 16 თებერვალს თბილისი ფაქტობრივად დაუცველი იყო და ამ დღეს რუსებს ქალაქზე იერიში რომ მიეტანათ, შესაძლებელი იყო, ისინი სწრაფი მარშითაც შესულიყვნენ თბილისში. მაგრამ მათ დაიგვიანეს, რითაც ქართული ჯარის სარდლობამ კარგად ისარგებლა და ქვეყნის შიდა რაიონებიდან გამოწვეული გვარდიისა და ჯარის შენაერთების მეშვეობით, 17-18 თებერვლისთვის დედაქალაქის მისადგომებთან 2500-მდე ჯარისკაცს მოუყარა თავი. შეიქმნა I მებრძოლი რაიონი, რომლის სარდლად გენერალი გიორგი მაზნიაშვილი დაინიშნა. მას უნდა გაეკონტროლებინა რეგიონი ორხევის სადგურიდან ტაბახმელამდე, ხოლო 19 თებერვლისთვის, ვინაიდან მაზნიაშვილის მარჯვენა ფრთა კოჯრამდე და შემდეგ, კიკეთამდე დაუცველი იყო, შეიქმნა რიგით II მებრძოლი რაიონი, რომელსაც გენერალი ანდრონიკაშვილი ჩაუდგა სათავეში.

18-19 თებერვალს, ღამით პირველი გააფთრებული იერიში მტერმა სწორედ მაზნიაშვილის შენაერთზე მიიტანა. მთელი ღამის განმავლობაში მის დაქვემდებარებაში მყოფი მებრძოლები წარმატებით იგერიებდნენ მოწინააღმდეგის გაფრთრებულ იერიშებს, ხოლო დილით ერთიანად გადავიდნენ შეტევაზე და 1600 რუსი ჯარისკაცი ჩაიგდეს ტყვედ, დანარჩენებმა კი გაქცევით უშველეს თავს. „მაზნიაშვილს შევხვდი, ერთმანეთს გადავეხვიეთ, ხმას ვერ ვიღებდით – მოგვარებული საქმე სიტყვებზე მჭერმეტყველი იყო" – იგონებდა ამ გამარჯვებასთან დაკავშირებით გენერალი კვინიტაძე.

შემდეგ დატყვევებული რუსები თბილისის ქუჩებში გაატარეს. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ გამარჯვებას არ შეეძლო, ძირეული გარდატეხა შეეტანა ომის მსვლელობაში. მტერი თბილისის შტურმს განაგრძობდა. იმავე 18 თებერვალს რუსებმა მოახერხეს კოჯრის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი მასივის დაპყრობა, რის შედეგადაც მოწინააღმდეგე გენერალ ანდრონიკაშვილის შენაერთების ზურგში მოექცა. ამჯერად, თბილისში მტრის შეჭრის საშიშროება თავიდან აიცილეს – 20 თებერვალს შესაძლებელი გახდა დაკარგული პლაცდარმის დაბრუნება. ამ ბრძოლაში გმირულად დაიღუპა კაპიტანი თოიძე, რომელიც იუნკერთა ასეულის საინჟინრო რაზმს მეთაურობდა.

19-20 თებერვალსვე დაიძაბა მდგომარეობა მტკვრის მარცხენა სანაპიროზე. მტერმა ქართველთა მიერ აფეთქებული ფოილოს სასაზღვრო ხიდი შეაკეთა და ჯავშანმატარებლების დახმარებით, იერიში წამოიწყო ამ მიმართულებითაც. მაგრამ იქ განლაგებული, საგანგებოდ გაძლიერებული გვარდიის ფორმირებები გენერალ ჯიჯიხიას სარდლობით, კონტრიერიშზე გადავიდნენ და მოწინააღმდეგე საგარეჯოს იქით გადარეკეს. ეს იყო თბილისთან ჩატარებული, უკანასკნელი ფართომასშტაბიანი შეტევითი ოპერაცია, რომელიც ქართველთა წარმატებით დასრულდა: 23 თებერვლისთვის იგივე ჯიჯიხიას რაზმი, მტრის მზარდი შემოტევის გამო, იძულებული გახდა, ძველ გამაგრებულ პოზიციებს დაბრუნებოდა. 24 თებერვალს ფრონტის ამ უბანზე მთავარსარდალმა კვინიტაძემ მორიგი კონტრიერიშის წამოწყება განიზრახა. გეგმა გადამწყვეტი რიცხობრივი უპირატესობის მოპოვებით, ელვისებური იერიშის განხორციელებას ეფუძნებოდა. საამისოდ მთელი მარცხენა მონაკვეთი სამ მეთაურს – გენერალ ჯიჯიხიას, პოლკოვნიკებს – ინწკირველსა და გედევანიშვილს დაუქვემდებარა. მაგრამ, ერთი მხრივ, იერიშის დაგვიანებამ და, ამავე დროს, მტრის მიერ ჩვენს პოზიციებში მოულოდნელმა შემოჭრამ ყველაფერი თავდაყირა დააყენა. დაახლოებით 1500-კაციანმა რუსულმა კავალერიამ ფლანგიდან მოუარა პოლკოვნიკ გედევანიშვილის ცხენოსანთა რაზმს და თბილისის გარეუბნები – გლდანი და ავჭალა დაიკავა. კრიტიკული გახდა მდგომარეობა ფრონტის სხვა უბნებზეც – მაგალითად, ნავთლუღის მიდამოებში მტერმა ტანკები შემოიყვანა, რის შედეგადაც სახალხო გვარდიის ზოგიერთმა ნაწილმა პოზიცია მიატოვა და უკუიქცა. 24 თებერვალს საღამოს საპასუხო საარტილერიო კონტრდარტყმით ჯიჯიხიამ გარღვეული ხაზის აღდგენა მოახერხა.

გაფთრებული ბრძოლები გაჩაღდა მტკვრის მარჯვენა სანაპიროზეც, გენერლების – მაზნიაშვილისა და ანდრონიკაშვილის საბრძოლო უბნებზე, შავნაბადას და მის მეზობლად მდებარე სიმაღლეზე, სადაც ნავთლუღის მსგავსად, ბრძოლები გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. 24-შივე მოხერხდა კრიტიკული ვითარების აღმოფხვრა ავჭალა-გლდანის ხაზზეც. ამრიგად, ქართული ჯარი 25 თებერვლისათვის ყველა მიმართულებით გამარჯვებული იყო, ამიტომ იბადება ბუნებრივი კითხვა: მაშ რატომ მოხდა, რომ დავტოვეთ თბილისი?

მთავარსარდალი კვინიტაძე ამ გადაწყვეტილებას, ძირითადად, რეზერვის არარსებობით ხსნის – თუმცა, ისიც ფაქტია, რომ რეზერვები ქართულ არმიას დღითი დღე ემატებოდა. მაგალითად, ერთმა მნიშვნელოვანმა ნაწილმა თბილისისაკენ დაძრულმა, მას, უკვე უკან დახევისას, მცხეთასთან, მეო-

რემ კი — ხაშურთან ჩამოუსწრო, მაგრამ მაინც ძალიან გვიანი იყო: 25 თებერვალს, 12 საათსა და 15 წუთზე წითელი არმიის ნაწილები თბილისში შემოვიდნენ.

არიერგარდული ბრძოლები

მარცხი, სრული ოკუპაცია

მტრისათვის უბრძოლველად თბილისის ჩაბარების შემდეგ, ქართული ჯარების მორალურ-ორგანიზაციული სახე მნიშვნელოვნად შეირყა. არმიას, თბილისიდან უკან დახევის დღიდან, მოწინააღმდეგესთან შეტაკების დროს თითქმის არავითარი ზარალი არ მოსვლია, მისი რაოდენობა კი ყოველდღიურად მცირდებოდა. ჯარისკაცები, ყოველგვარი ბრძანების გარეშე, სახლებში გარბოდნენ, მათ უკვე დაკარგული ჰქონდათ გამარჯვების რწმენა. არსებული პოლკების პირადი შემადგენლობა ამ დროისთვის, რამდენიმე ათასის ნაცვლად, 150-დან 500 კაცამდე თუ მოითვლიდა.

თავდაპირველად, მთავარსარდლის გეგმით, განზრახული იყო მცხეთის პოზიციებზე გამაგრება. მაგრამ ქართული ჯარის მცირერიცხოვნობის გამო, შეუძლებელი გახდა იქ დარჩენა. „მოწინააღმდეგეს, რომ მეტი ენერგია და გაბედულობა ჰქონოდა, 24 თებერვალს საღამოს საქართველოს მთელ არმიას ტყვედ ჩაიგდებდა, მაგრამ მისი უმოქმედობის გამო 26 თებერვალს ჩვენ შევძელით მცხეთის ქვაბიდან გასვლა“ — იგონებდა გენერალი მაზნიაშვილი.

უკან დახევა გაგრძელდა — მთავარსარდალმა გადაწყვიტა, გორის მიდამოებში დაესვა საბოლოო წერტილი რუსთა წინსვლისათვის, მაგრამ გორთანაც ეს ვერ განხორციელდა. „ნოე რამიშვილი დასეირნობდა გორის სადგურის ბაქანზე და ყველას ამშვიდებდა: გამაგრდით, რეალური დახმარება საზღვარგარეთიდან ამ დღეებში მოვაო. და ჩვენ გვჯეროდა მისი, მიუხედავად იმისა, რომ ეს კაცი, რომელსაც ჯარისკაცები უწოდებდნენ „საქართველოს ბოროტ გენიას“, ხშირად ატყუებდა ყველას, ვისთვისაც ღირსება ძვირფასი იყო (გიორგი მაზნიაშვილი „მოგონებანი“ 1990 წ.).

ამასობაში რუსები უკან დახეული ქართული ჯარების ალყაში მოქცევას და განადგურებას ეცადნენ. 28 თებერვალს წითელარმიელთა არტილერიამ ცეცხლი გაუხსნა ქ. ხაშურთან დახეულ ქართულ ჯარებს. გენერალ კვინიტაძის ბრძანებით უკან დახევა შეწყდა. გადაწყდა, ხელსაყრელი სტრატეგიული ადგილმდებარეობის გამოყენებით, გენერალური ბრძოლა მტერთან სწორედ აქ გამართულიყო. მთავარსარდლის გეგმა საკმაოდ გონივრული იყო. მისი რეალიზების შემთხვევაში, მოწინააღმდეგის მთელი არმია „ტომარაში“ მოექცეოდა, რაც დედაქალაქის დაბრუნების შესაძლებლობას შექმნიდა, მაგრამ ღამით სახალხო გვარდიამ თვითნებურად, უბრძოლველად მიატოვა დაკავებული პოზიციები, რის შედეგადაც არათუ ჩვენ, არამედ პირიქით — რუსები გავიდნენ ქართული ჯარების ზურგში და განადგურებით დაგვემუქრნენ. „შტაბში დაბრუნებული გენერალი კონიაშვილი გვარდიის ღალატით თავზარდაცემული — უგონოდ იგინებოდა“, მთავარსარდალი კვინიტაძე კი, მარცხისაგან სასოწარკვეთილი, თავის მოკვლას ლამობდა — „აბა, თევზაძევ, თავის მოკვლაღა დამრჩენია, არა? — მომმართა სევდიანი ხმით“ — იგონებდა გენშტაბის პოლკოვნიკი ვალერიან თევზაძე.



ნოე რამიშვილს ჯარისკაცები „საქართველოს ბოროტ გენიას“ უწოდებდნენ

ჯარს ერთადერთი გამოსავალი რჩებოდა — უკან დახევა. განზრახული იყო სურამის ქედზე მტკიცედ გამაგრება და დასავლეთ საქართველოში გამოცხადებული მობილიზაციის მეოხებით, საპასუხო კონტრშეტევისათვის მზადება, მაგრამ უმალ ეს გეგმაც ჩავარდა.

იმავე გვარდიის თვითნებურად პოზიციებიდან მოხსნის წყალობით, მტერმა უმოკლეს ხანებში, თითქმის უბრძოლველად იგდო ხელთ უღელტეხილის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი მონაკვეთები და ქედის სხვა უბნებზე განლაგებული ქართული ჯარები უკან დახევის რეალობის წინაშე დააყენა.

მტრის წინსვლა გრძელდებოდა, ქართველები უკან იხევდნენ — ამას დაერთო არმიის კატასტროფული მდგომარეობა ჩრდილოდასავლეთის — აფხაზეთის ფრონტზეც. ამ მიმართულებით შეტევას ახორციელებდა რუსეთის VIII-ე არმია, გენერალ ლევანდოვსკის სარდლობით.

იქ განლაგებული მე-2 და მე-3 ქართული პოლკები, გენერალ ართმელაძის მეთაურობით, მტრის მზარდ იერიშებს ვერ უძლებდნენ და კატასტროფული შედეგებით, უკან იხევდნენ.

მარტის დასაწყისში მტერი უკვე სამეგრელოში — სენაკის რაიონში იყო. სამტრედიის დაკავების შემთხვევაში კი, ქართულ ჯარებს სრული ბლოკირებით ემუქრებოდა. ამიტომ, გენერალ კვინიტაძის ბრძანებით, ჯერ კიდევ სურამის უღელტეხილის რაიონში მებრძოლი არმია სასწრაფოდ, ეშელონებით იქნა გადაყვანილი სამტრედიაში, იქიდან კი მდინარე რიონის მოპირდაპირე მხარეს — საჯავახოს ხაზზე. სარდლობას განზრახული ჰქონდა, ბოლშევიკებთან სამომავლო ბრძოლისთვის სწორედ ქვეყნის ეს რეგიონი გამოეყენებინა საომარ პლაცდარმად. საამისოდ ყველაფერი გაკეთდა კიდეც. ქართული არმიის მებრძოლ ერთეულთა რიცხვი 2000-2500 კაციდან, ოზურგეთის მაზრაში განხორციელებული მობილიზაციის შედეგად, 10 ათას კაცამდე გაიზარდა. ამას ემატებოდა ქ. ბათუმში განლაგებული სამიათასკაციანი ქართული პოლკიც, რაც დამოუკიდებლობის შენარჩუნების პერსპექტივას კიდევ აცოცხლებდა.

მაგრამ სწორედ ამ დროს დამოუკიდებელ საქართველოს ზურგიდან მახვილი ჩასცა ლენინთან ალიანსში მყოფმა ქემალ ათათურქის თურქეთმა, რომელმაც ჯერ არ ტაანისა და ართვინის დაცლა მოითხოვა, ხოლო შემდეგ, თითქოს დახმარების მიზნით აჭარაში შემოსულმა, თვით ქ. ბათუმი და ბათუმის ოლქი თურქეთის ნაწილად გამოაცხადა.

ჟორნადიას მთავრობამ საკითხი გათავებულად ჩათვალა. საქართველოს მთავრობაში ფიქრობდნენ, რომ მდგომარეობა უიმედო იყო. გადაწყდა — ბათუმი მაინც არ დაეთმოთ თურქეთისთვის. საამისოდ მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის, გრიგოლ ლორთქიფანიძის მეთაურობით ქუთაისში გაიმართა მოლაპარაკება ბოლშევიკებთან. მიღწეული შეთანხმებით, ჟორდანიას მთავრობის იურისდიქცია მყარდებოდა საჯავახო-ბათუმის ხაზზე, 21 მარტამდე. ამ რიცხვამდე უნდა მომხდარიყო ბათუმიდან თურქთა განდევნაც, რადგან ანკარასთან მეგობრულად განწყობილ მოსკოვს არ ჰქონდა უფლება ამ დაპირისპირებაში ჩარეულიყო. ბათუმის შემოერთების საშვილიშვილო მისია იკისრა წითელ არმიასთან ბრძოლებში მოქანცულმა ქართულმა ჯარმა გენერალ გიორგი მაზნიაშვილის სარდლობით.

20 მარტისთვის ქალაქი მტრისაგან სრულიად გაწმენდილი იყო. ბათუმი კვლავ დედასამშობლოს განუყოფელ ნაწილად დარჩა. 17 მარტს საქართველოს მთავრობა იტალიური გემებით საზღვარგარეთ გაიქცა. ამ აქტითვე ომი, რომელმაც ასობით ქართველი ჯარისკაცის სიცოცხლე შეიწირა, ბოლშევიკური რუსეთის სრული გამარჯვებით დამთავრდა. ■

სპორტი საქართველოში ყოველთვის პოპულარული იყო და ეროვნული სახეობებიც მრავლად გვქონდა. მათ შორის ლელო გამოირჩეოდა საყოველთაო სიყვარულით. ალბათ იმიტომ, რომ ამ სახეობაში ბევრი ადამიანი მონაწილეობდა ერთად და განსაკუთრებულ ძალას, გაბედულებასა და მოხერხებულობას მოითხოვდა.

როგორც ირკვევა, ლელოს მაგვარი თამაშები მსოფლიოს მრავალ ხალხს ჰქონია და დღეს, როდესაც ესოდენ პოპულარული გახდა რაგბი მთელ მსოფლიოში, ბევრი ქვეყანა „იჩემებს“ მის მამამთავრობას.

„ადრე რომ დავბადებულიყავი, ძეროკარი ვიქნებოდი...“

გვიან გურული

ასეა თუ ისე, ლელო ძალიან ჰგავს რაგბის (ან პირიქით) და ბუნებრივიც არის, რომ საქართველოში შედარებით გვიან დამკვიდრების მიუხედავად, ესოდენი პოპულარობა მოიპოვა ჩვენს ქვეყანაში.

ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის არსებობისას ქართული გუნდები ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენდნენ „მსოფლიოს ერთი მეექვსედის“ ჩემპიონატში და სხვა სათამაშო სახეობებისაგან განსხვავებით, საქართველო რამდენიმე ძლიერი საკლუბო გუნდით იყო წარმოდგენილი საბჭოთა კავშირის პირველობაზე. განსაკუთრებით, ქუთაისის „აია“-ს წარმატებებია აღსანიშნავი – პატარა ქალაქის გუნდმა რამდენჯერმე მოახერხა უძლიერესი გამხდარიყო მთელი კავშირის მასშტაბით. მაშინვე ნათელი იყო, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემთხვევაში, მაშინ, თუ საქართველოს ნაკრებს ცალკე გუნდად მიეცემოდა საერთაშორისო ასპარეზზე გამოსვლის შესაძლებლობა, იგი თავს არ შეირცხვენდა და ასეც მოხდა. საყოველთაო არეულობის ჟამსაც კი არ შეწყვეტილა საქართველოს ჩემპიონატი, რომელიც ძირითადად ენთუზიაზმის ხარჯზე ტარდებოდა, ხოლო ნაკრების ჩამოყალიბებისა და საერთაშორისო სარაგბო ფედერაციაში საქართველოს რაგბის კავშირის გაერთიანების შემდეგ, ჩვენმა ეროვნულმა ნაკრებმა არაერთ შთამბეჭდავ გამარჯვებას მიაწღია და ყველა მეტოქისათვის ანგარიშგასაწევ ძალად იქცა.

ფრანგი მწვრთნელის – კლოდ სორელის ჩამოსვლის შემდეგ კი, მართლაც ხელშესახები გახდა საქართველოს ნაკრების წარმატებები. თუნდაც ის რად ღირს, რომ ევროპის ბობოლა ექვსი გუნდის (ბრიტანეთის ქვეყნები, საფრანგეთი და იტალია) შემდეგ მეორე ექვსეულში, რომლებიც ე.წ. „ერთა თასს“ ეცილებიან ერთმანეთს, საქართველოს ნაკრები ყოველთვის ფავორიტად ითვლება ისეთ ტრადიციულ სარაგბო ქვეყნებთან ჭიდილში, როგორიც რუმინეთი და რუსეთი არიან, ხოლო დანარჩენებთან – პორტუგალიასთან, ესპანეთთან და ჰოლანდიასთან, როგორც წესი, დიდი ანგარიშით იმარჯვებს.

„ერთა თასის“ მორიგი, მეორე ტურის უკანასკნელი შეხვედრა საქართველოს ნაკრებმა გასულ შაბათს გამართა თბილისში ეროვნულ სტადიონზე და განსაკუთრებული ოფლის ღვრის გარეშე დიდი ანგარიშით დაამარცხა პორტუგალიელები. ჩვენი გუნდის ხერხემალს როგორც ყოველთვის, ახლაც ლეგიონერები შეადგენდნენ, რომელთა უმეტესობაც, კლოდ სორელისავე რეკომენდაციით, საფრანგეთში თამაშობს.

ერთ-ერთი მათგანია 27 წლის გია ლაბაძე, რომელიც საქართველოს ნაკრებშიც და თავის ფრანგულ კლუბშიც – უმაღლესი დივიზიონის „ტულონში“ ლიდერად ითვლება.

ჩვენ ვისარგებლებთ გიას თბილისში ყოფნით და გავესაუბრეთ მას:

— გია, როგორ დაიწყო

ყველაფერი, როგორ მოხვდი რაგბიში?

— სრულიად შემთხვევით — ბავშვობაში ფეხბურთს ვთამაშობდი, მერვე კლასის ჩათვლით ვიარე ფეხბურთზე, მეკარე ვიყავი. შემდეგ გუნდში პატარა პრობლემა შემექმნა, ძირითად შემადგენლობაში არ მაყენებდა მწვრთნელი და გული ავიცრუე. მაგრამ უსპორტოდ ხომ ვერ გავჩერდებოდი და ჩემი სიძის ძმამ, დათო კახეთელიძემ რაგბიში ვარჯიში შემომთავაზა — ბავშვთა ცნობილი მწვრთნელი ბათუ კევლიშვილი მისი მეგობარი იყო. ისე მომეწონა ეს თამაში, რომ ფეხბურთზე აღარც კი მიფიქრია. მით უმეტეს, რომ ფეხბურთისგან განსხვავებით წარმატება ძალიან მალე მოვიდა — ბათუ კევლიშვილის რეკომენდაციით, სულ მალე საბჭოთა კავშირის იუნიორთა ნაკრებში მიმიწვიეს და 1991 წელს საფრანგეთში, ტულუზაში ახალგაზრდებს შორის მსოფლიო ჩემპიონატზეც ვითამაშე.

— საქართველოს რომელიმე საკლუბო გუნდში რამდენი წლისამ დაიწყე თამაში?

— რაგბიში ვარჯიშის დაწყებიდან რამდენიმე თვეში უკვე თბილისის „ლოკომოტივში“ ჩავირიცხე. „ლოკომოტივი“ მაშინ ძლიერ გუნდად ითვლებოდა, და საკმაოდ ანგარიშგასაწევი ძალა იყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში მონაწილე გუნდებისთვისაც.

შემდეგ ცოტა ხანს ზოოვეტერინარული ინსტიტუტის გუნდშიც მომიხდა თამაში, ამ ინსტიტუტში მინდოდა მოწყობა და იმიტომ, მაგრამ ეს გუნდი მალე მივატოვე და არც ვეტერინარი გამოვიდა ჩემგან.

— შენთვის ის პერიოდი, რომელიც უმთავრესია სპორტსმენისათვის, ფეხი რომ მოიკიდოს დიდ სპორტში, საქართველოში დიდ არეულობებს დაემთხვა.

— მართლაც ასე იყო, ძალიან გაჭირდა საქართველოში რაგბის თამაში და როგორც კი შესაძლებლობა მომეცა, 1994 წელს მოსკოვში წავედი. ჯერ კიდევ იუნიორთა ნაკრებში თამაშიდან ვახსოვდი ედუარდ კობზევს, მოსკოვის ცნობილი გუნდის „ფილის“ მწვრთნელს და იმან მიმიწვია. წელიწად-ნახევარი დავრჩი მოსკოვში. შემდეგ იმდენივე ხანს რუსეთის

კლოდ სორელის რეკომენდაციით ბევრი ნიჭიერი ქართველი მორაგბე საფრანგეთში თამაშობს

მეორე გუნდში — „პენზაში“ ვითამაშე.

— სხვა სპორტსმენები, თუნდაც ფეხბურთელები, ხშირად ჩივიან, რომ საქართველოს პირველობიდან უცხოეთში წასულებს, განსაკუთრებით კი, რუსეთში, თავიდან უჭირთ ხოლმე და პირველ რიგში ფიზიკურ მომზადებას გულისხმობენ. შენს შემთხვევაში როგორ იყო საქმე?

— განსაკუთრებით არ გამჭირვებია — რაგბი ხომ ისედაც ფიზიკური მომზადებაა ძირითადად. ამ კომპონენტში კი ქართველი მორაგბეები სხვა სახეობებისაგან განსხვავებით, არასოდეს ვუდებდით ტოლს რუსებს. პირიქით, „ფილიშიც“ და „პენზაშიც“ ქართველები ვითვლებოდით გუნდის ლიდერებად.

— ანაზღაურების მხრივ, ალბათ, საქართველოზე გაცილებით უკეთესი მდგომარეობა იყო.

— მახსოვს, მოსკოვში პირველი ხელფასი რომ ავიღე, დაახლოებით 300 დოლარი გამოდიოდა მაშინდელი კურსით. ცხადია, დღევანდელთან შედარებით ბევრი არ არის, მაგრამ საქართველოში ხომ საერთოდ უხელფასოდ ვთამაშობდით. პენზაში ამ მხრივ, უკეთესი მდგომარეობა იყო, მაგრამ მაინც მიჭირდა რუსეთში თამაში — რაც არ უნდა თავი მოგეკლა, მაინც ალმაცერად გვიყურებდნენ ქართველებს.

— სამაგიეროდ, მალე საფრანგეთში ამოყავი თავი?

— ეს 1998 წელს მოხდა, შემოდგომაზე და მთლიანად საქართველოს ნაკრების ფრანგი მწვრთნელის დამსახურებაა — არა მარტო მე, არამედ კიდევ რამდენიმე ქართველ მორაგბეს გაუხერხა იქაურ გუნდებში თამაში და მუდმივად თვალთახედვის არეში ვყავართ. ამით ჩვენი პირობებიც გაუმჯობესდა და მგონი, საქართველოს ნაკრებსაც წაადგა ჩვენი თამაში ძლიერ სარაგბო ქვეყანაში.

თავიდან სამოყვარულო გუნდში „შანბერში“ ვთამაშობდი, მაგრამ იქაურმა დონემ არ დამაკმაყოფილა და ისევ სორელს მოვთხოვე უკეთესი გუნდი გამოენახა ჩემთვის. მე და ბესო ხამაშურიძე ასე მოვხვდით „ტულონში“ და ბედს არ ვემდურით.

— კლოდ სორელზე დიდი სიმპათიით ლაპარაკობ. ვიცი, რომ სხვა მოთამაშეებიც დიდ პატივს სცემენ.

— მართლაც პატივისცემის ღირსია და იმიტომ. იმის გარდა, რომ ნაკრების

საქართველო—პორტუგალია. ცოტაც და ჩვენებურები ბურთს დაამიწებენ

საქართველო–პორტუგალია. მარჯვნიდან მეორე – გია ლაბაძე

მწვრთნელია და მთელი სულით და გულით მუშაობს გუნდთან, ყოველთვის იცავს მოთამაშეების ინტერესებს – თუნდაც გუნდიდან გუნდში გადასვლა ავიღოთ, სულაც არ ეკალება, რომ ჩვენი პრობლემები მოაგვაროს, მაგრამ ყოველთვის გვერდში გვიდგას ხოლმე. ნაკრებს რაც შეეხება, ისე ნერვიულობს არა მხოლოდ თამაშის შედეგის, არამედ ქვეყნის პრესტიჟის გამოც, თითქოს ქართველი იყოს. მაგალითად, როდესაც შარშან, რუსეთის წინააღმდეგ ვთამაშობდით, აქეთ გვმოძღვრავდა – ხომ იცით, რუსეთის წინააღმდეგ თამაში მარტო სპორტი არ არის თქვენთვისო. პორტუგალიასთან ბოლო თამაშის შემდეგაც იგივე გაიმეორა: შემდეგი თამაში რუსეთში გვაქვს და ვისთანაც გინდათ, წაგეთ, ოღონდ რუსეთთან არ შერცხვეთო.

სხვათა შორის, ალბათ, თვითონ რუსებიც ასე ფიქრობენ და მწარედ განიცდიან ჩვენთან მარცხს. ეს შარშანაც დაეტყოთ, როდესაც თბილისში ჩვენთან დამარცხების შემდეგ ტრადიციული „დერეფანი“ არ გაგვიკეთეს და ტაშით არ გაგვაცილეს გამარჯვებულები გასახდელისაკენ. ეს ყველაზე დიდ „უტაქტობად“ ითვლება რაგბიში.

— თუ საიდუმლო არ არის საფრანგეთში ხელფასი რამდენი გაქვს?

– არავითარი საიდუმლოება: 10.000 ფრანკს ვიღებ ყოველთვიურად, ეს დაახლოებით 2.000 დოლარზე ცოტა ნაკლებია. გარდა ამისა, ბინის, კვებისა და მანქანის ხარჯებსაც კლუბი იხდის. მე და ბესო ხამაშურიძე ერთად ვცხოვრობთ.

— „შანბერისაგან“ განსხვავებით, „ტულონი“ სერიოზული გუნდია და ალბათ სერიოზულ მიზნებსაც ისახავს.

– ახლა მეორე ადგილზე ვართ და ჩემპიონობისთვის ვიბრძვით. ვფიქრობ, ეს არ იქნება გადაუჭრელი ამოცანა.

— ალბათ პოპულარულები ხართ შენ და ბესო ქალაქში.

– საკმაოდ. „ტულონში“ საფრანგეთის სხვა ქალაქებისაგან განსხვავებით, რაგბი ყველაზე პოპულარული სპორტია, ფეხბურთზე მეტადაც კი. მახსოვს ახალი ჩასული ვიყავი, როდესაც მე და ბესო თამაშამდე რამდენიმე საათით ადრე საწვრთნელი ბაზის გარეთ მსუბუქად ვვარჯიშობდით. ხანში შესული კაცი მოვიდა და გამოგველაპარაკა – უკვე ორივეს გვარები იცოდა და გვითხრა, იცოდეთ, ხვალ პირადად თქვენს სანახავად მოვდივარ თამაშზეო. ეს ჩვენთვის მოულოდნელი და სასიხარულო იყო, მანამდე არასოდეს მიგრძვნია, რომ ქუჩაში ვინმე მცნობდა. ახლა კი უკვე შევეჩვიე. ტულონში გულშემატკივართა კლუბიც არის და კვირა ისე არ გავა, რომ ორ-სამჯერ ჩვენზე რაიმე არ ეწეროს ადგილობრივ გაზეთებში. პრესას კი, უდიდესი ყურადღება ექცევა იმ გუნდების სელექციონერებისაგან, რომლებმაც შეიძლება მომავალში მიგვიწვიონ და ამიტომ, ცხადია, ჩვენც ძალიან მნიშვნელოვნად ვთვლით, თუ რას დაწერენ ჩვენზე.

არ მჯერა იმ სპორტსმენებისა, რომლებიც ამბობენ, რომ პოპულარობა მობეზრდათ, ან არ სიამოვნებთ. მე მაგალითად, ძალიან მიხარია, როდესაც ქუჩაში მცნობენ და მიღიმიან, ბავშვები ავტოგრაფებს მთხოვენ. როგორ შეიძლება არ გიხაროდეს, როდესაც ტულონს გულშემატკივარი ქალების კლუბიც კი აქვს.

— ქალები ახსენე და ბარემ ისიც გვითხარი, ფრანგი ცოლის მოყვანას ხომ არ აპირებ?

– ცოლის მოყვანა ჯერ არ მაქვს გადაწყვეტილი, მაგრამ როცა მოვიყვან, ალბათ მაინც აქაური იქნება.

— საერთოდ ხომ არ აპირებ საფრანგეთში დარჩენას, თუნდაც აქტიური სპორტსმენის კარიერის დამთავრების შემდეგ?

– თამაშის პარალელურად, იქაურ უნივერსიტეტში ვსწავლობ, ეკონომიკის ფაკულტეტზე. ენის პრობლემაც აღარ მაქვს, თუმცა თავიდან გამიჭირდა, მაგრამ ერთ წელიწადში „ენა ამოვიდგი“. კარიერის დასრულების შემდეგ, რაგბისთან განშორებას არ ვაპირებ, მაგრამ ჩემი მეორე პროფესიიდან გამომდინარე, თუ მოხერხდა რაიმე ისეთი საქმის გამონახვა, რომ საქართველოშიც ვიყო და საფრანგეთშიც, კარგი იქნება.

— მაინც რა არის შენთვის რაგბი — სპორტი, სამუშაო თუ გატაცება?

– ყველაფერი ერთად, და რაც მთავარია, ჩემი დიდი სიყვარული. ახლა რომ ვფიქრობ, ცხოვრებაში ყველაზე დიდი საქმე ჩემი ფეხბურთის მწვრთნელმა გამიკეთა, რომელიც გუნდში არ მათამაშებდა. ასე რომ არ ყოფილიყო, მე ხომ არასოდეს ვიფიქრებდი, მორაგბე გავმხდარიყავი.

რაგბი ბრძოლაა, ვაჟკაცური, სამართლიანი ბრძოლა და ხანდახან ვფიქრობ ხოლმე – საუკუნეების წინ რომ დავბადებულიყავი საქართველოში, ალბათ მეომარი ვიქნებოდი და... ბრძოლისაგან თავისუფალ დროს ლელოს ვითამაშებდი!

გია ლაბაძე გუშინწინ საფრანგეთში დაბრუნდა, სადაც რუსებთან უახლოესი ბრძოლისათვის მოემზადება.

დარწმუნებული ვართ, ისიც და სხვა ქართველი მორაგბეებიც ისე ითამაშებენ, როგორც მათი ფრანგი მწვრთნელი ეუბნებათ: „რუსებთან თამაში თქვენთვის მარტო სპორტი არ უნდა იყოს!“

■

ასალი რაინდი

დიდი ბრიტანეთის დედოფლის გადაწყვეტილებით, გამოჩენილ ამერიკელ კინორეჟისორს სტივენ სპილბერგს რაინდის წოდება მიენიჭა. ამ მოვლენის აღსანიშნავი საზეიმო ცერემონია ვაშინგტონში დიდი ბრიტანეთის საელჩოს რეზიდენციაში გაიმართა. გაერთიანებულმა სამეფომ ხელოვანი რაინდად ცნო „იმ გავლენისათვის, რომელიც მისმა შემოქმედებამ ინგლისის კინემატოგრაფზე ბოლო 25 წლის მანძილზე მოახდინა“.

ცნობისათვის: ბრიტანული იმპერიის ორდენი 1917 წელს დაწესდა და პირველი მსოფლიო ომის დროს სამოქალაქო პირებს ენიჭებოდათ. დადგენილი წესის თანახმად, რაინდის ტიტულის მფლობელს უფლება ეძლევა, თავისი სახელი „სერ“-ის თანხლებით წარმოთქვას. სპილბერგი, როგორც უცხო ქვეყნის მოქალაქე, ამ წინსართს ვერ გამოიყენებს, თუმცა თავის სახელს შეუძლია დაურთოს K.B.E. (Kinght Commander of The Brith Empire – ბრიტანეთის იმპერიის რჩეული რაინდი...) სპილბერგის გარდა, ეს ჯილდო სულ რამდენიმე ამერიკელს აქვს მინიჭებული, მათ შორის, ქვეყნის ამჟამინდელ სახელმწიფო მდივანს კოლინ პაუელს, ექსპრეზიდენტებს – ჯორჯ ბუშ-უფროსსა და რონალდ რეიგანს.

ჯენეტს დიდი ვალემი დაუგროვდა



მაიკლ ჯექსონის დის ქმარყოფილმა, რენე ელიზონდომ მომღერალს სასამართლოში უჩივლა: თურმე პოპ-ვარსკვლავს დაურღვევია პირობა, რომლის თანახმად, 1991 წლიდან, როცა ისინი შეუღლდნენ, მან ივალდებულა, გაეყო შემოსავალი, რომელიც ალბომის –„Rhythm Notion 1814“ რეალიზაციით მიიღო. დანაპირების შეუსრულებლობის გამო, ელიზონდო 10 მლნ დოლარს მოითხოვს.

მკაცრი აღზრდის შედეგი

ვინ იფიქრებდა, რომ ოცდაორი წლის ლამაზმანს ქეითი ჰოლმსს („დოუსონის ნავსადგური“) სულ ცოტა ხნის წინ სერიოზული პრობლემები ჰქონდა მამაკაცებთან ურთიერთობაში. იმ ყმაწვილებთან გასაუბრებაც კი უჭირდა, ვინც მის უფროს ძმასთან სტუმრობდა. კათოლიკურ სკოლაში მოხვედრის შემდეგ კი, საერთოდ უფრთხოდა ძლიერ სქესთან კონტაქტებს. „სკოლაში ბიჭებთან ურთიერთობისას პრობლემები არ მქონია, – იცინის ქეითი – მაგრამ შემდგომში მამაკაცები ლამისაა, უცხოპლანეტელებად მეჩვენებოდა, რომლებთან საუბარსაც უფრთხიან“.

და მაინც, ჩანს, მან გადალახა ყველა სიძნელე, რადგან სულ მოკლე ხანში პარტნიორები – ჯერ ჯეიმს ვან დერ ბიკი, შემდეგ კი კრის კლეინი „გამოიცვალა“.

იყო ყველაზე სკანდალური, გახდა ყველაზე მდიდარი



იტალიელ პოლიტიკოსებს შორის, სწორედ ამ ნიშნით ლიდერობდა და ლიდერობს სილვიო ბერლუსკონი, რომლის შემოსავალმა, შესაბამისი სადეკლარაციო დოკუმენტაციის თანახმად, 2000 წელს 7,7 მლნ დოლარს მიაღწია. იტალიაში პრაქტიკულად ყველაზე პოპულარული პოლიტიკოსის იმპერია აერთიანებს უმსხვილეს კერძო სატელევიზიო ქსელს, საგამომცემლო და სარეკლამო ბიზნესს, საფეხბურთო კლუბ „მილანსა“ და უძრავი ქონებით ვაჭრობის ბიზნესს.

ყველაზე მდიდარ იტალიელებს შორის, ბერლუსკონის შემდეგ, მეორე ადგილზეა საავტომობილო კონცერნ „ფიატისა“ და საფეხბურთო კლუბ „იუვენტუსის“ მეპატრონე ჯოვანი ანული, რომელსაც სენატორის მუდმივი სტატუსი აქვს. მისი შარშანდელი შემოსავალი 5,4 მლნ დოლარს შეადგენს. მესამე და მეოთხე ადგილები ამ ნუსხაში ბერლუსკონის პარტიის – „წინ, იტალია!“ – წევრებმა დაიკავეს, მმართველი „მემარცხენე ცენტრის“ წარმომადგენელი სენატორი და კინოპროდიუსერი კი ვიტორიო სეჩი გორი მეხუთე ადგილზეა.



ავტოპორტრეტი

ქარვასლაში მისულს იური მეჩითოვი ყირაზე დამდგარი დამხვდა. იატაკზე გაზეთები დაეფინა და გულმოდგინედ ცდილობდა „სანთლის" პოზიციის შენარჩუნებას.

– გადასარევია! – შეაქო შემოსწრებულმა ჯოლეგამ – გურამ წიბახაშვილმა.

– სტრესიდან გამოვდივარ; სამყარო რომ სწორად დაინახო, ყირაზე უნდა დადგე; ტვინი გინათდება და ყველაფერს დალაგებულად აღიქვამ, – პოზის შეუცვლელად აგვიხსნა „მაესტრომ".

და მაშინ მივხვდი, რომ სტანდარტული ინტერვიუს მეთოდი აქ არ გამოდგებოდა.

მელია გოგსაძე

სამყარო რომ სწორად დაინახო, ყირაზე უნდა დადგე!

ეროვნული ფასეულობა ან ეროვნული ფასეულობა

ადამიანი და სამყარო

იური მეჩითოვის სამყარო არაჩვეულებრივად ლამაზია, მაშინაც კი, როდესაც, ობიექტურად, ტრაგედია ტრიალებს, მაგრამ ეს არ არის ფორმალური ესთეტიზმი: რთული, სიღრმისეული ხედვაც ძალდაუტანებლად უთავსდება სინამდვილის მხატვრულ გააზრებას. ასეთივე ძარღვიანი, „გემრიელი" ხელწერით ქმნიდნენ თავიანთ ნამუშევრებს ფელინი და ფარაჯანოვი.

– ალბათ გსმენიათ სიმღერა – „დალიე და ეს ცხოვრება ზღაპრად მოგეჩვენება" – ბრძნული ნათქვამია! სამყარო ისეთია, როგორიც ადამიანებმა გავხადეთ და არ ღირს ამისთვის თავის ატკივება, სილამაზისთვის გულის ჩაკეტვა. განა შეიძლება გაბრაზდე წყალზე, იმიტომ რომ დაგასველა და ამის გამო დაივიწყო მისი კარგი თვისებები?! მე არ აღვიქვამ სამყაროს ხარვეზიანობას, ამ სიტყვის დამძიმებული მნიშვნელობით და მისი სილამაზე ჩემში ბუნებრივად შემოდის. იმავე პრინციპით ვუდგები ადამიანებს, რომლებშიც ასახულია სამყარო მთელი თავისი წინააღმდეგობებით. ნაკლებად მაინტერესებს კონკრეტული პიროვნების კონკრეტული სახე – ეს მხოლოდ კერძო შემთხვევაა. ჩემთვის გაცილებით მნიშვნელოვანია ის, რაც ადამიანებს აერთიანებთ, ანუ მსოფლიო სევდა, სამყაროს ტრაგედია, რომელიც ასახულია ყოველი მოაზროვნე ადამიანის სახეზე. ძალზე მიზიდავს ნიღბის სიმბოლიკა, სწორედ იმიტომ, რომ კონკრეტულ ადამიანს განზოგადებულ სახე-სიმბოლოდ გარდაქმნის. ესთეტიზმი ამას მხოლოდ ხაზს უსვამს – წარმოაჩენს.

— თქვენს პორტრეტებში ფიზიკური სიმახინჯეც კი ესთეტიკურია. ახლა ძალზე მოდაშია ქალის „დამიწება", ასე ვთქვათ, „გამეძავება"; თქვენთან, პირიქით

— მეძავიც მშვენიერი ქალია...

– ცოლიც სულ ამას მეუბნება. შეგნებულად არ ვეძებ უსახო, გრძელფეხება, არაფრისმთქმელ ლამაზმანებს. ჩემთვის გაცილებით უფრო საინტერესოა იდეა და ტიპაჟი. უსახობა გაცილებით უარესია უსახურობაზე. სახის შექმნის პროცესში ხდება შინაგანი ემოციების გამოთავისუფლება. იცით, ყმაწვილობაში საკმაოდ შებოჭილი ვიყავი და ფოტოგრაფია ჩემს ხსნად – „შინაგანი მეს" გათავისუფლებად იქცა. საერთოდ, შემოქმედება სასწაულებს ახდენს. შემიძლია მოგიყვეთ ერთ-ერთი ფოტოგრაფიის შექმნის ისტორია. ქალი გათხოვდა, მაგრამ ქმრისაგან უმძიმესი ტრავმა მიიღო – ინტიმური ცხოვრება ჯოჯოხეთად ექცა. ცხადია, გაეყარა, მაგრამ იმდენად დაკომპლექსდა, რომ სამი წელი არავის აღარ იკარებდა. ფოტოსეანსების დროს მოხერხდა მისი თანდათანობით „გახსნა". ბოლოს, ნიღაბწამოცმულმა, გაიხადა და გადავიღეთ ფოტო, რომელშიც წამოცმულ ხალათს ისეთი ჟესტით გადაიგდებს, თითქოს მთელი სამყაროს სიმძიმე მოიშორა. განა ეს სასწაული არ არის?..

საქართველო და ფიროსმანი

– ფიროსმანი ჩემთვის განსაკუთრებული მოვლენაა. ეს ის მხატვარია, რომელმაც ყველაზე ზუსტად და სრულყოფილად

გამოხატა საქართველოს სული, მისი შინაგანი მუხტი. ბევრი დაიწერა და კიდევ დაიწერება მასზე, მაგრამ ზღაპარია ფიროსმანის შეფასება – სულ სხვა მასშტაბებია. რა ცუდია, რომ მსოფლიო ასე ცუდად იცნობს! ფიროსმანისადმი მიძღვნილი სერიით მსურს მის ქმნილებათა გააზრება, ჩემეული წაკითხვა, იმ მიამიტი და ამაღლებული განწყობის შენარჩუნებით, რომელიც დამახასიათებელია მისი შემოქმედებისთვის.

— თქვენი „ორთაჭალის ტურფა“ უკვე იღვიძებს, მაგრამ ჯერ ისევ ლამაზი სიზმრების საუფლოშია. ხომ არ აპირებთ, საბოლოოდ გამოაფხიზლოთ და დაანახვოთ რეალობა — ცხადია, თქვენეული ესთეტიზმის ფარგლებში?

– ამაზე არ მიფიქრია, მაგრამ თუ ფიროსმანისადმი მიძღვნილ ციკლს ბოლომდე მივიყვან, ვეცდები, დიდი გამოფენა მოვაწყო. ჩემთვის უდიდესი ბედნიერება იქნება, თუ ეს ფიროსმანის ნამუშევრებთან ერთად მოხერხდება; იმედია, ამ ოცნებას კადნიერებაში არ ჩამითვლიან. მინდა ერთმანეთს თვალებში ჩავხედოთ – უდიდესმა მხატვარმა და მის შემოქმედებაზე შეყვარებულმა მორიდებულმა ფოტოგრაფმა. არასრულფასოვნების განცდისაგან ის აზრი დამიცავს, რომ ნიკალაც ჩემსავით გლახაკი გახლდათ.

თბილისი და ფარაჯანოვი

ფარაჯანოვის თვალებში ბედისწერის ფატალურობა იკითხება. მეჩითოვმა ძალდაუტანებლად „დაიჭირა“ დიდი ხელოვანის მწვავე შინაგანი კონფლიქტი და მის ფოტოპორტრეტებში წამიერად მოსცილდა თავის პრინციპს – გვიჩვენა კონკრეტული ადამიანის კონკრეტული სახე, განზოგადების გარეშე, რამეთუ ფარაჯანოვი განსაკუთრებული მოვლენაა – ის თავად გახლდათ განსხეულებული სახე-სიმბოლო, მსოფლიო ტკივილით გამსჭვალული პირღია ჭრილობა; სწორედ ამიტომ მისი ფოტოპორტრეტები ლირიზმით გამთბარ ტრაგიკულ იგავებად ჩამოიქნება.

– მართლაც რთული, წინააღმდეგობრივი ადამიანი გახლდათ. ერთმანეთი 1978 წელს კინოს მოყვარულთა კლუბში გავიცანით, როდესაც ციხიდან ახალი გამოსული იყო და მაშინვე გადავიღე. შემდეგ, მხატვარ-ფოტოგრაფის ამპლუაში მისი ფილმების შექმნაშიც ვმონაწილეობდი. თავიდან ვერ ვეწყობოდით, ანტაგონიზმი უკვე აურის დონეზე ჩნდებოდა – ცოტათი ენერგოვამპირი იყო, მაგრამ, წლების განმავლობაში, ჩემი აურაც მომძლავრდა და „ენერგომიმოცვლასავით“ ავაწყეთ. ძალზე ფეთქებადი იყო. მახსოვს, 1985 წლის ივლისში ჯგუფმა „თვალსაზრისმა“, დავით სულაქველიძის, ბორია შავერდიანის, გურამ წიბახაშვილის, სერგო ბელოუსოვის, გია ჯაველიძის და ჩემი შემადგენლობით მოვაწყვეთ გამოფენა ნეორეალისტურ სტილში. ცხადია, ფარაჯანოვი დავპატიჟეთ. მისთვის უცხო და მიუღებელი იყო ასეთი ესთეტიკა, თავად უფრო ეკლექტიკოსი გახლდათ. აუ, როგორ გაბრაზდა, რას ყვიროდა – შეხედეთ მეჩითოვს, მაგას ჰგონია, რომ ფარაჯანოვი თვითონაა, ამ დროს ფარაჯანოვი მე ვარო!!! როგორც ყველა გენიოსს, მასაც ახასიათებდა „შეგირდობანა“ მასწავლებლის პოზიციიდან. მაგრამ უნდა ვაღიარო, მისგან ვისწავლე ყველაზე მთავარი – დღესასწაულის შექმნა. ჩემი წარმოდგენით, საქართველო ის ქვეყანაა, რომელიც თავისი ყოფის ფატალურ ტრაგიზმს მხიარულება-თავდავიწყებისკენ სწრაფვით ახშობს. სომხური გენოკიდის მიუხედავად, ფარაჯანოვის შემოქმედებაშიც ტრაგიზმს სადღესასწაულო ესთეტიზმი „არბილებს“.

— ეს საერთოდაც დამახასიათებელია თბილისური სულისთვის. ავიღოთ, თუნდაც, ყარაჩოხელთა სუბკულტურის ლირიკული სევდა — მუხამბაზები, ბაიათები...

– მით უფრო საწყენია, რომ განუმეორებელი თბილისური კოლორიტი წარსულს ბარდება... პრაქტიკულად, უკვე ჩაბარდა! ტერმინი „თბილისური კულტურა“ გეოგრაფიულ-ეთნოგრაფიულ ფიქციად იქცა. სული დავკარგეთ და თბილისიც გაქრა; საბოლოოდ, ხელში ნიუ-იორკის კარიკატურა შეგვრჩება...

ცოლი და სიყვარული

– ქუთაისელს ჰკითხეს: ცოლი სჯობს თუ საყვარელიო. მანაც უპასუხა – სიტყვას დოუკვირდი, ძამია, სიტყვას!.. დიდებული ნათქვამია. ხშირად ხდება, რომ ცოლი და სიყვარული სულ სხვადასხვა განზომილებაშია, მაგრამ მე პირადად, ამ გაგებით ნამდვილად გამიმართლა. მე და ჩემი მეუღლე – თამილა ერთმანეთს შვიდი წლის ასაკიდან ვიცნობთ და ჩვენი სიყვარული დღესაც არ განელებულა. ფანტასტიკურად ჟღერს, არა? ახლავე აგიხსნით: თამილა ჩემთვის დღესაც იდუმალი „უცნობი ქალია“ – ამოუხსნელი, არაპროგნოზირებადი. არასოდეს ვიცი წინასწარ, რას იტყვის ან რას გააკეთებს, ამიტომ ინტერესი არ ნელდება. უფრო დაპროგრამებული რომ იყოს, ალბათ ჩვენი სიყვარული რაღაც ეტაპზე დასრულდებოდა. ყოველთვის მაინტერესებს მისი აზრი, ამ დროს სრულებითაც არ მისდევს „თავზე ხელის გადასმის“ პოლიტიკას – შეიძლება წამკბინოს კიდეც, მაგრამ მით უფრო ღირებულია მისი დადებითი შეფასება. მოკლედ, ჩემი მეუღლე მშუხტავს – სტიმულს მაძლევს. ისე, მოგეხსენებათ, мужчина - это большая сволочь. როდესაც ადამიანში სიყვარულია, მით უმეტეს თუ იგი ხელოვანია, საზღვრებს ვერ ეგუება, ამდენად, სირთულეები გარდაუვალია. მაგრამ ზოგადად შემიძლია ვთქვა – ჩემს შემთხვევაში ცოლი და სიყვარული ერთ განზომილებაშია.

გეგმები

ამჟამად იური მეჩითოვი წიგნს ამზადებს გამოსაცემად – სწორედ წიგნს და არა ალბომს, თუმცა მისი უდიდესი ნაწილი 25 წლის მოღვაწეობის ერთგვარი შეჯამებაც გახლავთ. „სახეები“ – ასე ერქმევა ამ კრებულს. ყოველი კონკრეტული სიუჟეტი ქმნის განზოგადებულ სახეს და თავისუფალი ასოციაციის ფართო საშუალებას იძლევა; თითოეულ მათგანზე მთელი ნოველა, ჩანახატი ან მოთხრობა დაიწერება. წიგნის ბოლოში მეჩითოვი თავად მოგითხრობთ თავის გმირებზე.

ჯადოსნური ღილაკი

კაცობრიობა უკვე XXI საუკუნეში ცხოვრობს. და თუ აქამდე ტელევიზორი უდიდეს გამოგონებად ითვლებოდა, დღეს ადამიანს მხოლოდ ის, თავისთავად აღარ აკმაყოფილებს – იგი დისტანციური მართვის პულტსაც უნდა ფლობდეს... წინააღმდეგ შემთხვევაში, ყოველ წუთში „ზედმეტი“ გარჯა მოუწევს – გადართე-გადმორთე, აუწიე-დაუწიე, ადექი-დაჯექი...

დისტანციური პულტი ჯერ კიდევ 50 წლის წინ გამოჩნდა. იგი რადიო კორპორაცია „TECHNIC“-ის კონსტრუქტორებმა შექმნეს და, ცოტა არ იყოს, უცნაური სახელიც დაარქვეს – „ზარმაცის ძვლები“.

აქტიური ტელემაყურებლებისდა სამწუხაროდ, ამ პულტს მხოლოდ არხების გადართვა შეეძლო. იგი ტელევიზორს უერთდებოდა გრძელი კაბელით, რომელიც ხშირად წყდებოდა.

პულტის უკმაყოფილო დარჩა, პირველ რიგში, თავად კორპორაციის მფლობელი, იუჯინ მაკდონალდი. იგი თავგადაკლული ტელემაყურებელი გახლდათ, მაგრამ საშინლად სძულდა ტელერეკლამები და კონსტრუქტორებს ისეთი პულტის შექმნა მოსთხოვა, რომლითაც შეძლებდა ხმის გამორთვას რეკლამების დროს – რა თქმა უნდა, სავარძლიდან დაუძვრელად.

1955 წელს ტელეპულტის ახალი სახეობა გამოჩნდა. იგი ფოტოობიექტივს წააგავდა და ამჯერად ყოველგვარი კაბელის გარეშე მოქმედებდა რადიოსიგნალების მეშვეობით, მაგრამ უარყოფითი მხარე მასაც აღმოაჩნდა – ტელევიზორის ეკრანის ოთხივე კუთხეში ოთხი სხვადასხვა სენსორი იყო ჩამონტაჟებული – ცალკე ხმისთვის, ცალკე გამოსახულებისთვის. ტელემაყურებლები კვლავ ჩიოდნენ – მათ ავიწყდებოდათ, რომელ სენსორს რა დანიშნულება ჰქონდა და დაუსრულებლად უხდებოდათ პულტის ტრიალი ტელეეკრანის ტრაექტორიით.

1957 წელს, კვლავ კორპორაცია „TECHNIC“-მა, როგორც იქნა, შეძლო უნივერსალური ტელეპულტის შექმნა. ოღონდ, პულტი ულტრაბგერით სიგნალებზე მუშობდა, რაც საშინელ დღეში აგდებდა შინაურ ცხოველებს – ადამიანისაგან განსხვავებით, ძაღლები ამ სიგნალებს გრძნობდნენ და საკმაოდ ემოციურადაც აღიქვამდნენ.

ოცი წლის შემდეგ, 70-იან წლებში ეს პრობლემაც მოგვარდა – ულტრაბგერითი სიგნალები ინფრაწითელით შეიცვალა.

დღესდღეობით არამცთუ ტელევიზორი, საყოფაცხოვრებო ნივთების უმრავლესობა დისტანციური პულტის მეშვეობით იმართება. მეტიც, ბოლოდროინდელი გამოთვლებით, აშშ-ში, სადაც ელექტრონიკა ცხოვრების შემადგენელი ნაწილია, დისტანციური პულტები სამჯერ აღემატება თავად მოქალაქეთა რაოდენობას...

■

უნივერსალური პულტი, რომელიც ფრანგმა დიზაინერებმა შეიმუშავეს

თითქმის ასი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ამერიკელებმა გამოიგონეს ბიზნესის შესწავლის პროგრამა MBA (MASTER OF BUSINESS ADMINISTRATION — ბიზნეს-ადმინისტრაციის ოსტატი). მას შემდეგ აშშ-ის ბიზნეს-სკოლებთან კონკურირებას ვეღარავინ ახერხებს. MBA-ის განათლების მიღებაზე ასი-ათასობით ადამიანი ოცნებობს მსოფლიოს ყველა კუთხეში. მაგრამ კარიერისა და ასი-ათასდოლარიანი წლიური შემოსავლის გარანტიას, მხოლოდ საუკეთესო სასწავლებლები იძლევა. ამერიკის 30 მოწინავე სკოლის რეიტინგი ამ ცოტა ხნის წინ ჟურნალმა BUSINESS WEEK-მა გამოაქვეყნა.

სად უშვებენ „100.000 დოლარიან“ თავებს

ბიზნესის ამერიკული სკოლების დიპლომები დიდად ფასობს არა მარტო აშშ-ში, არამედ ევროპაშიც — მაშინ, როდესაც ევროპული სკოლები მხოლოდ „შინ“ სარგებლობს დიდი ავტორიტეტით და აქ, მხოლოდ ორი გამონაკლისია — ფრანგული INSEAD და ბრიტანული LBS.

თუმცა ამერიკელებთან შედარებით, ევროპელთა რაღაც სერიოზულ კონკურენციაზე ლაპარაკიც ზედმეტია. აშშ-ის ბიზნეს-სკოლების ლიდერობის მთავარ მიზეზს ის წარმოადგენს, რომ ეს სასწავლებლები ძალიან მოქნილად რეაგირებენ როგორც სტუდენტების, ისე დამქირავებელთა მოთხოვნილებებზე: სასწავლო პროგრამები მაქსიმალურად არის მიახლოებული პრაქტიკასთან, რაც კურსდამთავრებულებს იმის საშუალებას აძლევთ, რომ წარმატებით იმუშაონ მთელი მსოფლიოს წამყვან კომპანიებში. ამასთან, საუკეთესო ამერიკული სასწავლებლები თანაბარ დონეზე ამზადებენ სპეციალისტებს როგორც მარკეტინგში, ასევე ფინანსებსა და მენეჯმენტში და ამის წყალობით, საკუთარი კედლებიდან უნივერსალ მმართველებს უშვებენ.

ჟურნალ BUSINESS WEEK-ის რეიტინგში, რომლის განსაზღვრისას როგორც სტუდენტთა, ისე დამქირავებელთა აზრის გათვალისწინება ხდება, ასახულია ის, თუ რამდენად მოქნილად არგებენ სკოლები თავიანთ საქმიანობას ბიზნესის ცვალებად პირობებს.

ვინ, სად

პირველი ადგილი რეიტინგში უკვე ზედიზედ მეოთხედ, ვორტონის ბიზნეს-სკოლამ დაიკავა. ამ სასწავლებელმა დიდი გარღვევა ათიოდე წლის წინ მოახდინა, როცა მას საკონსულტაციო ფირმის ყოფილი თავკაცი, თომას გერიტი ჩაუდგა სათავეში. ის ამ სკოლაში ბიზნეს-განათლების კრიზისის დროს მივიდა. სტუდენტები ცხოვრებისგან მოწყვეტილ თეორიებს სწავლობდნენ და არ იცოდნენ, რა ხდებოდა რეალურ ოფისებში. აუცილებელი იყო პროგრამის საფუძვლიანი შეცვლა და გერიტიმ ამოცანას ბრწყინვალედ გაართვა თავი. ერთი წლის წინ, როცა ის სასწავლებლიდან წავიდა, ბევრს ეშინოდა, რომ სკოლა ლიდერის პოზიციებს დათმობდა, მაგრამ ეს არ მოხდა. ახალმა ხელმძღვანელმა — პატრიკ ჰარკერმა, რომელიც გერიტისთან ერთად მონაწილეობდა რევოლუციურ გარდაქმნაში, აღებული კურსი გააგრძელა.

ვორტონის ძირითად კონკურენტად კვლავინდებურად კელოგი რჩება. ამ სკოლის პროგრამას საუკეთესოდ მიიჩნევენ მთელ შეერთებულ შტატებში. მიმდინარე სასწავლო წელს მას უმაღლესი შეფასება მისცეს სტუდენტებმა, რომლებსაც ხიბლავთ სასწავლებელში გაბატონებული მეგობრული ატმოსფერო და ჯგუფურ პრინციპზე შემუშავებული სასწავლო პროგრამა. სტუდენტებს აქ უდიდეს არჩევანს სთავაზობენ. კელოგში ძირითადად, აქცენტი ელექტრონულ კომერციაზე, ფინანსებსა და მენეჯმენტზე კეთდება, მისი კურსდამთავრებულები განსაკუთრებული პოპულარობით, კონსალტინგურ კომპანიებში სარგებლობენ.

მსოფლიოში სახელგანთქმული ჰარვარდის სკოლა, წინა წლებთან შედარებით, ორი საფეხურით დაწინაურდა და ახლა მესამე ადგილზეა. რამდენიმე წლის წინ სტუდენტები თეორიული კურსების ზედმეტ მოძალებას უჩიოდნენ, მაგრამ ჰარვარდმა საკმაოდ სწრაფად მოახერხა თავისი პროგრამების გადახალისება. პროფესორები, რომლებსაც ცოტა ხნის წინ, მოსწავლეებისადმი უყურადღებობას საყვედურობდნენ, ახლა გულუხვად უწევენ მათ კონსულტაციებს.

თუმცა ამ მხრივ — პროფესორთა განსაკუთრებული გულისხმიერების თვალსაზრისით, სხვა სასწავლებლებისგან დარდენი გამოირჩევა. სულ რაღაც 2 წლის წინ ეს სკოლა, მოსწავლეების შეფასების მიხედვით, 30 საუკეთესო სასწავლებელს შორის მე-15 ადგილზე იყო, ახლა კი ის უკვე მეორე საფეხურზეა.

პროფესურის გულისხმიერების მაჩვენებელმა დიდი ნახტომი გააკეთებინა აგრეთვე სახელგანთქმული მასაჩუსეტსის ტე-



მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტი

ქნოლოგიური ინსტიტუტის ბიზნეს-სკოლა „სლოუნს“, რომელმაც რეიტინგში თერთმეტი საფეხური გადალახა ორ წელიწადში. საპირისპირო მაგალითს წარმოადგენს „ჩიკაგო“, რომლის მასწავლებლები „ყველაზე მოუკარებლებად“ ცნეს და, შესაბამისად, სკოლამ მესამედან მეათე ადგილზე გადაინაცვლა.

აკადემიური გამოკვლევებით მასწავლებელთა მეტისმეტი გატაცება, ბიზნეს-განათლებაში ნაკლად ითვლება. მაგალითად, სახელგანთქმული სტენფორდის უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამა წლეულს აშშ-ში ყველაზე სუსტად ცნეს, თუმცა, ამის მიუხედავად, ამ სასწავლებლის კურსდამთავრებულთა სასტარტო ხელფასები კვლავაც ყველას აღემატება „30 საუკეთესოში“. ამის გარდა, სტენფორდი კვლავაც საუკეთესოა მეწარმეთა მომზადების თვალსაზრისით, თანაც „თვით ეს სახელი – „სტენფორდი“ გაცილებით მეტს ნიშნავს, ვიდრე ამჟამინდელი ლიდერების – ვორტონისა თუ სლოუნისა.

ვის რამდენს სთავაზობენ

წამყვან ამერიკულ სკოლებში წამსვლელთა ნაკადი წლიდან წლამდე იზრდება, რაც სავსებით ბუნებრივია: MBA-ის დიპლომი, კარიერის მიღწევის გარანტიას წარმოადგენს. ამაზე თავისთავად მეტყველებს ის ფაქტი, რომ „30 საუკეთესოს“ თითოეულ კურსდამთავრებულზე 3,2 დამქირავებელი მოდის (!).

MBA-ის დიპლომით ჩვეულებრივ, სამუშაოდ ისეთ ტრადიციულ სფეროებში მიდიან, როგორიცაა კონსალტინგი, ფინანსები, მარკეტინგი, საინვესტიციო კომპანიები, მაგრამ შრომითი მოწყობის თვალსაზრისითაც შეინიშნება ცვლილებები: თუ 1996 წელს დასახელებულ სფეროებში სპეციალისტთა 80% საქმდებოდა, 2000 წელს ეს მაჩვენებელი 74%-მდე შემცირდა: ბოლო დროს, MBA-ის კურსდამთავრებულები სულ უფრო ხშირად, ინტერნეტ-ბიზნესში საქმიანობას ამჯობინებენ.

ბიზნეს-სკოლებიდან გამოსულ სპეციალისტთა შემოსავალი ბოლო ორი წლის მანძილზე საშუალოდ, 14%-ით გაიზარდა – წელიწადში 111-დან 127 ათას დოლარამდე მერყეობს. მაგალითად, სლოუნის სკოლის კურსდამთავრებულები წლიურად, 149.000-ს, ვორტონისა კი – 156.000-ს (1998 წელს მათი წლიური შემოსავლები, შესაბამისად, 130.000-სა და 125.500 დოლარს შეადგენდა). ე.წ. საკომპენსაციო პაკეტს (ხელფასი, წარმომადგენლობითი და სხვა ხარჯები), რომელიც 100.000 დოლარს აღემატება, გარანტირებულად იძლევა 28 ამერიკული სკოლის დიპლომი (ეს ციფრი 1998 წელს – 18, 1996 წელს კი – სულ 5-ს შეადგენდა). ამის გარდა, ბევრი კომპანია კისრულობს თავისი ახალი თანამშრომლის იმ სესხების დაფარვას, რომელიც მან სწავლის საფასურის გადასახდელად აიღო (ეს კი, საშუალოდ, 75.000 დოლარს აღწევს).

ვინ რამდენს ხარჯავს

MBA-ის კურსდამთავრებულთა შემოსავლები საკმაოდ შთამბეჭდავია, მაგრამ სწავლაზე დახარჯული თანხებიც საკმაოდ სოლიდურია. მაგალითად, ჰარვარდში გატარებული 1 წელიწადი 28.500 დოლარი ჯდება, კოლუმბიის უნივერსიტეტში კი – 30.000. ამას დაუმატეთ დამატებითი ხარჯები (სახელმძღვანელოები და სხვა ამგვარი), რაც 3-დან 5 ათას დოლარამდე მერყეობს, ბინისა და კვების – 8-დან 12 ათასამდე და ეს ყველაფერი ორზე გაამრავლეთ (სრული კურსის ხანგრძლივობა) და სულ, საშუალოდ, 80.000 დოლარს მიიღებთ.

ამრიგად, ბიზნეს-სკოლების „რენტაბელობა“ ასეთია: აშშ-ის „30 საუკეთესოს“ დიპლომების მქონე სპეციალისტები, სწავლისთვის გაღებულ ხარჯებს, საშუალოდ, 4,7 წელიწადში ფარავენ (საუკეთესო მაჩვენებელია 3,5 წელი, ყველაზე უარესი კი – 6,6). როგორც ხედავთ, დიდი ხარჯის მიუხედავად, MBA-ის სკოლებში მიღებული განათლება საკმაოდ მომგებიანია ხანგრძლივი პერსპექტივის თვალსაზრისით.

მაგრამ იბადება ბუნებრივი კითხვა – როგორ შეიძლება დაიფაროს სწავლისთვის საჭირო თანხები? პასუხი არაერთგვაროვანია. პირველი: აშშ-ში არსებობს რამდენიმე საკრედიტო სააგენტო, რომელიც საგანგებოდ ტოპ-სკოლებში სასწავლებლად იძლევა სესხებს. კრედიტები ყოველგვარი საგირავნო გარანტიების გარეშე გაიცემა, თუმცა მატერიალური დახმარების მოცულობა სასწავლებლის პრესტიჟულობაზეა დამოკიდებული. სესხი სასწავლებელში ჩარიცხვისთანავე შეიძლება, გააფორმოთ ინტერნეტის მეშვეობით.

ამ რამდენიმე წლის წინ, „ხელმოკლე“ სტუდენტებს სესხებს თვით სასწავლებლებიც – მაგალითად, ჰარვარდი, ვორტონი და კელოგიც აძლევდნენ. სესხის პირობებია – 7-9% წლიურად, 15-დან 20 წლამდე ვადით. სკოლაში ჩარიცხვისა და სწავლის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, კურსდამთავრებული იოლად დაფარავს კრედიტს, თუკი სამუშაოს იშოვის, სამუშაოს კი სპეციალისტთა 99% პოულობს და, პრაქტიკულად, 2 წელიწადში უმკლავდება სესხის გადახდის ამოცანას.

28 ამერიკული ბიზნეს-სკოლის დიპლომი წლიური 100.000 დოლარიანი ხელფასის გარანტიას იძლევა

არის სწავლის საფასურის დაფარვის კიდევ ორი გზა. პირველი – ედმუნდ მარკის პროგრამის სტიპენდიის მიღება, რაც დიდ კონკურსში გასვლასა და შენგან დამოუკიდებლად შერჩეულ სკოლაში სწავლას უკავშირდება. ამ პროგრამას კიდევ ერთი ნაკლი აქვს: ის უკრძალავს კურსდამთავრებულს აშშ-ში მუშაობას.

მეორე გზა, თვით სკოლის სტიპენდიის მიღებაა, რაც საკმაოდ რთულ ამოცანას წარმოადგენს, ამასთან, სასწავლებლის სტიპენდია სწავლასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მაინც ვერ ფარავს.

რით უნდა დაიწყოთ

ხარჯები სკოლაში ჩარიცხვამდე იწყება. თქვენი საბუთების შესასწავლად სასწავლებელი 100 დოლარს გადაგახდევინებთ (ბევრი აბიტურიენტი კი საბუთებს ერთდროულად რამდენიმე სკოლაში გზავნის). ტოპ-სკოლებში დიდი კონკურსია – 1 ადგილზე საშუალოდ 3 მაძიებელი მოდის, სტენფორდში კი, აბიტურიენტთა 8% იღებენ. აბიტურიენტისთვის აუცილებელი პირობებია, უმაღლესი განათლება და სამუშაო სტაჟი (თუმცა, აუცილებელი არ არის, ეს სტაჟი ბიზნესში გქონდეთ დაგროვილი). მზადება დაახლოებით ერთი წლით ადრე უნდა დაიწყოთ, რადგან დოკუმენტების დიდი პაკეტია მოსაგროვებელი: ინსტიტუტში ან ნოტარიატში დამოწმებული დიპლომი, ნიშნების დანართის თარგმანი (რაც უფრო მაღალია ნიშნები, მით უფრო მეტი შანსი გაქვთ), ორი-სამი რეკომენდაცია, TOEFL-ისა და GMAT-ის ტესტების შედეგები და რამდენიმე ესე. ზოგიერთი სასწავლებელი დამატებით მოგთხოვთ იმის დამადასტურებელ ცნობას, რომ სწავლის საფასურის გადახდა შეგიძლიათ.

TOEFL-ის ენობრივი ტესტის შედეგი, სულ ცოტა 250 ქულა უნდა იყოს. GMAT-ის ლოგიკური აზროვნების ტესტი შეიცავს ამოცანებს მათემატიკასა და ინგლისურ გრამატიკაში, სასურველია, მასში 650 ქულა დააგროვოთ, ამისთვის კი, მათემატიკისა და ენის კარგი ცოდნის შემთხვევაშიც, 2-3 თვიანი კურსის გავლა მოგიწევთ. სპეციალური ლიტერატურისა და კომპაქტ-დისკების შეძენა 200-ოდე დოლარი ჯდება, ტესტისთვის მოსამზადებელ სპეციალურ კურსს კი 500 დოლარი დასჭირდება.

ბევრი სტუდენტის რჩევით, მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ესეების შედგენას. ჩვეულებრივ, სკოლები მოითხოვენ 3-დან 8 ესემდე (თითოეულის მოცულობა 2-5 გვერდს შეადგენს), რომელთა ტრადიციული თემებია: „რისთვის გჭირდებათ MBA-ის დიპლომი?“ „რატომ გინდათ სწორედ ჩვენს სკოლაში სწავლა?“, „გვიამბეთ თქვენ მიერ განცდილი მარცხის შესახებ“, „თქვენი ხასიათის ძლიერი და სუსტი მხარეები“. ზოგ სასწავლებელში უფრო ორიგინალურ თემებსაც შემოგთავაზებენ. მაგალითად, კელოგში ასეთი თემა დააწერინეს: „წარმოიდგინეთ, რომ მისაღები კომისიის წევრი ხართ. როგორ შეაფასებდით თქვენი დოკუმენტების პაკეტს?“

თუ თქვენი საბუთები მიიღეს, ინტერვიუსთვის მიგიწვევენ. მას სკოლის კურსდამთავრებულები ან მისაღები კომისიის წევრები ატარებენ (შესაძლოა, გასაუბრება ტელეფონითაც მოხდეს).

სხვადასხვა სკოლაში განსხვავებულად აფასებენ სასურველ სტუდენტს. მაგალითად, სტენფორდში აქცენტს აბიტურიენტის უწინდელ დამსახურებასა და სამსახურის „ელიტურობაზე“ აკეთებენ, ჰარვარდში კი მეტ ყურადღებას ხელმძღვანელის გამოცდილებას აქცევენ, ამიტომ საკუთარი უნარ-ჩვევების გამომჟღავნებისას, ეს სპეციფიკური მოთხოვნებიც უნდა გაითვალისწინოთ.

და მაინც, უმთავრესი მოთხოვნა, რომელსაც ყველგან იჩენენ აბიტურიენტის მიმართ, – ათასობით მაძიებლისაგან გამორჩეული ღირსებებია. თუ ისინი აღმოგაჩნდათ, თქვენი შანსი გაცილებით დიდია. ■

ჰარვარდის უნივერსიტეტის სასადილო

სასიკვდილო „ამანათი“ იწყიალში პორტში

ანა ქორქოლიანი

რამდენიმე კვირის წინ თბილისში მომხდარმა აფეთქებამ ორი ადამიანი გამოასალმა სიცოცხლეს. ორი ახალგაზრდა, ამანათში ჩამონტაჟებულმა ბომბმა შეიწირა. საქართველოში პირველად მოხდა მსგავსი ფაქტი. ღმერთმა ქნას, რომ ეს პირველი, უკანასკნელიც აღმოჩნდეს. სამწუხაროდ, საზღვარგარეთ მსგავსი „ნობათების“ მსხვერპლი ხშირად ხდება უდანაშაულო ადამიანი. მარტო ეტა-ს, ირასა და არაბი ტერორისტების მიერ ბევრად უფრო მეტი კაცია მოკლული, ვიდრე რუსეთ-ჩეჩნეთის ორივე ომის დროს. გავიხსენოთ თუნდაც აშშ-ში, ფედერალური შენობის აფეთქება, ან კიდევ მეორე მსოფლიო ომის დროს, ბომბეიში მოწყობილი ტერორისტული აქტი. აშშ-ისგან განსხვავებით ინდოეთის ხელისუფლებამ ვერ გამოიძია აფეთქების მიზეზები, რომელმაც 1944 წლის 14 აპრილს ბომბეის ნავსაყუდელ „ვიქტორიაში“ 2000-მდე ადამიანის სიცოცხლე შეიწირა...

პორტ „ვიქტორიას“, რომელიც ინგლისის მმართველობის ჟამს აშენდა, მეორე მსოფლიო ომის დროს სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭებოდა, რადგანაც იგი ინდოეთს საზღვაო გზით აკავშირებდა მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან. ხშირად მას ინდოეთის კარიბჭესაც უწოდებდნენ.

1944 წელს ბომბეის ნავსადგური განსაკუთრებით გადატვირთული იყო, რაც მოკავშირეთა არმიის დისლოკაციით იყო გამოწვეული. დროის მოსაგებად, გემებს ხშირად დოკებშიც ცლიდნენ და ამიტომ, ერთდროულად 35-მდე გემი გროვდებოდა ხოლმე პორტში. ტრაგედიის დღეს „ვიქტორიაში“ 27 ხომალდს ჰქონდა ღუზა ჩაშვებული...

ტრაგედიამდე ორი თვით ადრე, დიდმა ბადრაგმა დატოვა ნისლიანი ალბიონის სანაპირო და გეზი ინდოეთის ოკეანისკენ აიღო. ამ ბადრაგს მიჰყვებოდა გემი „ფორტ სტაიკინი“. ხომალდი „სასიკვდილო“ ტვირთით იყო დატვირთული. მის ტრიუმებში დიდი რაოდენობით ტყვია-წამალი და ასაფეთქებელი ნივთიერებები იყო. ამას გარდა, „ფორტ სტაიკინზე“ 12 დაშლილი გამანადგურებელი და მილიონი გირვანქა სტერლინგის ღირებულების ოქროს ზოდები ჩატვირთეს. ნებისმიერ ტორპედოს შეეძლო, ხომალდი მცურავ ვულკანად ექცია, ამიტომაც ხმელთაშუა ზღვაში კაპიტანმა გადაწყვიტა, ბადრაგს ჩამოშორებოდა. კარაჩიმდე მგზავრობამ ყოველგვარი ექსცესის გარეშე ჩაიარა. აქ ნაპირზე გადმოტვირთეს თვითმფრინავები და მათ მაგივრად, გემზე აიტანეს სამხედრო ფოსტის ამანათები, 8700 ფუთი ბამბის ნედლეული, რამდენიმე ასეული ბარელი ზეთი და საპოხი საშუალებები, რკინის ჯართი და თევზის ნარჩენი, რომელიც შემდგომ საქონლის საკვებად უნდა გადამუშავებულიყო. საქმე ის არის, რომ მაშინდელი საზღვაო კანონებით, ვერც ერთი სამხედრო ხომალდი ზღვაში ვერ გავიდოდა, თუ მისი ტრიუმები ბოლომდე სავსე არ იქნებოდა. სწორედ ამ მიზეზით შეივსო „ფორტ სტაიკინი“ ახალი ტვირთით, თუმცა ინსტრუქციით, ასაფეთქებელი მასალებისა და ისეთი ხანძარსაშიში ტვირთის, როგორიცაა ბამბა და ზეთი, ერთად ტრანსპორტირება აკრძალული იყო. გემის კაპიტანს ეს იდეა სიგიჟედ მიაჩნდა, მაგრამ მისი პროტესტი ყურად არავინ იღო. არავინ იცის, ეს დაუდევრობით მოხდა თუ გამიზნულ დივერსიას ჰქონდა ადგილი, მაგრამ ტრანსპორტი ზღვაში გავიდა და რამდენიმე ხანში ბომბეისაც მიადგა. გზაში გემი მხოლოდ კაპიტნის მკაცრმა გამაფრთხილებელმა ზომებმა იხსნა – მან აკრძალა სიგარეტის მოწევაც კი, რათა ტრანსპორტსა და მის ეკიპაჟს საფრთხე არ შექმნოდა. საბრალო მეზღვაურები კაპიტნის მიერ მოწყობილი გაუთავებელი სახანძრო განგაშებისა და თევზის ნარჩენების აუტანელი სუნით გაითანგნენ და არც არის გასაკვირი, რომ უმრავლესობამ ბომბეიში შესვლისას ნაპირზე გადასვლა მოითხოვა და კაპიტანმაც ვეღარ დააკავა ისინი.

13 აპრილს გემის გადმოტვირთვა დაიწყეს. მაშინაც უხეშად დაირღვა მიღებული წესები. „ფორტ სტაიკინის“ მსგავს სიტუაციაში, პირველ რიგში ტყვია-წამალი და ასაფეთქებელი მასალები უნდა გადმოეზიდათ, მაგრამ პორტში არსებული, ყველა სპეციალური ლიხტერი დაკავებული აღმოჩნდა და ამიტომ განტვირთვა თევზის ნარჩენებითა და ზეთის კასრებით დაიწყეს. გემზე მეზღვაურების ნაკლებობის გამო, მრავლად ირეოდნენ ადგილობრივი მუშები, რომლებიც არც უსაფრთხოების წესებს იცავდნენ და არც დისციპლინით გამოირჩეოდნენ. მათ აზრადაც არ მოსვლიათ, ვინმესთვის შეეტყობინებინათ, რომ ზოგ კასრს ზეთი გასვლოდა და საფოსტო და ბამბის ფუთები გაეჟღინთა. გადმოტვირთვას ისიც ართულებდა, რომ ტვირთები განცალკევებული არ იყო და ოქროს გარდა, ყველაფერი ერთად, უწესრიგოდ იყო მოთავსებული ტრიუმებში. ამიტომ ხშირად უწევდათ ფოსტისა და დინამიტის ყუთების ერთმანეთში არევა.

იარაღის გადმოტვირთვის საჭირო მოწყობილობები 14 აპრილს, დილით დაამონტაჟეს და იარაღის გადმოცლაც

დაიწყო... პარალელურად მიმდინარეობდა ბამბისა და ფოსტის გადმოტვირთვაც. მუშებმა ტრიუმში, სადაც ბამბა და ფოსტა ინახებოდა, კვამლი შეამჩნიეს და მეხანძრეებს უხმეს. სახანძრო ბაზა შორს იყო და მნეხანძრეებს შეაგვიანდათ. ამასობაში გემზე განგაში გამოცხადდა და იარაღის გადმოტვირთვაზე დაკავებული მუშები ბამბის ტრიუმზე მომუშავეებს შეუერთდნენ, რათა უფრო სწრაფად ამოეცარიელებინათ იგი. სიტუაცია კრიტიკული მაინც არ იყო, რადგანაც კვამლი არ მატულობდა და წვრილი ნაკადებით ამოდიოდა ტომრებს შორის. მოხერხდა რემდენიმე ცეცხლმოკიდებული ტომრის პოვნაც... აღმოჩნდა, რომ საფოსტო ფუთები იწვოდა. კაპიტანმა სასწრაფოდ ბრძანა დანარჩენი საფოსტო ფუთების გახსნა. ერთ-ერთში უცნაური კონსერვის ქილები აღმოჩნდა, ბოცმანმა ერთი აიღო და შეარჯღრია... გაისმა სუსტი, თითქმის უხმო აფეთქება და... ხელდამწვარი ბოცმანი ნაპირისკენ გააქანეს. კაპიტანმა კონსერვის ფრთხილად გახსნა ბრძანა, რათა გაერკვიათ, რა ტიპის ასაფეთქებელი იყო მასში ჩამონტაჟებული. როგორც აღმოჩნდა, ქილები სპეციალური, სპილენძის ფირფიტით იყო გაყოფილი. ორი სხვადასხვა ნახევარი კი რაღაც მჟავით იყო გავსებული (კონსერვის შიგთავსის აღწერილობა მუშების მონათხრობიდან გაირკვა. კომპეტენტური სამხედროებისგან, რომლებიც ქილების გახსნას დაესწრნენ და სწორად შეეძლოთ მჟავების დასახელება, ცოცხალი არავინ გადარჩა. ამიტომ გამომძიებლებს მხოლოდ გაუნათლებელი მტვირთავების ნალაპარაკევიდან შეექმნათ მეტ-ნაკლებად სწორი წარმოდგენა ქილებში მოთავსებულ ბომბებზე). მათი მოსაზრებით, მჟავები თანდათანობით ჭამდა სპილენძს, ხოლო ფირფიტის გახვრეტის შემდეგ, ერთმანეთთან რეაქციაში შედიოდა და მაღალ ტემპერატურაზე იწვოდა. წვა თითქმის უხმოდ მიმდინარეობდა, სამაგიეროდ, ტემპერატურა იმდენად მაღალი იყო, რომ კონსერვის ქილას მთლიანად ადნობდა და ცეცხლიც უმალვე ყველაფერს ედებოდა. კონსერვის ქილები სასწრაფოდ ზღვაში მოისროლეს, ტრიუმი მთლიანად ამოაცარიელეს და ყველაფერი დამთავრდა...

როგორც წესი მოითხოვდა, კაპიტანი ნაპირზე უნდა გადასულიყო და სამხედრო ხელმძღვანელობისთვის ეცნობებინა, დივერსიისა და კარაჩის საფოსტო ცენზურის უხეში შეცდომის შესახებ. მოხუცი მეზღვაური პატაკის წერას შეუდგა. მუშები კი იარაღის ტრიუმებს მიუბრუნდნენ. რამდენიმე წუთში ერთ-ერთ ტრიუმთან კაპიტნის შეშლილი სახე გამოჩნდა, მას ან გაახსენდა, ან კიდევ საფოსტო საბუთებში ამოიკითხა, რომ ფოსტის ნაწილი საარტილერიო ჭურვებით სავსე ტრიუმში ინახებოდა. კაპიტანმა დააგვიანა... მას შეშინებული მუშები შეეფეთნენ, რომლებიც საშინელი ყვირილით ვირთხებივით მიმოიფანტნენ... ტრიუმში პირველი ქილა აფეთქებულიყო და ხის ყუთებს ცეცხლი გასჩენოდა. მუშების ყვირილმა პანიკა გამოიწვია. პორტის მეხანძრეები ბაზაზე ჯერ არ იყვნენ მისულები და სანამ მათ უკანა გზა გაიარეს და შემდეგ ისევ გემისკენ გამოეშურნენ საკმაო დრომ განვლო... 15 საათსა და 30 წუთზე პირველი ყუთი აფეთქდა...

პირველმა აფეთქებამ კაპიტანი და უფროსი ოფიცრები ნაკუწებად აქცია, პირველს მერე მოჰყვა, შემდეგ მესამე, შემდეგ კი... „ფორტ სტაიკინის“ გვერდით მდგომი 100 მეტრიანი გემი „ჯალაპანდმა“ 20 მეტრის სიმაღლეზე აიწია, ნაპირზე, სასაქონლო საწყობს დაეცა და აალდა.

„ფორტ სტაიკინისა“ და მის მახლობლად მდგომი ხომალდების გემბანზე მყოფი აბსოლუტურად ყველა ადამიანი დაიღუპა, მაგრამ ეს კიდევ დასასრული არ იყო...

„ფორტ სტაიკინი“ პირველმა აფეთქებებმა ორ ნაწილად გახლიჩა... აფეთქდა გემის ცხვირი, მაგრამ ჯერჯერობით მთელი იყო მისი უკანა ნაწილი, სადაც დენთი, ტყვიები და ოქროს ზოდები ინახებოდა... პორტში ქაოსი სუფევდა სამხედროები და მუშები ერთმანეთში ირეოდნენ. 4 წუთში დაიწყო მეორე, პირველზე ბევრად უფრო ძლიერი აფეთქებების სერია. პორტში მდგომი გემები დომინოს ქვებივით, ერთმანეთის მიყოლებით, ფეთქდებოდა. დაიწვა 27 (!) ხომალდი, ანუ პორტში მდგომი ტრანსპორტიდან, არც ერთი არ გადარჩა. პორტიდან რამდენიმე კილომეტრის მანძილზე ნახევარი საათის განმავლობაში მეტალის, ადამიანის სხეულის ნაწილებისა და ოქროს ზოდების ამაზრზენი წვიმა მოდიოდა. აფეთქების შედეგები შედარებით ნაკლები იქნებოდა, პანიკა რომ არ დაწყებულიყო. მუშებმა სწრაფად მიატოვეს სანაპიროს მოშორებით მყოფი საწყობები და არ გაზიდეს ტყვია-წამალი, რომელიც უკვე გადმოტვირთული იყო. ხანძარმა საათ-ნახევრის განმავლობაში მიაღწია საწყობებამდე და... ახალი ჯოჯოხეთი დაიწყო.

ცეცხლის ჩაქრობას რამდენიმე დღე მოანდომეს. კატასტროფისას დაიღუპა 1376 სამხედრო პირი და მეზღვაური. დაღუპული მუშებისა და მტვირთავების რიცხვის განსაზღვრა შეუძლებელი გახდა იმ უბრალო მიზეზით, რომ დაიწვა პორტის ყველა შენობა და დოკუმენტაცია. ზარალმა მილიარდ დოლარს მიაღწია...

არავინ იცის, ვის მიერ იყო გაგზავნილი ამანათები, რომლებმაც ასეთი ნგრევა გამოიწვია ბომბეიში, მაგრამ ფაქტია, კატასტროფის თავიდან აცილების შესაძლებლობა იყო და მრავალი დარღვეული წესიდან ერთ-ერთი რომ მაინც დაცულიყო, მსგავსი შემთხვევა არ მოხდებოდა, თანაც ასეთ სავალალო შედეგს არ გამოიწვევდა.

■

1962 წლის 20 აგვისტოს გამოჩენილი ქართველი მეცნიერი იოსებ ჟორდანია ამერიკის შეერთებულ შტატებში უნდა გამგზავრებულიყო სამეცნიერო კონფერენციაზე. მუდამ მოფუსფუსე, კვლევა-ძიებაში მყოფი ექიმი, დიდი სიხარულით არ შეჰგებებია ამ მიწვევას. როგორც ჩანს, საქმისაგან მოწყვეტა ეძნელებოდა. ყველაფრის მიუხედავად, მაინც იძულებული იყო, წასულიყო. ხანგრძლივი, დამღლელი გზა გაიარა. თვითმფრინავი, რომელსაც იგი საბოლოოდ ამერიკის მიწაზე უნდა დაესვა, აფრენის შემდეგ მალე გამოვიდა წყობიდან. ოკეანის თავზე მიფრინავდნენ, როცა განგაში ატყდა. სალონში მყოფთა სიცოცხლე საფრთხეში აღმოჩნდა. სტიუარდესა უკანასკნელ მითითებებს იძლეოდა სამაშველო რგოლების გამოყენების შესახებ. წონასწორობადაკარგული თვითმფრინავი ოკეანისკენ დაეშვა.

მკურნალს ცურვა რომ სცოდნოდა...

ლელა ჯიყამვილი

წარმოსადგენია, ამ მდგომარეობაში რა ხდებოდა განწირულთა თავს — დაბნეულობა, კივილი, სასოწარკვეთა. გადარჩენის ერთადერთი გზა იყო ოკეანის ზედაპირზე თავის დაკავება და მაშველების მოსვლამდე გაძლება. არსებობს ლამაზი გადმოცემა, რომელიც ტალღებში არ დაკარგულა და რომელზეც მაშინ, ყველა ცრემლიანი აღტაცებით საუბრობდა. იოსებ ჟორდანიას გვერდით ამერიკელი დედა-შვილი აღმოჩენილა, მოზრდილ გოგონას სამაშველო რგოლი არ ჰქონია. ფიქრის დრო არ რჩებოდა. ბატონ იოსებს სასწრაფოდ მოუხსნია თავისი „გადარჩენის იმედი", თითქოს რაღაც ტვირთი მოიშორაო და გოგონასთვის შეუჩეჩებია ხელებში. წარმოუდგენელია დედა-შვილის მადლიერების გრძნობა რამხელა იქნებოდა. ისინი გადარჩნენ. იოსებ ჟორდანია კი, რომელმაც, თურმე, ცურვა არ იცოდა, მაშველების მოსვლამდე დაიხრჩო. ეს რიო-დე-ჟანეიროსთან ახლოს მომხდარა. შემდეგ იოსებ ჟორდანია თბილისში ჩამოასვენეს და მამის გვერდით დიდუბის პანთეონში დაკრძალეს.

იოსებ ჟორდანიას წინაპრები სამღვდელო პირები ყოფილან. მამამისი — თედორე ჟორდანია XIX-XX საუკუნის გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, ისტორიკოსი იყო. მას 1895 წლის 15 მაისს შეეძინა ვაჟი, რომელსაც იოსები დაარქვა. ის დედულეთში, გორის რაიონის სოფელ ბერშუეთში იზრდებოდა, ყოველთვის მოწესრიგებული და შრომისმოყვარე ბავშვი ყოფილა. გორის კლასიკური გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, სწავლა ლენინგრადის სამხედროსამედიცინო აკადემიაში განაგრძო. წლების განმავლობაში მუშაობდა რუსეთის სხვადასხვა ქალაქში: ლენინგრადში, კუიბიშევში, მოსკოვში. ყველგან საპასუხისმგებლო თანამდებობა ეკავა და დიდი პატივისცემით სარგებლობდა.

მისი პირველი მეუღლე, გვარად გრიბოედოვა, უშვილო იყო. იქნებ ამ ოჯახურმა ტრაგედიამ მისცა ბიძგი მეცნიერის მომავალ მოღვაწეობას. მან ხომ მთელი სიცოცხლე შესწირა უშვილობის პრობლემის გადაჭრას და საოცარი შედეგებიც მიიღო. 1958 წელს თბილისში გაიხსნა ქალის ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომლის ხელმძღვანელადაც იოსებ ჟორდანია მიიწვიეს.

ამ დროს იგი უკვე 60 წელს გადაცილებული, სახელმოხვეჭილი მეცნიერი იყო, იმდენად პოპულარული, რომ თბილისში საბჭოთა კავშირის მთელი ტერიტორიიდან დაიწყეს პაციენტებმა ჩამოსვლა. ბატონი იოსები, ათეული წლების განმავლობაში რუსეთის ქალაქებში ნაცხოვრები, ქართულად „აქცენტის" გარეშე ვერ მეტყველებდა, მაგრამ სული ჰქონდა ღრმად ქართული. ძალიან განიცდიდა თავის ენობრივ „სისუსტეს". იმდენად, რომ თავის კაბინეტში ახალგაზრდა თანამშრომელი დაიბარა და სთხოვა, ქართულ ენაში გაევარჯიშებინა. მის სრულფასოვან აღდგენაში დახმარებოდა. დღეს ეს უჩვეულო ამბად აღარ აღიქმება, მაგრამ მაშინ, როცა საქართველოში რუსული ენის მოდა ზენიტში იყო, ბევრი ქართველი სპეციალურად მხოლოდ რუსულად მეტყველებდა, ეს ნამდვილად საკვირველი იქნებოდა.

ასაკში შესული იოსებ ჟორდანია მეორედ დაქორწინდა და თავისი პაციენტის ქალიშვილი — ლიდია ივანეს ასული შეირთო. მასთან ეწვია მამობის სიხარული და სრული ბედნიერება. შეეძინა თავისი ერთადერთი ვაჟი — კირიუშა ჟორდანია. ბუნებით მკაცრ და უსაზღვროდ მომთხოვნ ექიმს, მხოლოდ ერთი სისუსტე ჰქონდა ცხოვრებაში. ეს პატარა კირიუშა იყო. როცა სამსახურში შვილი ეწვეოდა, ინსტიტუტში ზეიმი იწყებოდა. თუ ვინმეს რაიმე ჰქონდა სათხოვარი, ან რაიმე საბუთზე ხელის მოწერას ელოდა, ყველა მაშინ ცდილობდა იოსებ ჟორდანიას კაბინეტში შეღწევას. ეს იყო ერთადერთი შემთხვევა, როცა ხელმძღვანელი ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე აწერდა ხელს, აკმაყოფილებდა თხოვნას... და იდგა თურმე დიდი რიგი მის კაბინეტთან, როცა პატარა კირიუშა კალთაში ეჯდა.

სხვა დროს შეუვალი იყო და შეუპოვარი. ახალგაზრდებს დერეფანში კედელთან ჩაამწკრივებდა და დაჟინებით სთხოვდა მუშაობას, კვლევას. ერთი წამის განმავლობაში არ უდუნდებოდა ყურადღება. ფეხაკრეფით გაივლიდა დერეფანს, რომ უქმად მყოფს მოულოდნელად წასდგომოდა თავზე. ძალიან უყვარდა შეკითხვა: ახლა რაზე მუშაობთ, ბატონებო? ვისაც იოსებ ჟორდანიას თანამშრომლობა სურდა, პასუხიც მზად უნდა ჰქონოდა.

წარმოსადეგი კაცი იყო. ნაზი, გრძელთითებიანი ხელის მტევნები ჰქონდა. სამსახურის შემდეგ ისეთი უბრალო და

უშუალო ხდებოდა თანამშრომლებთან, გაგიკვირდებოდათ. უყვარდა ხუმრობა, წვეულებებზე სიარული. ისეთი დახვეწილი მანერით სადილობდა, თანამეინახეებს ხელში ჩანგალი უშეშდებოდათ. დარცხვენილ და მონუსხულ მზერას ვერ აშორებდნენ.

თბილისის ქუჩებში სეირნობა უყვარდა ძალიან. ერთხელ აგვისტოს ხვატში წაუყვანია თანამშრომლები სასეირნოდ. თვითონ იმდენად ბედნიერი იყო, ვერც კი ამჩნევდა გვერდით მდგომებს, რა ემართებოდათ. ისინი ხომ დაქანცულები, სიცხისაგან გათანგულები ძლივსღა მიათრევდნენ ფეხებს, უბრალოდ უფროსს ვერ უბედავდნენ წინააღმდეგობის გაწევას.

იოსებ ჟორდანიას ოჯახი რომ რუსეთიდან თბილისში დაბრუნდა, ბინა ძველი კიროჩნის (დღევანდელი მარჯანიშვილის) ქუჩაზე მისცეს. სახლიდან სამსახურში, იქ სადაც დღეს მისი სახელობის ინსტიტუტია, — ყოველთვის ფეხით მიდიოდა. როცა შეიტყო, რომ მის მეზობლად მცხოვრები ინსტიტუტის ორი ახალგაზრდა თანამშრომელი ყოველთვის №24 ავტობუსს ელოდა სამსახურში მისასვლელად, კატეგორიულად გამოუცხადა მათ: ამიერიდან დილით ადრე შევიკრიბებით და ფეხით ერთად ვივლითო.

თვითონაც დახვეწილი კაცი იყო და ირგვლივაც ყველას „კოპწიაობის“ განწყობას უქნიდა. ქვეშეცნეულად იგრძნობოდა, რომ ბატონი იოსები შინაგან და გარეგნულ სრულყოფილებას მოითხოვდა. მის გახამებულ თეთრ ხალათს ნაოჭიც კი არ უჩნდებოდა ზედმეტი. სილამაზის აღიარება კი ძალიან უყვარდა. ერთ ახალგაზრდა თანამშრომელს ლამაზი ბუნებრივად ქერა თმა ჰქონდა და განსაკუთრებით უვლიდა. სალონში სპეციალურად დაყენებული ვარცხნილობა კი აღარ ემეტებოდა ჩაჩში დასაფარად, თავზე არასოდეს იხურავდა. ერთხელ იოსებ ჟორდანიას დაუბარებია კაბინეტში. მასაც მომზადებული ჩაჩისათვის ხელი დაუვლია და გაქცეულა. კარში შესვლის წინ, ქუდის გულმოდგინედ მორგება უცდია, მაგრამ მოულოდნელად ბატონ იოსებს გამოუხედავს: მისთვის ხომ ყველაფერი ისედაც ცხადი იყო... თანამშრომლისთვის მკაცრად უკითხავს: რატომ არ ატარებთ ჩაჩს? მას დარცხვენილს და შეშინებულს თმაზე მიუნიშნებია... ღიმილით დაუხედავს მეცნიერს ქერა კულულებისათვის და კარგი, კარგიო, — უთქვამს.

მეცნიერებათა აკადემიაში სიმპოზიუმი ტარდებოდა. იოსებ ჟორდანიას ყველა თანამშრომელი გაუფრთხილებია: „Чтобы все были в форме“. დატრიალდნენ ინსტიტუტში მომუშავე გოგონები. სიმპოზიუმისათვის ყველა ახალშეკერილ შავ კაბაში იყო გამოწყობილი. მათი იერი არავის დარჩენია შეუმჩნეველი სიმპოზიუმზე.

მეცნიერმუშაკები პოლონეთში გაუგზავნიათ. იქ ისინი ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟულ სამშობიაროში მიუწვევიათ. როცა პოლონელებმა შეიტყვეს, ჟორდანიას მოწაფეები ჩამოვიდნენო, აღტაცება ვერ დაფარეს. ბატონი იოსების სახელს მსოფლიო იცნობდა.

შინაარსიანი, ლამაზი სიცოცხლით იცხოვრა. პირველი ქართველი ბავშვი, რომელიც მისი წყალობით გაჩნდა, მისი მკურნალობის შედეგად მოევლინა ქვეყანას, დღეს 42 წლის იქნება... და რამდენია ასეთი! მკურნალის უკვდავებაც ეს არის. ■

იოსებ ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის კვლევითი ინსტიტუტის შენობა

ტესტი მრუდიციაზე

1. რომელი ქვეყნის ტერიტორიაზე მდებარეობს ამჟამად საქართველოს ისტორიული კუთხე ტაო:

ა) ირანის;
ბ) სომხეთის;
გ) თურქეთის.

2. ძროხის ნეკნებს შორის ამონაჭერ ხორცს ეწოდება:

ა) ანტრიკოტი;
ბ) არტალა;
გ) ჩალაღაჯი.

3. გილიოტინის გამომგონებელი პროფესიით იყო:

ა) ყასაბი;
ბ) ვეტერინარი;
გ) ექიმი.

4. მერამდენე კაცად შევიდა ლუდოვიკო XIV-სთან სულხან-საბა:

ა) მე-13;
ბ) მე-6;
გ) მე-15.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

ჯიბრი

ბესიკ კეკელიძე

— ბათურ, შენც მოგენატრა ლევანი? იმიტომ ხარ ასეთი მოწყენილი? ჩემი ჭკვიანი მეგობარი, — სავარძელში მოკალათებულმა ქალმა თავზე ხელი გადაუსვა უზარმაზარ კავკასიურ ნაგაზს, რომელიც ფერხთით გასწოლოდა. რამდენიმე წამით ძაღლმა მზერა მიაპყრო პატრონს, შემდეგ წინა თათებზე თავი ჩამოდო. — რა უბედური ვარ, სამი დღეა რაც არ გამოჩენილა, როგორ მომენატრა. არადა, ორი წლის ცოლ-ქმრობის მანძილზე ამდენი ხანი ერთმანეთს არ დავშორებივართ. ახლა ვგრძნობ, როგორ მყვარებია. არა, ოღონდაც დამიბრუნდი და აღარ გაგაბრაზებ, ბათურასაც სულ მე ვასეირნებ, შენს საყვარელ სადილებს გავაკეთებ, ერთ სიტყვასაც აღარ ამოგაღებინებ, ეს რატომ არ გამირეცხეო, ოღონდ დამიბრუნდი, ჩემო სიცოცხლევ, — ჩურჩულებდა ქალი და სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდა. — ამ საზიზღარ ცხოვრებაში პრობლემები არ გვეყოფა? არაფრის გულისთვის შეიძლება ჩხუბი? როგორ მომენატრე, დარეკე მაინც, შე კაი კაცო, ასე როგორ შეიძლება, გავგიჟდები, უშენოდ გავგიჟდები.

წამოდგა და სამზარეულოსკენ გასწია. ძაღლი ჩრდილივით გაჰყვა უკან. მოკიდებული სიგარეტი საფერფლეზე ჩამოდო, ჭიქაში ვალერიანის წვეთები დაისხა, წყლით გააზავა და ერთი ყლუპით დალია, შემდეგ მაგიდასთან ჩამოჯდა და მოწევა განაგრძო.

— ბათურ, ჭამე საჭმელი, რატომ არ ჭამ? ჩემსავით ლუკმა არ გადაგდის პირში? პატრონმა მიგვატოვა? არა, მე ვიცი, რომ ლევანს ორივენი ვუყვარვართ, აუცილებლად დაგვიბრუნდება და აღარ გავაბრაზოთ, მოვუაროთ, გავუფრთხილდეთ. ჩვენ ხომ გვიყვარს ლევანი, ძალიან გვიყვარს, ძალიან. დედა, რა უბედური ვარ? — აუცრემლიანდა თვალები ქალს, ფანჯარასთან მივიდა და სადღაც შორს, უსასრულო წერტილს მიაშტერდა. ძაღლი მიუახლოვდა, თათები რაფაზე ჩამოდო და პატრონივით მზერა გაიქვავა.

ბინაში მონატრების დარდი ფარდასავით იყო ჩამოშვებული. გარეთ კი, გაზაფხულის მზე თავისი სითბოთი ყველა სულიერს სულში უძვრებოდა და ესიყვარულებოდა.

— ბათურ, წამოდი, გაგასეირნებ, — გადახედა ქალმა ძაღლს, რომელიც ზანტი მოძრაობით კართან მივიდა და პატრონს მორჩილად, ჩასისხლიანებული, სევდანარევი თვალებით მიაშტერდა. ლიამ ქურთუკი მოიცვა, ფეხზე გამოიცვალა, ძაღლს საყელური გაუკეთა და სადარბაზოში გავიდა. ადრე სიტყვა „გასეირნებაზე“, ძაღლი გიჟდებოდა, კარს ბრჭყალებით ფხოჭნიდა, ყეფდა, სიხარულისგან ადგილს ვერ პოულობდა, მაგრამ ახლა იმდენად შენელებული ჰქონდა მოძრაობა და რეაქცია, რომ ავადმყოფი გეგონებოდათ.

ორივენი სახლთან ახლოს, სკვერში გავიდნენ. ლიამ თავისუფალი სკამი მონახა და ჩამოჯდა, ძაღლს საყელური შეხსნა. ბათურამ იქვე, ბუჩქებში თავისი საქმე მოითავა და პატრონის ფეხებთან გაწვა. ქალმა სკამებზე ჩამომსხდარი წყვილები შეათვალიერა. — რა ბედნიერები არიან, — გადაუჩურჩულა ძაღლს, სიგარეტი ამოიღო და მოუკიდა. შემდეგ საყელური გაუკეთა, ჯაჭვი ხელზე დაიხვია და ორივენი, ფიქრში ჩაძირულები, სახლისკენ წავიდნენ.

ბინის შესასვლელ კართან ტელეფონის ზარის ხმა შემოესმა. ჯაჭვს ხელი ნაჩქარევად გაუშვა და ჯიბეებში გასაღებს დაუწყო ძებნა. ტელეფონი ჯიუტად რეკავდა. ძლივს იპოვა გასაღები და რის ვაი-ვაგლახით გააღო კარი. ბინაში შევარდა და ყურმილს ეცა:

— გისმენთ, ალო, გისმენთ! — არავინ უპასუხა. — ნამდვილად ლევანი იყო, როგორ ვერ მოვასწარი, — გამწარებულმა დაკიდა ყურმილი. ძაღლი გვერდით ედგა. დაიხარა და საყელური შეხსნა, შემდეგ კართან მივიდა, გადარაზა. ქურთუკი გაიხადა, ერთ ფეხზე ფეხსაცმელი გაიძრო, რომ ისევ ზარი გაისმა. ტელეფონს სკუპ-სკუპით მიუახლოვდა, ყურმილი აიღო:

— გისმენთ!

— გამარჯობა, ლია, ეკა ვარ.

— აა, გაგიმარჯოს, — იმედი გაუცრუვდა ქალს. — ამის წინ შენ რეკავდი?

— ჰო, მაგრამ არავინ მიპასუხა.

— ბათურას ვასეირნებდი, — მიუგო მეგობარს.

— არ გამოჩენილა ლევანი? არც დაურეკავს?

— გამოჩენილა რა? — შეეცვალა ლიას სახე. — სანამ ბოდიშს არ მომიხდის, არ ვაპატიებ. მე მაგის ვირობას და მუტრუკობას ვერ ავიტან. დიდი ამბავი, ჯინსების გარეცხვა ვერ მოვასწარი, არ გამლანძღა? ვითომ მხართეძოზე ვიყო წამოწოლილი.

— ასე არ შეიძლება, უნდა მივუტევოთ ერთმანეთს, — დარიგება სცადა დაქალმა.

— ეკა, მაგის პრეტენზიები ყელში ამომივიდა, სულ ჯიჯღინებს — ძაღლი რატომ არ გაასეირნეო, სადილი რატომ არ დამახვედრეო, მოკლედ, აღარ შემიძლია. ბოლოს კი, ჯინსები რით ვერ გამირეცხეო და ისე გამლანძღა, თითქოს მაგისი მოსამსახურე ვიყო. წავიდა და კარგად იყოს.

— კარგი, დაწყნარდი, ცოლქმრობაში ყველაფერი ხდება, — დაამშვიდა ეკამ. — აბა, დროებით, — დაემშვიდობა.

— კარგად იყავი, — დაკიდა ყურმილი ქალმა. ტელეფონს დააშტერდა, მოულოდნელად სახე მოებრიცა და ტირილი მორთო: — უკვე გაგირეცხე, ჩემო სიცოცხლევ, ჯინსები, ყველაფერი გაგირეცხე, ჩახოხბილიც გავაკეთე, აგერ, ბათურაც გავასეირნე. შენ ოღონდ დამიბრუნდი, ყველაფერს დაგიჯერებ, — ცრემლი ღაპაღუპით მოედინებოდა ლოყებზე. — ყველა მამაკაცი ზოგჯერ უხეშობს, მამაჩემიც ასეთია, ჩემი მეგობრების ქმრებიც ვირობენ ხოლმე, არა უშავს, მე მოგეფერები და დაგამშვიდებ. ბათურ, — მიუბრუნდა ძაღლს, რომელიც განცვიფრებული შეჰყურებდა პატრონს, — ხომ გვინდა, რომ ლევანი დაბრუნდეს? იცოდე, აღარ გააჯავრო, თორემ წავა და დაგვეკარგება.

ძაღლმა თავი ჩაქინდრა და თითქოს მისი ბრალი იყო ოჯახში მომხდარი უსიამოვნება, დასჯილივით წავიდა საკუთარი ნოხისკენ. ნამგალივით განახევარმთვარდა და ვეება თავი უკანა თათებზე ჩამოდო. ქვემოდან შეჰყურებდა ლიას და მის ყოველ მოძრაობას გულისყურით ადევნებდა ჩასისხლიანებულ თვალებს.

დიასახლისმა სარეცხი ჩამოხსნა და საუთოვებელ მაგიდასთან მიიტანა. უთო ჩართო. სარეცხიდან ლევანის ტანსაცმელი ამოარჩია და დიდი სიფაქიზით, დაუთოვებას შეუდგა. ყოველ პერანგს, წინდასა თუ საცვალს ცხელ ხელსაწყოს გადაუსვამდა, შემდეგ გადაკეცავდა, ისევ გააცურებდა უთოს, ბოლოს, ხელში აიღებდა, აკოცებდა და მოწიწებით მაგიდაზე გადადებდა:

— ჩემი ბიჭი, დამირეკე მაინც, როგორ მენატრები... — ჩურჩულებდა, თითქოს ტანსაცმელს ესაუბრებოდა. შემდეგ სამზარეულოში გავიდა, ქვაბები კარადაში შეაწყო, ტაფები კი — გაზქურაში. — აი, ჩემო სიცოცხლევ, ხომ მეუბნებოდი, ქვაბები შეინახეო, უკვე შევინახე, ეგ კი არა, ტაფებიც შევინახე, — ბუტბუტებდა და თვალზე მომდგარ ცრემლს სახელოთი იმშრალებდა. ბათურა გვერდით ედგა, პატრონს თვალებში შესციცინებდა ერთგული, გოლიათი მეგობარი.

ლიამ ჩაიდანი აადუღა, ყავა დაისხა, სიგარეტს მოუკიდა და მაგიდასთან ჩამოჯდა. ჭიქიდან ამოვარდნილ ქაფქაფა ორთქლს თვალს აყოლებდა, მოულოდნელად რაღაც გაახსენდა. გველნაკბენივით წამოხტა. მტვრის ტილო მონახა და ტელევიზორისკენ გაიქცა:

— აი, ამ ოხერ ტელევიზორსაც გადავწმინდე მტვერი. მაინც რა მალე იგროვებს, მტვრის მაგნიტია, ეს დასაწყევლი, — ჩვარს გამწარებული უსვამდა კინესკოპს. შემდეგ აივანზე გავიდა და გადაბერტყა. ისევ მიუბრუნდა ტელევიზორს და კიდევ ერთხელ გადაუსვა: — ესეც გავწმინდე,— ჩაილაპარაკა და სამზარეულოში დაბრუნდა, მაგიდასთან მოკალათდა და ყავის სმას შეუდგა. ბათურა გვერდით ეწვა. — დარეკოს მაინც, რას ჰგავს ეს? — უკმაყოფილოდ გადაულაპარაკა ძაღლს.

ის იყო, სიგარეტი უნდა ჩაექრო, რომ უზარმაზარი ნაგაზი ადგილს მოსწყდა. შემოსასვლელ კარს მივარდა, წინა თათებით აეყუდა და წკავ-წკავი და ყეფა მორთო. შიგადაშიგ ლიას გამოხედავდა და კუდის ქიცინით რაღაცას ანიშნებდა. ზარის ხმა გაისმა, ძაღლმა ყეფას უმატა და ბრჭყალებით კარის ფხოჭნა დაიწყო. დიასახლისი წამოდგა, კართან მივიდა, სათვალთვალოში გაიხედა. კარის წინ ლევანი იდგა, ხელში მინდვრის ყვავილების თაიგული ეჭირა.

— ვინ არის? — ხმამაღლა იკითხა ლიამ. შემდეგ ჭკუიდან გადასულ ძაღლს მიუბრუნდა, — ბათურ, გაჩერდი! — ძაღლმა ყეფას უმატა, სიხარულისგან არ იცოდა, რა ექნა, ალბათ ცხოვრებაში ასე სწრაფად კუდი არასოდეს უქიცინებია.

— ლევანი ვარ, გააღე, — გაისმა კარს მიღმა.

ქალმა კარი ჯაჭვით გადაკეტა და ოდნავ გამოხსნა:

— რა გინდა? — გაბრაზებული გამომეტყველება აღებეჭდა სახეზე, — რისთვის მოხვედი? რომ ივირო და მლანძღო?

— კარგი, გეყო, — დამშვიდება სცადა მეუღლემ.

— არა, მე შენი მონა-მოსამსახურე არ ვარ, არც შენი ლანძღვის ღირსი ვარ! — კატეგორიული ტონით მიმართა ქალმა, — ვინც ამას გაუძლებს, წადი და იმასთან იცხოვრე! — ცხვირინ მიუჯახუნა ქმარს კარი.

სადარბაზოში კიბეზე ჩასვლის ხმა გაისმა, რომელიც თანდათან შორდებოდა კარს. ლია შემობრუნდა, ხელები სახეზე აიფარა და ატირდა. ძაღლი დაწყნარდა, ვერ გარკვეულიყო რა მოხდა, თავი გვერდზე მოექცა და გაოგნებული მიაშტერდა პატრონს.

— რა უბედური ვარ, ჩემი ლევანი, — ქვითინებდა ქალი. საძინებელ ოთახში შევარდა და საწოლზე პირქვე დაემხო.

ბათურა ზანტი მოძრაობით უკან გაჰყვა და საწოლთან მოცელილივით გაიშხლართა.

■

Mercedes-ის „ცეხოდენა" ცოტა გაიზარდა

A-CLASS-ის პატარა „მერსედესი" ერთხანს კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს, – ქალაქისთვის გამიზნული პატარა მანქანა მეტისმეტად „ტანმორჩილიაო". კომპანიამაც, ბევრი არ იყოყმანა და ამ ცოტა ხნის წინ A კლასის ახალი, რამდენადმე გაზრდილი მოდელის დამზადების ინფორმაციაც გაავრცელა. მისი ოფიციალური ფოტოსურათებიც გამოამზეურეს.

ძარის გადახალისებული დეტალების, სტილისტურად და არსებითად შეცვლილ-გაზრდილი სალონით, ტექნიკურად დახვეწილი MERCEDES-BENZ-ის A-CLASS-ი კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ ერთ-ერთი გამორჩეული ადგილის ღირსია, მომცრო ზომის ავტომობილების საბაზრო სექტორში.

ამ მანქანის სულ ბოლო ნიმუშს საზოგადოების სამსჯავროზე პირველად ჟენევაში, 27 თებერვლიდან 11 მარტამდე დაგეგმილ ჩვენებაზე წარადგენენ. ის A-კლასის წინა მოდელს ჰგავს, ოღონდ 60 მმ-ით დაგრძელებული უკანა კარი აქვს. 3 წლის განმავლობაში წინამორბედის რეალიზაციამ 550.000 ცალს მიაღწია. თავის კლასში ეს „მერსედესი" დიდი პოპულარობით სარგებლობს გერმანიასა და ბევრ სხვა ევროპულ ქვეყანაში.

კომპანია „მერსედესის" წარმომადგენლები ამტკიცებენ, ახალ ავტომობილში აშკარად შეინიშნება სიხალვათე, რომელსაც განსაკუთრებით უკანა სავარძლებში მოკალათებული მგზავრები იგრძნობენ. უკანა სავარძლები აგრეთვე იმგვარად არის მოწყობილი, რომ მათი გადაწევა-გადმოწევა გაადვილდეს იმისდა მიხედვით, თუ რა სჭირდება მფლობელს კონკრეტულად – მგზავრის ჩასმა თუ ბარგის განთავსება.

დამპროექტებლებმა და ინჟინრებმა სალონის მთლიანი მოცულობაც გაზარდეს. ახლებური სტილით არის შესრულებული ხელსაწყოთა პანელი, რომელიც საუკეთესო მასალისგან არის დამზადებული და ფერთა სხვადასხვა კომპოზიციასაც ითვალისწინებს.

გაზრდილი ზომის მიუხედავად, ძრავის წვა 100 კმ-ზე 4.8-დან 4.9 ლიტრამდე მერყეობს.

დაგრძელებული A-კლასისთვის ორი მოდიფიკაციის ძრავაა გათვალისწინებული – 1,6 და 1,9 ლიტრიანი. ორივე პირდაპირი შეშხეფვის პრინციპით მუშაობს.

კომპაქტური ავტომობილების კლასისთვის, ამ მანქანაში გამოყენებული უსაფრთხოების ბალიშები (WINDOWBAGS) სიახლეს წარმოადგენს. ამ კლასის მანქანებისთვის უნიკალურია აგრეთვე ჰაერის კონდიცირების სულ ახლახან შემუშავებული სისტემა, რომელსაც ჰაერის სინოტივის დამდგენი დამატებითი ხელსაწყო ახლავს. პირველად არის ეფექტიან ჰიდრავლიკურ სამუხრუჭე სისტემასთან შეხამებული ე.წ. სტაბილურობის ელექტრონული პროგრამა (ESP), რომელიც კიდევ უფრო მდგრადს და უსაფრთხოს ხდის ავტომობილს: მისი წყალობით A-კლასი საუკეთესო, ამჟამად ყველაზე საიმედო დინამიკურ დაცვით სისტემას შეიცავს.

სპეციალისტთა ვარაუდით, A-კლასის ეს „მერსედესი" სარეალიზაციო ქსელში უკვე ამავე წლის სექტემბერში გამოჩნდება და, როგორც ამბობენ, ბევრად მეტი ეღირება, ვიდრე წინამორბედი.

როცა ამ ვერსიის შესახებ გამოაცხადეს, კომპანიის მესვეურებმა ისიც დასძინეს, რომ A-კლასის შემდგომი, უფრო ორიგინალური თაობა, რომელიც B-კლასის თავისებურ დუბლირებას მოახდენს, 2004 წლისთვის გამოჩნდება საავტომობილო ბაზარზე. A-კლასის ეს ახალი ნიმუში, სავარაუდოდ, 7-ადგილიანი იქნება. ■

Volkswagen-ის ახალი მიკრობუსი

ის კომპანია „ფოლკსვაგენის“ იმ სადიზაინო სტუდიაში შეიქმნა, რომელსაც SIMI VALLEY ჰქვია და კალიფორნიაში მდებარეობს. კონცეპტუალური მიკროავტობუსის დებიუტი წლეულს, იანვარში, დეტროიტში ჩატარებულ ჩრდილოამერიკულ საერთაშორისო საავტომობილო გამოფენაზე მოეწყო.

იმის გამო, რომ მომავალი ავტობუსის დიზაინი ამერიკულმა სტუდიამ შეიმუშავა, ეს კონცეფციაც ამერიკული ბაზრისთვის არის გათვალისწინებული. თუმცა, შემოქმედებითი კონცეფციით და მასში ხორცშესხმული იდეებით, მიკრობუსი 1950-იანი წლების „ფოლკსვაგენის“ პირველი მიკროავტობუსის მდიდარ ტრადიციებს ეყრდნობა. თავის დროზე მას იმდენად დიდი წარმატება ხვდა წილად, რომ ე.წ. „საკულტო“ მანქანად იქცა, რომელსაც აშშ-ში THE MICROBUS-ს უწოდებდნენ.

ამ ლეგენდარული „ფოლკსვაგენის“ პოპულარობის მიუხედავად, რომელიც ისეთივე სახელგანთქმული იყო, როგორც „ხოჭო“, დიზაინერებმა მაინც გადაწყვიტეს, არ გაერისკათ და მისი სტილი სრულიად არ გაემეორებინათ. მათი მიზანი, სხვა, უფრო ორი ორიგინალური მანქანის შექმნა იყო, რომელიც მარკის სახელოვან წარსულს, საკუთარი, დამოუკიდებელი აწმყოთი გაამდიდრებდა. სწორედ ამ პრინციპით მოქმედებდა კალიფორნიელ დიზაინერთა გუნდი.

თუმცა ახალი „მიკრობუსის“ მასობრივი გამოშვების საკითხი დანამდვილებით გადაწყვეტილი ჯერ არ არის, სხვა კონცეპტუალური მოდელების მაგალითზე დაყრდნობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მისი სერიული წარმოება მაინც მოხდება.

მანქანის გარეგნულ მხარეზე საუბრისას შეგვიძლია ვთქვათ, რომ დიზაინერები ქმნიდნენ მანქანას, რომელიც მართლაც საუცხოოდ უხამებს ერთმანეთს ადრეული სტილის ელემენტებსა და მათ ახლებურ ინტერპრეტაციას. ეს პირველ რიგში ვლინდება „მოკლეცხვრიან“, ოდნავ დახრილ წინა ნაწილში, რომელიც 50-იანი წლების „ფოლკსვაგენის“ პირველ მიკროავტობუსს მოგაგონებთ.

ახალი მოდელი, რომლის ოფიციალური სახელწოდებაა T1, კლასიკურისგან ზომებით გამოირჩევა: მიკრობუსი 2001 უფრო დაგრძელდა – 4,7 მეტრია, სიმაღლეშიც და სიგანეშიც გაიზარდა და გაბარიტებით „ფოლკსვაგენ“ BUS T4-ს მიუახლოვდა, რომელსაც აშშ-ში EUROVAN-ს უწოდებენ.

ავტომობილს ახალი, 3,2 ლიტრიანი V6 ძრავა უყენია, რომლის სიმძლავრე 230 ცხ. ძალას აღემატება.

ახალი ინტერპრეტაციით ხასიათდება ძარის წინა ნაწილი. მანქანა ორმაგი, ე.წ. ქსენონის სანათებით არის აღჭურვილი, რაც, სპეციალისტთა აზრით, „ფოლკსვაგენის“ პირველი მრგვალსანათებიანი მიკროავტობუსის სტილისტურ კონტრაპუნქტს წარმოადგენს.

მცოცავი გვერდითი კარის წყალობით, გაადვილებულია მგზავრთა ჩასხდომა-გამოსვლა. კარი მოძრაობაში მოდის ღილაკის ერთი დაჭერით.

ავტომობილის სალონი კომფორტზე ახლებური შეხედულების ნიმუშს წარმოადგენს. ჭერში განთავსებული დიდი პლაფონები სასიამოვნო ატმოსფეროს ქმნის. განსაკუთრებით უჩვეულოდ და საინტერესოდ დიზაინერებმა იატაკის საკითხი გადაწყვიტეს: ის ნახევრად გამჭვირვალე მასალისგან არის დამზადებული და გეომეტრიული ნახატის ფორმა აქვს.

ხელსაწყოთა პანელი ასიმეტრიულობის პრინციპს ეყრდნობა. ავტომატური ხუთსაფეხურიანი გადაცემათა კოლოფი, რომელიც ე.წ TIPTRONIC-ის სისტემით არის აღჭურვილი, პანელზე დამაგრებული ჯოისტიკით იმართება და შეიძლება, სურვილისამებრ, ან ხელით მართვის, ან მთლიანად ავტომატურ რეჟიმში დააყენო.

მიკრობუსს სამგზავრო ადგილების სამი რიგი აქვს. შუა რიგის სავარძლები 180 გრადუსით ბრუნავს, მესამე რიგისა კი, დივანის ფორმის მსგავსად არის დამზადებული, თუმცა მკვეთრად აქვს გამოკვეთილი ორი ადამიანის დასაჯდომი ადგილი. სავარძლები ელექტრონული რეგულირების სისტემით არის აღჭურვილი.

განსაკუთრებით საინტერესო ის არის, რომ მიკრობუსი ავტო-კინოდარბაზად შეიძლება გადაკეთდეს. ამას უზრუნველყოფს ცენტრალურ პულტში ჩამონტაჟებული ეკრანი და ოთხი მონიტორი, რომლებიც პირველი და მეორე რიგის სავარძლების საზურგეებზე არის დამაგრებული.

კიდევ ერთი ეკრანი და ე.წ. BACKEYE კამერები უკანა ხედის დანახვას უზრუნველყოფს. ორ გარე სარკესთან ერთად, ამ სისტემის მეშვეობით მძღოლის თვალწინ უკანა ხედის სრული პანორამა იშლება. სისტემა მძღოლს ხმოვან გაფრთხილებასაც აძლევს, ვთქვათ, მანქანის დაყენებისას ის ძალზედ რომ მიუახლოვდა სხვა ავტომობილს და შესაძლოა, შეჯახება მოხდეს. ■

სიბნელეში

შარშან, დეკემბერში ევროპის კინოაკადემიამ ბიორკი ევროპის საუკეთესო მსახიობ ქალად აღიარა. ახლა წინ „ოსკარების“ გადაცემის ცოცხალ-ცხელება გველის და უნდა ითქვას, რომ ბიორკს ჰოლივუდში გამარჯვების დიდი შანსიც აქვს.

კანის ფესტივალზე საუკეთესო მსახიობი ქალის პრიზის მიღებისას ბიორკმა დამსწრე საზოგადოება გააოცა: მან განაცხადა, რომ არასოდეს აღარ ითამაშებს კინოში.

მომლოდინალი

უჯიდურესი ჩრდილოეთიდან

ეს მოულოდნელი განცხადება ბიორკმა იმით ახსნა, რომ ის სამი წელიწადი, რომელიც ფილმს – „სიბნელეში მოცეკვავე“ დაუთმო, ყველაზე საშინელი და მძიმე პერიოდია მის ცხოვრებაში. რეჟისორმა ლარს ფონ ტრიერმა, ტკივილის მიყენებისა და წამების დიდოსტატმა, საბოლოოდ შეაჯავრა კინემატოგრაფი.

„სიბნელეში მოცეკვავის“ შემდეგ იგი მსოფლიოს ყველაზე ცნობილმა რეჟისორებმა მიიწვიეს, მაგრამ ბიორკი თავისი გადაწყვეტილების ერთგული დარჩა. კინოსთან მისი „რომანი“ 1997 წლის ზაფხულში დაიწყო, როცა ფონ ტრიერის სტუდიიდან დაურეკეს და „სიბნელეში მოცეკვავისთვის“ მუსიკის დაწერა შესთავაზეს.

ნებისმიერი სხვა მუსიკოსი სიამოვნებით დასთანხმდებოდა სახელოვან რეჟისორთან მუშაობას, მაგრამ ბიორკს წარმოდგენა არ ჰქონდა, ვინ იყო ლარს ფონ ტრიერი, ამასთან, მნიშვნელოვანი გასტროლებისთვის ემზადებოდა და უარი განაცხადა შემოთავაზებაზე.

როგორც ჩანს, უარმა ფონ ტრიერს თავმოყვარეობა შეულახა და მეტად დააინტრიგა. მან ბიორკს სცენარი და თავისი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ფილმის კასეტა გაუგზავნა.

„ეს რაღაც საოცარი შოკი იყო, – იხსენებდა ბიორკი, – დილით, როცა საღ გონებაზე გავიღვიძე, მივხვდი, რომ გამომიყენეს,მახეში გამაბეს,ჩემით მანიპულირებდნენ. მაგრამ ფილმის ყურებისას ცრემლებად ვიღვრებოდი. მოგვიანებით მივხვდი, რომ ლარსი სხვისი ტანჯვით ტკბება. თითქოს იმდენად არ სჯერა საკუთარი თავის, რომ მოვალეობადაც კი თვლის მაყურებელზე ფსიქოლოგიურ შეტევას!“

ბიორკი სცენარით დაინტერესდა და ფილმისთვის მუსიკის დაწერაზე დათანხმდა. მუშაობამ იმდენად გაიტაცა, რომ მთავარ როლზეც ყოველგვარი ყოყმანის გარეშე თანხმობა განაცხადა. ფიქრობდა, რომ ფანტაზიის სამყაროში მცხოვრები სელმას თამაში არ გაუჭირდებოდა – თავადაც ხომ ზუსტად ასეთი ხასიათი ჰქონდა. ბავშვობაში ბიორკი ხშირად წარმოიდგენდა ხოლმე ერთსა და იმავე სცენას: „ვიწყებ ვინმესთან საუბარს და უცებ ჰაერში ვფრინდები. ვცდილობ თანამოსაუბრესთან დაბრუნებას, მიწაზე დარჩენას, ვეჭიდები საგნებს, მაგრამ ზეციური მიზიდულობა უფრო ძლიერია – წინააღმდეგობას ვეღარ ვუწევ და მივფრინავ“.

მაგრამ ფონ ტრიერი სულ სხვაგვარი ფილმის გადაღებას აპირებდა. თუკი ბიორკს ილუზიების სამყაროში ჩაფლული მარტოხელა დედის ამბავი ზღაპრად წარმოედგინა, ფონ ტრიერს დაუნდობელი ნატურალისტური ამბავი ესახებოდა.

კინემატოგრაფისტთა წრეებში ვერ გაეგოთ, თუ რატომ აირჩია ტრიერმა მთავარ როლზე მაინცდამაინც ბიორკი: მას ხომ შეეძლო ნებისმიერი მსახიობი მიეწვია. ლეგენდარული კატრინ დენევი სურათში – „სიბნელეში მოცეკვავე“ მეორეხარისხოვან როლზეც კი დათანხმდა!

ისინი, ვინც კარგად იცნობენ ფონ ტრიერს, ირწმუნებოდნენ, რომ ამგვარი არჩევნის მიზეზი ბიორკის პირველი უარი გახდა. როგორ უნდა დასჯილიყო თავხედი მომღერალი? სწორედ ლარსის ხელმძღვანელობით ჩატარებული გადაღებები იქნებოდა „საუკეთესო მიპატიჟება ეშაფოტზე“...

თავიდან ბიორკს არ სჯეროდა ამისა, მაგრამ გადაღებების ბოლოსთვის იძულებული გახდა, უმრავლესობის აზრი გაეზიარებინა: „ყოველდღე ვგრძნობდი, რომ მიყენებდნენ, – ამბობდა იგი პრემიერის შემდეგ, – მე ვენდობოდი ლარსს, ის კი მე – არა. მას სჭირდებოდა, ფსიქოლოგიურად გავეტეხე, რომ შემდეგ, როგორც სურდა, ისე გამოვეყენებინე“.

უსიამოვნო ამბების ტალღა იმით დაიწყო, რომ ბიორკს თავის ხმის ოპერატორებთან მუშაობაზე უარი უთხრეს. შემდეგ ფონ ტრიერი, უკვე გამზა-

კატრინ დენევთან ერთად კანის კინოფესტივალზე



დებული ხმის ბილიკის გადაკეთებას შეუდგა და კატეგორიულად მოითხოვდა, ამაში ბიორკსაც მიეღო მონაწილეობა. „ხედავდა, რომ ჩემთვის ეს მუცლის გაფატვრის ტოლფასი იყო, მაგრამ თავისას არ იშლიდა“, – ამბობდა ბიორკი.

მომღერლისთვის ყველაზე მძიმე წამება კი ციხის სცენის გადაღება გახდა, სადაც სელმა, სიკვდილით დასჯის წინ, სიკვდილმისჯილთა საკანში მარტო რჩება და ერთი კვირის მანძილზე საყვარელ სიმღერებს მღერის.

ამ სცენაში ბიორკს სურდა ეჩვენებინა, რომ სიკვდილის შიშის დაძლევას სელმა სიმღერის წყალობით ახერხებს. მაგრამ ფონ ტრიერს სხვა გეგმები ჰქონდა. გადაღების წინ მან ბიორკი მოატყუა – უთხრა, რომ ამ სცენის გადაღებას ერთი დუბლით აპირებდა და ბიორკმა პირველივე ცდისას ჩააქსოვა მთელი ძალები. რეჟისორმა მაშინვე მეორე დუბლი მოითხოვა, შემდეგ მესამე, მეოთხე. მოკლედ, დუბლები იქამდე გაგრძელდა, სანამ მომღერალს ხმა სრულებით არ ჩაუწყდა. და სწორედ მაშინ დაიწყო ფონ ტრიერმა იმის გადაღება, რაც თავად სურდა. შექმნა სრულებით სასოწარკვეთილი, ღონემიხდილი და ძალადაკარგული გმირის სახე.

„ლარსს სხვაგვარად არ შეეძლო. მას სულიერების ნებისმიერი გამოვლინება აშინებს“, – ამბობდა ბიორკი.

მომღერალს ძალიან ხშირად მონდომებია ყველაფრის მიტოვება და გადასაღები მოედნიდან გაქცევა. მას სულაც არ ენაღვლებოდა კონტრაქტი. მაგრამ იმ დროისთვის ბიორკი იმდენად შეიჭრა სელმას სულიერ სამყაროში, რომ თავს ვალდებულად გრძნობდა, იგი რეჟისორის თავდასხმებისგან დაეცვა. დილით ფონ ტრიერს „ეომებოდა“, დღისით გადაღებებში მონაწილეობდა, ხოლო ღამით ახალ-ახლ არანჟირებებზე მუშაობდა. „დღე-ღამეში 16 საათი მიწევდა მუშაობა, ხოლო კვირაში ერთიორი ღამე „გამოხტებოდა“, როცა საერთოდ არ ვწვებოდი დასაძინებლად“.

მაგრამ ბიორკის თქმით, ყველაზე მძიმე იყო არა ფიზიკური, არამედ მორალური დატვირთვა. „სელმად გადაქცევა მომიხდა. მე ხომ მსახიობი არ ვარ – მე მხოლოდ იმის თამაში შემიძლია, რასაც შევიგრძნობ. სამი წელი სელმა ვიყავი, ხოლო შემდეგ, მასთან ერთად მოვკვდი. გადაღებების მერე კი აღვდექი – მაგრამ უკვე სულ სხვა ადამიანად“.

და მაინც საბოლოო სიტყვა ბიორკს დარჩა. „სიბნელეში მოცეკვავის“ პრემიერის შემდეგ მან გამოსცა კომპაქტ-დისკი – „სელმას სიმღერები“, რომელშიც ყველა კომპოზიცია „ტრიერისებურად“ კი არა, „ბიორკისებურად“ ჟღერს. მეტიც, კომპაქტ-დისკებზე ისტორიის ფინალიც სხვაგვარია: სელმა ცხოვრებას ტოვებს არა სასოწარკვეთილებითა და გოდებით, არამედ სიმღერით. სამყაროს ეთხოვება და შვილს წერილს უტოვებს.

„ალბომი „სელმას სიმღერები“ ერთგვარ რევანშად იქცა. ეს ჩემი უკანასკნელი საჩუქარია ამ გმირისთვის. მის ცხოვრებაში ხომ ძალზე ცოტა იყო ბედნიერება! თავს ვალდებულად ვგრძნობ მის წინაშე“, – ამბობს მომღერალი.

თავად ბიორკის ცხოვრება უტყუარი დამამტკიცებელი საბუთია იმისა, რომ ფანტაზიორობისადმი მიდრეკილ მარტოხელა დედებს, ცხოვრებაში ბევრი რამის მიღწევა ძალუძთ.

1965 წელს, ისლანდიის დედაქალაქ რეიკიავიკში დაბადებულმა ბიორკ გუდმუნსდოტირმა 11 წლიდან ადგილობრივ პოპ-ჯგუფებში დაიწყო სიმღერა. ცოტა რომ წამოიზარდა, ჯგუფ SUGANCUBES სოლისტი გახდა. 1993 წელს პირველი სოლო-ალბომი გამოუშვა, რის შემდეგაც ყველაზე პერსპექტიულ მუსიკოსად აღიარეს. ამჟამად მარტო ზრდის ვაჟიშვილს, გასტროლებზე დადის და წერს მუსიკას, რომელიც დიდი მოწონებით სარგებლობს.

დღეს ყველა მოუთმენლად ელის მის ახალ ალბომს. ის ხომ, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ახალ ადამიანად იქცა, მაშასადამე, სრულიად ახლებური მუსიკაც გველის.

ფირუზ ფურცელაძე

«მუნვეშრი» დემოკრატია ანარქიასა და დიქტატურას წარმოშობს

„მალე ჩამოდით, ერთი მუჭა ქართული მიწა და ერთი ბათმანი მჭადის ფქვილი ჩამოიტანეთ“, – ვკითხულობთ წერილში, რომელიც სულ ახლახან მიიღეს ახლობლებმა ცნობილი ქართველი ემიგრანტის, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ფუძემდებლისა და მისი ორგანოს „ივერიის“ რედაქტორის, 94 წლის მიხეილ ქავთარაძისგან. პრინციპული და უკომპრომისო კაცისგან გამოვლენილი ასეთი სენტიმენტალობა უძლურებით გამოწვეული არ ყოფილა, იგი კვლავაც მხნედ არის, მაგრამ, ეტყობა, მიწის ძახილით გამოწვეული სევდა ქართველის ქრონიკული სენია.

მიხეილ ქავთარაძემ 1927 წელს დატოვა სამშობლო და ამჟამად პარიზის ახლოს, ლინაში, თავის ხელით აშენებულ სახლში ცხოვრობს. მას უდიდესი წვლილი აქვს შეტანილი უცხოეთში ქართული ეროვნული ცნობიერების შენარჩუნებასა და დამკვიდრებაში. მისი მონაწილეობითა და თანადგომით 1949 წელს პარიზში ქართველმა ემიგრანტებმა აღადგინეს ილია ჭავჭავაძის მიერ 1877 წელს დაარსებული ჟურნალი „ივერია“, რომელსაც სამი ათეული წელი რედაქტორობდა მიხეილ ქავთარაძე. მის პუბლიცისტურ წერილებსა და ესეებს ყოველთვის დიდი ინტერესით ეცნობოდა ქართული ემიგრაცია. „ივერიაში“, „კავკასიონში“, „თავისუფლების ტრიბუნაში“, „გუშაგში“ და სხვა საზღვარგარეთულ ქართულ გამოცემებში დაბეჭდილ მიხეილ ქავთარაძის წერილებში ყოველთვის გამოსჭვიოდა სამშობლოს ფაქიზი განცდა და განუწყვეტელი ძიება მისი განთავისუფლების გზისა.

„ზოგიერთმა ქართველმა რა იცის ჩვენებური სამშობლოს სიყვარულისა, მას ხომ იგი არასოდეს დაუკარგავს, ან თავისუფლების გამოყენებისა. მას იგი არასოდეს ჰქონია... ვაი, იმ ქართველს, ვინც თავის ფიქრში დაუშვებს საქართველოს რუსთა მიერ პყრობის მარადისობას“, – წერდა მიხეილ ქავთარაძე. სამშობლოს ასეთი ტკივილიანი განცდა დღემდე არ განელებია, რაც კარგად ჩანს საგანგებოდ ჩვენთვის მოცემულ ამ ინტერვიუშიც.

– ჩემი წინაპრები სენაკელები იყვნენ. ვიზრდებოდი შეძლებულ ოჯახში. ბავშვობა უზრუნველი მქონდა, მაგრამ ყოველთვის ის მაინტერესებდა, რაზეც ჩემზე ღარიბი ოჯახის შვილებს მიუწვდებოდათ ხელი. მახსოვს, როგორ გავიხარე, როცა ჩემი დაჟინებული თხოვნით, მამაჩემმა გლეხური წაღები მიყიდა.

ჩვენი ოჯახი მარგანეცით ვაჭრობდა. ამასთან, ქავთარაძეების ფირმას ხელშეკრულება გაფორმებული ჰქონდა სამხედრო უწყებასთან და კავკასიის ფრონტზე განლაგებულ რუსეთის არმიას საწვავს, ანუ შეშას და ცხენებისთვის საკვებს – სიმინდს ვუმზადებდით. დიდი მამულები არ გვქონია, სულ 16-18 დესეტინა იყო. რევოლუციის შემდეგ, ჩვენმა ფირმამ საქმიანობის საგანი ნაწილობრივ შეცვალა, რადგან ამ პერიოდში საქართველოდან ყველანაირი ექსპორტი აიკრძალა და მათ შორის მარგანეცისა, მაგრამ ბიზნესიდან საკმაოდ სოლიდური შემოსავლები გვქონდა. ამ დროს დაიწყო ინფლაციაც და დანაზოგის გადასარჩენად ჩემმა მშობლებმა გადაწყვიტეს, თბილისში ბინის ყიდვა. 900 ათასი ოქროს მანეთი დავახურდავეთ იმ სახლში, რომელიც რუსთაველის №36-ში იდგა. თუმცა, ის ფული უკვე გაუფასურებული იყო და „ოქროსი“ ტყუილადღა ეთქმოდა.

— სახლი ჩამოგართვეს თუ გაყიდეთ?

– ვერ გეტყვით ზუსტად. მე რომ წამოვედი საქართველოდან, ეგ მერე მოხდა. შესაძლოა, ჩვენებმა ზედმეტი ხარჯების თავიდან ასაცილებლად თვითონვე ჩააბარეს სახლმმართველობას, რადგან ვერაფერში იყენებდნენ.

— ემიგრაციაში თქვენი ნებით წახვედით?

– დიახ, ამის მიზეზი მხოლოდ უცხოეთში მოგზაურობის ახალგაზრდული გატაცება და ამასთან, რეალობით უკმაყოფილება გახლდათ. სხვა მიზეზი, ყოველ შემთხვევაში, იძულება და იქ დარჩენის რაიმე საფრთხე მე არ მქონია. ვფიქრობდი, ევროპაში მივიღებდი განათლებას და კვლავ დავბრუნდებოდი სამშობლოში, მაგრამ სულ სხვანაირად აეწყო ჩემი ცხოვრება. საქართველოს განთავისუფლების იმედს არ ვკარგავდი, მაგრამ... კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო.

— ესე იგი, თქვენს წასვლას პოლიტიკური მოტივი არ გააჩნდა? თქვენ ხომ ედპ-ის აქტიური წევრი იყავით. რამ განაპირობა თქვენი პარტიული არჩევანი?

– ის მე არ ამირჩევია, ჩემი აღზრდითა და სოციალური მდგომარეობით მოვხვდი ამ პარტიაში და აქ გვარივით ჩამომყვა „ეროვნულ-დემოკრატობა“.

— თქვენ წლების მანილზე „ივერიას“ ხელმძღვანელობდით. როგორ მოხვდით სამწერლო ასპარეზზე?

– მწერლობაზე არასოდეს მიფიქრია, ყოველთვის განსხვავებული პროფესიით ვმუშაობდი. მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე ენაზე ვკითხულობდი, კალამი ხელში ამ ოცდაათიოდე წლის წინ ავიღე და ისიც „ივერიის“ მაშინდელი რედაქტორის და ჩემი მეგობრის, ელისე პატარიძის თხოვნით. ელისეს გარდაცვალების შემდეგ მისი საქმის გაგრძელება მე მხვდა წილად.

— ბატონო მიხეილ, როგორც ცნობილია, ეროვნულ-დემოკრატების დაპირისპირება სოციალ-დემოკრატებთან, ჯერ კიდევ ილიას დროს დაიწყო, როგორ გაგრძელდა თქვენი ურთიერთობები საფრანგეთში?

– მე ბოლო დრომდე არ ჩავდიოდი ლევილში, სადაც ქართველი სოციალ-დემოკრატები ცხოვრობდნენ, რადგან ვიცოდი, რომ ჩემი პოლიტიკური მრწამსის გამო, ლამის მტრად მიმიჩნევდნენ, ჩვენ კი დარწმუნებული ვიყავით, რომ მეწშევიკებმა თუ არ უღალატეს სამშობლოს, უგულოდ მაინც მოეკიდნენ. ჯიუტად არ სურდათ, დაეჯერებინათ ჩვენი პოზიციის სიმართლე. ისინი ბურჟუებად გვთვლიდნენ, რაც თითქოს განსაზღვრავდა ჩვენს იდეოლოგიას. საკუთარ თავს კი პროლეტარებად და სოციალისტებად მიიჩნევდნენ. იმნაირი სოციალისტობა, როგორც მათ სწამდათ, თავისთავად ანტიეროვნული და ანტისახელმწიფოებრივი რწმენაა და დღესაც ასევე მწამს.

სამწუხარო ფაქტია, მაგრამ ქართველების გარდა, სოციალიზმი არავის მიუღია სახელმწიფოებრივი ბედნიერების ერთადერთ გზად. თვით კავკასიაშიც

კი, პირველად საქართველომ გამოაცხადა თავი კომუნისტურ რესპუბლიკად, თანაც ისე, რომ ბრმად გაცვალა მასში ყველაფერი ნაციონალური და ეროვნული. მენშევიკებს სწამდათ, რომ როგორც კი სოციალიზმი გაიმარჯვებდა, ყველა ერი, რაღაც სასწაულით, ძმურად და მეგობრულად დაიწყებდა ცხოვრებას. ჰიმნიც კი ჰქონდათ – „ყველა ერი შეერთდება თავისუფლების დროშის ქვეშო“...

უცნაური ის არის, რომ ამ ბავშვური იდეოლოგიის მეთაური იყო ჟორდანია.

— რამდენადაც ცნობილია, მეორე მსოფლიო ომში ქართული პოლიტიკური ემიგრაციის დიდი ნაწილი სამშობლოს მოწინააღმდეგეთა არმიაში ნებაყოფლობით ჩაირიცხა. როგორი იყო თქვენი პოზიცია?

– მეორე მსოფლიო ომის დაწყებას მთელი ევროპა და, მათ შორის აქ მცხოვრები ქართველებიც, ერთი პოზიციიდან ვუყურებდით. არავის მოსწონდა რუსეთის დამპყრობლური პოლიტიკა, ხოლო დასავლეთი დემოკრატიის და სამართლიანობის გზაზე იდგა, თუმცა არც ის იყო უცხო ვინმესთვის, რომ გერმანიაში ამ დროს ფაშისტური რეჟიმი მძვინვარებდა. ამდენად, ეს ომი ორი ბოროტების დაპირისპირებად აღიქმებოდა. კომუნისტური ურჩხულისა და ფაშიზმის ორთაბრძოლად. არავინ ფიქრობდა, რომ რუსეთისა და გერმანიის ჭიდილი საქართველოს ან უბედურებას მოუტანდა, ან ბედნიერებას, მაგრამ ბევრს ეგონა, რომ ამას შეიძლება საქართველოსთვის თავისუფლება მოეტანა. როდესაც მიხეილ კედიამ განაცხადა, გერმანელ მხედრობასთან მაქვს კავშირი და გერმანიას სურს, ქართველი ემიგრანტებისგან შექმნას მოხალისეთა ჯარი, რომელიც თან გაჰყვება გერმანიის ჯარს და კავკასიაში შევაო. პარიზში მაშინვე შეგროვდა 150-მდე მოხალისე. ასეთი რამ არ მომხდარა ბერლინში, მიუხედავად იმისა, რომ მაშინ იქაც ბევრი ქართველი მუშაობდა. მე პირადად, ვფიქრობდი, რომ თუ გერმანია რუსეთს დაამარცხებდა, საქართველო იმპერიის მონობას თავს დააღწევდა, ხოლო ფაშიზმი ადრე თუ გვიან მოისპობოდა, ამიტომაც გადავწყვიტე გერმანიის არმიაში შესვლა. ასევე ფიქრობდნენ, სხვათა შორის, მენშევიკებიც. ამან ჩვენ, გარკვეულწილად, დაგვაახლოვა. მაგრამ ჩვენგან განსხვავებით, ისინი უსიტყვოდ კი არ იბრძოდნენ საქართველოსთვის, არამედ ჯარშიც ჟორდანიას იდეებისა და პიროვნების პოპულარიზაციას ეწეოდნენ.

— საქართველოს განთავისუფლებაზე ფიქრი ომის დამთავრების შემდეგ გააგრძელეთ?

– რაც დრო გადიოდა, მით უფრო მაგიურ ძალას იძენდა ჩემთვის ამაზე ფიქრი, ვინაიდან, როდესაც ემიგრაციაში წამოვედი, ჩემდა უნებურად ხშირად ვფიქრობდი 26 მაისზე. ხოლო თუ კალამს ავიღებდი, ქვეცნობიერად ამ რიცხვს „ვჯღაბნიდი“. ამ თარიღს თითქმის ყოველ წელს აღვნიშნავდით აქაური ქართველები და თითქმის ყოველთვის ერთნაირად: შევაგროვებდით ფულს, ვიქირავებდით საუკეთესო დარბაზს, მოვრთავდით სადღესასწაულოდ, მოვიწვევდით სტუმრებს, ფრანგ და სხვა ქვეყნის დიპლომატებს. იგი იხსნებოდა მარსელიოზათი და მოსდევდა ქართული ჰიმნი. ამ ღონისძიებას დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობას ანიჭებდნენ მოწვეული პოლიტიკოსები, თუნდაც იმიტომ, რომ აქ ხშირად აკრიტიკებდნენ იმ ქვეყნის თვითმპყრობელურ პოლიტიკას, რომელსაც, სხვათა შორის, ყველაზე დიდი საელჩო ჰქონდა საფრანგეთში.

ამ შეკრებას ესწრებოდნენ და სიტყვით გამოდიოდნენ სხვა დაპყრობილი რესპუბლიკების წარმომადგენლებიც – აზერბაიჯანელები, სომხები... ჩუვაშებიც კი. შემდეგ ეწყობოდა კონცერტი, ქართული ხელოვნების დემონსტრაცია. ბოლოს კი, ეს დარბაზი მთლიანად გადაიქცეოდა ერთ დიდ რესტორნად, სადაც ყველა – სტუმარიც და მასპინძელიც თავის საყვარელ და სასურველ კერძს – შეკაზმულ წითელ ღობიოს შეექცეოდა.

ამდენად, 26 მაისი აქ, პარიზში მრავალი ეროვნების ადამიანს გვაერთიანებდა. ერთადერთი, ვინც ამ ჰარმონიაში ვერ თავსდებოდა, ქართველი სოციალ-დემოკრატები იყვნენ. მართალია, ისინი ისე იქცეოდნენ, ვითომც არაფერი მომხდარიყოს, მაგრამ გულში თვითონაც კარგად იცოდნენ, რომ მათ კისერზე იყო ცოდვა – ასე იოლად რომ დაუთმეს საქართველო რუს ბოლშევიკებს.

— როგორ მოჩანს თქვენი გადმოსახედიდან საქართველოს დღევანდელი პოლიტიკური ცხოვრება?

– საქართველოში დღეს პოლიტიკური ცხოვრებისთვის აუცილებელი გარემო არ არსებობს და ამიტომაც პოლიტიკა, როგორც ასეთი, არ წარმოებს. თითქოს თავისუფლებაა, სიტყვისაც და შრომისაც, არაფერი აკრძალული არ არის. მგონი ყველა მუნჯია. „მუნჯურ“ დემოკრატიაში კი ხელსაყრელი კლიმატი იქმნება ანარქიისა და დიქტატურისთვის.

— თქვენ ფიქრობთ, რომ ჩვენი უბედურება ჩვენსავე ხასიათშია საძიებელი?

– რა თქმა უნდა, ქართველები ბედნიერ ცხოვრებას ეწევიან, ქეიფობენ, ილხენენ, მაგრამ ბედნიერების მიზეზი არ გააჩნიათ. ქართველები უნიჭიერესი ხალხია, ხელოვნებისკენ მიდრეკილი, მაგრამ პრაქტიკული ცხოვრების ნიჭი გვაკლია, რამდენადაც კარგი მფლანგველია ქართველი, იმდენად სუსტია, როგორც ქონების დამგროვებელი, მწარმოებელი და დოვლათის შემქმნელი. ეს ერისთვის დამღუპველია.

— ისურვებდით საქართველოში ჩამოსვლას?

– საქართველოში ჩამოსვლა ჩემთვის უკვე გვიანია. არც გაუბედურებული და გატანჯული ქვეყნის ნახვა იქნება ჩემთვის სასიამოვნო.

მრავალი ათეული წელი ბედნიერი საქართველოს ნატვრაში გავატარე. ახლა, როგორც ჩანს, საბოლოოდ დასამარდა ეს ოცნება. მე ვეღარ შევესწრები აყვავებული სამშობლოს ნახვას, ამ სურვილს თან გავიყოლებ. თუმცა მწამს, რომ 10-15 წლის შემდეგ საქართველოს აღორძინება დაიწყება.

ღმერთმა დალოცოს ჩვენი ქვეყანა...

■

მისტერ უიტნის ორი გამოგონება

ამერიკელმა ელი უიტნიმ თავისი პირველი გამოგონება შემთხვევით შექმნა. ერთხელ ის ბამბის პლანტაციას ესტუმრა და გაოცდა, რამდენად რთული იყო თესლისგან ბოჭკოს განცალკევების პროცესი. მას გონება გაუნათდა და მოიფიქრა, როგორი უნდა ყოფილიყო უბრალო მანქანა, რომელიც ამავე ოპერაციას სწრაფად და იოლად შეასრულებდა.

უიტნის მიერ შექმნილმა მანქანამ, დიდი როლი შეასრულა არა მარტო ბამბის წარმოებაში, არამედ სოციალურ სფეროშიც: პლანტაციები არნახულად მომგებიანი გახდა, ამან კი თავის მხრივ სამხრეთის შტატები ეკონომიკურ აყვავებამდე მიიყვანა. იმ აყვავებამდე, რომელიც შავკანიანი მონების შრომით იყო შექმნილი.

უიტნიმ სახელი გაითქვა, მაგრამ გამოგონებამ ის ვერ გაამდიდრა. მრავალი წელი პლანტატორებთან დამღლელ ბრძოლაში გაატარა, რადგან ისინი უიტნის მანქანას უკანონოდ იყენებდნენ. 1798 წელს კი გამომგონებელი ვაშინგტონში მიიწვიეს და გადაწყვიტეს, მისი ნიჭი ქვეყნის საკეთილდღეოდ გამოეყენებინათ. ეშინოდათ, რომ კონტინენტზე შეიძლებოდა უძლეველი ნაპოლეონი შეჭრილიყო: ამერიკა ჩამორჩებოდა ევროპას თოფების წარმოებით და უიტნის შესთავაზეს, გამოგონებინა რაიმე მეთოდი, რომელიც ამ პრობლემის დაძლევას შეუწყობდა ხელს. უიტნის არაფერი ესმოდა იარაღის და მისი წარმოების, მაგრამ მაშინვე დასთანხმდა, რადგან ესმოდა – ცხოვრებაში მეორედ ასეთი შანსი შეიძლება აღარ მისცემოდა. პრეზიდენტ ადამსის კითხვაზე, რაში იქნებოდა გამოხატული მისი ნოუ-ჰაუ, უიტნიმ უპასუხა: ადვილად შესაცვლელ დეტალებში.

ინგლისში იმ დროს ინდუსტრიული რევოლუცია მიმდინარეობდა და იქვე იბადებოდა მასობრივი წარმოების კონცეფცია. სახელოსნოში შექმნილი ერთეული ნაწარმის ადგილს ნელა, მაგრამ მტკიცედ იკავებდა ფაბრიკაში წარმოებული სტანდარტული საქონელი. XVIII საუკუნეში უკვე დაიწყო საათების, საკეტების, თითქმის კონვეიერული წარმოება. და მაინც, ასწლეულის ბოლოსაც კი ევროპის ტექნიკურ აზროვნებას ვერ გადაედგა გადამწყვეტი გაბედული ნაბიჯი, რომელიც აბსოლუტურად იდენტური ნივთების გამოშვებას ნიშნავდა. სწორედ ეს კონცეფცია ჩამოაყალიბა უიტნიმ – მან გადაწყვიტა, სათადარიგო ნაწილების წარმოება აეწყო.

1798 წლის 14 ივნისს ხელი მოაწერეს კონტრაქტს, რომლის თანახმად, ელი უიტნიმ ივალდებულა წელიწად-ნახევრის განმავლობაში ეწარმოებინა აბსოლუტურად სტანდარტული პარამეტრების მქონე 4.000 თოფი. იუტნიმ ბევრი ფული მიიღო სახელმწიფოსგან, მაგრამ 1800 წლის ბოლოს, როცა შედეგები უნდა წარედგინა, აღმოჩნდა, რომ ძალიან მცირე სამუშაო იყო შესრულებული. სკანდალის თავიდან ასაცილებლად, გამომგონებელმა თავისი შექმნილი იარაღის გამოსაცდელად მიიწვია პრეზიდენტი ადამსი, რომელსაც პრეზიდენტობის ვადა ეწურებოდა, და აგრეთვე ახალარჩეული პრეზიდენტი – ჯეფერსონი. 1801 წლის იანვარში იარაღის დემონსტრირება გაიმართა და ორივე მმართველზე იმდენად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ უიტნის დაფინანსება გაუგრძელეს. თვით ელი უიტნი კი ისტორიაში თავისი ორი დიდი გამოგონების წყალობით შევიდა.

საუკუნე-ნახევრის შემდეგ კი ისტორიკოსებმა მიაკვლიეს მასალებს, რომლის თანახმად თოფების საქმეში უიტნის თურმე ორი პრეზიდენტი „გაუცურებია“: იმ მომენტისთვის მას ჯერ ვერ გადაუჭრია დეტალების ურთიერთშეცვლის ამოცანა, რადგან ამისთვის ძალიან დიდი სიზუსტე იყო საჭირო.

მაგრამ არსად და არასდროს იარაღისთვის ფულს არ იშურებდნენ... ამიტომ, ბოლოს და ბოლოს, უიტნიმ საწადელს მიაღწია.

ყველაფერი ამის გამო, ამერიკელი გამომგონებელი სათადარიგო ნაწილების კონცეფციის ავტორად უნდა მივიჩნიოთ და არა მის შემქმნელად. პირველი სათადარიგო ნაწილების შემქმნელად, სრულიად სამართლიანად ბრიტანელი სანაოსნოს გენერალური ინსპექტორი, სერ სამუელ ბენტამი ითვლება. 1817 წელს სწორედ მისი ხელმძღვანელობით დაიწყო გემების სათადარიგო ნაწილების მასობრივი წარმოება. XIX საუკუნე კი წარმოების სრული სტანდარტიზაციის მოწმე გახდა და დღეს ჩვენთვის სრულიად გაუგებარი რჩება, რატომ ნიშნავს ბევრ ენაში ერთი სიტყვა „ხელოსანსაც“ და „ხელოვანსაც“...

■

წელის სარტყელი



ძრავიანი ველოსიპედი
არაჩვეულებრივი ნიჭის მქონე ბავშვი
საკონდიტრო ნაწარმი
უეცარი შიში, ძრწოლა
აშშ – „ოსკარი“, რუსეთი – ?
წყლის დიდი ფრინველი
ძვირფასი ქვა
ფერადი ტელეხედვის სისტემა
ავტომძღ. მოულოდნელი შემოწმება
გიტარის კორპუსის ნაწილი
ნოტი
ძვ.ებრაელი წინასწარმეტყველი
კიბეზე სიარულის შიში
ფერადი ლითონის სიფრიფანა ფურცელი
დაძინების წინ ნამღერი სიმღერა
ჰაერზე მსუბუქი საჰაერო ხომალდი
შენობის გადასახურავი მასალა
ინკების ქვეყანა
მსახიობ ლუნდგრენის სახელი
წვრილად და ვრძლად დართული ბოჭკო
წყლის გასაცივებელი ხელსაწყო
რკინიგზა ციცაბო ფერდობზე
ადგილი თეატრში
ბრინჯის შეჭამანდი
მბრუნავი ღერო მექანიზმებში
აზროვნების და მეტყველების მქონე არსება
საგნების სრული კომპლექტი
ფარული მტრობა მუხანათობა
„ჯარამბლი“, „სნუკერი“, „პირამიდა“ (თამაში)
ლეგენდ. ანისტორ. შინაარსის ლექსი
მამათა დიდი მონასტერი
რუსული ავტომობილი
მნათი გარსი სხეულის გარშემო
 შეადგინა რამაზ ალანიამ

27-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ბ; 2-გ; 3-ა.

51-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-გ; 2-ა; 3-გ; 4-გ.

კვირის (26 თებერვალი - 4 მარტი) ასტროლოგიური პროგნოზი

თევზები – 20/II-20/III

თუკი ამ კვირას თვალცრემლიანი შეხვდებით, ეს იმას ნიშნავს რომ, თქვენთვის სამსახურისა თუ ცხოვრების მეგზურის გამოცვლის დრო დამდგარა. არ ღირს პირადი ანგარიშების გასასწორებლად დროისა და ნერვების ხარჯვა. ეცადეთ, მშვიდობიანად, ყოველგვარი მითქმა-მოთქმის გარეშე დაშორდეთ მათ. სულ რამდენიმე კვირაში საინტერესო და სასიამოვნო მოგზაურობა გელით.

ვერძი – 21/III-20/IV



ძალა მოიკრიბეთ და მეტი მოთმინება გამოიჩინეთ. ბედი არასასიამოვნო სიურპრიზებს გპირდებათ: პრობლემები შეგექმნებათ სამსახურში და კონფლიქტი გამწვავდება ოჯახში. ყველაფერს ფილოსოფიურად მიუდექით – ამით გაიადვილებთ ცხოვრებას. კვირის ბოლოსთვის ურთიერთობები მოგვარდება და უთანხმოება კარგი ქეიფითაც დასრულდება.

კურო – 21/IV-21/V

ძალზედ სასიამოვნო ძვრებია მოსალოდნელი. საქმიანი და შემოქმედებითი წარმატებები ერთმანეთს ენაცვლება. შესაძლოა, კვირის ბოლოსთვის გვარიანი ფული იშოვოთ. კვირა დღეს ბუნების წიაღში გაისეირნეთ – ეს კარგ განწყობას შეგინარჩუნებთ.

მარგალიტი – 22/V-21/VI



ჩანაფიქრის განხორციელების დრო დადგა. რისკს ნუ მოერიდებით და დასახული გეგმის მიხედვით იმოქმედეთ. ახლო მეგობრები იმედს არ გაგიცრუებენ და საჭირო მომენტში მხარში ამოგიდგებიან. საქმიანი მოლაპარაკებების დროს ყურადღება მოიკრიბეთ.

კირჩხიბი – 22/VI-22/VII

კონტრასტული პერიოდია ამ ნიშნის ქვეშ დაბადებულთათვის. ზოგიერთ კირჩხიბს ფორტუნა გაულიმებს, სხვებს კი, შესაძლოა, დიდი გარჯა დასჭირდეთ საკუთარი პოზიციების შესანარჩუნებლად. გუნება-განწყობის მკვეთრი ცვალებადობა თქვენი ურთიერთგამომრიცხავი სურვილების ბრალია. ეცადეთ – არ აჰყვეთ და ნელ-ნელა ყველაფერი ჩვეულ კალაპოტში ჩადგება.

ლომი – 23/VII-23/VIII



თუ კვირა ღამით არ მოგასვენებთ კითხვა: „რაში მდგომარეობს ცხოვრების აზრი?“ შეგიძლიათ გულდამშვიდებული დაწვეთ და ტკბილად დაიძინოთ. ოთხშაბათს თვალყური ადევნეთ თქვენი ორგანიზმის მდგომარეობას, თუკი მოთენთილობას იგრძნობთ. შაბათს საუნაში შეიარეთ და მსუბუქი მასაჟი გაიკეთეთ.

ქალწული – 24/VIII-23/IX



ძალიან საქმიანი კვირა გელით. მხოლოდ კვირას შეძლებთ განთავისუფლებას და თქვენს გემოზე დასვენებას. მრავალი გადაუდებელი საქმე, რომელიც თქვენს ჩარევას მოითხოვს, მხოლოდ ხაზს გაუსვამს თქვენს შრომისუნარიანობას და კომპეტენტურობას. უქმე დღეებში ალკოჰოლს ნუ მიეძალებით.

სასწორი – 24/IX-23/X

ეცადეთ, რომ მატერიალურმა დაინტერესებამ და საქმეზე ფიქრმა პირად ცხოვრებაში ხელი არ შეგიშალოთ. თქვენთვის სასიამოვნო ადამიანს, გაცნობისთანავე ნუ მოახვევთ თქვენს პრობლემებს. შესაძლოა, ხუთშაბათს ან პარასკევს ძალიან საჭირო კაცს შეხვდეთ.

ღრიანკალი – 24/X-22/XI

შემოქმედებითი ენერგიის მოზღვავება და საკუთარი ძალების რწმენა მოწინავე პოზიციებზე „გადაგისვრით“. ამ კვირაში შეძლებთ ყველა დაარწმუნოთ თქვენს სიმართლეში. მთავარია, საკუთარი წამოწყებების მართებულობისა თავად გჯეროდეთ.

მშვილდოსანი – 23/XI-21/XII

მობილიზება გაუკეთეთ მთელ ძალებს და ძველი ქაღალდების წესრიგში მოყვანას შეუდექით. იქ ძალიან მნიშვნელოვან საბუთს აღმოაჩენთ: ხუთშაბათს „ამოგიტივტივდებათ“ იდეა, რომელიც ოდესღაც უარყავით. დაუყოვნებლივ შეუდექით ამ იდეის რეალიზაციას, რაც სოლიდურ ფინანსურ წარმატებას მოგიტანთ. კვირის ბოლო დღეებს სასიამოვნო ატმოსფეროში გაატარებთ.

თხის რქა – 22/XII-20/I

ბოლოს და ბოლოს, გადაწყვეტთ, გაერკვეთ, თუ ვინ არის თქვენი ჭეშმარიტი მეგობარი და ვინ – მტერი. ოღონდ, პირადი ურთიერთობების გარკვევას ნუ შეუდგებით. კვირის ბოლოსთვის ყველაფერი თავ-თავის ადგილას დადგება. ცრუ მეგობრების დაკარგვას ნუ შეუშინდებით. მათი წყალობით ხომ მრავალი უსიამოვნება შეგხვდათ.

მერწყული – 21/I-19/II

ნუ გაგიკვირდებათ, უფროსი თუ გულს გადაგიშლით, თქვენ ხომ გამოცდილი სპეციალისტი ხართ და, რაც მთავარია, კარგი ადამიანიც. ზედმეტ მორიდებულობასა და თავმდაბლობას ნუ გამოიჩენთ და ხელფასის მომატება თუ დაწინაურება შეიფერეთ. თქვენ ხომ მეტსაც იმსახურებთ.

მხოლოდ ქალებისთვის
როგორი დამოკიდებულება გაქვთ მეუღლესთან
გიყვართ თუ არა ქმრის ნერვებზე „თამაში“?

აღნიშნული ტესტის საშუალებით შეძლებთ, დაადგინოთ, რა გიშლით ხელს იმაში, რომ მეუღლისთვის მუდამ ერთადერთ, საყვარელ და სასურველ ქალად დარჩეთ:

1) როგორ იქცევით მეუღლესთან კამათის დროს?

ა) ყველაფერში დამნაშავე გამოგყავთ ქმარი;

ბ) იღებთ დანაშაულს საკუთარ თავზე;

გ) ცდილობთ, იყოთ ობიექტური.

2) რომელი ქცევაა თქვენთვის ტიპური?

ა) მეუღლის აზრს უმეტესად არ ითვალისწინებთ;

ბ) მის დადებით თვისებებს ყველგან წარმოაჩენთ;

გ) წყნარად, შეკამათების გარეშე უსმენთ მეუღლის ლაპარაკს.

3) რამდენი დრო გესაჭიროებათ მოსამზადებლად, თუ მეუღლე მანქანაში მოუთმენლად გელით?

ა) დაახლოებით ნახევარი საათი;

ბ) არანაკლებ ერთი საათისა;

გ) არა უმეტეს 10-15 წუთისა.

4) ამ გამონათქვამებიდან რომელი გეხებათ თქვენ?

ა) მუდმივად წუწუნებთ ცხოვრებისეულ პრობლემებზე;

ბ) ხანდახან გიყვართ საკუთარი თავის შეცოდება;

გ) ცდილობთ, გარეგნულად მაინც ოპტიმისტურად გამოიყურებოდეთ, არ შეიმჩნიოთ უსიამოვნებები.

5) ეუბნებით თუ არა ვინმეს, რომ ქმარზე დიდი გავლენა გაქვთ?

ა) ერთი-ორჯერ გითქვამთ;

ბ) ხშირად;

გ) ასეთი რამ არავისთან წამოგცდენიათ.

6) როგორ იქცევით, თუ თქვენი ქმარი სხვა ქალების ცქერით ტკბება?

ა) არ აქცევთ ყურადღებას;

ბ) ეჭვიანობთ;

გ) ცდილობთ, არ დაკარგოთ ქმარი მხედველობის არიდან.

7) უმეტესად როგორ იქცევით ქმართან დამოკიდებულებაში?

ა) ეკამათებით, მაგრამ ბოლოს, მაინც დათმობაზე მიდიხართ;

ბ) გავიწყდებათ მისი „განებივრება“;

გ) როგორ შეიძლება ქმარზე ზრუნვამ ბედნიერება გაგრძნობინოთ?!

8) როგორ იქცევით, თუ ქმართან ინტიმური სიახლოვე არ გსურთ?

ა) ხუმრობით უარყოფთ მის სურვილს;

ბ) უბრაზდებით და იძინებთ;

გ) ეუბნებით, რომ დაღლილი ხართ, თუნდაც ეს არ შეეფერებოდეს სიმართლეს.

ქულები

	ა	ბ	გ
1	10	0	5
2	10	5	0
3	5	10	0
4	10	5	0
5	0	10	5
6	5	10	0
7	0	10	5
8	0	10	5

შედეგები

60-80 ქულა: უდავოა, ძალიან გიყვართ ქმრის ნერვებზე „თამაში“. თუ მისი შენარჩუნების სურვილი გაქვთ, სასწრაფოდ შეიცვალეთ ხასიათი და მასთან დამოკიდებულება.

30-55 ქულა: მდგომარეობა კრიტიკული არ არის, მაგრამ სცადეთ თქვენი ქცევის შეცვლა იმ სიტუაციებში, რომლებშიც, ტესტის მიხედვით, 10 ქულა დაიმსახურეთ.

25 ქულა და ნაკლები: არ ინერვიულოთ, თქვენ შესანიშნავად გაქვთ შესწავლილი მამაკაცის ფსიქოლოგია. თქვენნაირ მეუღლეზე ყველა მამაკაცს შეუძლია იოცნებოს!

პატიმრობა ძვირფასეულობასთან ერთად

5 დღე-ღამე გაატარა საკუთარ სეიფში ბრიტანელმა ოქრომჭედელმა იულიამ ჯოისმა. აყვავებული ბიზნესის 73 წლის მეპატრონემ გადაწყვიტა, ახალშეძენილი საბანკო სეიფის უკანა სტელაჟები შეემოწმებინა და ... ურთულესი კონსტრუქციის კარი ჩაეკეტა. ოქრომჭედელი განმარტოებით ცხოვრობდა და მისი გაუჩინარების გამო, განგაშის ზარი მეზობლებმა მხოლოდ მეხუთე დღეს შემოჰკრეს. იულიამს ბედად, ჯიბეში რამდენიმე ორცხობილა აღმოაჩნდა და ვაჟკაცურად გაუძლო თავს დამტყდარ განსაცდელს. თავშესაქცევად კი, ფარნის შუქზე, სეიფში შენახული ძველი საათის შეკეთებასაც მიჰყო ხელი და წარმატებითაც გაართვა თავი.

მეცენატი ჩინელი გლეხი



უბრალო გლეხს ჩინეთის დიდი კედლის ერთი ნაწილის შეკეთება განუზრახავს. ამ ქვეყნის მანსუს პროვინციის ერთ-ერთი სოფლის მცხოვრებს, იან იუნფოს გადაუწყვეტია თავისი დანაზოგი — 800.000 იუანი (რაც 100.000 დოლარს უტოლდება) ამ უნიკალური ძეგლის 330 მეტრის რესტავრაციას მოახმაროს. კედლის ეს ნაწილი მინის დინასტიის (1368-1644) დროს არის აშენებული და უდავოდ კულტურულ-ისტორიულ ფასეულობას წარმოადგენს.

გამხდარი ქალები უფრო შეძლებულები ყოფილან

ყველაფრის დათვლის მოყვარულ ამერიკელებს საინტერესო კანონზომიერება აღმოუჩენიათ: 50-დან 60 წლამდე ასაკის ქალბატონები, რომელთა წონა ნორმას 15%-ით აღემატება, 80.000-მდე დოლარის ანგარიშებს ფლობენ, მაშინ, როდესაც, უფრო „ტანწერწეტებს“, სულ ცოტა 200.000 მაინც აქვთ გადანახული. ამის აღმომჩენმა მიჩიგანელმა მკვლევარებმა ისიც დადგინეს, რომ სრულიად საპირისპირო სურათია მამაკაცებში: ჭარბი წონისანები გაცილებით მეტი კაპიტალის მეპატრონენი არიან, ვიდრე გამხდრები.

ღღეგრძელობას... მეგობრები უშლიან ხელს

ასეთი დასკვნა გააკეთა ესპანეთის ყველაზე ხანდაზმულმა ადამიანმა, რომელმაც ცოტა ხნის წინ, 111 წლის შესრულება იზეიმა. ჟოან რიუდავეტსი, რომელიც კუნძულ მენორკაზე, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე ცხოვრობს და „ესპანეთის ბაბუას“ უწოდებენ, აცხადებს: საუკუნის ტოლი რომ მოიყარო, მთავარია, კონფლიქტში არ ჩაება საკუთარ თავთან და შენს გარშემომყოფებთან, არავის არაფერი ავნო, იყო გულწრფელი და სამართლიანი. კითხვაზე — მეგობრები რატომ არ უნდა გყავდესო, ჟოანი კომენტარს არ აკეთებს — ასეთია მისი ცხოვრებისეული პოზიცია, მორჩა და გათავდა. საინტერესოა, რომ მისი დედმამიშვილებიც ღღეგრძელთა რიცხვს მიეკუთვნებიან: ძმამ, პესემ საუკუნოვანი იუბილე გადაიხადა, და, ჟოზეპი კი — 94 წლისაა.

ჟურნალ „გზის“ რედაქცია სათანამგზავრულად იწვევს ახალგაზრდა, კვალიფიციურ ჟურნალისტებს.

გასაუბრება — 24 თებერვალს, 15-დან 18 საათამდე

ფანტაზია · ფანტაზია · ფანტაზია · ფანტაზია

ჩვენი ჟურნალის წინა ნომერში შემოთავაზებული რუბრიკის — „ფანტაზიის“ პასუხად მკითხველთა მიერ გამოგზავნილი ქვითრების მიხედვით, გაიმარჯვა ბატონმა ვახტანგ რჩეულიშვილმა.

ვულოცავთ ბატონ ვახტანგს და ვუსურვებთ წარმატებებს!

რევოლუცია მოდის?!

(მკითხველის გვარი, სახელი)

(ცნობილი პიროვნებები)

ამ რუბრიკით თქვენი წარმოსახვის გავარჯიშებას გთავაზობთ. გაითვალისწინეთ ჩვენი კომენტარი და ფოტოზე აღბეჭდილ სახეს ის ცნობილი პიროვნება მოარგეთ, რომელიც ყველაზე მეტად მოუხდება. ჟურნალის შემდეგ ნომერში ფოტო იმ პიროვნების სახით გამოქვეყნდება, რომელიც ყველაზე მეტ ხმას დააგროვებს.

გთხოვთ, შეავსოთ ქვითარი და პასუხები გამოგვიგზავნოთ, თბილისში განთავსებული „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ქვითარი ჩააგდეთ სამშაბათის (27 თებერვლის) 13 საათამდე.

„ფანტაზია“

ეკრანიზაციის
ეტიუდებიდან

„ფანტაზიორობს“
მკითხველი

„ჭრელო პეპელა...“


ნინო
ფეიქრიშვილი
ახალი
სახე
დიზაინერი
თამუნა დადიანი
მოგზიგლავო გოგონებო!
აჭ შეიძლება თქვენი
ფოტო დაიბეჭდოს!
თქვენი ფერადი სურათი,
საკონტაქტო ტელეფონის
მითითებით გამოგვიგზავნეთ
„კვირის პალიტრის“ საფოსტო
ყუთების საშუალებით.
„გზის“ ფოტოგრაფები
მზად არიან ახალი
ფოტოსახეების შესაქმნელად!